



ჯუნის ტონიასო
(1926 - 2012 წწ.)

ქართული
ეთნოგრაფიული
მემკვიდრეობა IV

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭუნის ონიანი

ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა IV



**თბილისი
2020**



№აკ: 392(=353,2)
თ-472

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა 2016 წლიდან გამოსცემს სერიას „ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა“. უკვე გამოცემულია სამი წიგნი. პირველი წიგნი მიეძღვნა ცნობილ სასულიერო მოღვაწესა და ეთნოგრაფს დეკანოზ იოანე მარგიანს, მეორე წიგნში კი ასახულია ეროვნული მოღვაწისა და ეთნოგრაფის ეგნატე გაბლიანის ცხოვრება, მოღვაწეობა და წარმოდგენილია მისი ნაშრომები. მესამე წიგნში თავმოყრილია ქართული პრესის ფურცლებზე გაბნეული მასალა ართვინის მხარის შესახებ.

წინამდებარე გამოცემაში შესულია ეთნოგრაფ ჯუნის ონიანის სადისერტაციო ნაშრომი „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან /სვანური „მურყვამობა-კვირიაობა“/“, რომელიც მეცნიერმა სამეცნიერო საზოგადოებას წარუდგინა 1969 წელს. ეს ნაშრომი შემონახულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ნაბეჭდი ეგზემპლარის სახით. ჯუნის ონიანის სადისერტაციო ნაშრომი პირველად იბეჭდება წიგნად.

რედაქტორები:

როზეტა გუჯავიანი
მირიან ხოსიტაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ნინო მინდაძე
დარიკო ჟორჯოლიანი
ციალა ჩართოლანი

ქეთევან ხუციშვილი

(სარედაქციო კოლეგიის გამგე)

დაკაბადონება:

გიორგი გელაშვილი

©საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
©მირიან ხოსიტაშვილი
©როზეტა გუჯავიანი

ISBN: 978-9941-9736-3-5

სიცოცხლე

მე დავიბადე ივნისის თვეში,
მიუვალ-მაღალ სვანეთის მთებში.
სასიხარულო ამბავი გახდა,
ბოკვრის გაჩენა ლომების თემში.

საუკუნის ნახევარი გავიდა ფრენით,
კაცი ვერ ითვლის, გარბიან დღენი,
უკან მოხედვას ვერ ასწრებს თვალი
ბუნების უხილავ კანონის ძალით.

გადაუღებლად ჩამოდის თქეში,
სამჯერ იცვლება ამინდი დღეში,
ეს არ იცოდა ივნისის თვეში,
ბალახი მზისგან იწვოდა მთებში.

ამინდია თუ უამინდობა, ვერაფერს ვხვდები,
სიკვდილისა და სიბრალულის უფროა ხედი.
ალბათ სიბერე შემომეპარა, ასეთია კაცის ბედი,
მაგრამ იცოდეთ, არ მომიხრია ჯერ კიდევ ქედი.

დღეს შევასრულე 53 წელი,
რაც დრო გაფრინდა, ხელახლა ველი,
ცხოვრების მეტი გავლიე ლხენით
და ძველუბურად ვუბერავ, ვთვრები.

ავაგ ონიანი

10.06.2008

რედაქტორებისაგან

„ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის“ მეოთხე წიგნად მკითხველს ვთავაზობთ ქართველი ეთნოლოგის ჯუნის ონიანის ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობას.

ჯუნის ონიანი დაიბადა 1926 წლის 29 მარტს ქვემო სვანეთში, ლენტეხის რაიონის სოფელ ჟახუნდერში.

1944-1948 წლებში სწავლობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

საზოგადოებრივი საქმიანობა ლენტეხის რაიონში დაიწყო; სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა საშუალო სკოლის დირექტორად, განათლების განყოფილების გამგედ, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, სიცოცხლის ბოლომდე კი იყო მშობლიური სოფლის სკოლის დირექტორი.

მისი მეუღლე იყო ალექსანდრა ონიანი, პროფესიით ისტორიკოსი. მათ ჰყავდათ სამი შვილი: რამაზი, ავაგი და ხორეშანი. რამაზი მხატვარი გახლდათ, ავაგი - ფილოლოგი, ხორეშანი აგრონომი იყო.

ჯუნის ონიანი იყო შესანიშნავი მეცნიერი, ეთნოგრაფი, ვერა ბარდაველიძის მოწაფე. კვლევა-ძიების დროს დიდი მასწავლებლის მიერ გაკვალულ გზას მიჰყვებოდა და სიღრმისეულად იკვლევდა სვანეთის ტრადიციულ რელიგიურ სისტემას, სინკრეტულობის პრობლემას, დღეობათა და რიტუალთა გენეზისსა და ტრანსფორმაციულ პროცესებს.

ჯუნის ონიანი გარდაიცვალა 2012 წლის 23 მაისს. დაკრძალულია მშობლიურ სოფელში.

ჯუნის ონიანის სადისერტაციო ნაშრომი /საკანდიდატო თემა, როგორც ერქვა ამ საფეხურს საბჭოთა წლებში/ იყო - „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან /სვანური „მურყვამობა-კვირიაობა“/. საკანდიდატო დისერტაციის დაცვა შედგა 1969 წელს /სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. ვერა ბარდაველიძე/.

სამეცნიერო საზოგადოება დიდი ხანია ელოდება ჯუნის ონიანის სადისერტაციო ნაშრომის წიგნად გამოცემას, რადგან იგი არსებობდა მხოლოდ სადისერტაციო ნაშრომის ფორმით, ხელნაწერის უფლებით, სულ რამდენიმე ცალად და ფართო წრეებისათვის ხელმიუწვდომელი იყო. ცნობილია, რომ სადისერტაციო ნაშრომი სულ 3-4 ცალი იბეჭდებოდა /საბეჭდო მანქანაზე/ და ინახებოდა კვლევით დაწესებულებებსა და ბიბლიოთეკაში. ამ ეტაპისათვის შემონახულია ნაშრო-

მის ერთადერთი ეგზემპლარი და იგი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დისერტაციის სხვა ცალები ამ დრომდე ვერ მოიძებნა. სწორედ ბიბლიოთეკაში დაცული ეგზემპლარის მიხედვით მომზადდა ეს წიგნი. აქედან გამომდინარე მკითხველისათვის, ფაქტობრივად, უცნობია ჯუნის ონიანის მდიდარი ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა. არადა, ეს მემკვიდრეობა მეტად მნიშვნელოვანია.

როგორც უკვე ითქვა, ნაშრომი პირველად იბეჭდება წიგნის სახით. წიგნის ციფრული ვერსია მოამზადა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ჯგუფმა.

წიგნში ჩართულია რამდენიმე ნახატი, რომლებიც შესრულებულია ჯუნის ონიანის შვილის მხატვარ რამაზ ონიანის მიერ და ხატოვნად ასახავს ნაშრომში აღწერილ დღეობებსა და რიტუალებს. წიგნში შესულია ჯუნის ონიანის ვაჟიშვილის ავაგ ონიანის ლექსიც.

ჯუნის ონიანი უაღრესად თავმდაბალი ადამიანი იყო. ის თავდაუზოგავად შრომობდა, როგორც მეცნიერი და ზრდიდა თაობებს, როგორც პედაგოგი. მისი შრომა დაფასებულია, ჯუნის ონიანი დაჯილდოვებულია მედლებით სხვადასხვა შრომითი საქმიანობის ღირსეულად შესრულებისათვის.

ამიერიდან კი მკითხველს შესაძლებლობა მიეცემა, გაეცნოს ამ საყურადღებო ნაშრომს და მის თვალწინ გადაიშლება სვანეთის რელიგიური რიტუალები, აღწერილი და გაანალიზებული მაღალი კვალიფიკაციის მქონე ეთნოგრაფის მიერ.

ჯუნის ონიანის ნაშრომი დღითი დღე იძენს მნიშვნელობას. მეცნიერის მიერ შესწავლილ დღეობათა და რიტუალებთა დიდი ნაწილი ჩვენი დროისათვის უკვე გამქრალია, ნაწილიც ცოცხალია, მაგრამ სახეცვლილია. აქედან გამომდინარე, ეს წიგნი იქნება ძვირფასი წყაროც და საყურადღებო ეთნოლოგიური კვლევაც.

საგამომცემლო ჯგუფი მადლიერებას გამოვხატავთ ჯუნის ონიანის მემკვიდრეებისადმი, რომლებიც მხარში ამოგვიდგნენ წიგნის მომზადების საქმეში. სამწუხაროდ, ამ საყურადღებო გამოცემის დასრულებას ვერ მოესწრნენ ბატონი ჯუნისის შვილები.

ვიმედოვნებთ, რომ ჯუნის ონიანის ეთნოგრაფიული ნაშრომი დიდად წაადგება ჩვენში ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარებას და გაზრდის მკვლევართა ინტერესს სვანეთის ტრადიციული ყოფისადმი.



შინაარსი

თექვსმეტისათვის..... 11

ინანილი..... 12

1. ლაშხეთი ლიმურყუამალ
2. ლიმურყუამალ
3. ლიმურყუამალ
4. ლიმურყუამალ
5. ლიმურყუამალ - ლიკურელ. მურყვამობა - კვირიაობა
6. ლიმურყუამალ
7. ლიმურყუამალ
8. კ უ ი რ ი ა
9. კ უ ი რ ი ა
10. უტკუნ დოშდიშ. შავი ორშაბათი
11. ხატი ლისგუეჭნალ. ხატის გამოსვენება
12. ლიკურელ. კვირიაობა
13. კ ვ ი რ ი ა ო ბ ა
14. ორიახო - კვირიახო.
15. კვირია ლიღარალ. კვირიას სიმღერა
16. ლიკურელ.
17. ლიფრი-ლიდეშდუნალ. გამურვა დათვობია
18. ლიკურელინიე. კვირიას სახელზე აყვანა
19. ლიკურელ
20. ლიკურელ
21. ლიკურელ
22. უკუნ დოშდიშ. შავი ორშაბათი
23. აღბა ლალრალ. აღების თამაშობა-გართობა
24. აღბა ლალრალ
25. აღბა ლალრალ
26. აღბა ლალრალ
27. აღბა ლიღრალ
28. ბარლაშ. ბარბალობა
29. მეშხე ფხუ ლადად. შავი ორშაბათი / შავი გაზაფხულის დღე /
30. ჭოდი დოშდიშ. გრძელი ორშაბათი
31. მიულენ. მოვლენა, გამოცხადება
32. მურყვამ. კოშკი

33. ლიბეროლალ. ბერიკაობა
34. ყუელიერ ბეროლ. ყველიერის ბერკა
35. ყუელიერი სახმახალ. ყველიერის ზნე-ჩვეულებანი
36. ლიბეროლალ.
37. ლიბეროლალ-ლიგონჯაულ, ბერიკაობა-გინჯაობა
38. მაულ-მაულ. მელა-მელა
39. მალა ტაბელ. მელიის ტაბლა
40. მალა ტაბელ
41. მელა კურკუტობია
42. მელაკურკუტალობა
43. მელია-ტულეფია
44. დაჯელ. თხა
45. ლამპრობ. ლამპრობა
46. ლამპრობ
47. დეცე ლამპრობ. ცის ლამპრობა
48. სუიმნიშ-ლამპრობ. სვიმონობა-ლამპრობა
49. სუიმნიშ-ლამპრობ
50. სუიმნიშ-ლამპრობ
51. სუიმნიშ-ლამპრობ
52. სუიმნიშ
53. სუიმნიშ
54. ლამპრობ
55. მურყმა ლირღვე ნესგუნს. კოშკის დარღვევა ნესგუნში
56. ჯგვიბ. კრივი
57. ლაღმი ჯგუიბ. ლაღმის კრივი
58. ლიქურაში
59. ბემბლუ. ბოსლობა
60. ჯგერაგ ბემბლუშ. წმ. გიორგი ბოსლობისა
61. ჯგერაგ ლიფკუაშიშ. წმ. გიორგი სიმშრალისა
62. ჯგერაგ ბემბლუშ.
63. ჯგირუანაშ. გიორგობა
64. აფსათ. აფსათი /ზარნაშო/
65. ა ფ ს ა თ
66. არგილაა. არგილა/ ადგილის უფალი/
67. მერმე მერმე ღენ. სხვადასხვა დღეობა
68. მელსარობ. მელსარობა
69. ლიგურიკე. კვირიკობა
70. ჯანი "თუალ". ხარის "თვალი"
71. ჟელ. ძაღლი
72. სკარ. სკარობა

- 73. ჭაბკუობ. ჭაბუკობა
- 74. ჭაბკუობ
- 75. უსხობ. უსხობა
- 76. უსხობ
- 77. მუჩფა. მუჩფა/ სალოხავის სახელწოდება/
78. ლელერბეთ ჳანარე ჟახელ. საღვთო ხარების სახე-
 ლები
- 79. მაშენა უზენაესი
- 80. მაშენა

II ნაწილი.....141
გამოკვლევა

შესავალი.....142

თავი I157

„მურყვამობა-კვირიაობის“ ციკლის დღეობები და მათი
ძირითადი ელემენტების დანიშნულება
მურყვამობა კვირიაობა
კ ვ ი რ ი ა ო ბ ა
ბერიკაობა-გონაჯობა
გამურვა-დათვობია
აღბა ლალრალი
ლამპრობა კეისრობა
ლაღამის კრივი
მურყვამობა კვირიაობის ზოგი ტერმინის შესახებ

თავი II.....211
კვირიას და ტელეფიას წარმომავლობისათვის

თავი III.....227
ფალოსის კულტის გადმონაშთები მურყვამობა-კვირია-
ობაში”

თავი IV.....234
ხვადასხვა ეპოქის ელემენტები “მურყვამობა-კვირიაო-
ბაში“

ტექსტისათვის

აქ მოცემული ტექსტები ჩანერილი იქნა 1962-1967 წლებში ზემო და ქვემო სვანეთის სოფლებში.

„მურყვამობა-კვირიაობის“/ლიმურყუამალ-ლიკურჯელ/ციკლის დღესასწაულების გარდა აქ მოცემულია აღწერილობანი ისეთი საწესჩვეულებო რიტუალებისა, რომელთაც ამ ციკლთან უშუალო კავშირი არ აქვთ. მაგრამ ისინი გარკვეულ მეცნიერულ ღირებულებას არ უნდა იყვნენ მოკლებული და, ამასთან ერთად, იძენენ სათანადო მნიშვნელობას „მურყვამობა-კვირიაობის“ მიმართებითაც. ასეთებია „მეისარობა“, „ლიგურკე“ /კვირიკობა/, „უსხოობა“, მაშენა“ /უზენაესი/, „ბემბლუ“ /ბემბლუ, ბოსლობა/ და სხვა.

აქვე მოყვანილია ვ. ბარდაველიძის მიერ აღწეილი ლენჯერის „ბარბალობა“¹, არს. ონიანის ადრეკილაძის დღესასწაული², ა. შანიძის და ვ. თოფურიას მიერ 1921-1924 წლებში ჩანერილი ტექსტები /სუმნიშ, ორი ვარიანტი, „ლამპრობ“, მურყმა ლირღვე ნესგუნს“ - კოშკის წაქცევა ნესგუნში/³, ვ. თოფურიას და მ. ქალდანის მიერ გამოცემული სვანური ტექსტებიდან /ლენტეხური კილო/ ამოღებულია „ორიახო-კვირიახოს“ შინაარსი.⁴

ტექსტები მოცემულია სვანურ ენაზე ქართული თარგმანითურთ, რაც გაკეთდა გარკვეული მიზნით: მას მნიშვნელობა აქვს როგორც ეთნოგრაფიული, ისე ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც.

1 ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ. 1939, გვ. 11-11.

2 ა. ონიანი, ლუშნუ ამბვარ ..., პეტროგრადი, 1917, გვ. 20-23.

3 ა. შანიძე, ვ. თოფურია, სვანური პროზაური ტექსტები, ბალსებმოური კილო, თბ. 1939, გვ. 12-18.

4 ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, თბ. 1967, გვ. 66.

I ნაწილი

ლაშხეთი

1. ლიბურყუაბალ

ყუელიერი საფტენს ხუასყედად მუსი მურყუამს ჟაჯუნდერს, სუფისა, ცაცხუ ჩუქუან. ამჟა ჩუქუან ვითინ ლეგან ი ეჩა ფედიას ხუაგმედად მუსი მურყუამს. ალეს ნესგაფსა მეგმი კეტს ხონხე-დად ი კეცხისა ჟუარს ხოსყედად.

ალ ლადედ ლეკოსანდარ ი მეტცარ აგმედხ აჯახ მურყუამს მაულდს ამბროს უნიანა დაბისა. ამეჩუი ვითინ ლეგან.

ყუელიერი მეშლადედ ძლედ ლეზორობ ლას. ხუითშედად მეტერგიელას. ეშხუთე ლასხ ჟაჯუნდერ, ლემზაგორ ი ჩუკულ, მერმაიე-სასაში მეტეც-ლეკოსანდ. უცკუნ დოშდიშიშდ ჩის ჩუ გუიხალდა იარი ლენ იროლხ ფალაუა ნდარ მერუედა მხარეხენ.

უტკუნ დოშდიშ თელდ ლაშხ ჟი იხურმელოლ ჟაჯუნდერი ცაცხუ ჩუქუან. ამეჩუ ჯედნოლხ ზურალ. ლუაჟმარე, ბობშ, მეჩი ი მახე.

ალ ლადედ ჩიდ მანკუი ჟიბნოლ კუირია-ლერთა ლიღრალ. ალ ლიღრალს მაჩენამდ ყელახ ანტონ, თემრაზ ი ბასა დევდერიანალ, მიშგუი მუ ნასო, გოგი უონიან ბასლომაიშა. ალე იქუოლ მახა ლურუან ი ამ ჩიქქა მეტცარი ლეკოსანდარ ჟი მეჩდე ლასხ მცხეთაში ყუაბთეჟი, ჟუინელ ნასეყდართეჟი. ი ეჩეჩუ ყელახ კუირიადს. ალ არდგილს ლაკურიმელ გოლაფს ხუაყლედ. ამხენქა თელდ ლაშხ ქათერა ი ლიღრალი ჩითე ისმი. მეტეც-მეკოსანდხენ მაჩენამდ ყელახ კუირიადს სასო, ჟაბუ, პეტრე, მათე ი გიგო უონიანარ სასამხენ-მესტატ უონიან ი როსტომად ბერაძე.

სასაში მეტეც-ლეკოსანდ, ეშხუენ, ი, მერმახენ, ჟაჯუნდერ-ლემზაგორ ი ჩუკულ ლემქარ ლასხ, ძინარს იარი ოხჩიშახ კუირია ლიქუისს. კუირია ლიქუისს ჟაჯუნდერალ ხოჩშახ ხოშანალალდ ეჯლად, ერე მეტცარს ი ლეკოსანდარს ლაკურმელ გოლაფ ყუაბთეჟი ხალახ ლეზი ი გარჯ ლას მელჟაფთე უცეფ ჟი ლიზი. ხოშენხენ მასმა, ერე ამეჩუ ნასეყდარინ ლოქ ლი ათხე ხუნუარ გარ ცუირხ.

კუირია ლიღრალ ამჟი ძალუმდ ხოხალდახ აჯახ ახალშენი სოფელს, ნეფსაძელე კუთხისა. ალ კუთხ ჟუინელ ლი, ეჩქად

ამეჩუ ყიფიანარ ლემზიგელიხ. ალ სოფელს ეშხუ ნაგზაუშუ სგობდ ხოხალდახ კურიაში ღენ. ალდარი ძინარს იბნახ კური-
ადს ი ეჩუნლო ეშხუ ლეთ ი ლადელ ლი ხუმარალისა ი ლიცუნა-
ლისა აესყახ დროის. მეშლეთ ხოხალდახ ლიდემდუნალ. ეშხუ
სგალედექემენა დემდექე ტუფს ი ისკნალდა; მაა დემა ოჯართე
ედსკიმნა ი მაა დეშა. ალ ღენს ჩინ მაშენე მუკუირდ ხოგანხ მე-
თხუიარა ი დემ აქდინახ ყერიაში ლეთს. უშხუარ შიხს ი გუინადს
ხოცუნდახ. მაგ მა მაშყიდ ხოჩამდ ი ეჯ სოფლი ხალხს ხოჩამდ
ხემყდის მაა ლექუისლი.

ჟაჯუნდერს ცაცხუ ლეგჯგერაგი საყდარი ფედიას, სუფისა.
ამბუმ მეგემ დემე არი შუანისა. ჟაჯუნდერალ ამეჩუერ ქაგათუახ
კურიას, სუმრა-თხუმ შიშდ ლექუა ხეჭლუინოლ მესანყურიცა-
ხან თელდ სუმრას ი ლექუა ღერდახ სანყური ლაშმუმ მაულდი
სოფელთედესა. სანყურს ფალაჟუნდ ამში ი ლექუაჟიანუ ამნოუშუ
იმჟერდას დარი ღენლას თაუ მებერგიელ.

ხალ სგა ღერდახ მაულდი დაბთედესა, შიმდ მუსი მურყუამს
ხეძგროლხ. ჟაჯუნდერი სუმრა ლექუაუ ცდილა მურყუამი ლიკა-
ფეს ი სასაში სუმრალექუაუ, მინეშთე. ხედის მხარეთე ედკა-
ფოლ მურყუამ, ეჯ მხარეხენი ხალხ ლასხ გამარჯუებულ ეჯნარ,
ერე ეჯდართე ხოჩულ მოსაულობ ლოქ ხოხალ.

ჟიბნოლ ეჩანლო ლიბერგიელ. ლიბერგიელენლო თელდ სა-
საშიშ, მებეცლეკოსანდიშ ი ჟაჯუნდერი სუმრა მაგ ლექუა ხედ-
ნოლხ ჟაჯუნდერი სუფთე ი ამაჩუ იჯოდნოლ თაუარ ლიმურყუ-
ამალ.

სგახებერგოლხ ამეჩუი მუსი მურყუამს ლექუაჟიანუ ი ლექუა-
ჟიანუ მაგ, ლაკაფად.

ალეს ხეჭმენოლ ბეგი ლიბერგიელ.

ლიბერგიელე ლეგათუან იქუოლ ადრეკილაა. მეღრალა იგ-
ნოლხ დერუ წყებად, სემი დედ უოშთხუ მეტრა დაშორებათ. დე-
რუედა წყებას ხეყედა მუთხმი, ხედისი ფაუ ხოყდანან ტოტისა
ი ჟი იბნა ამჟი:

„ო ადრეკილაი ოგჩედაიუო ოგჯედა, შეგჩაი, შეგჩაი მიჩაო.
ამისიუო ჯანციუო თხუმუარქა იუო თხუმუარქა,

„-----“ ბარჯალქაი უო ბარჯალქა

„-----“ მუჭოდქაი უო მუჭოდქა

„-----“ ჯადარქაი უო ჯადარქა

„-----“ ფოყარქაი უო ფოყარქა

„-----“ ღულარქაი უო ღულარქა

„-----“ კანრალქაი უო კანრალქა

„-----“ ჭიშკარქაი უო ჭიშკარქა

ამჟი იქუოლ ადრეკილაა ლექს /შელდ/, მარა ჩის ქა იხრე-
სდახ ამსუალდს მაა ასუ ი დასუ ხარ. ეშხუ წყება იმი ლექუნა,

ეჭის ხოტბა მერმეი. ქა ერ ენხერსინახ მარემი ასუი-დასუი ლი-შელდანის, ეჩქა სგა ხენჩედოლხი იმი მოშ ოთღემნახ უშხუ-არ, დემ აზარახ. ეშხუარ ხოღემდახ ქილდარს, ფაყუარს, მარას, ჟიუდ იბნახ ლიღრალს მახან. ქადგათუნახ შელდს ი სგაუდ ხე-ჩედოლხ უშხუარ ამჟი ხაცხნახ ურინსუმინ.

ეჩენლო იბნოლ „მორილ-მიაქელა“.

ალე ლიღრალიერუ, იედ სემი სართულიან ჭიშხაშ ლას. ლი-ღრალს იბნა ჩუ სართული ლაღრალჟი ამაჟი ყელახ:

I. „მორილ, მორილ მიაქელა, მორილ მიაქელა.

ჩუ ექქადნედ თხუმს აჯყუიჩედ, მორილ მიაქელა“.

II. ჩუ ედ ჯეჯნიდ თხუმს აჯყუიჩედ მორილ მიაქელა.

I. ჩუ ექქადნედ ბარჯს აჯყუიჩედ, მორილ მიაქელა

II. ჩუ ედჯეჯნიდ ბარჯს აჯყუიჩედ, მორილ მიაქელა

ამჟი ლაქუუმ იხრესდახ ამსუალდა ჩუ ასუს. ჩუბე სართულ ი ლექუნა, ეჭის ხოტბა ჟიბე სართულ ი ჩუ ხეჭემმოლხ ჭიშხარუნ. ბინძურ სიტყუელს ხონჩედახ მეჟარ.

ალ ლიღრალუნლო იბნოლ „მელია ტელეფია“ აერხი ტელე-ფიას ტული.

„მელია ტელეფიაუშუ ი გათოლ ლიმურყუამალ. მელია-ტე-ლეფიას ჯუხუ-ჯუხუსი ხუაყლად.

ჯუხუ-ჯუხუი მექუისს სგობნაუ ხუითშედად. მაგ დემ კისრულა ამშა ლიჩომს. სერთხი დარი სერიოზულ მარე იროლ. ქა ხუადუ-დად ზესყი კუედელს, აედ ხუატს ი სგობინ იგნოლ, მელია-ტე-ლეფია მუჩომ, ხალხიმ. ალ ჯუხუ-ჯუხუი მექუისს ხოშგინ ხეჭამხ ეშხუარე ტოტარე ლაგდურუმ ლეჭანჭუად აემდ-აერუემდ მარა-თეჟი, ხუადინ მეტი.

მუთხმის ჩუ ხორაკ მეგმი ჯუემ-ყურნა. ეშხუ ტოტშუ ჯუემ ხოყდანან ტოტისა ი მერმა ტოტშუ კუედელს ხოქიოლა ხოსანა-ლად ზურალელსი, იასი მოშ ედდარნა, დას აზარა. კუედელს ერ ხაჯდა, თან ტულდა „ჯუხუ-ჯუხუს“ ი ეჩხაუ-ამხაუ ესღრედახ ზურალელ სიუილ-კიუილშუ. მუთხმი ტულდა „ჯუხუ, ჯუხუ, ჯუხუ, ჯუხუ, მელია-ტელეფია დაჯლა ლაჩოშელია უო. ამან ხოსა შელდ მა მაშყიდ. ჯუხუჯუხუი მექუის სუფხენქა ჩის არკელდა ხუ-ატსუ ი ამნოუშუ იგათოლ ლიმურყუამალ. ჯუხუ-ჯუხუი მექუისდ მი მაშყიდ ხუციშა ატო ლობჟანიძე ი ლეკოსა უასილ ოონიან.

ალ ლადელ სუმრა დას ფუშდა უკაფად ამხენქა, ჩუ ე დომ ეს-ჩოქუინა. სუმრა მუთხმი ბრზანებჟი არდა თელდსუმრა. ამ კუ-ირია ლიღრალ ნაჟი ჩოლარს ჯგერაგიშ გუიხალ. ალ ლადელ ლიღრალარ იშგენი ხუაი გუიხალდა მარა ალმარ თაუარ ლასხ.

1962 წლის დეკემბერი, სოფელი ჟახუნდერი
მთხრობელი სტეფანე ნასოს ძე ონიანი, 70 წლის.

მურყვანობა /კოშკობა/

ყველიერის შაბათს ვაკეთებდით თოვლის კოშკს ჟახუნდერში, სუფში, ცაცხვის ქვეშ. ამის ქვეშ ვითინი /სალოცავი ნიში, ქვისაგან აშენებული/ იდგა და მის ახლოს ვაშენებდით თოვლის კოშკს. ამას შუაში ხის კეტს ვუტენევდით და წვერზე ჯვარს ვუკეთებდით.

ამ დღეს ლეკოსანდლები და მებეცლები დგამდნენ კიდევ თოვლის კოშკს მაულდში, ამბროს ონიანის ყანაში. აქაც ვითინი იდგა.

ყველიერის კვირას დიდი შეკრებილობა იყო. ვირჩევდით მოჭიდავეებს ერთ მხარეზე იყვნენ ჟახუნდერი, ლემზაგორი და ჩუკული, მეორეზე კი სასაში და მებეც-ლეკოსანდი. შავი ორშაბათისათვის ყველამ ვიცოდით ვინ იქნებოდნენ ფალავნები ორივე მხრიდან.

შავ ორშაბათს მთელი ლაშხეთი იკრიბებოდა ჟახუნდრის ცაცხვის ქვეშ. აქ მოდიოდა ქალი, კაცი, ბავშვი, მოხუცი და ახალგაზრდა.

ამ დღეს ყველაზე უნინ დაინყებოდა კვირია-ღმერთის საგალობელი. ამ საგალობელს /სიმღერას/ ყველაზე კარგად ამბობდნენ ანტონ, თეიმურაზ და ბასა დევდარიანები, მამაჩემი ნასო და გოგი ონიანი, ბასლომანთი. ეს ითქმებოდა ახალ გათენებულზე და ამ დროს მებეც ლეკოსანდლებიც ასული იყვნენ მცხეთაშიც გორაზე, ძველ ნასაყდრალებზე და იქ ამბობდნენ კვირიას საგალობელს. ამ ადგილს „კვირიას საგალობელ გორას“ ვეძახით. აქედან მთელი ლაშხეთი ჩანს და სიმღერაც ყველგან ისმის. მებეც-ლეკოსანდიდან ყველაზე კარგად ამბობდნენ კვირიას საგალობელს სასო, ჯაბუ, პეტრე, მათე და გიგო ონიანები, სასაშიდან - ესტატე ონიანი და როსტომ ბერაძე.

სასაში და მებეც-ლეკოსანდი, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, ჟახუნდერ - ლემზაგორი და ჩუკული დაჯიბრებული იყვნენ, დილას ვინ მოუსწრებდა კვირიას საგალობლის თქმას. უმეტესად ჟახუნდრელები უსწრებდნენ კვირიას საგალობლის თქმას იმიტომ, რომ მებეც-ლეკოსანდლებს „კვირიას გორის“ თავზე უხდებოდათ ასვლა და ძნელი იყო აღმართზე უცებ ასვლა. უფროსებიდან გამოგონია, რომ აქ ნასაყდრალიაო და ახლა მართო ფუნდამენტებია დარჩენილი.

კვირიას საგალობელი ასე ძალუმად იცოდნენ კიდევ სოფელ ახალშენში, ნემსაძეების კუთხეში. ეს ძველი კუთხეა, მანამდე აქ ყიფიანები ცხოვრობდნენ. ამ სოფელში ერთი კვირით ადრე იცოდნენ დღეობა „ყერიაშობა“. ესენი დილას ინყებდნენ კვი-

რიას საგალობელს და შემდეგ ერთი დღე-ღამის განმავლობაში სიცილ-ხუმრობაში ატარებდნენ დროს. კვირას იცოდნენ „დათვობია“. ერთი ჩაიცვამდა დათვის ტყავს და ხტუნაობდა; ხან ერთ ოჯახში შევარდებოდა და ხან მეორეში. ამ დღეობას ყველაზე ბეჯითად მონადირეები ედგნენ და ყერიაშის ღამეს არ აცდენდნენ. ერთმანეთს ნახშირსა და მურს უსვამდნენ. მთლად არ მახსოვს კარგად და იმ სოფლის ხალხს ემახსოვრებათ კარგად, რა თქმა უნდა.

ჟახუნდერში ცაცხვი დგას ნმ. გიორგის ეკლესიის ახლოს, სუფში. ამხელა ხე არსადაა სვანეთში. ჟახუნდერლები აქ რომ დაამთავრებდნენ კვირიას საგალობელს, სუმრის მეთაური უცებ გაუძღვებოდა ბუკის /საყვირის/ დამკვრელთან ერთად მთელ სუმრას და ქვევით ჩადიოდნენ საყვირის კვრით მაულდის სოფელში. საყვირს ფალავანი უკრავდა და ქვედაურები ამით გებულობდნენ, თუ ვინ იყო მთავარი მოჭიდავე. როგორც ჩავიოდნენ მაულდის ყანაში, უცებ ეტაკებოდნენ თოვლის კომპს. ჟახუნდრის სუმრა ზევით ცდილობდა კომპის ნაქცევას და სასაშის სუმრა ქვევით მათი მხარისაკენ. რომელი მხარისაკენაც ნაიქცეოდა კომპი, იმ მხარის ხალხი იყო გამარჯვებული იმიტომ, რომ იმათ მხარეზე უკეთესი მოსავალი მოვაო.

დაიწყებოდა შემდეგ ჭიდაობა. ჭიდაობის შემდეგ მთელი სასაშის, მებეც-ლეკოსანდის და ჟახუნდრის სუმრა ყველა ზევით მოდიოდნენ ჟახუნდრის სუფში და აქ გრძელდებოდა მთავარი მურყვამობა /კომპობა/.

აქაც დაეტაკებოდნენ თოვლის კომპს ზედაურები და ქვედაურები ყველა, რომ ნაექციათ.

ამას მოყვებოდა დიდი ჭიდაობა. ამის შემდეგ სრულდებოდა ადრეკილა. მომღერლები დგებოდნენ ორ წყებად, სამი ან ოთხი მეტრის დაშორებით. ორივე წყებას ჰყავდა მეთაური, რომელსაც ჯოხი ეკავა ხელში და იწყებოდა ასე: ოოო, ადრეკილაი ნაგვივიდა და მოგვივიდა. შეგჩაი მისი, შეგჩაი მისიო.

ამით /ე.ი. ჯოხით/ გცემ თავებზე, თავებზე

„-----“ ბეჭებზე, ბეჭებზე

„-----“ მკერდზე, მკერდზე

„-----“ მუცლებზე, მუცლებზე

„-----“ თეძოებზე, თეძოებზე

„-----“ მუხლებზე, მუხლებზე

„-----“ ნვივებზე, ნვივებზე

„-----“ ფეხებზე, ფეხებზე

ასე ითქმეოდა ადრეკილას ლექსი, მაგრამ ჩამოთვლიდნენ ადამიანის ყველა ასოს, რაც კი აქვს. ერთი წყება რასაც იტყოდა, იმასვე იმეორებდა მეორეც. რომ ჩამოთვლიდნენ ადამი-

ანის ყველა ასოს, მაშინ ჩაერეოდნენ ერთმანეთში და რასაც კი წაართმევდნენ ერთი მეორეს, არ ზოგავდნენ. ერთმანეთს ართმევდნენ ქილებს /ჩოხის/, ქუდებს, კაცსაც, ხელახლა დაინყებდნენ სიმღერას ლექსით და ისევ ჩაერეოდნენ ერთმანეთს და აგრძელებდნენ ორჯერ-სამჯერ.

მერე იწყებოდა „მორილ-მიაქელა“. ეს სიმღერა ორი ან სამი სართულიანი ფერხულითაა. სიმღერას ფერხულით იწყებდა ქვედა სართული. სიმღერის დროს ასე ამბობდნენ:

I. „მორილ, მორილ მიაქელა, მორილ მიაქელა,

გვერდს აგიცდენთ, თავს მოგამტვრევთ
მორილ მიაქელა

II. შეგანჯღრევთ და თავს მოგამტვრევთ
მორილ მიაქელა.

I. გვერდს აგიცდენთ, ბეჭს მოგამტვრევთ
მორილ მიაქელა.

II. შეგანჯღრევთ და ბეჭს მოგტეხავთ
მორილ მიაქელა.

ასე თქმით ჩამოთვლიდნენ ადამიანის ყველა ასოს. ქვედა სართული რასაც იტყოდა, იმას იმეორებდა ზედა სართული და ჩამოყვებოდნენ /ჩამოთვლიდნენ/ ფეხებამდე ბინძურ სიტყვებსაც ურევდნენ ძალიან.

ამ სიმღერის შემდეგ იწყებოდა „მელია-ტელეფია“, ზოგი ტელეფიას იძახის.

მელია-ტელეფიათი მთავრდებოდა მურყვამობა /კოშკობა/. მელია-ტელეფიას ჯუხვ-ჯუხვსაც ვუნოდებდით.

ჯუხვ-ჯუხვის მთქმელს წინასწარ ვირჩევდით. ყველა არ კისრულობდა ამის შესრულებას. მით უმეტეს ვინც სერიოზული კაცი იქნებოდა. მივცემდით ნედლ წნელს ან გრძელ ქოკს /ქოლოკს/ და მელია-ტელეფიას შემსრულებული ხალხის წინ დადგებოდა, ეს ჯუხვ-ჯუხვის მთქმელი კაცი. უკან მისდევდნენ ხელჩაკიდებული, გადაბმულად ათ-ოც კაცამდე, ბევრჯერ მეტიც.

მეთაურს ჩამოკიდებული ჰქონდა ხის სარცხვინელი. ერთ ხელში სარცხვინელი ეკავა და მეორე ხელით წკნელს უქნევდა ქალებს უმეტესად და ვისაც იხელთებდა არავის ზოგავდა. წკნელს ვისაც მოახვედრებდა, თან მიაძახებდა „ჯუხვ-ჯუხვს“ და იქით-აქეთ მიდიოდნენ ქალები წივილ-კივილით. მეთაური იძახდა: „ჯუხვ-ჯუხვ“, ჯუხვ, ჯუხვ, მელია-ტელეფია. თხა მოს..... ნავია“.

ამაზე მეტი არ მახსოვს. ჯუხვ-ჯუხვის მთქმელი სუფიდან ყველას გამორეკავდა ქოლოკით და ამით მთავრდებოდა კოშკობა /მურყვამობა/.

ჯუხვ-ჯუხვის მთქმელად მე მახსოვს ხუციაანთ ატო ლობჯანიძე და ლეკოაანთ ვასილ ონიანი.

ამ დროს სუმრა არავის უშვებდა ნაუქცევლად, თუ არ დაიჩოქებდა. სუმრის მეთაურის ბრძანებაზე იყო მთელი სუმრა.

ისე, ჩვენ /ე.ი. ლაშხელებმა/ და ჩოლურლებმა წმინდა გიორგის კვირიას საგალობელი ვიცოდით. ამ დღეს სიმღერები /თამაშობები/ სხვაც ბევრი ვიცოდით, მაგრამ ესენი მთავარი იყო.

2. ლიმურყუამალ

ლიმურყუამალ ნაღ გუიხალდა ჟაჭუნდერს, სუფისა, ცაცხუ ჩუქუან ჯგერაგი გალუანსგან.

უტკუნ დოშდიშ, ძირანს დოსგ, ლეკოსანდ ჟიქან, ლაკურდელ გოლაფი, ყულად კურიია-ღერდა ლიღრალს. მი თუითან მეორალ ხუას. მამად მაიონე ალ ლიღრალ. ათხე მიშგუა სოფელი-სა მიშგუასერ დას ხაშყიდ ალე ლიღრალი მიგარ მდამდე დემ ყულე. ხუადდინ მა დავსწრებივარ ლიმურყუამალს.

ჟაჭუნდერს ძღედ ამბაუშუ გუიხალდა ლიბერგიელ ი სუმრობ. სუმრას მიჩა თხუმ ხეყედა ი მებერგიელს-მიჩა. სუმრა ჩის ათელაუდა, უმხენაიდას ცურა.

კურიია ლიღრალს ხალ ქალოქუნად, შიშდ ხუეძგროლდ მუსი მურყუამ ლაკაფად. იმთეფ ეჯი ედკაფოლ, ეჩხაუ ლოქ ხოჩა ზაფობ იროლ.

მეშლადეღ ქალეთიშ გუეყედა სგობნაუ ხოჩა მებერგიელ ი დოშდი ლადელ მანკუი ალ ლეთშარს ხუაბერგიელუნად ი ეჩანლო ჩის ხულუან უფლებ ლიბერგიელეში.

მურყუამი ლეკაფან ლიბერგიელლას, ეჩანლო „ადრეკილაღ ლიღრალ, ეჩანლო „მორილს“ ყულად, ეჩანლო „მელია ტელეფიას“, „იაუ ქალდი ბებუციას“, ჯგრაგი ლიღრალს, „ლოგუშედას“, მუშპრობს ხუიჩმედად ი ხუმრობი ხუად გუეზნან.

სასაშარს ლედავითს გუიგან უითინ ი ამეჩუ გუიხალდა ყუელიერი საფტინს ლიმბერ ზიგსემ. ამეჩუ ჟიხუიხურიელოდ ლუაჟარ გარ. ტაბლარსინაი ნაღ ხუამზერდად ი ღერბათს ხუეჯეროლდ ჯამთელობს ი ლეგლირდე ლიკაბუნეს. ეჩანლო იბნოლ ლიბერგიელ ი ნებობს ტუეხნოლდ აგი-აგიეთე.

1962 წლის დეკემბერი. სოფელი სასაში. მთხრობელი
79 წლის მალაქ როსტომის ძე ბერაძე.

მურყვამობა

მურყვამობა ჩვენ ვიცოდით ჟახუნდერში, სუფში, ცაცხვის ქვეშ, წმინდა გიორგის ეკლესიის გალავნის შიგნით.

შავ ორშაბათ დილას ადრე, სოფელ ლეკოსანდს ზემოთ, „კვირიას სალოცავ გორაზე“, ვიტყოდით კვირია ღმერთის საგალობელს. მე თვითონ მომღერალი ვიყავი, მამამ მასწავლა ეს საგალობელი. ახლა ჩემს სოფელში ჩემს გარდა არავის ახსოვს ეს და მარტო ვერ ვამბობ. ბევრჯერ არ დავსწრებივარ მურყვამობას.

ჟახუნდერში დიდი ამბით ვიცოდით ჭიდაობა და სუმრობა, სუმრას თავისი მეთაური ჰყავდა და მოჭიდავეთ - თავისი. სუმრა ყველას მოთელავდა, ნაუქცევლად არავის ტოვებდა.

კვირიას საგალობელს როგორც ვიტყოდით, უცებ ვეტაკებოდით თოვლის კოშკს წასაქცევად. საითაც იგი წაიქცეოდა, კარგი წელიწადი /მოსავლობა/ იქით იქნებოდა.

კვირას გამორჩეული გვყავდა წინასწარ კარგი მოჭიდავე და ორშაბათს პირველად ამ არჩეულებს ვაჭიდავებდით და მერე ყველას ჰქონდა უფლება ჭიდაობისა.

კოშკის ნაქცევის შემდეგ ჭიდაობა იყო, მერე „ადრეკილას“ სიმღერა, შემდეგ „მორილს“ /მიაქელას/ ვამბობდით, შემდეგ „მელია ტელეფიას“, „იავ ქალდი ბებუციას“, „წმინდა გიორგის სიმღერას“, „ლოგუშელას“ /შეგვენია/, ცეკვას ვმართავდით და ბევრი ხუმრობაც ვიცოდით.

სასაშლებს ლედავითში გვედგა ვითინი /პატარა სალოცავი/ და აქ ვიცოდით ყველიერის შაბათს ლოცვა „შავი ჭირის“ არიდებაზე. აქ ვიკრიბებოდით კაცები მარტო. ტაბლებს ჩვენ ვწირავდით ღმერთს და ვეხვეწებოდით ჯანმრთელობას და ავადმყოფობის თავიდან აცილებას. მერე ჭიდაობას ვიწყებდით და სალამოს სახლებში ვბრუნდებოდით.

3. ლიმურყუამალ

ლიმურყუამალს თუებში ხუმარაღდად. ამმა მონაწილე ძირითადად ლასხ ლექუა ლაშხი სოფლარ. ეშხუელასხ სასაში მებც-ლეკოსანდ, მერმათე ჟაჟუნდერ-ლემზაგორი ჩუკულ. ლექუა ლაშხი სოფლარ ლასეფრდ ჰედნოლხ. ლიმურყუამალ უკუნ დოშდიშ გუებზან. ნად სასაშარ სგობნაუ ხუითშედად ხოჩა მებერგიელს ი მესკნალს, ხუაკუილუნად, დარ ხოშა ბეგი ფალაუნდ იროლ. გუშგუე თაუარ მებერგიელ ი მესკნალ ხაკუერ ჟაჟუ-

ნდერალდ მო ხახლანს სგობნაუ.

ყუელიერი მეშლადედ მაულდს ჩუხუაგმედად უითინმეყ მუსი მურყუამს ი უტკუნ დომდი ძინარს ალიონჟი მებეციმ ი ლეკოსანდი მეკურდელა ჟიღერდახ მცხეთაში ლაკურიელ გოლაფ ვეცხთეჟი. ჯიუნელ ნასე ყდართეჟი ი ამეჩუ ყელახ კურიას სუმინ. ამხენჩუ აღდარ ჩუ ტეხნოლს მაულდთე. ამ ჩიქს სასაშარ ლეჟა მეფდე ხუასდ, სგა ხუენზოროლდ მებეცლეკოსანდი მეკურდელას ი ჩუხუეხოლდ ჟაჯუნდერი მეკურდელ სუმრას. ჟაჯუნდერალს სგობინ ხოჟლუდან ფალაუნდ ი სანყურს აშმელდა ი შიდ ხოყდანაგხ წერნი ბაღრალ; სგა ჯედნოლხ მაულდი მინდორთეფსა. ამეჩუ იბნოლ ლიბერგიელ ი ლისკნალ, ძლედ ჯიბრლას. ხუადინ ლაბერგიელჟი ლიბურიელუნ ღერდა გუემ. ღოშგინჰილს ლეჟეჟაუიანუ ი ლეჟაუიანუ სგა ხეშედნოლხ მუსი მურყუამს, დარი მოშ ადკაფნა მიჩა მხარეთე ეჯნარ ერე იმთეფ ედკაფოლ, ერხაუ ხორა ზაფა მაჯედ-ხილობ, მაკუცორა ლოქ იროლ.

მურყუამ ლეკაფამ მაგლეჟა ღურდად ჟაჯუნდერი ჯგრაგი სუფთე, ხოშა ცაცხუ ჩუქუან ი ამეჩუ იმერთაუოლ ხოშა ლიმურყუამალ ლეჟაშალ სასაშიში ჟაჯუნდერი ფალაუნდარ დარქედა აშმედახ სანყურალს ი ნაფ აჯახ თუეთუნე ბაღრალ გუიყდანან. ლეჟა ღურდად ამჟი სუფიეფსა. ამეჩუ მანკუი კურიას ტულდად ი ერანლო იგნოლ ბეგი ლიბერგიელ ი ლისკნალ.

უჩუნლ სგახუელეჟეღეჟოლდ მუსი მურყუამს ლაკაფად გუშგუე-გუშგუეთე.

ეჩუნლო იგნოლ ხუადნაირი შუმ: ყელახ „ადრეკილაფს“. დერუ ბუნდ იგნოლხ მოქშხაშა ი ძლედ ბინძურ სიტყუელს ხონჩედახ. შელდ მი მა მამ ყიდ ეჯნარ, ერე მა ხუას მეღრალ. „ადრეკილაფს“ ხექმენოლ „მელია-ტელეფია“ ლიღრალ. აურებელ მარე ეშხუარე ღოშგინ ლაგნუემ ი ლაგუდურუმ იქანჭუოლს. სგობინ ხოჟლუდახ ამნარ ლეთიმ ხუმრიან მარე. აღეს ტოტისა კუედელ ხოყდანან ი ჩუ ხორაკ მეგმი დიე ლუმუოდ. ლაქუნზუნუმ, კუედელი ლაქიოლაღუმუ იზელალდა; მიჩა მუგდურაი ეჯჟი იჩმედხ, იმჟუანი მინე მუთხმი. აღ მუთხუმის ჯუხუ-ჯუხუი მექუისს ხუაყლად. ეჯი მიჩა მენხრეას ხასხუპუდა ჯუედელს ი იშგენსი დას აზარა ამშა ლეყერდ. ტულდას „მელია ტელეფია, ჯუხუ-ჯუხუ“.

ეჩანლო იბნოლ „მორილ-მიაქელა“ აღე სემი, დეს უოშთხუ ფა ჭიშხაშ ლას ი დრუ ი ხუა დდინ სემი სართულიან ლას. შელდ მა მაშყიდ. ამეჩუ მაგ ნუკუი ლიღრალ იყუოლ აჯალ ი ჩუ ლას შუმპრობ.

მი უოხუშდინ ხუას მებერგიელ ფალაუნდ სასაშხენ. აღ ლადელ ძლედ სე დრობ გუადა. ათხე ერ თეატრნარმოდგენელ ლიხ, ერქან ნაფ ამშა მექაფ ლიმურყუამალ-ლიკურიელ ი ლიბერო-

ლალ გუჩხალდა.

1964 წლის ივნისი, სოფ. სასაში.
მთხრობელი მელიტონ ზუაბის ძე ონიანი, 75 წლის.

მურყვამობა

მურყვამობას თვეობით ვემზადებოდით /ვამზადებდით/. ამის მონაწილე ძირითადად იყვნენ ქვედა ლაშხეთის სოფლები. ერთ მხარეზე იყვნენ სასაში და მებეც-ლეკოსანდი, მეორე მხარეზე ჟახუნდერ-ლემბაგორი და ჩუკული. ზედა ლაშხეთის სოფლები სეირის საყურებლად მოდიოდნენ. მურყვამობა ვიცოდით შავ ორშაბათს. ჩვენ, სასაშელები, წინასწარ შევარჩევდით კარგ მოჭიდავეს და მხტომელს. გამოვცდიდით ვინ უფრო მაგარი ფალავანი იქნებოდა. ჩვენი მთავარი მოჭიდავე და მხტომელი ჟახუნდერისათვის წინასწარ არ უნდა ყოფილიყო ცნობილი.

ყველიერის კვირას მაულდში დავდგამდით, ვითინთან, თოვლის კოშკს და შავ ორშაბათს, დილას ალიონზე, მებეცის და ლეკოსანდის კვირიას მომღერალნი ავიდოდნენ მცხეთაშის „ლაკურიელ გოლაიზე“. ძველ ნასაყდრალზე და აქ ამბობდნენ კვირიას სამჯერ. აქედან ესენი დაბრუნდებოდნენ მაულდში. ამ დროს ამოსული ვიყავით სასაშელები.

ვუერთდებოდით მებეც-ლეკოსანდის კვირიას დღეობის მონაწილე სუმრას. ჟახუნდერელებს წინ მიუძღოდათ ფალავანი და საყვირს უკრავდა და ხელში ეკავათ წითელი ბაირალები; შემოვიდოდნენ მაულდის მინდორში, აქ იწყებოდა ჭიდაობა და ხტომა, დიდი შეჯიბრი იყო. ბევრჯერ ჭიდაობის დროს განევგამონვევამდე მიდიოდა საქმე. ბოლოს ზედაურები და ქვედაურები /ზემოურები და ქვემოურები/ მიცვივდებოდნენ თოვლის კოშკს, ვინც ნააქცევდა თავის მხარეზე იმიტომ, რომ საითაც წაიქცევოდა, იქით წლის კარგი ხმოსავალი-ხილი, ხორბლეული იქნებოდა.

კოშკის /მურყვამის/ ნაქცევის შემდეგ ყველა ავიდოდით ჟახუნდრის წმინდა გიორგის სუფში, ცაცხვ ქვეშ და აქ იმართებოდა მთავარი მურყვამობა. ზევითობას სასაშის და ჟახუნდრის ფალავანები ორივე უკრავდნენ საყვირებს და ამის გარდა, ჩვენ თეთრი ბაირალი გვქონდა /გვეკავა/ ზევით შევიდოდით სუფში. აქ პირველად კვირიას საგალობელს ვიტყოდით, შემდეგ იწყებოდა ჭიდაობა და ხტომა მაგრად /ძალუმად/.

შემდეგ მივსეოდით თოვლის კოშკს ნასაქცევად ჩვენს-ჩვე-

ნს მხარეზე.

შემდეგ იწყებოდა ბევრნაირი რამ: ამბობდნენ „ადრეკი-ლას“ სიმღერას. ორ წყებად დგებოდნენ მეფერხულენი და ბევრ ბინძურ სიტყვებს ურევდნენ. ლექსი არ მახსოვს, რადგან არ ვიყავი მომღერალი. „ადრეკილას“ მოჰყვებოდა „მელია ტელეფიას“ სიმღერა. აუარებელი კაცი ერთმანეთის უკან დგომით გადაბმულნი, ხელჩაკიდებული იყვნენ. წინ უძლოდათ ამისთვის არჩეული ხუმარა კაცი. ამას ხელში წკნელი ეკავა და ჩამოკიდებული ჰქონდა სარცხვინელი მამაკაცისა /დედის მოცემული მთხრობელის სიტყვით/. ქაქუნით და წკნელის ქნევით დადიოდა იგი და მისი მხლებელნიც ისე აკეთებდნენ, როგორც მათი მეთაური. ამ მეთაურს „ჭუხვ-ჭუხვის“ მთქმელს ვეძახდით. იგი თავის მხლებლებს გადაჰკრავდა წკნელს და არც სხვას ზოვდა. ამბობდნენ: „მელია ტელეფია, ჭუხვ-ჭუხვ...“.

შემდეგ იწყებოდა „მორილ მიაქელა“, ეს სამი, ხან ოთხი წყება ფერხული იყო. ორი, ბევრჯერ სამ სართულიანიც იყო. ლექსი არ მახსოვს. აქ ბევრნაირი სიმღერა ითქმებოდა და იყო ცეკვაც. მე ხუთჯერ ვიყავი ფალავანი სასაშიდან. ამ დღეს დიდი სერიი გვქონდა. ახლა რომ თეატრ-წარმოდგენებია, მანამდე /ძველად/ ამათ მაგივრად ვიცოდით კოშკობა /მურყვამობა/ - კვირილობა და ბერიკობა.

... დოში ძინარს ყუელაფერენლო უტკუნ დოშდიშ ხაფშხა. ეჯლადეღ იბნი ლინჩალ. ეჩ ლადეღ ლაშხს ხახალს ლიმურყუამალ. ძღედ განგალ უქმ ლადეღ ლი ლაშხისა ლიმურყუამალ.

ეჯ ლადეღ ფედურდ ჯეუ ჩუ ინზორი ჟაჯუნდერი სუფისა. ბობშ, ზერალ, ლუაჟმარე მელაშხ ძუირდ ერ ესკუედნი ლიმურყუამალს. მანკუი ლეჟა ლაშხარ ანხდენინ მაუნდიე /მაუნდ სოფელ ლი/. ეჩეჩუ ენბინი ლიბერგიელ. ლიკუფალუნან ძღედ ლი ლიმურყუამალ ლადეღ ლეჟას ი ლექუა ლაშხარეშ. მანკუი მაუნდს ესბინი ლიბერგიელ, ჟანე ლაშხხენ ნახდუარ ადშემნის სანყურს, ჟანყენეხ ძღედ მუსი მურყუამს. ეჩეჩუ ესციხეც ბაფრახს ი უჩუნლო ჟენბინი ლიბერგიელ/კესრობ. ეშხუ კესარ ჟანისა ხეყენის ლეთიმ მაჩენე მებერგიელ, ფედ ხოფშირა ლეჟა ლაშხარს ამჟი ჩუანუდ ხეყენის ლეთიმ კესარ მებერგიელ ლექუა ლაშხარს ი ჟენბინი ლიბერგიელ.

ხედიე ჩუენდი კესარს ჩუამეშ ირფა ჟანეშ, ეჩხაუ ადკაფენეხ მურყუამს. ბაფრახს გამურჯობილ კესარს ხაბშეხ შიარისა, ქა ლახ ქიმ ერის მიჩა სუმრა ი ადინეხ მაუნდხენ ლეჟა ჟაჯუნდერი სუფთე. ეჩეჩუენბინი მაშენე ლიბერგიელ. იმთეი იკაფოლნი კესარ, ეჩხაუ აკაფნის მურყუამსიქა. მურყუამ იმთეი იკაფი ხოჩა ზაფობ ლოქლი ეჩხაუ ნალად ეჯ ზაფსა. ფეს ლეჟა მელაშხ აკა-

ფე ლექუაშის დეს ლექუა მელაშხ აკაფე ლეჟაშხ. ამ ხომა ხუ-
ადდინ ლექუაჟიშარ ლემრიღუნის ლეჟაჟიშარს ლამურყუამალ-
ჟი. ურბა ხანს მესხაშ დეჯაშთან გოჩმა მებერგიელ მალემარდ
ლაშხა ლამურყუამალისა, ეჯი ხასრინა ჩის ლაბერგიელისა.

ლიბერგიელ ეჯემ ქედგათუოლ, ეჩენლო იჩოხ ხოჩა ლუაჟარ
ლელაშხუ ნესარს. ნესარ უობა შუმიმ ლიხ ჩულეჩომ ლიმურყუა-
მალ ლადედ ამშელდ: 1. ადრეკილაად, 2. მელია ტელეფიაად, 3. კუ-
ირია /ლეჟაუ უშკუი ლაშმუშ/. 4. ჭიშხაშ. 5. იაუ ქალთი-ბებუცია,
6. ლიდრალ ი ლიბრიალ, 7. მორილ, 8. რერაშა.

1. ადრეკილაად ლი ალე: მეჭხაშიერ ესგენის დემდ შარე, არა ეშ-
ხუხენ ი არა მერმახენ ჩიქ ეშხუ წყება ლექუნენ ამჟი“ადრეკი-
ლაად ოგჩიდა ი ოგხიდა, ალე ქართულ ლექუისს ლექუნენ მერმე
წყება არა მარე ლულჩხუმედ: „ა ისგუემთან ლუაჟარს თხუმუარ-
ქა ჟელი კოლილს ხოცუენიდი ხოცუენიდ“ თქუენისთანა კაცებს
თაუზე ძაღლის სკორე ასხია ი ასხია...

სერ ალეს ესჭემნის ნიქქას, აყბას, ფათუარს, ბარჯალს, გუს ი
ჩის მარემი ასუს ქენშელდნის რიალუშ. ალე ლი ლელაშხუ ად-
რეკილაად.

2. ათხე მერმე „მელიაად ტელეფიაად“. ეშხუ მარას ჩუათკედხ შარე-
ალს ი არშულს თელდ, ჯუემ-ყურნა ქა ხონუა. ეჯ მარას ლოშგინ
მერმე მარე ლეხგუდრი, ეჯის აჯახ მესმე ლოშგინხენ, ეჯისუდ მე-
უშთხუე, ლო მოუხუშდე; ლო მეუსგუე ი უოშად ირის ეჩშელდ, დედ
ხოფშირა დედ ხომერხელდა. ლოშგმეშარ სგობნე არშლურ მა-
რას, ჯუემ-ყურნა ერ ხონუა, ეჯის ხოქბუნენ ლოშგინისა ი ყელეხ:
მელია ტელეფია, ოჰ, ჯუემ-ყურნა ეჯ სგობნე მარას ხეკუეს ტო-
ტისა ხოყდანენდეს ტოტისა კუედელ ხულუა ი ერ ლოხქუზნის,
ეჩქა ლახსხუეპნე ლოშგმეშარს, მექზუნალას ეჯ კუედელს.

3. ათხე მესმე კუირია ლერთა ლიდრალ ლი. დესამა სასოფლო
ლიმზერ იჩმინი ეჯში, ერე მანკუი კუირია მოლექუეხ. კუირია ლა-
ქუისჟი უშკუს მაგ ლეჟა იჩო ი ეჯჟი ყელეხ კუირიადს. ალე ძლედ
ლიფერალ ლიდრალ ლი ლერთაშ. ეჩა ლაქუისჟი მაგ უსტარუნს
ირენი ი ფაყუარ ჩულეკიდ ხარხ ჩის. ალე ჯუინელ მარელს გარ
ხაშყიდხ, ოდო ათხე მარელ უშგენ ლიბრიალს ჩის ქა ყელეხ,
მარა კუირიადს დემ ყელეხ ჯუინელ მარელ ცუირხ ათხე კუირია
მექუისალა დედურდ ლაშხისა უოშთხუ უოხუშდ მარე, სერ მადე.
ალდარ ლიხ: ბანი მექუისდ სასაშხენ გოგიშა თაფუ ი როსტომად
ბერაძე ი ლეჟა ლაშხხენ ჯაბუ ყოფოშა, სასო ლეკოშა, ნასო ბაპ-
შა ი უონი უონიანშა. ალდარს გარ ხაშყიდხ კუირია, ამ ჩოლურს
ჩუ ხოხალხ კუირია...

4. ჭიშხაშვი ჩი ნუკუო ლიღრალს ყელეხ: ამირანი ამბაუს, ყურ-შაის დიდებ-დიდებ თარიგძელარს, უოლილე ი სანადიროს მი-ვიდოდი ი აჯალი იშგენს ამკალიბარს...

5. იაუ-ქალთი ბებუცია.

6. ლიღრალ, ლიბრიალს ხუაი ნუკუიშს მუშპარს იჩოხ ღვაჟარ ი ზურლელ.

7. მორილ ხადშხა ეჯის, ერე ჭიშხეხ უსგუა მარე, გიმჟი ხოგხ ჭიშხარ მაღ საკურელ ლი. ეჯარე ბარჯალთეჟი ჟიფუდ ღერის აჯალუდ უსგუა მარე ი ჭიშხეხ ამჟი: „მორილ მიაქელა, ჟი ეჯასი-პემელ“. სერ ჩუბოიშარ ლექუნენ ათხე.

ათხე ჟიბოუიშარ ლექუნენ: „ჟი ეჯაჯიკუნედ“, სერ ჩუბოუიშარ: „მორილ მიაქელა, ჩუ ეჯსაქადნედ, ფოეს ეთგიბედ“, სერ ჟიბე-შარ: „ჟეჯაჯიკუნედ, ბარჯალს აჯატყიცენედ“, ათხე ჩუბოუიშარ: „მორილ მიაქელა, თანაფ შიდობდ ოგუაიენა, ხონკუი დომდიშ, ყულდერიშ როგუშდენ“. ეჯ ლადელ ბეროლს ლემსყენხ ლამ-ხარ; თხუმჟი ხანცოლნახ მარას ცხიკოლილს, ჩუბაუ ხუემ-ყურ-ნას მეგმიშს ხასყენნახ ძლედს ი შისა მეგმი დაშნაის ხაუდინახ ი ისკნალდა ეზუარისა, ლასკნალჟი ტულნი ჰოპუპუ, ჰოპუპუ. დაშნაჲს ჯუემჟი ლემშერინ. დაშნაჲ ლელაჲ ლემარ შიხუშ.

ბეროლ ჰოპუპუ ერ ქეხქემნოლ ლაშხს, მეზგაჟი ლეუდი ხა-რახ ეჩა მენჯრალაშდ საციქუ. აედ ლეგრალ, უსკუარ ი აედ თაშ. აედ ლექმარე.

ჟი ერ ენხურდელოლ უობაშ კეთილ, თელდ ლაშხისა ნაზორ. ჩუესსგუროლხ ეშხუდ ბეროლ ი მიჩა მენჯრალა ი იჩმინახ ხი-ნობს.

ტექსტი ამოღებულია არსენ ონიანის წიგნიდან „ლუმნუ ამბუარ ლელაშხუ შემი ნინშუ“, გვ. 20-23, 1917 წ. პეტროგრადი

ორშაბათ დილას, ყველიერის შემდეგ, შავი ორშაბათი ჰქვია. იმ დღეს იწყება დიდმარხვა. იმ დღეს ლაშხეთში იციან მურყვა-მობა. ლაშხეთში მურყვამობა დიდი უქმე დღეა.

იმ დღეს მთელი ხევი იკრიბება ჟახუნდრის სუფში; ბავშვი, ქალი, კაცი, ლაშხელი ძვირად თუ ვინმე დააკლდება მურყვამო-ბას. პირველად ზემო ლაშხელები ჩამოვლენ ჟახუნდრის სუფ-ში. იქედან ჩამოვლენ მაუნდში /მაუნდი სოფელია/ იქ დაიწყე-ბა ჭიდაობა. შეჯიბრი იყო დიდი, ზემო და ქვემო ლაშხელებს შორის, ამ დღეს. უწინ მაუნდში დაიწყება ჭიდაობა. ზემო ლაშ-ხეთიდან მოსულები დაუკრავენ საყვირს. გააკეთებენ თოვლის დიდ კომკს. იქ დაარჭობენ ბაირალს /დროშას/ და შემდეგ დაი-წყება ჭიდაობა-კეისრობა. ერთი კეისარი ზემოდან ეყოლებათ

არჩეული მოჭიდავედ, ან უფრო მრავალიც ჰყავთ ხანდახან ზემო ლაშხელებს. ასევე ქვევით ეყოლებათ არჩეული კეისარი-მოჭიდავე ქვემო ლაშხელებს და დაიწყება ჭიდაობა.

რომელ კეისარსაც ნააქცევინ, ზემოური იქნება თუ ქვემოური, იმ ნაქცეულის მხარეზე ააქცევინ მურყვამს /კოშკს/. ბაირახს გამარჯვებულ კეისარს აძლევენ ხელში, იმას გაყვება მისი სუმრა და მაუნდიდან ზევით ავლენ ჟახუნდრის სუფში. იქ დაიწყება მთავარი ჭიდაობა. საითაც ნაიქცევა კეისარი, იქით ნააქცევინ მურყვამსაც. საითაც მურყვამი ნაიქცევა კარგი მოსავალი იმ მხარეში იქნებაო. ხან ზემო ლაშხელი ნააქცევს ქვემო ლაშხელს, ხან ქვემო ლაშხელი ნააქცევს ზემო ლაშხელს. ისე, უმეტესად, მურყვამობის დღესასწაულზე ქვემო ლაშხელები ერეოდნენ ზემო ლაშხელებს. დიდი ხნის განმავლობაში გოჩაანთ ივეჯასთანა მოჭიდავე არ ყოფილა ლაშხეთის მურყვამობის დროს. ის ერეოდა თურმე ჭიდაობაში ყველას.

ჭიდაობა როგორც კი დამთავრდებოდა, შემდეგ კარგი ვაჟკაცები ასრულებდნენ ლაშხურ წესებს. წესები ბევრნაირია. წესებია შესასრულებელი მურყვამობის დროს ამდენი: 1. ადრეკილა, 2. მელია ტელეფია, 3. კვირია /აღმოსავლეთით პირშებრუნებულად/, 4. ფერხული, 5. იავ-ქალთი ბებუცია, 6. თამაში და სიმღერა, 7. მორილი, 8. რერაშა.

1. ადრეკილა არის ეს: მეფერხულებივით დადგებიან ათი კაცი, რვა ერთ მხარეზე და რვა მეორეზე. ჯერ ერთი წყება იტყვის ასე „ადრეკილა ნაგვივიდა და მოგვივიდა“. ამ სათქმელს ქართულად იტყვის მეორე წყება /ე.ი. ლეჩხუმურად/; „ა თქვენისთანა ვაჟებს თავზე ძაღლის სკორეს ნავუსვამთ და ნავუსვამთ“ ამას ქართულად ასე ამბობენ: „თქვენისთანა კაცებს თავზე ძაღლის სკორე ასხია და ასხია...“. შემდეგ ასე გაჰყვებიან წარბს, ყბას, თმებს, ბეჭებს, გულს და ადამიანის ყველა ასოს მოიხსენიებენ ლანძღვით. ეს არის ლაშხური ადრეკილა.

2. ახლა მეორე - “მელია ტელეფია. ერთ კაცს ჩახდიან შარვალს და ნიფხავს მთლად. სარცხვინელი უჩანს. იმ კაცს უკან მეორე კაცი მოკიდებს ხელს, იმას მესამე უკნიდან, იმას მეოთხე, მერე მეხუთე, შემდეგ მეექვსე და რამდენიც იქნებიან იმდენი, ან მეტი, ან ნაკლები, უკანანი წინა უნიფხვო კახს, სარცხვინელი რომელსაც უჩანს, უქაქუნებე უკნიდან და ამბობენ: მელია ტელეფია, იოჰ, იოჰ: სარცხვინელი წინა კაცს ხელში უნდა ეკავოს. ერთ ხელში წნელი აქვს და როცა უქაქუნებენ, მაშინ მოარტყამს წკნელს უკანა მოქაქუნე კაცებს.

3. ახლა მესამე - კვირია ღმერთის საგალობელი სიმღერა. არცერთი სასოფლო ღოცვა არ ასრულებდა ისე, თუ უწინ კვირიას საგალობელი არ თქვას. კვირიას საგალობლის თქმის დროს

პირი ყველას აღმოსავლეთისაკენ აქვთ მიბრუნებული. ეს დიდი სავედრებელია ღმერთის. მისი შესრულების დროს ყველა პირჯვარს იწერს. ქუდებს იღებენ. ეს ძველ კაცებს მარტო ახსოვთ, თორემ ახლანდელი კაცები ყველა სიმღერას იტყვიან, მაგრამ კვირიას საგალობელს - ვერა. ძველი კაცები /ე.ი. მოხუცები დარჩენილი არიან მთელ ლაშხეთში, რომელმაც კვირიას საგალობელი იციან, ოთხი-ხუთი, მეტი არა. ესენი არიან: ბანის მთქმელი სასაშიდან გოგიაანთ თაფუ და როსტომა ბერაძე და ზემო ლაშხეთიდან ჯაბუ ყაფოაანთი, სასო ლეკოაანთი. ნასო მღვდელაანთი /ბაპ-მღვდელი/ და ვონი ონიანთი. ამათ მარტო ახსოვთ კვირიას სიმღერა, ისე ჩოლურში კი იციან კვირიას სიმღერა.

4. ფერხულით ყოველნაირ სიმღერას ასრულებენ: „ამირანის ამბავს“, „ყურშას“, „დიდება, დიდება მთავარანგელოზს“, „ო, ლილე“, „სანადიროს მივიდოდის“ და სხვებს ასეთებს...

5. იავ ქალთი ბებუცია.

6. თამაში, სიმღერა, ბევრნაირი ცეკვა სრულდებოდა კაცებისა და ქალების მიერ.

7. მორილი ჰქვია იმას, რომ ფერხულს ასრულებს ექვსი კაცი, მიწაზე უდგას ფეხები, რასაკვირველია. იმათ ბეჭებზე ადის კიდევ ექვსი კაცი და ფერხისობენ ასე: „მორილ მიაქელა, შეგაბრუნებთ“. შემდეგ ქვედა წყება იტყვის ახლა. ახლა ზედა წყება იტყვის: „შეგანჯღრევთ“. შემდეგ ქვედა წყება: „მორილ მიაქელა, აღდგომა მშვიდობით მოგვსწრებოდეს, უწინდელი, ყველიერის ორშაბათი დაგვაზინყდა“. იმ დღეს ბეროს გააკეთებდნენ /გამოაწყობდნენ/ ლაშხელები; თავზე წამოაცობდნენ /წამოახურავდნენ/ პატარა გოდორს. ქვევით გაუკეთებდნენ მამაკაცის სარცხვინელ ასოს ხისას /ჩამოკიდებდნენ/ და ხელში მისცემდნენ ხის დაშნას და დახტოდა ეზოებში. ჩალა და ძონძები ჰქონდა თავზე და ტანზე მოხვეული, ხტუნაობის დროს იძახდა „ჰოპუპუ, ჰოპუპუ“. დაშნას სარცხვინელ ასოზე ილესავდა თურმე. დაშნა შეღებილი ყოფილა ნახშირით.

ბერო ჰოპუპუ რომ ჩამოივლიდა მთელ ლაშხეთს, მოსახლეს ყველას მისაცემი ჰქონდა მისთვის და მის მხლებლებისთვის საჩუქრად ან კვერცხები, ვაშლები და ყველი, ან სულგუნი.

რომ შეგროვდებოდა ბევრი ქონება, მთელ ლაშხეთში მოკრებული, დასხდებოდნენ ბერო და მისი მხლებლები და გადაიხდიდნენ ლხინს.

5. ლიმურყუამალ

ლიმურყუამალ უტკუნ დოშდიშ გუეზნან, ეშხუთე მებეც-ლე-კოსანდ ი სასაშ ხუასდ ი მერთამე ჟაჰუნდერ ლემზაგორ ი ჩუკულ.

ჟაჰუნდერხენ სუმრა თხუმდ მაშყიდ ბეტოლუშა დევლეთ კოჭბიან, ხედისი სანყური ხოჩამდ ლიშმე ხოხალდა. ლექუა მეჭდან გუშგვეთე ჟაჰუნდერი სუმრა მინეშთე ნალად მურყუამი ლიკაფეს ცხილად ხოჩა ზაფობი დამნარა.

კურიიას ყულად ნაფი მეტცარ ძინარს დოსგ ლაკურდელ გოლაფჟი, ამ ჩიქს ჟაჰუნდერალ ცაცხუ ჩუქუან ყელახ ალ ლილრალს უ ეშხუართე ქა გუესმოლ. ხუემქარალდად ეშხუარ ხედიე მოშ ოხჩიშად მანკუი კურიია ლიქუისს. ალესი ნიშუნელობ ხალუენა ლოქ ზაფობაშდ. დარი ოხჩიშა, ეჯიართე ხოჩულ ზაფობ ლოქ იროლ.

აშუნლო იბნოლ სუმრობ: მერმე მერმე ამბუარ, მუსი მურყუამი ლიკაფე, ლიბერგიელ, ლისკნალ, ლილრალარ ი ცეკვა-თამაშ.

კურიიანქა გუიხალდა ლილრალარ: მელია ტელეფია, ადრეკილაფ, მორილ მიაქელა, ლილე. ლოგუშედა, მაგ მა მაშყიდ.

მელია ტელეფია ლაღრალუშ იქუოლ უშხუარე ღოშგინ ლაგნუშ, ლაგდურუშ ი ლაზუშ. მელია ტელეფიას საინტერესო შელდ ხულუან. მი ხოჩამდ მა მაშყიდ, მა ხუას მეღრალ. დერხი ამჟი ლას:

მელია ტელეფია უო
დაწლა ლაჩოშელია ყო
ელია და მელია უო
ჩიტიც მოგუინუელია უო
კათხა ჩაგუინკეპნია უო

იშგენ მა მაშდიყ. აშ ღოშგინპილია სიტყუელ იაუ ქალდისი ხეჩდა, მარა მა მიხალ იმნარიღენ ლიხ ლენჩედალე.

სუმრა თხუმს დარი დომ ოსჩოქუინა ი ქა დომ ხექუნა „ჩუუალ ფიმრელხიშდ“, ეჯის ქა აქურსინახ. დარი ალ ლადედ ნაგურანალ, ნაქურსინალ მოდ იროლ, ეჯის ხოლა ზაფ ლოქ ჯოხდენი ი მარემი ნაფშირემიშდი ხოლა ლოქლი. ალ ლადედ მახმარს დემ ხენდენოლ მარე. ლეკოსანდარ კურიიას ლაჩქოუშ ყულად ი ამ ლადედ ალ ლილრალ ე მოდ ედიქუოლ ეაჟი დემლა ლოქ ხაყენა ი სგობნაუ ხემარალდახ გუამიდ ალ ლადლიშდ.

1964 წლის 4 ოქტომბერი. სოფელი ლეკოსანდი.
მთხრობელი 65 წლის ბიქტორ ფიდოს ძე ონიანი.

მურყვამობა

მურყვამობა შავ ორშაბათს ვიცოდით. ერთ მხარეზე ვიყავით მებეც-ლეკოსანდი და სასაში, მეორე მხარეზე - ჟახუნდერ-ლემზაგორი და ჩუკული.

ჟახუნდრიდან სუმრის მეთაურად მახსოვს დევლეთ კოჭბიანი ბეტოანთი, რომელმაც საყვირის კარგი დაკვრა იცოდა.

ქვევით ჩამოსვლისთანავე ჩვენთან ჟახუნდრის სუმრა მათ მხარეზე მურყვამის ნაქცევას ცდილობდნენ კარგი მოსავლიანობის გულისთვის.

კვირიას საგალობელს ვამბობდით ჩვენ და მებეცელები „კვირიას გორაზე“ /კვირიას სახელზე სამღერალ ადგილას/, ამ დროს ჟახუნდრის ცაცხვის ქვეშაც ამბობდნენ ამ საგალობელს და ერთმანეთს ვეწიბრებოდით, ვინ უნინ დავასწრებდით კვირიას საგალობლის თქმას. ამასაც მნიშვნელობა ჰქონდაო მოსავლისათვის, ვინც მოუსწრებდა /ე.ი.სოფელი/ იმათ მხარეზე კარგი მოსავალი იქნებოდა.

ამის შემდეგ იწყებოდა სუმრობა, სხვადასხვა ამბები, თოვლის მურყვამის ნაქცევა, ჭიდაობა, ხტომა, სიმღერა და ცეკვა-თამაში. კვირიას სიმღერის გარდა ვიცოდით „მელია-ტელეფია“, „ადრეკილა“, „მორილ მიაქელა“, „ლილე“, „ლოგუშედა“, ყველა არ მახსოვს.

მელია ტელეფია სიმღერით ითქმებოდა, ერთმანეთის უკან დგომით, ხელჩაკიდებული სვლით. მელია ტელეფიას საინტერესო სათვალავი /ე.ი. ლექსი/ ჰქონია. მე კარგად არ მახსოვს, არ ვიყავი მომღერალი.ზოგი ასე იყო:

„მელია ტელეფია ვო
 თხის მოსატ...ია ვო
 ჩიტიც მოგვინველია ვო
 კათხა ჩაგვინვეპნია ვო...“

დანარჩენი არ მახსოვს. ისე ბოლო სიტყვები „იავ-ქალდი-საც“ ურევია, მაგრამ არ ვიცი რატომ არიან შერეული.

სუმრის თავს /მეთაურს/ ვინც არ დაუჩოქებდა და არ ეტყოდა „გამრავლებულიყავით“, იმას გათელავდნენ. ამ დღეს ვინც ნაგორავები და განათელი არ იქნებოდა, იმას ცუდი მოსავალი მოუვო და ადამიანის გამრავლებისთვის არ არისო კარგი. ამ დღეს ფხიზელს ვერ ნახავდი კაცს. ლეკოსანდელები კვირიას სიმღერას დაჩოქილი ვამბობდით და ამ დღეს თუ ეს სიმღერა არ შესრულდებოდა, ისე არაფრით არ შეიძლებოდა და წინასწარ ძალიან ემზადებოდნენ ამ დღისათვის.

6. ლიმურყუამალ-ლიკურდელ

ყულიერი ალაბ ლადედ, მეშლადედ, ჩუ ხუაგმედად მუსი მურყუამს ი სგა ხონხედად ჟაჭუერი ტყენს. მერმა მეგმიშს დემ ირმედხ ხოშედ.

მეშლადედ ძინარს, დოსგ, ჟიღერდახ მუჩფა საყდართე მეკურდელა ი მინე მენწრა ახალგაზდელ. კურიას ტულდახ მუჩფა საყდრი გირგიმურგუალდ ლაცხპუშ, ეშხუარეშ ლოშგინ ლაზუშ. სუმინ ერ ჟეხცხეპნოლხ, ეჩანლო ჩუხეგნოლხ გუშგუე კალთე. ამეჩუ ლეგან მუსი მურყუამ ამაუ ლიწდალდ მუჩფა დეზუისა მეკურდელას ი მინე მენწრას სგა ხეხოლხ თელდ სოფლი სუმრა. თელდ ხოჩამდ ლურუე მა ლას ი სგა ხეფურთინოლხ მაგ უშხუარდარი მოშ ეხწინოლ ეშხუარ, ეჩეჟილას გუეშ. ამჟი წედნოლხ მურყუამნუნ. ამეჩუ კურიას უდ ყელახ. ადრეკილაძს, ალედერუ ბუნ ლიღრალ ლას. უჩანლო ყედახ მეღია ტელეფიას ი ძღედ ბინძურ სიტყუელ ხეჩედა. ლექს მა მაშყიდ აშ ძღედ ლიცულას ამშა ლაჩომჟი. მეღია ტელეფიადჟი ლაჭკორუშ იგნოლხ ეშხუარე ლოშგინ ლაგნუშ ესღრედახი ედჟი იღრალდახ. მუთხმის კუედელ ხულუან ი ხასხუაპდელდა ჩის. ამ ბინძურ სიტყუელს მუთხმი, „ჭუხუ-ჭუხუი მუქუის“ ტულდა. ეჩანლო ტულდახ მორილს. ალედერუ სართულიან ჭიშხაშ ლას, ჟიბემ ი ჩუბე სართულ უშხუარ ხეხზუმაღდახ. მეღდ დე ამშა მაშყიდ.

ამეჩუ ეჩანლო ჩუ ლას ბეგი ლიხცნალ. ლიბერგიელ.

მურყუამს ერ ქა ხუაკაფად, ეჩანლო, ლოშგინპოლს, ნათხუმ არაყს ლერქუაშუმ ჟი ხუამზერდად, იბნოლ ლითრე, მარა ამკალიბ ლითრე დემჩიქს ლას. უშდმად ლისედ მა შეიძლებოლ. ბობშ, ზურალ, მეჩი ი მახე მაგითრა გაღები ლიღალნუნ. ალ ლადღი ლიმშდემს ხოჩა ზადობ ლოქ ხოხალ. იარი დომ ლოქ ედშდემი, ეჯის ხოლა მოსაუალ ლოქ ხოჯდენი.

კურიას მაგ დეშ ყელა. გუშგუე სოფელისა ალე ხოხალდახ კაცო, ნასყიდო ი ნიკო ჭინჭარაძელს. ფეკო, ბექმერზა, ბექო უონიანარს ი ანტონ გულბანს.

მურყუამს ნად ლეჟა ხუაკაფად.

ალ ცერემონიელს ქახუაგათუად სადლობუნთ ეჩანლო ლას ბეგი ლითრე.

უტკუნ დომში ძინარს თელდ ჩუკულ ჩულერდა ჟაჭუნდერთე. ჯგრაგი სუფთე, ცაცხუ, ჩუქუან თაუარ ლამურყუამალთე. ამეჩუ მეწდე გუეხოლ სასაშ-მებეც-ლეკოსანდი მეკურიელა თელდ სუმრა, ჩუ ლას ძღედ ამბაუ.

ხალხ ლიმურყუამალეშდ ზად-მერზადერ ამარა ნათხუმ არაყს. მურყუამი ლიკაფეს ი ბეგი ლიტრეს მუგვიდ ლოქ ხოხალ

ხოჩა ზაფობ. მურყუამ იმთეფ ახურენოლ, ზაფ ეჩხაულოქ ხეხურენი.

ალ ლადედ ხოშანალად კვირიაფ, ადრეკილაფ, მელია ტელეფიაფ იქუოლ, მორილ ი მერმე-მერმე ლიდრალალ მელია ტელეფია მუთხმის, ჭუხე-ჭუხუი მექუისს, ბეროშალ ხუამარად. ალესი ჩუხორკინად მეგმი ჯუემ-ყურნას ი ძლედ სეირობს იჩმედ. ფაუს ხანცელდა ჩის იასი მოშ ედდარნა. მელია ტელეფია ლიდრალს მა ხაჯონ. ხოშა ნალად ჭუხუ-ჭუხუს ტელდა.

1964 წლის 13 ოქტომბერი. სოფელი ჩუკული.
მთხრობელი 60 წლის დანიელ ლევანის ძე ონიანი.

მურყვამობა-კვირიაობა

ყველიერის ალები დდეს, კვირას, დავდგამდით თოვლის კოშკს /მურყვამს/ და ჩავუტენევდით არყის ხის კეტს. სხვა ხის ჭიშს უფროსები არ შვრებოდნენ.

კვირა დილას, ადრე, ავიდოდნენ მუჩფას საყდარში კვირიას საგალობელის შემსრულებლები და მათი თანმხლები ახალგაზრდები. კვირიას /საგალობელს/ ამბობდნენ მუჩფას საყდრის გარს შემოვლით, ერთმანეთის უკანდამდგარნი, სვლით სამჯერ რომ შემოუვლიდნენ, ჩამოუყვებოდნენ ჩვენს კალოსკენ. აქ იდგა თოვლის მურყვამი /კოშკი/. აქ ჩამოსვლამდი მუჩფას ეზოში კვირიას სიმღერის /საგალობლის/ შემსრულებლებს და მათ მხლებლებს შეხვდებოდა მთელი სოფლის სუმრა. კარგად გათენებული არ იყო ამ დროს და ჩაერეოდნენ ერთიმეორეს. საქმე იყო იმაზე თუ ვინ ვის მოერეოდა, ასე ჩამოვიდოდნენ თოვლის კოშკამდე. აქ კვლავ იტყოდნენ კვირიას საგალობელს, „ადრეკილას“, ეს ორბუნი სიმღერა იყო, შემდეგ „მელია ტელეფიას“ და ამას ძალიან ბინძური სიტყვები ერია. ლექსი არ მახსოვს, მაგრამ დიდი სიცილი იყო ამის შესრულების დროს. მელია ტელეფიას შესრულების დროს მწკრივად დადგებოდნენ ერთმანეთის უკან, მიდიოდნენ და ისე მღეროდნენ. მეთაურს წვნელი ჰქონდა და გადაჰკრავდა ყველას. ისე ბინძურ სიტყვებს, მელია ტელეფიას მეთაური, ჭუხე-ჭუხვის მთქმელი ამბობდა. შემდეგ ამბობდნენ „მორილს“, ეს ორ სართულიანი ფერხული იყო. ზედა და ქვემო სართული ერთმანეთს ექადნებოდა. სათვალავი ლექსი არც ამისი მახსოვს.

აქ შემდეგ იყო დიდი ჭიდაობა და ხტომა.

კოშკს /მურყვამს/ რომ წავაქცევდით, შემდეგ, ბოლოს, ნათავედ არაყს ლერქუაშით /არაყის ჭურჭელია/ შევევედრებო-

დით ღმერთს და იწყებოდა სმა, მაგრამ ასეთი სმა არასოდეს არ იყო. დაუთრობლად დარჩენა არ შეიძლებოდა. ბავშვი, ქალი, მოხუცი და ახალგაზრდა ყველა სვამდა აზრიდან გასვლამდე. ამ დღის თრობამ კარგი წელიწადი /მოსავლიანობა/ იცისო. ვინც არ დაითვრებო, იმას ცუდი მოსავალი მოუვაო.

კვირიას საგალობელს ყველა ვერ ამბობდა. ჩვენს სოფელში ეს იცოდნენ კაცო, ნასყიდო და ნიკო ჭინჭარაძეებმა: ფეკო, ბექმურზა, ბექო ონიანებმა და ანტონ გულბანმა.

კოშკს /მურყვამს/ ჩვენ აღმოსავლეთის მიმართულებით წა-ვაქცევდით.

შავ ორშაბათს, დილას, მთელი ჩუკული ჩადიოდა ჟახუნდერში, წმ. გიორგის სუფში, ცაცხვის ქვეშ, სადაც მთავარი კოშკობა /მურყვამობა/ იყო. აქ მოსული გვიხვდებოდნენ სასაშის და მებეც-ლეკოსანდის „კვირიაობის“ მონაწილენი მთელი სუმრა. იყო დიდი ამბავი.

ხალხი მურყვამობისათვის წლობით ამზადებდა /ინახავდა/ ნათავედ არაყს. მურყვამის /კოშკის/ წაქცევამ და მაგარმა სმამ თანაბრად იცისო კარგი წელიწადი /მოსავლობა/. საითაც კოშკი /მურყვამ/ წაიქცეოდა /დაირღვეოდა/ მოსავალიც იქით დახვავდებო.

ამ დღეს უმეტესად ითქმებოდა „კვირია“, „ადრეკილა“, „მელია ტელეფია“, „მორილი“ და სხვადასხვა სიმღერები. „მელია ტელეფიას“ მეთაურს, „ჯუხვ-ჯუხვის მთქმელს“, ბეროსავით /ბერიკასავით/ გამოვანყობდით. ამას ჩამოვკიდებდით ხის სარცხვინელ ასოს და დიდ სეირს შვრებოდა. „მელია ტელეფია“ სიმღერას არ ჰგავდა, უმეტესად ჯუხვ-ჯუხვს იტყოდნენ.

7. ლიმურყუამალ

ჟახუნდერი ჯგრაგი სუფისა, ცაცხუ ჩუქუან, უტკუნ დოშდიშ ძღედ ამბაუ გუიხალდა ჟახუნდერ-ლემზაგორს ი სასაშ-მებეც-ლეკოსანდს.

მეშლადად ჩუხუაგმედად მუსი მურყუამს ცაცხუ ჩუქუან ი მებეც-ლეკოსანდ მაულდს აგმედხ ამჟი. ალ ლადედ ქახუითშედდ ფალაუნდარ-კესრალს ი ლელეთან ჩუ ხუიმქაროლდ დარი მოშ ოხშიშად ჟუარი ლიცყეს მარყუამჟი, ალ ჟუარ მარემიშდ ხორკლათხა ე იროლ ხოდემბალა მალას. ჟუარს ხუატაბად ბაგუ-ნდიშს.

დარი ბაგუნდს ჩიდ ხონკუი ანტაბნა ი ესციყა მურყუამს, ეჯი ერქა აშმედ სანყუარს ეჩა ლამწერალუნად, ერე ჟუარ ჟესციყ

მურყუამს. ხედი ოხჩიშა ამშა ლიჩომს, ეჯის ჩიმი ნახუნსერ ლოქ ხაჯდენოლდა ზადა ბარაქ. მარემიშ ი კუმში ნაფშირი ბედ.

დომდი ძინარს სუმრა თხუმს ხუითშესას, კურიას ტულდად. მიშგუი მუ ხოჩა მელრალ ლას ამშა.

ამ ჩიქქა მეტცარ ი ლეკოსანდარ ლაკურდელ გოლაი თხუმჟი ილრალდახ კურიას.

თელდ ჟაჯუნდერი მეკურდელ სუმრა ქახუეგნოლფ მაულდთე. კესარფალაუნდ სანყურს აშმა. იეს სუმრა მუთხმიე აშმა. წერნი დროშა შიდ გუიყდანანი ამჟი ოსლრუდად ჯგრაგი ლალრალუმ ი ლექუაუ ხუატულდად ამჟი: „ჭიჭიტო, სოდა ქუეცა ლექუაუიანუს, ხოჩა ზადობ ლეჯაუიანუს ამჟი ეჯდარუდ გუატულდახ. მაულდს იბნოლ ლიბერგიელ ი ლისკნალ ნეცინ ხალხი სუმრა თხუმ ხუყედახ ბობშარმოზარდალს / აღდარ მოშ იქურსინალდახ.

ლიბერგიელ ლეგათუან ხუეჭდუადოლდ მუსი მურყუამს ლაკაფად გუშგუე გუეკუად ჩის მურყმი ლიკაფე. ხოჩა ზადობ ლოქ ხოსხალ იმთიე ედკაფოლ.

მურყმი ლეკაფან ლეჯახუედნოლდ მაგ ჟაჯუნდერი სუფთე ი ამეჩულას თაუარ ლიმურყუამალ.

ამეჩუ ჟიბნოლ სუმრობ: ლიბერგიელ, ლისკნალ ეშხუარე თხუმჟიქანქა ბარჯალჟი ტოტარე ლაგმუშ, ლიქურსინალ. ამ მანკუი კურიას ყულად ი ეჩანლო იბნოლ ალე მაგ . სუმრობს ხეჭმენოლ მერმე-მერმე ლილრალარ ი შუშარობს ხეჭმენოლ ლიმურყუამალე თაუარ ლილრალალ: „ადრეკილაი“, „მელია ტელეფია“, მორილ მიაქელა“, „ხენე“, ღოშტინჰილს მუსი მურყუამს ხუაჩაფად ი ჩუფხენოლდ.

„ადრეკილაი“ ლაქუისჟი დერუ პარტიად ლეგნე მელრალა ხეხუნალდახ უშხუარ ფაუარშუ. ამჟი ყელახ ლალრალჟი: „ამისიუო ჯანციდა თხუმეარქა“, ამჟი მერმე წყება ოსტისა, აჯახუდ-ამისიუო ჯანციდა ბარჯალქა ი ჩუ ხეჭმენოლხ მარემი ტანი ჩი ნანილს ლახუნალუმ, ამ ხაცდეს ლოჭ მუჭოდქა, ჯადქა, ჯუემქა, ყურნაქა, სატრაკქა, ბუდუარქა ლულარქა ი მარემი ჭიშხარუნ ქაიხრესდახ ლალრალუმისგა ხენჩედოლხ უშხუარ დარი მოშ ესემამ ოლემშა უშხუარლ; ფახუს, ქილაი ი მარასი.

ადრეკილაიუნლო იბნოლ „მელია -ტელეფია“. სგობინ მეგნას, ჯუხუ-ხუხუი მექუისს, ტოტისა ხოყდანან ჯოდი კუედელ. ალ მუთხმის ღოშგმემარ ხაყლახ „ჯუხუ-ჯუხუს“. ეჩქა ალე ლოშგმაუ ლახსხუეპნა კუედელს მიჩა მუდგურა ღოშგინ მერდელს უ ფიშირს ხოდელოლხ ეშხუჟი ალ კუედელ.

„მელია ტელეფია“ ჟერცხეპნოლხ ლაბელალჟი, ეჩქა ეშხუარ ხოლემდახ მაფაყუსმ მაი იმ ი მაიიმ. „მელია ტელეფია“ მექუისალა ეშხუარღოშგინ ლეგდახ ლარტყალისა ტოტარ ლაგუდურუმ ი მუთხმი, ჯუხუ-ჯუხუი მექუის, სატრაკს ხანცედა ლოშგმაუ

მიჩა ლოშგინ მერდას ი ეჩქა ლოშგინ მერდე ჯუხუ-ჯუხუს ხაყლა ი მუთხმი კუედელს ხოქიოლა. ლაღრაღჟი ამჟი ტულდახ:

მელია ტელეფია უო
დაჯლა ლაჩოშელია უო

ამშა ლეგათუან „მორილს“ ოღრაღდახ. ალე სემი სართუი-ლიან ჭიშხაშლას ი ბინძურ სიტყუელ ალეხი მასარდ ხეჩედა.

ბეჩოს /თემის/ სოფელ ღვებიშში წმ. გიორგის დღეობა არის ქალების მართო. კაცებს არ უშვებენ ამ დღეობაში. აქ იკრიბე-ბიან უშვილო ქალები და ერთმანეთს კალთაში უდებენ ქვის „ყვერს“. ამ დღეობამ იცის, ხალხის ნათქვამით, უშვილოსათ-ვის შვილის მიცემა.

ლაშხეთი 65. აფსათ

აფსათ ლი ძღვედ ფრინუელ, ნეპრ. თელდ ხაჯემ ბუუქს, მარა ხოშა ლი ამან. ციცუს ხოჯემ ნიჩუ ი კანრალ ლეფათუ ხარ. ალე ნეცინ ნადირს: კვენს, რეჭუს, მალს ჩუხემწირ.

მასმა, ერე აფსათ ლემარ ფრინუელარე მეფე ი ქიშხარს ლეჯაუშუ ხაბრალნახ: მოახლა ხაყენა. ნეპოლარ ეშხუინ ქიშხარს ხობრალნახ ლეჯაუშუ ი ეშხუ ნეპოლს ხოქუა: „მად ეზარ მენ-შგუე კანრალი ქიშხარ ლოქ ხარ ნატდელ ლოქ ხაქუა“. ერქა აფსათს ხოქუა:“ ალე მად ლოქ ლი. ამან ხომენშგუა მიჩ გუ ლოქ ხარ: ჟსქუადენახ ნეპოლარ ი ჩუ ღოთ ოთგლაჯაუახ.

აფსათ ალ ამბაუნლო ლალელშუ ქამთე დემ აბდაუი ი ლეთშუ გარ, ჳედნი ქამთე. ათხე ნეპრ ხალ იწუნენ აფსათშ, შიშდ ხეჭმე-ნიხ ეჯნარ, ერე ლიმწირ ლოქ ხაკუხ.

კოჭოლაბჟი მაშყიდ: ლინპოლის იარი იბნა, ეჯის ხონყახ ტაბელს ი ჟიხამზერდახ აფსათხენ, ერ სოი ი გამურჯუებ ლა-ხუოდან ლანპოლისა.

1964 წლის 25 ივნისი. სოფ. სასაში.
მთხრობელი 56 წლის იასონ მოსეს ძე ონიანი.

აფსათი

აფსათი არის დიდი ფრინველი, ჩიტი. მთლად გავს ბუს. კატას მიუგავს სახე და წვივები ბალნიანი აქვს. ეს, წვრილ ნადირს, კვერნას, კურდღელს, მელას ერევა.

მსმენია, რომ აფსათი ფრინველების მეფე ყოფილა და ფეხებს რძით ჰბანდნენ; მოახლოები ჰყოლია. ჩიტები ერთხელ ფეხებს ჰბანდნენ რძით და ერთ ჩიტს უთქვია: „რა რბილი წვივები და ფეხები გქონია, ნეტაი შენო“, მაშინ აფსათს უთქვია: „ეს რა არისო, ამაზე უფრო რბილი გული მაქვსო“. დასევანი ჩიტები და კინალამ დაუგლეჯიათ.

აფსათი ამის შემდეგ დღისით გარეთ ვერ ბედავსო, ღამით მარტო გამოდისო გარეთ. ახლა ჩიტები როგორც დაინახავენ აფსათს, მაშინვე დაედევნებიან იმიტომ, რომ მისი მორევა უნდათ.

პატარაობისას მახსოვს: ვინც ფრინველებზე ნადირობას იწყებდა, იმას უცხოებდნენ ტაბლას და შესწირავდნენ აფსათის სახელზე, რომ სვე /იღბალი/ და გამარჯვება მისცემოდა ფრინველებზე ნადირობაში.

ჩოლური

66. აფსათი

საყდრი სოფელი თხუმისა, ყუაბჟი, ძლედ ბაჩ არდა ი ამეჩუ ხუეწრალდ აფსათს, ერე ხუაფ ნეპოლარ ლოქ ოგურმალენ. ჩუ ერ ხუარმედად ნეპოლს, ღლარს ალ ბეჩმეყ ხუაცყედად ალ ღლარ აფსათი შსანირ გუებჟნ.

ლახუე ნადირჟი მეთხუიარა დუალს ხედდებდახ. მეთხუიარ იერსკენს ედ კუიცრას ჩუერადგარნა, გულჩონჩხარს დუალხენ ხამზერდა ეჯნარ, ერე კუიცრა ი ესრსკენ ამშ შიფისა ლოქ არი.

1964 წლის 30 ივლისი. სოფ. საყდარი

მთხრობელი 67 წლის მოხუცი დისიონ აბრამის ძე გვიდიანი.

აფსათი

სოფელ საყდრის თავზე, ბორცვზე, დიდი ქვა იდო და აქ ვეხვეწებოდით აფსათს, რომ ბევრი ჩიტი დაგვეჭირა მისი წყალო-

ბით. როცა დავიჭერდით ჩიტს, ფრთებს ამ ქვასთან დავარჭობდით და ეს ფრთები აფსათის სახელზე შეწირულად მიგვანდა. მთის ნადირისათვის მონადირეები ადიდებდნენ დალს / დუალს/. მონადირე არჩვს ან ჯიხვს რომ მოკლავდა, გულღვიძლს დალის სახელზე შეწირავდა იმიტომ, რომ ჯიხვი და არჩვი ამის ხელში არისო.

ლაშხეთი 67. არგილაი

ლაშხს გუისალდა არგილაი ლიმზერ. არგილაი ლაშხედ ქორისა ლეთიმ გულუან მაჩენე კუთხ.

ძღედ ტაბელს ხუანყად ხშირს ი ჟიხუამზერდად ოჯახი ბედი-ბარაქჟი, კუმაშუ ი მარემი ნაფშიეახენ.

არგილაი ლაშხერ ჩის ხულუან ქორისა.

არგილაი ამკალიბ სეირ ემიმბუე დედედ: „ჟბე მუშუან ემწედ სასაშთე ი ჯანი ლიქუთერ ხაკუდა. სგემჩედ გუალთე. ქორს ზურალელ გარ ლემარდხ ი ლემლეთინხ მატკს. ალ მარე ხოლლი ალ ზურალელე ლიყურეს, მარა მად ადყურდახ. ჩუერა-ლყუინელანხ ზურალელ, ჟბე მუშუანდ ამჟი ლიჩომ ანფერწე: უითომ ჯეე ლოქ ლი არგილაი ი ლასმინარდ ამჟი ლექი სუმინ: „ჩერიალე ჩხერკენ-ფხერკენ არგილაი სამჯარაუ.

თაშმე ჯაბი ჯაბასა

გუალა უორკერს გუმასა“.

ზურალელს ქათსემდახ. აღდარს ხოხალდახ, ერე არგილაი ლოქ ოხბინა გარგლა. ჟანსყეხ თაშმეჯაბ, ჩოსგეხ გუალმეყ ი მინ ჩუატყურდახ ალ მარად თაშმეჯაბ ჩულალემ ი ჯაქ ადეე.

1964 წლის 26 ივნისი. სოფელი სასაში, მთხრობელი 56 წლის იასონ მოსეს ძე ონიანი

„არგილა“ /ადგილის, სახლის უფალი/

ლაშხეთში ვიცოდით სახლის უფლის სახელზე ლოცვა. არგილას სალოცავად სახლში შერჩეული გვქონდა უკეთესი კუთხე. დიდ ტაბლას ვაცხოზდით ხშირად და შეველოცავდით ოჯახის ბედ-ბარაქაზე, საქონლისა და კაცის სიმრავლისათვის. არგილას სალოცავი ყველას ჰქონდა სახლში.

„არგილაზე“ ასეთი სერი მიამბო დედამ: „ზემო სვანი მო-

სულა სასაშში, ხარის მოპარვა სდომია. შესულა გომურში. შინ ქალები მართო ყოფილან და მატყლს რთავდნენ. ეს კაცი უცდის ამ ქალების დანოლას, მაგრამ არ დაწვნიენ, რომ დანოლილიყვნიენ ქალები, ზემო სვანმა ასე გაკეთება მოახერხა: ვითომ თვითონ იყო „არგილა“ და ქალების გასაგონად ასე თქვა სამჯერ: „თითისტრების ჩხიკინი-ფხიკინი

„არგილას“ ეჯავრება.

მოხარულ ყველს მოხარშვა /უნდა/

გომურის ბოლოს დადგმა“.

ქალებმა გაიგონეს. ამათ ეგონათ, რომ „არგილამ“ თუ დაინყო ლაპარაკო. გააკეთეს თამბუჯაბი /ხანამწვარი/, დადგეს გომურთან და თვითონ დაწვნიენ.

ამ კაცმა /ხანამწვარი/ შეჭამა და ხარი წაიყვანა.

68. მერმე-მერმე ღენ

მეისარობ ძლედ გუამი ღენ ლას. მეისარობ აღბისა, საფტინს გუიხალდა. ჩის ხეყელა მეისარაჲ, ხამ ლენშყე.

მეისარობ ლადედ ხუაძენდად ეჯლაჲ-ამლა ქათლს ი ჟიხუა-ტყბედად. ქათლს უქბოუშუ ჩუხუიზბედად ი ჳიჯუარს ჩეხუასშედად, ერე ქა დორ ხანდან. აღ ქათლს ზიგხენ ხუამზერდად.

მეისარობ ლადედ ხუანყად თერალხენ კოჭოლ ტაბლეღარს. აღ ტაბლარ ნაენდერიშდ ხაკუერ ოგჩიშან.

ზომხას გუიხალდა ლაში ლენგულიქა ლიბეშდე. მაგ ნუკუი ლაში ხაკუერ ლემარელან:ფეტუ, ქერ, ლობიო, კუახნესუ, ახალთეს, ხელუგუ, მანჟლორ, ქირც, ღედერ, როგ, სიმინდ...

ლაშის ენწისა ხუაშთხუდად ი ამუნლო ჟიმეფშუდე ლას ლაშ ლილაში.

ლითოდრი გუიხალდა ყუელიერი საფტინი ნანგაზა საფტინს. აღ ლადედ ხუანყად ჩჟ ტაბელს ი ტოტისა ტაბელ ლეყდანე ხუიქნალდად. დარი ითჩეშნოლდ სგობინ ლაქნას, მესრემი ჩჟ ლოქ ათსერნა იშგნა ჩარს.

ლითოდრი ნანგაზა ლას ლილაშუნე. აღ ლადედ ხუანყად ჩი ლაშიარეშ ი ლამშიარე სახს: ფურალს, ჳანარს, ღენწუშს, ბერგს, ლაჭადირს, ულუას, ლამარიაშილეგნარს, ფუსნა ლემზერს, კუეცნაშ იი ფეტუი შდარალს, ტარუალს, ქერს, ლობიოს. აღდარე ლინყეს ხოჩა ზაჲობ ლოქ ხოხალ.

1964 წლის 24 ივნისი. სოფელი სასაში, მთხრობელი 61 წლის ტარო დისიონის ასული ონიანი.

სხვადასხვა დღეობები /დღეობა/

მეისრობა ძალიან დიდი დღეობა იყო. მეისრობა აღების შაბათს ვიცოდით. ყველას ჰყავდა სამეისარობო, ღორი დასუქებული.

მეისრობა დღეს დავკლავდით აუცილებლად ქათამს და შევწვავდით. ქათამს მალულად შევჭამდით და ძვლებს დავწვავდით, რომ არავის დაენახა. ამ ქათამს შავი ჭირის ასარიდებლად შევწირავდით.

მეისრობა დღეს ვაცხოვდით თვალების სახელზე პატარა ტაბლებს. ამ ტაბლების გამოცხობა უნდა მოგვესწრო წვიმის / ან თოვლის ნადნობის / სახურავიდან ჩამოსვლამდე.

ახალ წელს ვიცოდით თესლის გომურიდან ნაკელის გადასაყრელ ფანჯარაში გადანოდება. ყოველნაირი თესლი უნდა ყოფილიყო: ფეტვი, ქერი, ლობიო, კვახი, ახალთესლი, ხულუგო, საშემოდგომო პური, ოსპი, ცერცვი, მსხვილი ცერცვი, სიმინდი...

თესლს ნაკელში ვმარხავდით და ამის შემდეგ ნებადართული იყო თესლის თესვა.

თევდორობა ვიცოდით ყველიერის შაბათის სწორს-შაბათს. ამ დღეს ვაცხოვდით ცხენის ტაბლას და ხელში ტაბლა დაკავებული დავრბოდით, ვინც ერთმანეთს წინ გავუსწრებდით, სირბილში ვინც აჯობებდა ყველას, იმისი ცხენიც ყველას აჯობებდა /სხვის ცხენს/.

თევდორობის სწორს იყო ლილაშენე /თესლობა/ ამ დღეს ვაცხოვდით ყველა თესლის და სამუშაო იარაღების სახის ნამცხვრებს: ძროხებს, ხარებს, კავს, თოხს, ფარცხს, უღელს, ლამარიასხელდასხმულს, უფლის შესალოცს, პურის და ფეტვის თაველებს, ტაროებს, ქერს, ლობიოს, ამათ გამოცხობამ კარგი წლის მოსავალი იცისო.

69. მეისარობ

მეისარობ ალაბისა გუიხალ, ბუმბლედ ერ უშხუ ნაგზი ხოკლი. მეისარობ საფტინს ლი ი ალ ლადელ მეისარაფ-ხამს ხუაძიენიდ ყუიჩს ხუაძიენიდ აჯალ იერალხენ ი ნეცინ ტაბლარს ხუანყედ თემი ნაშელდაჟი.

ტაბლარს ი ხამი გულჩონჩხარს ხუამბერიდ თემი ნარიხენ ი ტაბლარს ჩის ჟელს ხუამნედ. მარემიშ ი კუმში ლიმნე მა გუ-

იშიდ.

შუშხუამ ლადელ ნანაყ ფუსნა ლემზერს ჟიქანქა კანს ხოკედდ ი კიდბონთე ფექისა ხუიდესდ ი დანარჩენს ჩუ ხუამნედ ჴანს. ფუსნაჲე ჴეყენი, ეჩა ლომნე ხოჩა. დასი ჴან შო ხაყა. ეჴ მარას ნამნეხ. ამ „განცხდებუნ“ ამშა ლომნე მა შეიძლება.

1965 წლის 12 იანვარი. სოფ. ჟახუნდერი მთხრობელი 62 წლის საშა ფიდოს ასული ონიანი

მეისრობა /მოისრობა/

მეისრობა ალებში ვიცით, ბოსლობამდე რომ ერთი კვირა უკლია. მეისრობა შაბათსაა და ამ დღეს სამეისარო ღორს ვკლავთ. მამალს ვკლავთ კიდევ თვალების სახელზე და პატარა /წვრილ/ ტაბლებს ვაცხობთ თვალების რიცხვის მიხედვით.

ტაბლებს და ღორის გულღვიძლს მიულოცავთ თვალის სინათლისათვის და ტაბლებს ყველას ვაჭმევთ ძალღს. კაცისა და საქონლისათვის ჴმევა არ შეიძლება.

შუშხვამ დღეს გამომცხვარ უფლის შესანირავს ზედა კანს ამოვაჭრით და კიდობანში, ფქვილში, შევინახავთ, დანარჩენს შევაჭმევთ ხარს. ჴობია უფლის სახელობის ხარის ჴმევა. ვისაც ხარი არა ჴყავს, ისინი კაცს აჭმევენ. „გამოცხადებამდე“ ამისი ჴმევა არ შეიძლება.

70. ლიგურიკე

ლიგურიკე ძლედ უცხუ ლადელ ლი შუანისა , ლიგურიკე ღენ გუინალ ჲემდუოხუშდ ლიგურიკეს. ალ ლადელ ლიმზერ გუინალ თერალხენ.

ლაგურკა საყდარ ჩუბე შუანს მახაში სოფელისა ლი ი ჴიბე მუანსკალს.

ჴაჴუნდერს ლიგურიკე ლამზერ უითინ გულუა ლეთოდს, რამინ გელოუანა ჲემუისა ი ამეჩუ ხუედდებდ ღერბათს , კურიკეს თერალხენ ალ ლადელ ე.ი. ჲემდუოხუშდ ლიგურიკეს.

კალაშ ი მახაში ლაგურიკა საყდრალთე მაშენე მიღებულ შენანირდ ითულება დაჴელ, ჲედ მიჩა თიკან. ალ საყდრალე იეზუარისა ჩუფუშდეს დაჴლარს კურიკე ჴახაჴი, ხოშა ნალაღდ დასი ხოლა მაზიგ ხამთქუა, ჲედ თერალხენ ხარ გასაჭირ

შუანისა თიკანიშ / დაჴლაშ საერთოდ / შეწირუა დაგურიკე-ლისა გარ გუაზნა.

1965 წლის 10 იანვარი. სოფელი ჟახუნდერი მთხრობელი 64 წლის გიორგი ნიკოს ძე ჴაბუკიანი

კვირიკობა

„კვირიკობა“ დიდ „უცხო“ დღედ ითვლება სვანეთში. კვირიკობის დღეობა ვიცით თხუთხმეტ კვირიკობის თვეს. ამ დღეს ლოცვა ვიცით თვალების თაობაზე.

კვირიკეს საყდარი ქვემო სვანეთში მახაშის სოფელში და ზემო სვანეთში - კალაში.

ჟახუნდერში კვირიკეს სალოცავი ვითინი გვაქვს ლეთოდში, რამინ გელოვანის ეზოში და აქ ვადიდებთ ღმერთს, კვირიკეს, თვალების თაობაზე /სინათლისათვის/ ამ დღეს ე.ი. 15 კვირიკობის თვეს.

კალისა და მახაშის კვირიკეს საყდრებში ყველაზე მეტად მიღებულ შენაწირად ითვლება თხა და მისი თიკანი. ამ საყდრების ეზოებში გაუშვებენ თხებს კვირიკეს სახელზე. უმეტესად, ვისაც ავიზნე სჩვევია ან თვალების /სინათლის/ გამო აქვს გასაჭირი.

სვანეთში თიკანის /თხის საერთოდ/ შეწირვა კვირიკეს სახელობის საყდრებში მართო ვიცით.

71. ჯანი „თუალ“

ჯანს ლოქ „თუალ ხულუა. ალე „თუალ“ უად ლოქ ლი. ღასი ალე ლოქ ხელუენი, ეჯის დუმჩიქს ლოქ ხოშთხენი კეთილ-ქონება.

ლიზული ხედიჯანს ხობალ, „თუალი“ ეჯის ლოქ ხულუა. დესეს ჟი ლოქ აკუანე ლაჯუშუნაჟი, მარა მიშდ ლოქ ანტყუი. ამ ჩიქქა ღარი მოშ ლოქ ოხჩიშე ლიკედს, ეჯი ჩიდ ხოშა ბედნიერდ ლოქ ხესპი.

ამ „თუალ“ უიჯსი ლოქ ხულუა. უიჯს ლამჟენად ლიჯდე ლოქ ხაზნა. ამ ჩიქქა ღარი მოშ ლოქ ეთლაკი, ჟესმამ ესქუემ, ჩუ ლოქ ჯიცურე ალე „თუალს“ ი ალე უად ლოქ ლი.

უიჯ ალე „თუალს“ დეცხენჩუ ერ ანტყუასგ დედ მიჩ ნაწილ შყედნი, ეჩენქა ლოქ იხუენი.

1965 წლის 25 იანვარი. სოფელი ჟახუნდერი მთხრობელი 52 წლის მარუსია ჯიბიას ასული ჭელიძე

ხარის „თვალი“

ხარს „თვალი“ აქვსო. ეს თვალი ნატვრისა არისო. ვისაც ეს ექნება, იმას სიკეთე და ქონება არ დაეღვევას.

ზმუილი რომელ ხარმაც იცის, „თვალიც“ /ნატვრის თვალი/ იმას აქვსო. ხანდახან ამოაგდებდო ხველების დროს, მაგრამ სასწრაფოდ ყლაპავსო. ამ დროს ვინც მოუსწრებს აღებას, ის ყველაზე მეტ ბედნიერად გადაიქცევაო.

ისე „თვალი“ გველსაც აქვსო. გველმა სამზურად გამოტანა იცისო მისი. ამ დროს ვინც მიაგნებს, თუ რამეს გადააფარებს დაგიტოვებსო ამ „თვალს“. ეს ნატვრის თვალი არისო.

გველი ამ ნატვრის თვალს ციდან, როცა ვარსკვლავი ან მისი ნაწილი, ვარდება მაშინ იქიდან ხვედრულობსო.

72. ეშხუ მარას ხაყენა ჟიდ ი დეშ ხამნინა ლეზობს, ალე ჟედეში ლუმლეგუროლინ. ალე მარე თანდათან ლემჩხეფოლის ი ეშხუ ლადედ ჩუალდაგრელი ი აშ ლადედ ჟელი ჩოთდაგრას ჟელს ჩოთქუიცხ კუჭი ი ამნ კუჭისა ახხუიდახ მიჩა დედგრ პატრონი ძინრა ნაზობ ულუფ.

ხოშელხენ მასნა, ერე ჟელს ლოქ ე დოშ ხამნი, პატრონი მექაფ ეში ეჯის ლოქ ხეშდენი ნაზობ ეჯნარ, ერე ჟელს ლერთაშხენ ქუნე ნაწიდ ლოქ ხეხოლი მარაშო.

1965 წლის 25 იანვარი. სოფელი ჟახუნდერი. მთხრობელი მარუსია ჯიბიას ასული ქელიძე.

ერთ კაცს ჰყოლია ძალლი და არ აჭმევდა საჭმელს. ეს ძალლი მაინც სუქდებოდა და, თურმე, ეს კაცი თანდათან ხდებოდა /მჭლევედებოდა/ და ერთ დღეს მომკვდარა და ამ დღეს ძალლიც მოუკლავთ. ძალლს გაუჭრეს კუჭი და ნახეს თავისი მკვდარი პატრონის მიერ შეჭმული ულუფა.

უფროსებისაგან გამიგონია, რომ ძალლს თუ არ აჭმევ, პატრონის მაგიერ მაინც იმას შეერგება იმიტომ, რომ ძალლს სულის ნაწილი ღვთისაგან კაცსავით ეკუთვნისო.

73. სკარ

სკარ ხოშა იანაფს გუიხალდა ძღედ ამბაუშე.მეშლადეღ ხუ-
იხურ ჟელოოდ ჟაჭუნდერი სუფისა ი ჩეხუისგუროლდ გუარობშ
ჟაჭუნდერიშ ი მებეც- ლეკოსანდი მაცხოურებლარ ი ხომზე-
დად უშხუარ ნაყმარუმს. ალ ლეთ აგი-აგითე ხომზედად უშხუ-
არ ნაკმარენდ ,ყორნი-ყორდ,ლეღუს, იაშს ი არაყს.

1965 წ. 13 იანვარი. სოფ. ჟახუნდერი
მთხრობელი გიორგი ნიკოს ძე ჭაბუკიანი

სკარი

სკარი დიდი აღდგომის კვირას ვიცოდით დიდი ამბით.
კვირას ვიკრიბებოდით ჟახუნდრის სუფში და დავსხდებო-
დით გვარების მიხედვით ჟახუნდრისა და მებეც-ლეკოსანდის
მცხოვრებლები და ვუგზავნიდით ერთმანეთს ნაკმარუნს /პურ-
მარილს/. ამ ღამეს სახლებში ვუგზავნიდით ერთმანეთს, კარ
და კარ, ხორცს, ყველს და არაყს.

74. ჭაბკუობ

ჭაბკუობ გუეზნან ჟურუნესგა / თანფა მიშ/ ჯენა ლადეღ.

„ჭაბუკ ბედნიერი“ ჟახაჟი ხუანყად ძღედ ლედერი ტაბელს.
ლედერ ე მო გუელუენოლ, ეჩქა ლობიარს ხუანყად იშგნა ლინ-
ჩედე დემშა შეიძლებოლ.

ლემსგა პილჟი ჩუხუიგმედად ეშხუენ ლუაჟარემ ი მერმახენ
ზურალელე ტაბაგს.ალ ტაბგარჟი ხამი ლელუ ხაკურჩერ გუალუე-
ნან ეჯლაჟ-ამლა. ტაბგარჟი ხაკურჩერ ლემარდეღლან მარემი ნა-
შელდი ნაქვიც ლელუიშ.განყობილ ტაბგარს ქორს ტურად ი ნაჟ
მაგ ქამთე ჯუენდოლდ ი ქაჭუდად ძღედ ტაბელს ი ჟიხუამზე-
რდად „ჭაბუკ ბედნიერი“ ჟახაჟი,ხუეჯერალდად კუმში ლიდრე-
ყის ნადირხენ ი მიგხენ.

ქორს ტაბგარს ჭაბუკ ბედნიერი ჟახაჟი ცურად მეფანაშალ.
სგერღურდად ქორთე, არაყს გუმუნდობიშალ ხოსგმედად ქაბუ-
კი ჟახაჟი ი სგახუესგუროლდ ტაბგარს ზურალელ მოშ ი ლუაჟარ
მოშ.

ალ ლადეღ ჟარი ლიმზერს დოშ იჩმინა, ეჯის იხერელ ი დემ-
ღუარ აუცილებელდ ზარალს ლოქ ხაჩმინახ.

მასმა, ერე თხერელ ჯგრაგიშ ი ჭაბუკ ბედნიერიშ ჟელარ ლოქ ლის ი დეშდუარ -ხამარ. იშაჲ მადლობელ მო ლოქ ირის, სგა ლოქ ხოფშედეს ეჯიარე კუმაშს ნადირს.

1965 წლის 25 იანვარი.სოფელი ჟახუნდერი მთხრობელი 52 წლის კოლმეურნე მარუსია ჯიბიას ასული ქელიძე

ჭაბუკობა

ჭაბუკობა ვიცოდით /გვჩვევოდა/ ორთაშუა /აღდგომის კვირაში/ ოთხშაბათ დღეს.

„ჭაბუკ ბედნიერის“ სახელზე ვაცხობდით დიდ ცერცვიან ტაბლას. ცერცვი თუ არ გვექნებოდა, მაშინ ლობიანს ვაცხობდით; სხვა რაიმეს ჩარევა არაფრის შეიძლებოდა.

ცეცხლის პირას დავდგამდით ერთ მხარეზე კაცების და მეორე მხარეზე ქალების სუფრას. ამ სუფრებზე ღორის ხორცი უნდა გვექონოდა აუცილებლად. სუფრაზე უნდა ყოფილიყო ადამიანის სულზე თითო ნაჭერი ხორცის. განყობილ სუფრებს სახლში ვტოვებდით და ჩვენ ყველა გარეთ გამოვდიოდით და გამოვითანდით დიდ ტაბლას და შევწირავდით „ჭაბუკ ბედნიერის“ სახელზე. ვეხვეწებოდით საქონლის დაცვას ნადირისაგან და ავადმყოფობისაგან.

სახლში სუფრებს „ჭაბუკ ბედნიერ-სახელზე ვტოვებდით მკურთხებელივით. რომ შევიდოდით სახლში, არაყს წავუქცევდით შესანდობარივით ჭაბუკის სახელზე და მიუსხდებოდით სუფრებს ქალები ცალკე და კაცები ცალკე.

ამ დღეს ვინც არ ილოცებდა, იმას მგლები და დათვები აუცილებლად დააზარალებდნენო.

მსმენია, რომ მგლები წმ. გიორგის და ჭაბუკ ბედნიერის ძაღლები არიანო და დათვები -ღორები. ვისი მადლობელიც არ იქნებიანო, მიუშვებენო იმათ საქონელს ნადირს.

75. ჭაბუკობა

ჭაბუკობა ღერუნესგა გუიხალდა ჯემა ლადედ /თანფამიშ/, ხუამზერდად ღედრალ ტაბელს „ჭაბუკ ბედნიერი“ ჟახაჟი, ალეს ხუეწრალდად კუმში ლიდრეყის ი ლიფშირეს, კუმში მედრეყი მაგ ჭაბუკ ბედნიერი მიჲსა ლოქ არი.ლაქუისდ გულუა:“-ჭაბუკ ლოქ დერ მა ხი“-ჭაბუკ ლოქ ხოხალ მიჩა თხუმ“, ღედ

„მაი ჭაბუკ მაყახი სი“.

ჭაბუკი ჟახაჟი **ღერუ** ტაბაგს ხუიგმედად: ლუაჟარემდ მოშ ი ბურალელმდ მოშ.

ქამ ტაბელს ჟერ ლოხუმ ემრინად, ქორთეფსა ლატეხჟი მანკუი ლერსგუენი ჭიხშს ხუაგმედად სგოშინ ი ტულდად: „ჭაბუკ ბედნიერს გაუმარჯოს“. ქორს ტამტარჟი თუით ნაქუიც ლელუიმ გუეხოლ ჩის .

1965 წლის 12 იანვარი. სოფ. ჟახუნდერი.
მთხრობელი 62 წლის საშა ფიდოს ასული ონიანი

ჭაბუკობა

ჭაბუკობა, ორთაშუა, ოთხშაბათს ვიცოდით /აღდგომის კვირაში/.

მივალოცავდით ცერცვიან ტაბლას „ჭაბუკ ბედნიერის“ სახელზე. ამას ვეხვეწებოდით საქონლის დაცვას და გამრავლებას. საქონლის დამცველები ყველა ჭაბუკ ბედნიერის ხელშიაო. სათქმელად გვაქვს: „ჭაბუკი ხომ არა ხარო“, „ჭაბუკი ჰგონია მისი თავი“. ან „რა ჭაბუკი მყავხარ შენ“.

ჭაბუკის სახელზე ორ სუფრას ვდგამდით: კაცებისათვის ცალკე და ქალებისათვის ცალკე.

გარეთ ტაბლას რომ მივალოცავდით, სახლში შესვლისას პირველად მარჯვენა ფეხს შევდგამდით წინ და ვიძახდით: „ჭაბუკ ბედნიერს გაუმარჯოს“. სახლში სუფრებზე თითო ნაჭერი ხორცისა გვხვდებოდა ყველას.

77. უსხუობ

უსხუობ გუამნა პირუელ მაისს /ჯუინელშუ/. ალ ლადლიმდ გუეყედა ლესუფელა უსხუა**ფ**. ალე ხაკუერ ლემარელან ულიშნო წერნი. სემი **ფედ** უიშთხუ ლეზა**ფ** ერ იროლ, ეჩქა ჩუხუაძიენდად მუჩფა საყდრი **ფეზუისა**: თუნ ლუცხულან ალ საყდარი ყორჟი ვითიმეყ,სგახუეწროლდ მუმფა ლანშაშიმს /**ფერხი** ლანჩაშს გული/ ი ქა ხოცუენდად გეჩს ლაძიენარ თუენთე ბეჩჟი /მუქოხჟი/.

აღ უსხუაღ ლიძინალდ ფურღე მუურიდ გუეყედა ჩუკული სოფელისა ი მერმა სოფლარსი დემ ხუაყლად უარს.

უსხუაღ იზაღ დაბთე დო ადინა,ლიტეუე დას ხეღმედან.

უსხუობ გუაზნა მუჩფა საყდარი **ღეზუისა**. აღე მინდორ ლი ი ამეჩუ იცხარ ლეგხ ი ბეჩარე ლასგურელ ლიხ ი ამეჩუ ნესგაღსა ლი უსხუაღ ლაძღენ, თუენტე ბეჩ-მუქობ. უსხუაღ აუცილებელდ აღე ბეჩუ ხაკუერ ედძიენს ი ტუფხ, თხუმს ი სგაშურას მენნის ხუადიდ, ლელუს ჟიხუაჭბიდ ი ეშხედ ხუამზერიდ მუჩფა ლანშაში ჟახაჟი ი ხუეწრალდ ხოჩა ამინდს ი ხოჩა მოსაულობს, ეჩანლო ლელუს ჩუხუათედ მეზგაჟი, ნაწილ ჩის ხაკუჩერ ათხუიდეს უსხუობთე მეწდას.

მუჩფა საყდარ ლანშაში ზაგარჟი ლოქ ლემგელი ეჩქად ი ამეჩუ ათხე ნასეყდარ გარლი. ამხენქა უმქყა ლაბნარს ხატ ლებე მუჩფათე ლოქ ოხჯიდახ ი ეჯლა ოთგახ ეშჩუ იმეღ ათხე ლეგ მუჩფა საყდარ.

ლამზერჟი ხუეწერალდ ფუსნაბუასდია მუჩფა ლანშაშიშს.

მუჩფაღსა ხუაღ ხატარ, ჯირა ჯუარალ არდახ ,მანალი არდახ აღ საყდარისა. ღერხი წუანილ ლასხ ი ღერხი მეშხე. მანცხიარ აგითე აესდა ყელეხ, ერე ხოჩა ლოქ ხარა, ღერხი ტეხა ი ღერხი დემ ი ათხე მუჩფაღსა შარნალ დესა ცუირხ.

აღ საყდარ ქაგოში ლასხ ირემიშ, ილუიშ, ღერსკნიშ ი კუ-იცრა მუჭუარშუ , ჯანი ხოჩა მუჭუარშუ. აღღარ მაგ შენაწირდ ნაჯიდ ლასხ.

მეთხუიარა ჯედახ შენაწირდ მუჭუარს. სემ-სემი ტაბელს ი სემ-სემი მუჭუარს ლათხუიართე ლიმი შელდჟი.

1964 წლის 3 ოქტომბერი. სოფ. ჩუკელი მთხრობელი 55 წლის სევერიან გიორგის ძე გელბიანი

უსხობა

უსხობა გჩვევია პირველ მაისს /ძველით/. ამ დღისათვის გყავდა სასოფლო უსხი /ხარი 3-4 წლის/. ეს უნდა ყოფილიყო უნიშნო წითელი. სამი ან ოთხი წლის რომ იქნებოდა, მაშინ დავკლავდით მუჩფას საყდრის ეზოში; თავის შეტრუსვის /სანთლით/ შემდეგ ამ ეკლესიის კართან, ვითინთან, შვეხეხეწებოდით მუჩფა ლანშაშისას /ზოგი ლანჩაშს იძახის/ და გავუსობდით დანას დასაკლავ თეთრ ქვაზე /მუქობი ჰქვია ასეთ ქვას/.

ეს უსხი დაკვლამდე ძროხების გასაგრილებლად /ბუღა მწარმოებლად/ გვყავდა ჩუკულის სოფელში და სხვა სოფლებსაც ვერ ვუებნებოდით უარს.

უსხი ვის ყანაშიც არ უნდა წასულიყო, განყრომა არავის შეეძლო.

უსხობა ვიცით /გვჩვევია/ მუჩფას საყდრის ეზოში. ეს მინდორია და აქ მსხლები დგას და ქვის საჯდომებია. აქაა შუაში უსხის დასაკლავი თეთრი ქვა - მუქოხი. უსხი აუცილებლად ამ ქვაზე უნდა დაიკლას და ტყავს, თავს და შიგნეულს მენნის /ე.ი. ვინც ზრდიდა და აჭმევდა მოზვერს/, ვაძლევდით. ხორცს მოვხარშავთ და ერთიანად მივალოცავთ მუჩფა ლანშაშის სახელზე და ვთხოვთ კარგ მოსავლიანობას. შემდეგ ხორცს გავანაწილებთ მოსახლეებზე. ნაწილი ყველას უნდა გახვდეს უსხობის მონაწილეს /მომსვლელს/.

მუჩფის საყდარი ლანშაშის გორაზე იდგა, თურმე, მანამდე და აქ ახლა მარტო ნასაყდრალია. აქედან გაუხედნავ მოზვერებს დაბმული ხატი მუჩფაში მიუტანიათ და იმიტომ დაუდგამთ იქ, სადაც ახლა დგას შუჩფას ეკელსია.

ლოცვის დროს ვეხვეწებით ფესნაბუასდია მუჩფა ლანშაშისას.

მუშფაში ბევრი ხატი და მუხის ჯვარი იყო. მძივებიც იყო ამ საყდარში ზოგი მწვანე იყო, ზოგი შავი. ციებიანი წაიღებდა სახლში, ამბობდნენ, რომ კარგად უხდებო. ზოგი აბრუნებდა და ზოგი არა. ახლა მუჩფაში მძივები აღარაა დარჩენილი.

ეს საყდარი სავსე იყო ირმის, შველის, არჩვის და ჭიხვის რქებით. ესენი ყველა შესანიშნავად მოტანილი იყვნენ.

მონადირეები მოიტანდნენ შესანიშნავად რქებს, სამ-სამ ტაბლას და სამ სანთელს სანადიროდ წასვლის დროს /ყოველ წასვლისას/.

77. უსხუობა

უსხუობა პირუელ მაისს გუიხალ / ჭუინედშუ/. აღ ლადელ მუჩფა საყდარი ეგუისა, ჭითინმეყ, უსხუაღს თხუმს ხოცხულად მუტუარშუ ი ჩუხუაძენდად თუეთნა ბეჩჟი/ მუქოხჟი/ კიხუამბერიდ ლელუს თელდ ი ეჩანლო ჩუხუათედ მეზგემი შელდჟი.ლე-ლუს ამეჩუ ხუაჭბიდ. თხუმს, ტუფს,სგაშურას მენნის ხოცერედ, ნაჲ ჩუხუისგურიდ მინდორსა ი უქეიფედ. არაყს მასარდ ჰუდედ ი ძლედ შდემარობს ხუიჩოდ.

აღ ლადელ ხუიმზერდ მუჩფა საყდარი ყორჟი, ხუეკერალდ

ფუნაბუასდია მუჩფა ლანშაშიშს უსხუას ი მუჩფა ჟახაჟი ხუა-
მზერიდ: ხუენეოუდ ღერბათს ხორა დარს ი აერს, ხორა მოსაუ-
ლობს.

უსხუად ულიშნო წერნი ღაბნას ხუითშედად, დასი ანკალიბ
ხეყენოლ, უარს დეშ გუაყელა სოფელს ი უსხუად ხოიშხენდად.
აში ხორა ლესგდი ხაკურერ ლემარელან. ალეს ბაულადედ მაგ
ხოზნანდა ი ლუნთისა ეშხუ მეზგამეყ ხუაბნედად ი ქირაღს სო-
ფელ იჯ და.

უსხუად გუიჭამ ფერალე ლაურდ/ ლაგრილად/. უოშთხუ ზად-
უნ ერ აჯდენოლ, ეჩქა ჩუხუაძდენდად.

მუჩფა საყდარისა გუიხალ ლიშზერ ლიშზარხისი. ალ ლა-
დელ ხუემზერდ დელ-ხოციელს ხორა ბერხენ ამინდხენ, ერე
ხოლა სეტყუ ი უშუშუ მო ჩომნას, დელი უითინ მოშ გუიგ ი ამეჩუ
ჟილეგად გელუა კუმაშხენ ლიშზერ.

ლიშზარნი იუანობა იოდა პირუელ თახაშ გუაბნა. ალ ლადელ
ღერბათს ხუეჯერალდად კუმში ლიდრეყის იხერახენ. თხერელ
ჯგრაგი ჟღარ ლოქ ლიხ ი იარი ჩუადგუნზიგნე ჯგრაგს, ეჩა კუ-
მაშს თხურელს ლოქ ხაგლერალუნე.

1964 წლის 10 ოქტომბერი . სოფ. ჩუკული
მთხრობელი 59 წლის დანიელ ლევანის ძე ონიანი

უსხობა

უსხობა პირველ მაისს ვიცით /ძველით/. ამ დღეს მუჩფას სა-
ყდრის ეზოში, ვითინთან, უსხს თავს მოვუტრუსავთ სანთლით
და დავკლავთ თეთრ ქვაზე /მუქოხზე/. მივალოცავთ ხორცს
მთლიანად და შემდეგ გავყოფთ /ხოცს/ მოსახლის რიცხვზე.
ხოცს აქვე ვხარშავთ, თავს, ტყავს, შიგნეულობას გამომზამ-
თრებელს ვუტოვებთ. ჩვენ დავსხდებით მინდორში და ვქეი-
ფობთ. არაყი ბევრი მოგვაქვს და დიდ სმას ვანყობთ.

ამ დღეს ვლოცულობთ მუჩფას საყდრის კართან, ვეხვეწე-
ბით უფალ მუჩფა ლანშაშისას და უსხსაც მუცლას სახელზე
ვწირავთ /მივალოცავთ/ ვეხვეწებით ღმერთს კარგ დარს და
ჰაერს, კარგ მოსავლიანობას.

უსხად უნიშნო წითელ მოზვერს შევარჩევდით. ვისაც ასე-
თი ეყოლებოდა, უარს ვერ გვეტყოდა სოფელს და უსხად შე-
ვასახელებდით. ისედაც კარგი შესახედავუ უნდა ყოფილიყო /
მოზვერი/. ამას ზაფხულში ყველა უვლიდა და ზამთარში ერთ
მოსახლისას დავაბამდით და ქირას სოფელი იხდიდა.

უსხი ძროხების გასაგრილებლად /გასანაყოფიერებლად/

გვყავდა და სხვა სოფლებსაც მიჰყავდათ ამისთვის.

ოთხ წლამდე რომ მიაღწევდა, მაშინ დავკლავდით.

მუჩფას საყდარში ვიცით ლოცვა ლომხარნის /ხამლობა/. ამ დღეს ვლოცულობთ იელ ხორციელის სახელზე კარგი ჰაერის, ამინდისა და იმისათვის, რომ ცუდი სეტყვა და ქარიშხალი არ ქნას. იელის ვითინი ცალკე გვიდგია და აქ გვმართებს საქონლის სახელზე ლოცვა.

ლიმხარნი ივანობისთვის პირველ სამშაბათს ვიცით /გვივევია/. ამ დღეს ღმერთს ვეხვეწებოდით საქონლის დაცვას მგლისაგან. მგლები წმ. გიორგის ძაღლებიაო და ვინც გაამჯავრებს წმ. გიორგის, იმის საქონელს მგლებს დააგლეჯინებსო.

78. მუჩფა

მიშგუი მუ ხოჩა მეთხუიარ ლას ი ლათხუიართე ლიზი მელდჷი სემი მუტუარს ასყედა ჯუიდიშს თუით ირთისინ ხაკუერ ლემარელანხ ი ღერდა მუჩფათე. ალ მუტურალს აფსათხენ ატურენდა მუჩფა საყდარისა. შენაწირდ ოსლუან აჯახ ნათხუიარემი მუჭუარ ი თხუმი ფიყულელ.

მამა მუჩფა საყდართე ე აჟი ხაკუერ ემჩედელან, ერე ქადორ ხანდან.

მუჩფაჟსა გუიხალ ლიმზერ ხოჩა მოსაულობაშ ი ხოჩა აური მედჷი.

თანფა მერმა ნანგაბა გუიხალ ფუსნაბუასდია ლიმზერ ი ალესი ხოჩა აერს ხუეჯ ერალდ ი კუმაშიშ მარემი ნაშდობასი, მაი ლექუისლი.

დელი უითინ გუიგ ლეცაგა ლახუს. ამე ერუი გუიხალ ლიმზერ ლიმხარნის დელ-ხორციელი ჟახაჟი. დელ ხორციელს ხუეჯერალდ ხოჩა ამინდს, ხოჩა აერს ი კუმშიშ ი მარემი ლიდრეყის ჩი ხოლამხენქა.

1964 წლის 4 ოქტომბერი. სოფელი ჩუკული მთხრობელი კანო აბრამის სული ონიანი, 45 წლის. დიასახლისი.

მუჩფა

მამაჩემი იყო კარგი მონადირე და სანადიროდ წასვლისას /რამდენჯერაც წავიდოდა/ ცვილის სამ სანთელს აკეთებდა, თითოეული უნდა ყოფილიყო ციდის ოდენი და წავიდოდა მუ-

ჩვაში. ამ სანთლებს აფსათის სახელზე ანთებდა მუჩფას სა-
ყდარში, შესაწირად მოჰქონდა კიდევ ნანადირევის რქები და
თავის ფიტულები. მამა მუჩფას საყდარში ისე უნდა მისულიყო,
რომ არავის დაენახა.

მუჩფას საყდარში ვიცით ლოცვა. კარგი მოსავლიანობის და
კარგი ჰაერისათვის.

აღდგომის მეორე კვირას ვიცით ლოცვა უფლის სახელზე და
ამასაც კარგ ჰაერს ვეხვეწებით და საქონლისა და ადამიანის
მშვიდობიანობასაც, რა თქმა უნდა.

იელის ვითინი გვიდგია ლეცაგას მთაში. აქაც ვიცით ლოცვა
ხვამლობას იელ ხორციელის სახელზე. იელ ხორციელს ვეხვე-
წებით კარგ ამინდს, კარგ ჰაერს და საქონლისა და ადამიანის
დაცვას ყოველი ავისაგან /ცუდისაგან/.

79. ლელერბეთი ჯანარე ჟახელ

ღერთაშდ კუთნებულ ჯანარს ხუაშხენდად: თარიგმელაჲს
ფუსნაჲს არგილაჲს , ბარბლაჲს, არუიცაჲს; ფურ ლახ იროლ,
ეჩქა- ლამრიაჲს.

კუარაჲს ხუაიშხენიდ ჯანს, ხედისი თუეთნე წერჟილ ხარ
ნიგბაჟი, ჟიბე შუანარ კუარის ხაიშხენის. ჯალდაჲს თუეთნე
ლეჯად ჯანს ჯედ ფურს.

1964 წლის 10 აგვისტო, სოფელი

ჩიხარეში/ახალშენი/

მთხრობელი ლავრენტი ეფთის ძე ნემსაძე. 63 წლის

80. საღვთო ხარების სახელები

ღვთისთვის მიკუთვნებულ ხარებს ვარქმევდით: თარინგბე-
ლას, ფუსნას, /უფლის სახელობის/, არგილას /არგილის უფლის
სახელობის/, ბარბალას /ბარბალის სახელობის/, არვიცას /
უმისამართოდ შეწირული ხარის სახელი/; ძროხა თუ იქნებო-
და, მაშინ ვარქმევდით ლამარიას /მარიამის სახელობის/.

კვარას ვარქმევთ ხარს, რომელსაც თეთრი წერტილი აქვს
შუბლზე, ზემო სვანები კვარის არქმევენ. ხალდას ვეძახით
თეთრ მუცლიან ხარს ან ფურს.

81. მაშენა

მაშენა მანკუი ლემარ ლახუს. ამეჩუ ათხე ჩხარა ჯუნელ თეკერ ლეგ. ამეჩუ ხასგუტინენა მაშენა ხატ. ჩიხრეში ი ახალაშენი ლუაჟარს უნჭყა ლაბნარ ოხბახ სეუდ ი ეჩეღსა მაშენა ხატ ოსსგოჯნახ. იმეღ ალ ლაბნარ ემბეჭკუს, ეშჩუ ოხშენუახ მაშენა ი ათხეღ ჩულეგ.

მაშენა, ათხე ერ მაშენა ლეგ, ამეჩუ ლოქ ხაშთხუა. ალ მაშენაჟი არეულობჟი /1905წ/. ლემშთხარინხ მაშენა ხატი საფლაუს, მარა მურგუალ რიყი ბეჩარემ ი წერნი ძიუენქა დესამა ახხუენახ.

1964 წლის 10 აგვისტო. სოფელი ჩიხარეში /ახალშენის უბანი/
მთხრობელი ლავრენტი ეფთის ძე ნემსაძე

უზენაესი /უფალი/

უზენაესის ადგილსამყოფელი მთაზე ყოფილა. აქ ახლა ცხრა ძველი ნეკერჩხალი დგას, აქ ესვენა თურმე უზენაესის /უფლის/ ხატი. ჩიხარეშის და ახალშენის მამაკაცებს გაუხედნავი მოზვრები მოუბამთ მარხილისათვის და უზენაესის /უფლის/ ხატი დაუსვენებიათ ამაზე, სადაც მაზვრები გახეთქილან, იქ აუგიათ უზენაესის /უფლის/ სალოცავი და ახლაც დგას.

უზენაესი /უფალი/, ახლა რომ მისი სალოცავია, იქ მარხიაო. ამ უზენაესის სალოცავში „არეულობის“ დროს /1905 წ./ თხრიდნენ თურმე მის საფლავს, მაგრამ მრგვალი რიყის ქვების და წითელი მძივის გარდა ვერაფერი უნახავთ.

82. მაშენა

მაშენა ნალსგოჯ ლახუსლი. ამხენჩუ გუშგუე.ახელშენიშ ი ჩიხრეში ბოშელს ჩუოხსგოჯნახ ახალშენი თხუმთე ი მაშენა ხატ ეშჩუ ჩოთშდუხახ.

აიასი ჩხარაშირი უოხუშდისა ჟაჯუნდერი ბაპ იუანე მარგიან ანჯად ლეჟა ახალშენთე ი ეჯის ხუექუდ, ერე მაშენა ამეჩუ ლოქ ხაშთხუა იუანედ უარ ლექუ: „ დე ლერბეთ ლოქ არი გიმისა ი დე ხატი ლიშხუი ლოქ შეიძლება“. მარა ნაღ მა ჩომინდ. მი ბობშრა

ხუას ი მიშგუა მუხბა არსანაჲდ ბიძაჲ გეზალ სტეფოდ ჟანწირ-ქეხ ლიშთხრი ეჩეჩუ, იმეჩუი გუმან გულუან. ჟეჩოხშთხარედ, მეტრ ი მეტრა ხენსგე ლას ნაჯუდან ი ხენსგე მეტრ ნამშარან; საფლაუშალ ლას ი ნაყარ უორარდა. უოკერს ბატი ლეგრალბუმ რიყი მეჩარშუ ლას ჩულეჭერ ი სგარდა ძღედ ძიუ. ალე ძიუ მიშგუა მუხბა არსანაჲდ ანჯ იდ აგითე, მენწრან ძიუ ლას , ეჩუნლო ჟატიხ მაშენათე.

ალ მაშენა ძღედ ძალუმ ლუით ლოქ ლი, გუშგუე ხოშელხენ მასმა. ალე ძიუ მაჲღენ ლას, ამშა მა მიხალ. აშ სულაჲმანსი ხაყლახ, გიშერს ი ამკალიბს. ალჲარე ნაშერს ლექაჩიშდ ი მაცხიარიშდ იწმარდახ ლაბრალდ ი ლეთრად.

1964 წლის 16 ივლისი. სოფელი ჩოხარეში-ლაშხარის უბანი. მთხრობელი 74 წლის გრიგოლ ჯაბას ძე დოღვანი

უზენაესი

უზენაესის დანასვენები მთაშია. აქედან ჩვენი, ახალშენის და ჩიხარეშის უფროსებს ჩამოუსვენებიათ ახალშენის თავში და უზენაესის /უფლის/ ხატი იქ დაუმარხავთ.

ათას ცხრაას ხუთში ჯახუნდრის მღვდელი ივანე მარგიანი ამოვიდა ახალშენში და იმას ვუთხარით, რომ უზენაესი /უფალი/ აქ ემარხა. ივანემ უარი თქვა: „არც ღმერთია მიწაში და არც ხატის დამარხვა შეიძლებაო“, მაგრამ ჩვენ არ ვქენით. მე ბავშვი კაცი ვიყავი და ჩემმა ძმამ არსენამ და ბიძაშვილმა სტეფომ მოახერხეს /მიაღწიეს/ გათხრა იქ, სადაც გუმანი გვექონდა. როცა ამოვთხარეთ, მეტრო და მეტრო ნახევარი სიგრძით იყო და ნახევარი მეტრი-სიგანით, საფლავივით იყო და ნაყარი მიწა იყო. ძირს ბატის კვერცხების ოდენი რიყის ქვები იყო დაგებული და იყო შიგნი დიდი მძივი. ეს მძივი ჩემმა ძმამ, არსენამ, მოიტანა სახლში, მოწითალო მძივი იყო, შემდეგ აბრუნა უზენაესის სალოცავში.

ეს უზენაესი /უფალი/ დიდად ძალუმი /ძლიერი/ ღვთაება არისო, ჩვენი უფროსებისაგან გამიგონია. ეს მძივი რა იყო, ამისი არაფერი ვიცი. ისე სულაიმანსაც ეძახდნენ, გიშერს და ასეთს. ამათ ნაღესს დაჭრილისათვის და ციებისათვის ხმარობდნენ დასაბანად და დასალევად.

II ნაწილი

გამოკვლევა

შესავალი

რელიგიის სფეროში ამა თუ იმ საკითხის მეცნიერულ-მატერიალისტურად ახსნას აქტუალური მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი ემსახურება ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების დაძლევის საქმეს.

ვ.ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „ჩვენი პროგრამა მთლიანად აგებულია მეცნიერულ და, ამასთანავე, სწორედ მატერიალისტურ მსოფლმხედველობაზე. ამიტომ ჩვენი პროგრამის განმარტება აუცილებლად სარწმუნოებრივი ბურჟუასის ქეშმარიტი ისტორიული და ეკონომიური ფესვების განმარტებასაც შეიცავს¹.

ჯერ კიდევ ადრე მარქსმა და ენგელსმა დაასაბუთეს, რომ რელიგია საზოგადოებრივი შემეცნების ფორმაა, რომელიც დამახინჯებულად ასახავს საზოგადოებრივ ყოფიერებას, ე. ი. მატერიალური ცხოვრების პირობებს და, რომ ისტორიის მანძილზე რელიგია იცვლებოდა ადამიანთა საზოგადოებრივი ყოფიერების ცვლასთან ერთად².

რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლას, მისი გადმონაშთების ლიკვიდაციას, აადვილებს რელიგიური წარმოდგენების წარმოშობის მეცნიერული ახსნა. „საჭიროა ნათელი წარმოდგენა გვექმნდეს იმაზე, თუ როდის და როგორ ჩაისახნენ ცრუ რწმენები, დროთა განმავლობაში როგორ იცვლებოდნენ ისინი, როგორ იქმნებოდა რელიგიური რიტუალები,... როგორ აღმოცენდნენ საეკლესიო ორგანიზაციები³.

რომ გავაშიშვლოთ რელიგიის წარმოშობის ფესვები და ნათელი გავხადოთ მორწმუნეთა შეგნებიდან ფანტასტიკური რწმენების აღმოფხვრის აუცილებლობა, ამისათვის სრულიადაც არ არის საკმარისი ერთი რომელიმე ქვეყნის ან ერის რელიგიის ისტორიის მეცნიერული თვალსაზრისით გაშუქება, საჭიროა რელიგიური გადმონაშთების შესწავლა სისტემატურად თანმიმდევრობით /განსაკუთრებით იქ, სადაც უფრო მეტადაა შემორჩენილი რელიგიური რიტუალები/.

ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს მთიანი მხარეები /სვანეთი, ხევსურეთი, მთის რაჭა, ფშავი, თუშეთი და ა.შ./ სადაც, მიუხედავად იმისა, რომ რელიგიას სოციალური საფუძვლები დიდი ხანია ძალუმად შეერყა, შედარებით კვლავ ადგი-

1 ვ.ი. ლენინი, „რელიგიის შესახებ“. თბილისი, 1955 წ. გვ. 10.

2 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „გერმანული იდეოლოგიიდან“, სახელგამი, თბილისი, 1948 წ.

3 С.А. Токарев, Религия в истории народов Мира, Москва, 1964, стр 3.

ლი აქვს ძველი ყოფის დამახასიათებელი მაგნე ტრადიციების დაცვას წარმართული და ქრისტიანული რიტუალების სახით.

სვანეთი, თავისი ისტორიული წარსულით, მატერიალური და სულიერი კულტურით, ქართველი ხალხი მრავალფეროვანი და უძველესი კულტურის გენეზისის მთელ რიგ საკითხებს ჰფენს მუქს.

მიუხედავად იმისა, რომ სვანეთის შესახებ ბევრი რამ დაინერა უცხოელი, რუსი და ქართველი მკვლევარების მიერ, ამ მხარის მატერიალური და სულიერი კულტურის საგანძურმა ჯერჯერობით მთლიანად ვერ ჰპოვა სრული და სწორი ასახვა, რისი შედეგები ამჟამად იჩენენ თავს¹. ბუნებრივია, უცხოელი მოგზაურები და მეფის დროინდელი მკვლევარები გზად გამოვლით ვერ მოგვცემდნენ სვანეთის ისტორიული წარსულის, მისი მატერიალური ყოფისა და სულიერი კულტურის ჭეშმარიტ სურათს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გამოჩენილი ქართველი მეცნიერების დ. ბაქრაძის, ნ. მარის, ე. თაყაიშვილის, ცნობილი ეთნოგრაფის ბ. ნიჟარაძის და სხვათა დაულალავი მეცადინეობის მიუხედავად, ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა ამ ისტორიულ კუთხეს. შეიძლება მეტიც ითქვას - მეფის რუსეთის ბნელი პოლიტიკა იმასაც კი უწყობდა ხელს, რომ სვანებს საკუთარი ანბანი ჰქონოდათ², განკერძოებულად ეცხოვრათ და სამუდამოდ გაეთიშათ ისინი ქართველი ერისაგან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდგომ სვანეთის ისტორიული სიძველენი - მისი მატერიალური კულტურა, ენა, რელიგიის და ფოლკლორის საკითხები ფართო ასახვის საგანი გახდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერებისათვის - ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ა. შანიძის, ს. ჯანაშიას, ა. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, გ. ჩუბინაშვილის, რ. ხარაძის, ა. რობაქიძის, ე. ვირსალაძის და სხვათათვის.

სვანეთი ძალზე საინტერესოა არქეოლოგიური თვალსაზრისითაც. ამ მხრივ ყველაზე ნაკლებადაა იგი შესწავლილი. არქეოლოგის წერაქვს ელოდება ცხენის წყლის სათავეში არსებული ნასახლარები /ლაფური, ზესხო, ქალაქიდაში, ლაშალვა და სხვა/. რომლებიც რიონის სათავეში არსებული მეტალურგიის უძველესი, განთქმული აუზის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ.

1 ი. ი. სემიონოვის სვანები ცალკე ერად მიაჩნია ინგლისელების, ფრანგების, გერმანელების და რუსების მსგავსად. იხ. მისი „Как возникло Человечество“, Москва, 1968, стр. 287, 288, 300, 401, 423, 425, 437.

2 Лишну анбан. Тифлис. 1860 г.

რაც შეეხება სვანთა რელიგიურ რწმენებს, მათ ღრმა ასახვა ჰპოვეს ი. ჭავჭავიძის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნში და ვ. ბარდაველძის ცნობილ შრომებში „Древнейшее религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен“ „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან /ღვთაება ბარბარ-ბაბარ/“, „იან დეცემ“, „სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი“ და სხვ. ამასთან ერთად, სვანეთის მკვიდრთ, მხარეთმცოდნეებს ბეს. ნიჭარაძეს, არს. ონიანს, ეგნ. გაბლიანს და სხვებს არა ერთი შესანშნავი აღწერილობა და ნარკვევი მოეპოვებათ სვანეთში დარჩენილი უძველესი რელიგიური რწმენებისა და საწესჩვეულებო რიტუალების შესახებ.

გარკვეული მნიშვნელობა აქვს უძველესი რელიგიური რწმენების ამსახველი წეს-ჩვეულებების შესწავლას. მათი წარმოშობა უკავშირდება იმ შორეულ ხანას, რომლის გასაცნობად წერილობითი ან სხვა ისტორიული წყარო არ გაგვაჩნია. მათში, ბევრ შემთხვევაში, ნათლად ჩანს ქართველ ტომთა უძველესი მსოფლმხედველობის ამსახველი რიგი საკითხები, რომელთა დღის სინათლეზე გამოტანა შუქს გვყენს არა მარტო ზოგადი ქართული კულტურის ერთიან სათავეებს, არამედ ძველი ქართველი ტომების მჭიდრო იდეოლოგიურ-კულტურულ ურთიერთობას წინააზიის უძველესი კულტურის მატარებელ ხალხებთანაც /შუმერები, ხეთური, ხური-ურარტული ტომები და სხვა/.

ცნობილია, რომ საქართველოს ცალკეულმა კუთხეებმა /ხევსურეთი, სვანეთი, ფშავი, მთის რაჭა, მთიულეთი, თუშეთი და სხვა/. ისტორიული თუ სპეციფიკური გეოგრაფიული პირობების გამო უძველესი სოციალურ წყობათა მრავალი გადმონაშთი თუ ნიშანი დიდხან შეინარჩუნეს. ამასთან ერთად, ამ რაიონების უძველეს კულტურას შემორჩა ცოცხალ ტრადიციაში არქაულ ფორმათა მთელი რიგი¹, რაც ზოგ მკვლევარს აძლევს საბაბს, ქართველი მთიელები „ჩამორჩენილ“ ხალხთა წრეში მოაქციოს.

ს. ა. ტოკარევი კავკასიას, ერთის მხრივ, თვლის აღმოსავლეთის მაღალი ცივილიზაციის გავლენის ზონაში მყოფად, მეორე მხრივ ქართველ მთიელებს, აგრეთვე ოსებს. ინგუშებს, ჩერქეზებს, აფხაზებს - ჩამორჩენილ ხალხებად, რადგან მათ შეინარჩუნეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სამეურნეო და საზოგადოებრივი წყობის არქაული ნიშნები, რაც მათ რელიგიურს ყოფაშიაც აისახა. აღნიშნულ მეცნიერს არა აქვს გათვალისწინებული, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ხალხებისა და

1 ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირო ეპოსი, თბილისი, 1964 წ. გვ. 9.

ტომების /ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს განსაკუთრებით სვანები/ მატერიალური და სულიერი ყოფის არქაული ფორმების გვერდით არსებობდნენ და არსებობენ „სამეურნეო და სულიერი კულტურის ისეთი ნაშთები, როგორცაა: მსოფლიოში განთქმული „მითი“ სვანეთის¹ /„კოლხეთი“/ სიმდიდრის შესახებ, მის სამეურნეო - მეტალურგიულ მიღწევათა შესახებ და ამის დამადასტურებელი არქეოლოგიური მონაპოვრები. მაღალი ხელოვნებით შემუშავებული სასოფლო-სამეურნეო წესები /მიწათმოქმედება და მესაქონელობა/. ხით-ხურობის განსაცვირებელი ნიმუშები, ქვით ხურობის საერო და საკულტო ნაგებობათა მაღალ განვითარებულობა, სამეურნეო და საომარი იარაღის მჭედლობა და სამკაულთა ოქრომჭედლობა, უაღრესად განვითარებული ფერწერა². გამოჩენილი მეცნიერის ნ. ბერძენიშვილის ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს საქართველოს, კერძოდ კი სვანეთის ისტორიის ღრმა ცოდნა, ხოლო, რაც შეეხება გადმონაშთებს, ისინი არსებობენ დღესაც დედამიწის არა მხოლოდ ჩამორჩენილ, არამედ მოწინავე ხალხებთანაც“³.

სვანეთის ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, რელიგიური რწმენების შესწავლას სათანადო სამსახურის განწევა შეუძლია ქართველი ერის ისტორიის კვლევის საქმეში. ამ მხრივ დიდი მუშაობაა ჩატარებული და მეცნიერული კვლევა მკვიდრ საფუძველზე დადგა, მაგრამ ბევრი რამ გასაკეთებელია და გასარკვევი. ამიტომ სვანეთში ეთნოგრაფიის თუ რელიგიის ისტორიის ამა თუ იმ საკითხზე რიგ საკითხებში უფრო ღრმად ჩანვდომას, რაც ზოგადი ეთნოგრაფიის თვალსაზრისითაც არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული.

სვანეთში წარმართული რელიგიის მრავალი გადმონაშთი შემოგვრჩა დღემდე. ამას გარკვეული საფუძველი აქვს. ქრისტიანობა, რომელიც თვითონ წარმოადგენდა წარმართული რელიგიების პირმშოს, თავისი პრინციპებით ბევრ რამეში ეწინააღმდეგებოდა მის წინამორბედ რელიგიურ რწმენებს, მაგრამ მას წინ უსწრებდა მრავალფეროვანი რწმენებისა და კულტების შემცველი ხანგრძლივი პერიოდი. „ამით აიხსნება ის სრულიად უდავო ფაქტი, რომ ქართულ რელიგიურ სინკრეტიზმში ქრისტიანულ ელემენტებს წარმართული სჭარბობს, ქრისტიანული წმინდანების სახელით, უმრავლეს შემთხვევაში, უძველესი ხალხური ღვთაებები იგულისხმება, ქრისტიანული უქმე-დღესასწაულების სახელწოდებით და ამ უქმე-დღესასწა-

- 1 С. А. Токарев, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.
- 2 ნ. ბერძენიშვილი, სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გაზ. „მებრძოლი“, №155, 156, 1964 წ. 29 დეკემბერი.
- 3 В. К. Николский, История первобытного общества, 1948, стр 8.

უღებისათვის განკუთვნილ დღეებში არსებითად წარმართული წეს-ჩვეულებები სრულდება¹, ხოლო საქართველოს მთიან მხარეებში, მათ შორის სვანეთში, სადაც არსებობდა უძველესი რელიგიური რწმენების და შეხედულებების მთელი სისტემა, ქრისტიანობის გავლენა ბართან შედარებით ნაკლები იყო.

სვანეთში დღემდე დარჩენილი წარმართული რწმენებისა და წესჩვეულებების უმეტესი ნაწილი მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთანაა დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ნადირობა აქ დიდხანს წარმოადგენდა მეურნეობის ერთ-ერთ დარგს, მისადმი მიძღვნილი წარმართული რიტუალები შედარებით მაინც ნაკლებადაა დარჩენილი.

სვანეთში საყოველთაოდ ცნობილი წარმართული წეს-ჩვეულებანი, რომელთაც სახალხო დღესასწაულების ხასიათი ჰქონდათ /„ლიმურყუამალ-ლიკურიელ- მურყვამობა-კვირიაობა, ახალი წლის ციკლის დღეობები „უსხოზ“, „ბემბლუ“ ანუ „ბოსლობ“, „ლილაშენე“-თესლობა, „ჭანტილობ“, „ლიგურკე“-„კვირიკობა“, „ლამპრობ“, „ფუსნალიტაბლიელ“ - დიდი ღმერთის სახელზე ტაბლობა, ლოცვა და სხვა/, მიძღვნილი იყო ციური მნათობების /განსაკუთრებით მზისა და მთვარის/, დიდი ღმერთის და ბუნების ნაყოფიერების ღვთაების სახელზე.

სვანურ წარმართულ პანთეონში მკაფიოდ ჩანს ცხოველების და განსაკუთრებით ხარის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი, რომელთა მეცნიერული ანალიზი დამატებულად მოგვცა ვ. ბარდაველიძემ². საფიქრებელია, აგრეთვე, რომ სვანეთში არსებობდა დათვის, მგლის, თხის, მელიის, ძაღლის, ფრინველის /აფსათი, შურთხი, მამალი/ კულტები.

საკმაოდ ძლიერი უნდა ყოფილიყო მცენარეთა კულტიც, სვანეთში დღემდე წმინდა მცენარეებად ითვლებოდა არყოს, ნაძვის, ფიჭვის, კაკლის, მსხლის, ალვის, მუხის, მდგნალის /*Salix caprea*/ ხეები. ამათგან არყის, ნაძვის და მდგნალის ხეებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები ნაყოფიერების ღვთაებასთან იყო ასოცირებული. შეიძლება არსებულიყო მთის მცენარე ტელეფის /*Ритex alrinus*/ კულტი. აღნიშნული მცენარე /ქართულად მთის ლოლო/ ადამიანისა და ცხოველის კვების რაციონის ერთ-ერთი მუდმივი შემადგენელი ნაწილი იყო.

„მურყვამობა-კვირიაობის“ დღესასწაული /და მისი ვარიანტები ბერიკაობა-ყუენობას სახით/ მჭიდროდ იყო დაკავ-

1 ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი წარწმუნოების ისტორიიდან, /ღვთაება ბარბარ-ბაბარ/, თბილისი, 1941, გვ. 1-2.

2 ვ. ბარდაველიძე, ქართული /სვანური/ საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953, გვ. 103, 118.

ვშირებული სამეურნეო ყოფასა და ფალოსის კულტთან. ეს უკანასკნელი კი მიუთითებს მათში უძველესი რწმენა-წარმოდგენების გადმონაშთების არსებობაზე.

ცნობილი რუსი საბჭოთა მეცნიერ ი.ი. სემიონოვს, ჯერ კიდევ ადამიანის ჯოგური პერიოდის დროინდელი პროისკუიტეტის გადმონაშთად მიაჩნია ფალიკური რიტუალები /სქესობრივი ტაბუ და სხვა/, რომლებიც სამეურნეო საქმიანობის სახეობის ცვლასთან ერთად ადამიანებს ავტომატურად გადაჰქონდათ ახალ საქმიანობაზე და დაუკავშირეს იგი მეთევზეობას, მესაქონლეობას, მიწათმოქმედებას, ხელოსნობას, საშინაო მეურნეობას, მოგზაურობას, ომს და მიიღო ფართე გავრცელება და კოლექტიური ხასიათი¹. როგორც ქართველი ისტორიკოსებისა და არქეოლოგების გამოკვლევებიდან ჩანს, სამეურნეო საქმიანობა /მესაქონლეობა, მიწათმოქმედება და სხვა/ საქართველოში განვითარებული უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში, ხოლო შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანაში² იგი საკმაოდ დაწინაურებულია. ამ დროს მეტალურგიის აკვანს წარმოადგენს საქართველოს მთაც, სადაც ძალზე ვითარდება აგრეთვე მესაქონლეობა. არქეოლოგიური მასალებით სწორედ საქართველოს მაღალმთიან რაიონებშია დამოწმებული მეტად მძლავრი ბრინჯაოს კულტურა³. ცხადია ისიც, რომ მიწათმოქმედება უმნიშვნელო როლს თამაშობს სახალხო მეურნეობაში, თუ კი ის არ ემყარება განვითარებულ მეტალურგიას.³ ცნობილია, რომ მთის რაჭა XVI საუკუნემდე სვანებით იყო დასახლებული, ე.ი. ბრილის მეტალურგიული აუზი სვანეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

უეჭველია ისიც, რომ ქართველ ტომებს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით სახვნელი იარაღების შექმნაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია რაჭული სახვნელი.⁴

საქართველოში მკვეთრად გამოირჩევა სხვა ქვეყნებს შორის ხორბლის კულტურული სახეობათა და ენდემური ჯიშების მაქსიმალური რაოდენობითაც.

ყოველივე ზემოთ თქმულის გამო არ არის მოულოდნელი, რომ აგრარული კულტის ამსახველ ისეთ დღესასწაულში, როგორიცაა „მურყვამობა-კვირიაობა“, სათანადოდ ასახულიყო სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული ხალხის უძველესი რწმენა-წარმოდგენები.

1 Ю. И. Семенов, Как возникло Человечество, Москва, 1966, стр 292.

2 თ. ჯაფარიძე, ქართველი ტომების 1.ისტორიისათვის1

3 გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952 წ. გვ. 53.

4 გ.ს. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, ენიშკის მოამბე, ტ. I, თბილისი, 1937, გვ. 285.

ცნობილია, რომ განვითარებული /დანიანურებული მიწათმოქმედა და მესაქონლეობა პირველყოფილ-თემური წყობილების წიაღში ძნელად ივარაუდება. თუ სტრაბონის ცნობა³ მართალია იმის შესახებ, რომ სვანებს 200 000 კაცის გამოყვანა შეეძლოთ საომრად, მაშინ სვანებს ახლანდელ ტერიტორიასთან შედარებით ბევრად მეტი ფართობი უნდა სჭეროდათ /ალბათ, დასავლეთ საქართველოში/. აქედან გამომდინარე ძნელი საფიქრებელია, რომ სვანეთი ბარის საქართველოსაგან მოწყვეტილად ვივარაუდოთ, ისიც ადრე ანტიკურ ხანაში. ამასთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს, მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს, რომელთა „ფესვები გადგმულია ადამიანთა ცხოვრების ეკონომიურსა და სოციალურ პირობებში და არა თვით რელიგიასა და მორალში“⁴. აგრეთვე, იმას რომ სვანები წარმოადგენდნენ ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან ქართველურ ტომს, რომელთაც ეკავათ საკმაოდ ფართო ტერიტორია საქართველოს როგორც მთაში, ასევე ბარშიც,³ არ უნდა იძლეოდეს იმის დასაბუთების შესაძლებლობას, რომ სვანების საზოგადოებრივ ყოფასა და კულტურაში თითქოს არსებობს უფრო დაბალი საფეხურები სხვა ქართველ ტომებთან შედარებით⁴.

მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დომინირებულმა მნიშვნელობამ თავისი კვალი დააჩნია უძველესი პერიოდიდან მომდინარე წესჩვეულებებს, დღემდე დარჩენილი მიწასთან, განსაკუთრებით, ხვან-თესვასთან, დაკავშირებული მრავალი რიტუალი, რომლებმაც სათანადო ახსნა ჰპოვეს ვ. ბარდაველიძის მთელ რიგ გამოკვლევებში. აქ მოვიყვანთ მხოლოდ ორიოდე მაგალითს. მიწა, საერთოდ, განსაკუთრებით სახნავი ადგილი, განსაკუთრებულ შემთხვევაში შეინიერებოდა

3 თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957, გვ. 26.

4 ა. დონინი, ადამიანები, კერპები და ღმერთები, თბ. 1956, გვ. 116.

3 აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის, წიგნი 2, თბ. 1965, გვ. 50-51.

4 სვანეთში უხსოვარი დროისათვის ხორბლის უძველესი ენდემური ჯიშების, მათ შორის, განსაკუთრებით, მახას /*Griticum macha*/ არსებობაზე უნდა მიუთითებდეს მისი სამკელი იარაღის ლეჩხუმში დამონებული სახელწოდება „შამკვი“ /იგივე შანკვი, შნაკვი/, რაც სვანურ სახელად არის სავარაუდებელი. იგი უნდა ნიშნავდეს „ხელეურს“, ერთი ხელის მოსმით აღებულს. /სვ. ში ხელი, ნაკვი/ შინაკუ „ხელით ჩაბლუჯული“. აქ უნდა ჩანდეს, რომ ოდესღაც შიშველი ხელით ხდებოდა მახას მოკრეფა და იგი შეცვალა ორკაპა ჯოხმა /შამკვმა/ რომლის სახელშიც გაქვავებული სახით შემოგვრჩა ამ იარაღის სახელად ქცეული შრომის პროცესის რეალური გამომხატულება.

ღვთის სახელზე. ღვთაებისადმი შეწირულ ყანას ეწოდებოდა „ლეღცხატ დაბ“, ხოლო მიწის ნაჭერს „ლეღცხატ გიშ“, ამათი დამუშავება, შეწირვის შემდეგ, უბედურების მომასწავებლად ითვლებოდა.

სვანური სიტყვა „ლიდბაშ“, „ლიდაბაშ“ /ლენტეხურ კილოზე/, „ყანის სახელზე ლოცვა“ /სვ. დაბ/ /დაბ ქართ. ყანა/ ღვთისადმი ლოცვის ზოგად სახელად იქცა. ე.ი. ყანის სახელზე ოდესღაც ტარდებოდა ლოცვა და ეს სახელი განზოგადდა და ამჟამად „ლიდბაშ“ /ლიდაბაშ/ ეწოდება ღია ცის ქვეშ ლოცვას საერთოდ /ხესთან, მინდორში, ყანაში, ტყეში, მთაზე და ა.შ./ ლაშხეთში /ქვედა სვანეთი/ მკის დროს ყანის თავში პატარა ადგილს სტოვებდნენ მოუმკვლად, რაც, ხალხის რწმენით, მომავალი წლისათვის, ამ ყანაში უხვ მოსავლიანობას „უზრუნველყოფდა“¹. ყანის, მოსავლის სიუხვისათვის იყო გამიზნული ისეთი რელიგიური დღეობა, როგორცაა „ანღლებ“ /ქართ. ამაღლება/. იგი მაისის ბოლო რიცხვებში ტარდებოდა /ძვ. სტ. 25-26 მაისს/. ამ დღეს ყველა სვანის ოჯახში ერთ-ერთ წევრს /სულერთი იყო კაცი იქნებოდა თუ ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა - მიჰქონდა არყის ხის ტოტებისაგან დანული გვირგვინები - „ფიჩუნღ“. ის იმდენი მოჰქონდათ, რამდენიც ყანა, სათიბი და ბოსტანი გააჩნდათ.

მკის ან თიბვის დროს ვინც ამ გვირგვინს წააწყდებოდა, იმას უნდა მოეტანა სულგუნი არაყთან ერთად. მომკვლები სხდებოდნენ იქვე, სადაც „ფიჩუნდი“ იყო დასობილი. არყისა და სულგუნის მომტანი დგებოდა და წარმოთქვამდა: „ღერბეთ. ბარაქ ლახო გუშგვე ზაია მახედს, ოგხიდ მარემიშ ი კუმში ნაფშირან“ /ღმერთო! ბარაქა მიეც ჩვენს წლის მოსავალს, გაგვახარე ადამიანისა და საქონლის სიმრავლით/; დალევედა არაყს და ასევე იმეორებდნენ დანარჩენებიც. სავარაუდებელია, რომ „ფიჩუნდი“ და სულგუნი ასოცირებული იყვნენ ციურ მნათობებთან /მზე, მთვარე/ და სვანების რწმენით, უზრუნველყოფდნენ მოსავლის სიუხვეს.

მიწათმოქმედების განვითარების გარკვეულ საფეხურზე ყოველწლიურად აუცილებელი იყო ფალიკური რიტუალების შესრულება. „ნაყოფიერების ფალიკური ცერემონიები ითვლებოდა აუცილებელ წეს-ჩვეულებად, რომლითაც აღინიშნებოდა არა მხოლოდ ბუნების ყოველწლიური განახლება, არამედ როგორღაც, თვით /დღეობა-ხაზი ჩემია ჯ.ო_ განაპირობებდა

1. მსგავსი ჩვეულება სხვა ხალხებშიცაა დამონმებული. რუსეთში /მკის დროს/ უკანასკნელი კონა სახლში მიჰქონდათ და ისევ უკანვე აბრუნებდნენ ყანაში. თავთავებს მიწაში ასობდნენ. ე.ი. მიწას თავის ძალას უბრუნებდნენ. იხ. რეცენზია:

ამ განახლებას. იწვევდა რა წვიმას-მოსავლის საფუძველს, აღვიძებდა ნაყოფიერების ღვთაებებს, მოეტანათ მინდვრის ახალი ნაყოფი. ამ დღეობებზე მაღალი კულტურის მქონე ძველი ხალხები ადიდებდნენ „სიკვდილს“ და „აღდგომას“ ბუნებისა“¹.

აქ გამოთქმული აზრი მთლიანად ეხება სვანურ „მურყვამობა-კვირიაობას“ და მის ვარიანტებს „ბერიკაობა-ყეენობის“ სახით. ამ დღესასწაულებში ქართველი ტომები ადიდებდნენ აგრარული ღვთაებების „აღდგომას“ და „სიკვდილს“, რასაც მასიური ხასიათი უნდა ჰქონოდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

„მურყვამობა-კვირიაობაში“ ჩანს პირველყოფილი ტოტემისტურ-ორიასტული დღესასწაულების გამოძახილი ისევე, როგორც, ი. სემიონოვი მიუთითებს მთელი რიგი ხალხების, და მათ შორის აღმოსავლეთ სლავების საგაზაფხულო დღეობების შესახებ².

„მურყვამობა-კვირიაობა“ თავისი ხასიათით წარმართული ხანის რთული სანესჩვეულებო სანახაობაა. მასში კომპლექსურადაა მოცემული მიწათმოქმედებასთან, მესაქონლეობასთან და ნაწილობრივ ნადირობასთან დაკავშირებული რიტუალები, განსაკუთრებით კი - ფალოსის კულტი.

სახელწოდება „მურყვამობა“ „კვირიაობა“ /„ლიმურყუამალ-ლიკურიელ“/ ხმარებაში პირველად შემოგვაქვს აქამდე ცნობილი „მურყუამობის /ლიმურყუამალ“/ მაგიერ, რასაც საფუძვლად უდევს გარკვეული პრინციპი: „მურყვამობა“ /კოშკობა/, რომელიც ქვემოთ სვანეთის სოფელ ჟახუნდერში სრულდებოდა დიდმარხვის პირველ ორშაბათს, ცნობილი გახდა არს. ონიანის აღწერილობით³. ამავე სოფლის მეზობლად სოფელ ჩუკულში ერთი დღით ადრე სრულდებოდა ზუსტად ასეთივე დღესასწაული, რომელიც ცნობილი იყო „მურყვამობა-კვირიაობის“ /ლიმურყუამალ-ლიკურიელ/ სახელწოდებით. ეს უკანასკნელი პირდაპირ მიუთითებს იმ დღეობაზე, რომლის სახელზეც სრულდებოდა „მურყვამობა“ და მისი ციკლის დღეობები. „მურყვამობის“ დღესასწაულს ივ. ჯავახიშვილი „ადრეკილას“ დღესასწაულსაც უწოდებს⁴, რაც აგრეთვე არს. ონიანის აღწერილობიდან მოდის. არს. ონიანს მხოლოდ ჟახუნდრის „მურყვამობის“ აღწერილობა მოეპოვებოდა ამ დროს /ე.ი. 1917

1 Ю. Линс. Преисторише велцей, Москва, 1954, стр. 282.

2 Ю. И. Семенов, დასახ. ნაშრომი. стр 440.

3 არს. ონიანი, ლუმნუ ამბვარ..., პეტროგრადი, 1917, გვ. 20-23.

4 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წიგნი 1, თბილისი, 1960, გვ. 63-71.

ნელს, როცა პირველად აღწერა ეს დღესასწაული/ ამიტომ, ბუნებრივია, „კვირიაობას“ ვერ დაარქმევდა მას, რადგან ამ სახელწოდების დღეობები მას არ ჰქონდა აღწერილი.

დღემდე „მურყვამობა-კვირიაობის“ ციკლის დღეობები ვარიანტებითურთ არ არის სრულყოფილად ფიქსირებული, არ არის სათანადოდ გამოკვეთილი ის რიტუალები, რომლებიც უშუალოდ კვირიას სახელთან უნდა ყოფილიყვნენ დაკავშირებული.

შრომის მთავარი მიზანია კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის მომარჯვებით „მურყვამობა-კვირიაობის“ ციკლის დღეობების შინაარსის სრული აღდგენა, მისი ვარიანტებითურთ, რაც მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული. ამასთან ერთად, შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ამ მხრივ სამუშაო ბოლომდე იყოს მიყვანილი, მაგრამ თუ ის მცირედიც კი რაც გაკეთდა, რაიმე სარგებლობას მოუტანს ამ საკითხებით დაინტერესებულთ, რამდენადმე მაინც გამართლებული იქნება განუხილველი სამუშაო.

„მურყვამობა-კვირიაობის“ ციკლში შემავალ დღეობებად მიგვაჩნია „მურყვამობა: /სოფ. ჟახუნდერი/, „მურყვამობა-კვირიაობა“ /სოფ. ჩუკული/, „კვირიაობა“ /სოფლები: შკედი, ჩიხარეში, ტვიბი, უკვლეში და სხვა/. „ბერიკაობა“ /ლაშხეთის ყველა სოფელში ტარდებოდა/, „დათვობა“ /ლორო დიდუშუნალ ე.ი. მურის წასმა-დათვობა სოფ. ჩიხარეში ტარდებოდა/, ზემოსვანური „აღბა ლაღრალი“, „ლამპრობა-კეისრობა“, „ლაღამის კრივი“. ამ დღეობების ძირითადი ელემენტები ერთმანეთს ემთხვევიან.

როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც საგაზაფხულო /საყველიერო/ დღეობები /მურყვამობა-კვირიაობა, ბერიკაობა-ყეენობა და სხვა/ ბუნებაზე მაგიური ზემოქმედების მიზნით სრულდებოდა თავდაპირველად, მაგრამ ხალხის სოციალური ყოფის პროგრესმა, საწარმოო ძალთა განვითარებამ ნაწილობრივ დაუკარგა მას მაგიურ-რელიგიური შინაარსი და სახალხო სანახაობა- დღეობებად გადააქცია.

სვანურ წარმართულ პანთეონში, როგორც ჩანს, ნაყოფიერების ღვთაების ფუნქცია, კვირიას გარდა, უკავშირდებოდა ტელეფიას /ტელეფინუ/, ბარბალს /მზის დედა ღვთაება; ვ. ბარდაველიძე/. დალს, ბოლოს ჭგერაგსა და ლამარიას /ქრისტიანობის ხანაში/.

დალი რომ ნაყოფიერების ღვთაება უნდა ყოფილიყო, ამას დედოფალს სვანური სახელწოდება „დალ“, „დალელ“-იც უნდა ადასტურებდეს, რადგან დედოფალა /დალ, დალელ/ ნაყოფიერების საკულტო საგნადაც ითვლებოდა, ხოლო ქრისტიანობის ხანაში ნაყოფიერების დედაღვთაების ფუნქციები ლა-

მარიას უნდა დაკავშირებოდა. ჯგერაგის ფუნქციებში ძნელი ამოსაცნობი არ არის კვირიას ოდინდელი ფუნქციები.

ქართული წარმართული რელიგიის პანთეონის ნაყოფიერების კულტები ბევრ მსგავს პარალელს ავლენს ძველი აღმოსავლეთის ცივილიზებული ხალხების /კერძოდ, შუმერულ და შემდეგ ხეთურ-ურარტულ/ რელიგიურ რწმენებთან. რიგ შემთხვევაში ქართული წარმართული ხანის ზოგ ღვთაებას და ძველი აღმოსავლეთის /შუმერები, ხეთა-ურარტული ხალხები / ღვთაებებს ერთნაირი სახელებიც კი აქვთ, რაც შემთხვევითობით არ უნდა აიხსნებოდეს. გ. მელიქიშვილი ამბობს, რომ „ქართველთან მონათესავე ხალხები ძველ აღმოსავლურ ხანაში სამხრეთითაც იყვნენ ფართოდ გავრცელებული. ძველი აღმოსავლეთის ბევრი დიდი სახელმწიფოს შემქმნელი ხალხები /შუმერები, ხეთების გარკვეული ნაწილი, ხურიტები, ურარტუელები, ელამელები და სხვა/ მონათესავე უნდა ყოფილიყვნენ. მეცნიერთა მიერ შენიშნულია ბევრი ისეთი ფაქტი ქართულ ენასა და ქართველი ტომების მატერიალურ თუ სულიერ კულტურაში, რომელიც ქართველი ხალხის ამ ძველ აღმოსავლურ ხალხებთან მონათესავეობაზე მეტყველებს“¹.

შუმერებს ცნობილი იტალიელი მეცნიერი ა. დონინი კავკასიიდან წასულ უძველეს ეროვნებად თვლის და, მისი სიტყვით, მესოპოტამიაში კავკასიის მთიანი რაიონებიდან მოსულმა ამ ხალხმა თან მოიტანა მთის მწვერვალებზე ღმერთების თაყვანისცემის ჩვეულება².

გ. ბარდაველიძის სიტყვით, „ჩვენ მოგვეპოვება განსაცვიფრებელი შეხვედრის ფაქტი შუმერულთან ქართველი ტომების მზის ღვთაების სახელისა /ბარბალის, ხაზი ჩემია ჯ. ო./ და კულტისა, რაც ამ ხალხების მჭიდრო კულტურულ ურთიერთობაზე უნდა მიუთითებდეს და ეგების უფრო მეტის, სახელდობრ, ამ ხალხების გენეტიკური ნათესაობის მაჩვენებლის იყოს“.

გ. ჩიტაიას აზრით, დალი უკავშირდება შუმერულ ღვთაება დილბათ, დილბატს³.

საინტერესოა სვანურ სასაუბრო მეტყველებაში შემონახული სიტყვა დუმიზი //დემიზი /ლაშხეთი, ქვ. სვანეთი/, რაც ზანტი, ძალზე ნელა მოძრავი კაცის ზედმეტ სახელად იხმარება. ასეთ კაცზე ამბობენ „ეს კაცი ნამდვილად დუმიზი არისო“, ე.ი. დუმიზის ჰგავსო. აქ შეიძლება ჩანდეს შუმერების ვეგეტატური ღვთაების დუმიზის, იგივე თამუზის, თვისების ანარეკლი.

1 გ. მელიქიშვილი, ურარტუ, თბილისი, 1951, გვ. 128.

2 ა. დონინი, ადამიანები, კერპები და ღმერთები, თბილისი, 1965, გვ. 138, 142.

3 გ. ჩიტაია, აჭარული დათვა ბოყვა, საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, ტ. X-18 გვ. 325.

ბაუ შუმერებთან ტყის მფარველი ქალღვთაების სახელია¹. სვანეთში ბაუ-ბედნიერი არის სახელწოდება ტყის, განსაკუთრებით, ფუტკრის მფარველი ღვთაებისა, რაც წერილობითაც მოხსენებული აქვს ალ. რობაქიძეს². გარდა ამისა, სვანურად მსუბუქი ყოფაქცევის ქალს „მებაუიელ“ს ეძახიან /ე.ი. ვინც ბაუსავით იქცევა/, ხოლო სიტყვა „ლიბაურალ“ ნიშნავს ქართულად: „ბაუსავით ვინც მოსდებს ხელს ტყესა და ველს“. ცნობილია, რომ დალისთვის, აგრეთვე იშთარისა და ანაიტისათვის უცხო არ იყო სიყვარულის საკითხში თავისუფლება. შესაძლებელია ბაუს მსგავს თვისებაზე მიუთითებდეს სვ. „ლიბაუიელ“.

პროტოხელების რელიგიაში ცნობილი ვეგეტატური ღვთაება ტელეფინი /იგივე ტელეფინუში, ტელეფინუ/ დიდ მსგავსებას ავლენს სვანურ ტელეფიასთან. ტელეფინუსა და სვანურ ტელეფიას იგივეობის საკითხი დასმულია ი. ჭავჭავაძისა და შ. ამირანაშვილის მიერ.

ხურიტები, მიტანი, ხეთა-ურარტუს ხალხები თაყვანს სცემდნენ ელვა ქუხილის და ქარიშხლის ღვთაება თუშუბს. ეს სახელი რთული შედგენილობის ჩანს და ახლოს უნდა იყოს ქართველურ ერობრივ სამყაროსთან. მსგავსი სახელი მამაკაცისა - ქავშუბ დღემდე არსებობს სვანეთში.

ურარტულთა ღვთაებები - ხალხი, თალაფურა, კურა და ელია მოხსენებული არიან მხერ-კაპუსის წარწერაში /მე-9 საუკ. ჩვენს ერამდე/ სხვა ღვთაებებთან ერთად და ამათგან კურას გ. მელიქიშვილი უკავშირებს ქართულ კვირიას³.

საყურადღებოა თალაფურასა და ქართულ ტელეფიას მსგავსების თაობაზე საკითხის დასმა. მართალია, ამის შესახებ სარწმუნო საბუთები ჯერჯერობით არ გაგვაჩნია, მაგრამ თალაფურა და ტელეფია ენობრივად /სახელები/ დიდად დაშორებული არ ჩანან.

რაც შეეხება ელიას, ეს უკანასკნელი ებრაულ რელიგიაში საკმაოდ ცნობილია და „ელ“ ებრაულად ღმერთს ჰქვია, მაგრამ საეჭვოა ებრაული რელიგიიდან მოდიოდეს სვანური ელ /ჰელ/ ქართულად ელდა/, „ლიჰლალ“ /ელვა/. შესაძლებელია ელ ღვთაების სახელი /სვ. იელ/ საერთო წყაროდან მოდიოდეს ქართველებსა და ებრაელებში.

საინტერესოა სვანური სიტყვა „ხალდაი“, რაც მუცელთეთრა ხარის ან ფურის სახელად იხმარება. აქ ხომ არ გვაქვს ღვთაება ხალდის სახელწოდების გადატანითი მნიშვნელობა ისე, რო-

1 Б. А. Тураев. История древнего Востка. Т.1. Ленинград. 1935. Стр. 82.

2 ა. რობაქიძე, მეფუტკრეობა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბილისი, 1955, გვ. 127.

3 გ. მელიქიშვილი, ნაირი-ურარტუ, თბილისი, 1954, გვ. 271.

გორც შესანიშნავ ხარების სახელებად გვაქვს „თარიგზელ“ /ე.ი. ხარი მთავარანგელოზის „თარიგზელის“ სახელობის /ბარბალაი/ ბარბალის სახელობის ფური ან ხარი და ა.შ.

მცირე აზიასა და მესოპოტამიის უძველესი ხალხების რელიგიურ რწმენებს საქართველოში სხვა პარალელებიც მოეძებნება, მაგრამ ამჯერად ამით ვიფარგლებით, რადგან ეს უკანასკნელად უშუალო კვლევის საგანს წარმოადგენს, მაგრამ ექსკურსი იმდენად ჩავთვალეთ საჭიროდ, რამდენადაც სვანურ და საერთოდ, ქართველური წარმართული რელიგიის ამა თუ იმ საკითხის კვლევის დროს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ზემოთ ჩამოთვლილი ხალხების რელიგიურ რწმენებთან დამოკიდებულებას, როგორც ჩვენი წინაპრებისა და ამ ძველისძველი ცივილიზებული ერების ურთიერთობის /შესაძლოა ნათესაობისაც/ დამადასტურებელ ერთ-ერთ საბუთს.

ძველ წარმართულ რწმენა-ჩვეულებებს მთელი რიგი პარალელები მოეპოვება ანტიკურ ბერძნულ-რომაულ რელიგიებში.

„მურყვამობა-კვირიაობა“ დიდად ჰგავს ბერძნულ „დიონისიებს“ როგორც „ათენში ყოველ წელს რთავენ ცოლს დიონისეს მცენარეულის ნაყოფიერების გამოწვევის მიზნით¹, საქართველოშიც ყოველ წელს რთავდნენ ცოლს „ბერიკას“², „კეისარს“, „ყაენს“, „საქმისაის“ ზემოთ აღნიშნული მიზნით. ს. ა. ტოკარევს დიონისეს კულტი საბერძნეთში მცირე აზიიდან /თრაკია, ფრიგია/ გადასულად მიაჩნია არა უადრეს მე-7, მე-6 საუკუნეებისა ჩ. წ. მდე³.

ბერძნულ მისტერიებში /დიონისიები, ლენეები/ უნდა ჩანდეს ქართული საგაზაფხულო დღესასწაულების კვალი. გვაქვს ისეთი სიტყვებიც, როგორებიც ბერძნულში ქართველურ სამყაროდან ჩანს შესული. დ. ჯანელიძეს მოყავს ნ. მარის და ბ. კუფტინის აზრი იმის შესახებ, რომ ბერძნული გლოვის სიმღერა „ელეგოს“-ის დასაბამი ქართველურ ეთნოგრაფიულ საზღვრებშია საგულვებელი⁴. სვანურში ახლაც ცოცხალია სიტყვა „ლეგ“, რაც წუხილს, ურვას, უხასიათობას გამოხატავს. აგრეთვე, ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებს პ. ბერათის დასკვნის სისწორეზე ქართული რითმის დაქტილორობის შესახებ /რაც დღემდე შემოგვრჩა ხევსურებსა და სვანებში/. დაქტილოური ჰეგზამეტრი მას

1 Дги Фрезер Золотая Ветвь Москва 1924 стр 168

2 ჯ. რუხაძე, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან / მინათმოქმედება-მესაქონლეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები/, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 1954, გვ. 54-55.

3 С. А. Токарев, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

4 დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, I თბილისი, 1948, გვ. 76-77.

წინაბერძნული მცირეაზიური მოსახლეობიდან /იგულისხმება აქ ქართველი ტომების ბინადრობა მე-3, მე-2 ათასწლეულში/ გადასულად მიაჩნია¹.

ივ. ჯავახიშვილს არ მიაჩნდა შეუძლებლად ქართული კვირიას და მცირე აზიის საბერძნეთში გავრცელებული უფლის სახელის კვირიას იგივეობა².

ასევე, საყურადღებოა ძველი რომაელების მიწათმოქმედების ღვთაება კვირინსა და ქართული კვირიას ერთმანეთთან მიმართების საკითხი.

ძველი ბერძნული და რომაული ზოგი რწმენის სათავის დამდეები, მცირე აზიის და მესოპოტამიის ხალხებთან ერთად, ქართველების წინაპრებიც ჩანან. ამ აზრის გასამაგრებლად ზემოთ მოყვანილი მაგალითების გარდა სხვა ფაქტების მოყვანაც შეიძლება /გილგამეში-პრომეთე-ამირანი-დალის ციკლის თქმულებები ერთ ხაზზე დგებიან/.

გვაქვს ენობრივი შეხვედრები, ზოგი რელიგიური ტერმინის ხმარებისას, ებრაულთან. სვანურად სალოცავ ნიშს „ვითინ“-ი ჰქვია, ხოლო ებრაულად „ვითილ“ /ბეტელ/, ასევე პალესტინაში ნაპოვნი ფალოსის ნიშნებიანი ბოძების სახელი „მასება“³ და სვანური მესაბ//საბ მსგავსნი არიან. სვანურადაც „მესაბ“ ჰქვია საშუალო ზომის მოქნილ ხეს. მორი /ძელი/ საქართველოში მამაკაცის სარცხვინელი ასოს აღმნიშველიც ყოფილა⁴.

ვვარაუდობთ, რომ სვანური და ებრაული რელიგიური ტერმინების, სახელების დამთხვევა უნდა მოდიოდეს საერთო წყაროდან /მცირე აზიიდან ან მესოპოტამიიდან/.

სვანური წარმართული პანთეონი ძალზე რთული ჩანს. მთელი რიგი ღვთაებების ფუნქციების განმხოლოება ჭირს. ლაშხეთში /ქვ. სვანეთი/ ცნობილია „მაშენა“ /უზენაესი, უფალი/ და „ფუსნაბუასდია“; ფუნქციები ერთნაირი აქვთ, სახელები სხვადასხვა. ამასთან ერთად, მაშენას „საფლავს“ ახლაც უჩვენებენ სოფელ ჩიხარეშის მცხოვრებნი /ე.ი. მოკვდავი ღვთაება ყოფილა/.

დალისა და მაშენას მოკვდაობა ადასტურებს, რომ ქართველური წარმართული პანთეონისათვის უცხო არ ყოფილა ღვთაებათა ვეგეტატურობა.

1 ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, ტ. 1, 1950, გვ. 88; იხ. აგრეთვე, პ. ბერაძე, წინასიტყვაობა წიგნისა „საგანთა ბუნებისათვის“, თბილისი, 1958, გვ. 0-VI.

2 ივ. ჯავახიშვილი დასახ. ნაშრომი გვ. 76.

3 А В Ронсвич Очерки истории древнееврейской религии Москва 1937 стр 108

4 ვ. რადაველიძე, ქართული /სვანური_ სანესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953, გვ. 94.

სვანებს ჰყოლიათ ფრინველთა ღვთაება აფსათი. ამ ღვთაების კულტს ნ. მარი ფრიგიიდან და სომხეთიდან შემოტანილად თვლიდა. მას აიგივებდა ფრიგიულ საბადიოსსა და სომხურ ასვასთან¹. აფსათი ამავე სახელით ცნობილია ოსურ და ბალყარულ მითოლოგიაში. აფსათს ვ. აბაევი თვლის წმინდა კავკასიურ მოვლენად, რომელიც წარმოიშვა კავკასიის ხალხების სამონადირეო ყოფის ნიადაგზე².

აფსათი სვანურ მითოლოგიაში ფრინველთა ღვთაებად ითვლება და იგივე სახელი ჰქვია სვანურად ზარნაშოს /ბუს/ მსგავს დიდ მტაცებელ ფრინველს.

1 Н Марр Фрако – армянский савазиос-асиас и сванские богиество оюты ИАН 1912 СТР 827-833

2 В Абаев Осетинский язык и фолклор М Л 1849 стр. 300

თავი I

„მურყვამობა-კვირიაობის“ ციკლის დღეობები და მათი ძირითადი ელემენტების დანახულება

1. მურყვამობა-კვირიაობა

სულიერი ყოფის ამსახველ წეს-ჩვეულებებს და მათში შემორჩენილ სარწმუნოებრივი ხასიათის გადმონაშთებს, რომლებმაც ჩვენს ეპოქამდე მოაღწიეს, ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეში გარკვეული მეცნიერული ღირებულება აქვთ, რამდენადაც „რელიგიური რწმენების ისტორიულ ქრილში შესწავლა საშუალებას იძლევა აღმოვაჩინოთ მისი განვითარების ეტაპები, რომლებიც საზოგადოებრივი წყობილების ფორმებს შეესაბამება“¹.

„მურყვამობა-კვირიაობა“ /სვანურად „ლიმურყუამალ-ლიკურიელ“/ თავისი შინაარსით წინაქრისტიანულ ხანაში ჩამოყალიბებული აგრარული დღესასწაულია, რომელშიც კომპლექსურადაა მოცემული მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებასთან, ნაწილობრივ ნადირობასთან, დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები.

„მურყვამობა“, რომელიც სრულდებოდა ქვემო სვანეთში /ჯახუნდერი, სასაში/ ცნობილი გახდა არს. ონიანის აღწერილობით², ამავე დღესასწაულს აღნიშნულ სოფლებში უწოდებდნენ აგრეთვე „კვირიაობას“ და „მურყვამობა-კვირიაობას“. ამ სახელწოდებიდან ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ „მურყვამობა-კვირიაობას“³.

როგორც ცნობილია, არს. ონიანისეული აღწერილობის არათანმიმდევრულობაზე თავის დროზე ი. ჭავჭავიძემ⁴ მიუთითა, რის შემდეგაც არს. ონიანმა უკეთესად შესძლო ამ დღესა-

1 В Бардавелидзе Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен Тбилиси, 1957, стр; 11

2 არს. ონიანი, ლემნუ ამბვარ..., პეტროგრადი, 1917, გვ. 20-23.

3 მურყვამობა /ლიმურყუამალ ე.ი. კოშკობა/ ერქვა თოვლის კოშკის აშენებანაქცევის წესს და იგი „მურყვამობა-კვირიაობის“ ერთ-ერთ მთავარ რიტუალს წარმოადგენდა.

4 ი. ჭავჭავიძელი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1960, გვ. 65.

სწაულის ფიქსირება¹. მიუხედავად ამისა, იგი დღემდე სრულად არ არის აღწერილი. იგივე ითქმის „მურყვამობა-კვირიაობის“ ზემოსვანური ვარიანტების /ალბა ლაღრალი და სხვა/. შესახებაც /აღმწერნი ს. მაკალათია, ეგნ. გაბლიანი/. არ არის აღნიშნული, რომ „კვირიას საგალობელი“ ამ დღეობებზე პირველად შესასრულებლად რიტუალს წარმოადგენდა და სხვა.

„მურყვამობის“ მეცნიერული ანალიზი პირველად მოგვცა ი. ჯავახიშვილმა², რომელმაც იგი განიხილა არს. ონიანის³, ეგნ. გაბლიანის⁴ და ს. მაკალათიას⁵ ნაშრომთა მიხედვით. სხვადასხვა დროს ამავე საკითხზე ყურადღება გაამახვილეს რაფ. ერისთავმა⁶, შ. ამირანაშვილმა⁷, ვ. ბარდაველიძემ⁸, მ. ჩიქოვანმა⁹, დ. ჯანელიძემ¹⁰, ჯ. რუხაძემ¹¹, და სხვ. მაგრამ, როგორც ასეთი, მურყვამობა, კვირიაობის დღეობების, როგორც ციკლის არსებობა დღემდე დადგენილი არ ყოფილა.

გ. ჩიტაიას უშუალო დავალებით 1963-1967 წლებში შევკრიბეთ მასალები /ზემო და ქვემო სვანეთში/, რამაც გამოავლინა „მურყვამობა-კვირიაობის“, როგორც ბუნების აღორძინების საგაზაფხულო დღესასწაულის მთელი რიგი ახალი ვარიანტები. ამ ვარიანტების ნაწილი სრულიად უცნობი იყო /ქვემო სვანური „ლიდეშდუნალი“- დათვობია, ჩიხარეშის „ლიკურიელი“ - კვირიაობა/, ნაწილი კი არასრულად ფიქსირებული /ქვემო-სვანური „ლიბერორალი“-ბერიკაობა, ზემოსვანური „ალბა-ლაღრალი“ - ალების თამაშობა-სანახაობა, „ლამპრობა-კეისრობა“ და ა.შ./.

1 არს. ონიანი, ლიმურყვამალ, ხელნაწერი, 1934, გვ. 7-11, ინახება საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში.

2 ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63-70.

3 არს. ონიანი, ლუმუნ ამბვარ..., გვ. 20-23.

4 ეგნ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბილისი, 1925, გვ. 126.

5 ს. მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში, „მომომხილველი“, 1926, გვ. 122-139.

6 Р Еристов Зиметки о Сванетии Тифлис 1898 стр 106

7 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 22-50.

8 ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი I, ახალი წლის ციკლი, მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, VI, თბილისი, 1953, გვ. 288-292., მისივე „მურყვამობის“ და „ალბა-ლაღრალის“ აღწერილობები, ხელნაწერები, 1931-1935 წწ.

9 მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბილისი, გვ. 275.

10 Д Джanelidze Грузинский театр Тбилиси 1959; მისივე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბილისი, 1948.

11 ჯ. რუხაძე, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1954.

„მურყვამობა-კვირიაობა საგაზაფხულო აგრარული დღეობების საკმაოდ მოზრდილ ციკლს აერთიანებდა. მასში შედიოდა ქვემოსვანური „მურყვამობა-კვირიაობა“ /ლიმურყუამალ-ლიკურიელ/, „კვირიაობა“ /ლიკურიელ/, „ბერიკაობა-გონჯაობა“ /ლიბეროლალ-ლიგონჯაუალ/, „დათვობია“ /ლიდეშდუნალ/; ზემო სვანური „აღბა ლადრალი“ /აღების თამაშობა სანახაობა/, „ლაამპრობა-კეისრობა“ ანუ „სვიმინობა-კეისრობა“ /სუიმი-ნიშ-კეისრობ და „ლაღამის კრივი“ /ლაღამი ჯგუიბ/.

„მურყვამობა-კვირიაობასთან“¹ დაკავშირებული მასალის სიდიდის გამო ძირითადად ვიხილავთ ქვემოსვანურ „მურყვამობა-კვირიაობას“ და ამასთან ერთად, ზოგადად ვაანალიზებთ ამ დღესასწაულის როგორც ზემო, ისე ქვემოსვანურ ვარიანტებს.

ქვემოსვანური „მურყვამობა-კვირიაობა“ 8 სავალდებულო „წესისაგან“ შედგებოდა. ეს „წესები“ მკაცრად დადგენილი წესით სრულდებოდა.

„მურყვამობა-კვირიაობის“ მთავარი ცერემონიალი სოფ. ჟახუნდერში ტარდებოდა და შესრულების ხასიათის მიხედვით რიტუალები ორ ჯგუფად იყო გაყოფილი. პირველი ჯგუფის რიტუალების /კვირიას სიმღერა, მურყვამობა, ჭიდაობა, ადრეკილა, მორილ-მიაქელა/ შესრულების დროს ლაშხეთის სოფლების ერთი ნაწილი /ჯახუნდერი, ჩუკული, ლემზაგორი/ ეჭიბრებოდა მეორე ნაწილს /სასაში, მებეცი, ლეკოსანდი, მაულდი/. მეორე ჯგუფი /მელია-ტელეფია, ხენე, გიორგის ჯვარი/ კოლექტიურად სრულდებოდა.

ა/ პირველად მზის ამოსვლის წინ, ერთი მხრივ, სასაშის, მეორე მხრივ, ჟახუნდრის გუნდი ერთდროულად ასრულებდა კვირიას საგალობელს². ხალხის რწმენით, ამ დღეს კვირიას სიმღერის კარგად შესრულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა,

1 „მურყვამობა-კვირიაობა“ ყველიერის ხუთშაბათს იწყებოდა და გრძელდებოდა დიდმარხვის პირველ ორშაბათამდე /ჩათვლით/, რომელსაც სვანეთში შავ ორშაბათს ეძახდნენ. ამ დღეს სრულდებოდა დღესასწაულის მთავარი წესები /კვირია, მურყვამობა/ კოშკობა, ჭიდაობა, ადრეკილა, მელია ტელეფია, მორილ-მიაქელა, გიორგის ჯვარი, ხენე/, ხოლო წინა ოთხი დღე ძირითადად საზადისისათვის იყო განკუთვნილი /კოშკების აშენება, ნაძვის ხის მოტანა, მოჭიდავების შერჩევა და სხვა/. შავ ორშაბათს სვანეთში უწოდებდნენ აგრეთვე უკუნ დოშდიშ-ს /„უკუნ“ - ბნელი/, შავი; შემეხ ფხუ ლადალ - შავი გაზაფხულის დღე/. უფრო დანვრილებით ამის შესახებ იხილე ამავე შრომის პირველი ნაწილი. გვ. 1-58.

2 სასაშის გუნდი „საკვირაო გორაზე“ /ლაკურიელ-გოლაი/ ამბობდა სიმღერას. ეს გორა არის ტყიანი ბორცვი, რომლის თავზე ნასაყდრალთან ჟახუნდრის მომღერლები „კვირიას“ დიდ ცაცხვთან ასრულებდნენ. „საკვირიო გორა“ ამ ცაცხვიდან ნახევარი კილომეტრითაა დაშორებული.

რადგანაც იგი უზრუნველყოფდა ოჯახის ბედნიერებას, უხვ მოსავალს და სასურველ ამინდს, საგალობლის შინაარსი ასეთი იყო:

„ცის მონაწილე ხარ კვირია.
მინის მონაწილე ხარ კვირია.
მზე /ვ/ ცისა კვირია.
ბერ /ო/ წყლისა კვირია“

მეორე ვარიანტი:

„მზე /ვ/ ცისა კვირია.
მინა /ვ/ წყლისა კვირია.
ცის მონაწილე ხარ კვირია.
...ო, კვირია, ასე მარჯვნივ!...“

ზემოსვანური ვარიანტი:
„მზე /ვ/ ცისა კვირია.
მინა /ვ/ წყლისა კვირია.
ჰოი კვირია, მზევ კვირია,
მინავ კვირია...“

აქ მოტანილი სასიმღერო ტექსტების შინაარსი უნდა მიუთითებდეს კვირიას, როგორც აგრარული ღვთაების, ბუნებას და ფუნქციაზე, მის კავშირზე მიწასთან, წყალთან, მზესა და ცასთან, კვირიას ბუნების მთავარი საწყისი მინა და წყალი უნდა იყოს. ამას უნდა ასაბუთებდეს ეპითეტები - „ბერ/ი/ წყლისა კვირია“ და „მინა წყლისა კვირია“¹. აქ ზოგადად გადმოცემულია აზრი, რომ კვირია დედამიწის ღვთაებაა² და ამავე საფუძველზე იგი დაკავშირებულია მზესა და ცასთან, ე.ი. ყველა

1 „მინა-წყლისა კვირია“ უნდა გამოხატავდეს იმავეს, რასაც ფშავ-ხევსურული ეპითეტი „ხმელთ მოურავი“, რადგანაც მინა-წყალი ერთ ცნებაა და, ქართველი ტომების რწმენით, იგი გამოხატავს ხმელეთს, საცხოვრებელს, სამკვიდროს. სვანური ეპითეტიც /ბერი/ წყლისა კვირია/ მსგავსი უნდა იყოს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა წარმოდგენებისა იმის შესახებ, რომ კვირიას კარავი ზღვის პირას ედგა. შდრ.იფარში /ზემო სვანეთი/ ახალ წელს ოჯახის უფროსი, მეკვლე კალოზე თოვლის კომპის შემოვლის დროს ლოცულობდა „წლის შემცვლელი დემონის „ბასილ ზღვის კალანდის“ სახელზე/ ვ. ბარდაველიძე, ქართული / სვანური / სანესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953, გვ. 110/.

2 მ. ჩართოლანს შესაძლებლად მიაჩნია, რომ „ადგილის დედა“ და „გორის ანგელოზი“ „ხმელთ მოურავის“ მორჩილნი უნდა ყოფილიყვნენ. იხ. მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1961, გვ. 194.

იმ საწყისთან, რომელიც უზრუნველყოფს ბუნების აღორძინებას, სოცოცხლის განახლებას, ნაყოფიერებას და უხვ მოსავალს. კვირიას, როგორც აგრარული ღვთაების, ბუნებას თვით სიმღერის დანიშნულებაც ადასტურებს.

დროთა განმავლობაში სიმღერის ტექსტი უცვლელი ვერ დარჩებოდა. შეიძლება ამით აიხსნებოდეს ერთგვარი შეუსაბამობა: ერთი მხრივ, „მზეა იგი /კვირია/ ცაზე“ და „მიწა-წყალია ხმელეთზე“, მეორე მხრივ, „ცის მონაწილეა კვირია“, „მიწის მონაწილეა კვირია“.

ეს საგალობელი ძირითადად თოვლის კოშკის, აგრეთვე, ეკლესიის შენობის გარსშემოვლით სრულდებოდა, მას სვანურ სიმღერებში ყველაზე მაღლა აყენებდნენ, რაც კვირია ღვთაების მნიშვნელობაზეც უნდა მიუთითებდეს.

თუ კვირია ბუნების მთავარი ძალების თანამონაწილედ ითვლებოდა, მაშინ, ბუნებრივია, მისი უპირველესი მოვალეობა ნაყოფიერების გამონვევა ყოფილიყო. ამიტომაც, რომ კვირია-სადმი მიძღვნილი დღეობების მთავარ შინაარსს და დანიშნულებას ხალხი ითიფალური პერსონაჟების მოქმედების საშუალებით გამოხატავდა.

ბ/ კვირიას საგალობლის შესრულებასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული დღესასწაულის მეორე წესი „მურყვამობა“ /კოშკობა/. ეს იყო თოვლის კოშკის აშენების და წაქცევის წეს-ჩვეულება, რომელიც ზემო და ქვემო სვანეთში ერთი და იმავე დანიშნულებისათვის, დაახლოებით, ერთნაირად სრულდებოდა. თუ ამ დროს თოვლი არ იყო, მაშინ ნაძვის ხეს აღმართავდნენ და კოშკის მაგიერ მისი წაქცევის ცერემონიალს ასრულებდნენ /სასაში, ჟახუნდერი/. საითაც კოშკი /ან ნაძვი/ წაიქცეოდა, ხალხის რწმენით, საკმაო ნაღეჭი და უხვი მოსავალი იმ მხარეზე მოვიდოდა /ე.ი. დაეყრებოდათ მარცვლეული. ამიტომ იყო, რომ კოშკის თავისკენ /თავის მხარეზე/ წამოქცევა მოწინააღმდეგე ჯგუფისათვის დიდ გამარჯვებად ითვლებოდა¹.

თოვლის კოშკის აგებას მოსავლიანობის დაბედების გარდა სხვა დანიშნულებაც ჰქონდა, ვინც კოშკს უწინ ჩაუყრიდა საფუძველს, ან თავზე მდგნალის ხის ჯვარს გაუკეთებდა, მას „აუცილებლად ვაჟი შეეძინებოდა“.

ზემოსვანური „აღბა ლაღრალის“ მურყვამობის რიტუალში თოვლის კოშკს თავზე დაამაგრებდნენ ფიჭვის ან ნაძვის ხის

1 ქართლ-კახურ ბერიკაობა-ყვენობაში წამქცევი მოჭიდავე გამარჯვებულად ითვლებოდა, მაგრამ მოწინააღმდეგეს რომელ მხარეზე წააქცევდა, ამას არ აძლევდნენ მნიშვნელობას, შდრ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 70.

ბოძს, რომელსაც გამოაწყობდნენ მამაკაცის მსგავსად /ქუდის მაგიერ კალათას ან საცერს დაახურავდნენ, წვერებს გაუკეთებდნენ და ჩამოჰკიდებდნენ ხისგან დამზადებული სარცხვი-ნელი ასოს გამოსახულებას, ხისავე ხმალს და სხვა/.

სვანური თოვლის კოშკის /ან ნაძვის/ ნაქცევის წესის მსგავსი ჩვეულება ჩანს სამეგრელოს სოფელ ბანძაში, ნააღდგომევის ორშაბათს, „ჭვენეირობის“ დღესასწაულზე ეკლესიის ეზოში ხის მოგლეჯის სცენა /„ჯაში სოფუა“/¹.

ამრიგად კვირიას სიმღერის მსგავსად, მურყვამობაც /კოშკის აშენება-ნაქცევა/ იმართებოდა მოსავლის სიუხვის, კარგი ამინდის და შვილთმრავლობის /ვაჟების/ მონიჭების მიზნით. მურყვაში, ნაძვი, ფალოსით მორთული უნდა იყოს სიცოცხლის, ნაყოფიერების ხე.

„მურყვამობა-კვირიაობაში“, საკულტო ხეებად ითვლებოდა ნაძვი, ფიჭვი, მდგნალი და არყი. სვანეთში ყველა მოსახლეს ჰქონდა კალოზე არყის ხის უზარმაზარი კეტი, რომელიც სიუხვის და ბარაქის მომტანად ითვლებოდა. ეს ხე „ამაღლებას“ უნდა მოეჭრათ და მოეტანათ ტყიდან².

რელიგიის ცნობილი ქართველი მკვლევარი ვ. ბარდაველძე მიუთითებს, რომ ხალხური რწმენით, ხეში ღვთაება ცხოვრობდა³. თუშებში ალვის ხესთან ასოცირებული იყო ლაშარის ჯვარი, ხოლო „ჩვეულება მთლად შიშველი ბავშვის, რომელსაც ერთი წელიც არ შესრულებია, წმინდა ხის ქვეშ მეგობრებისა არსებითად ეს არის სიმულაცია ხისგან ბავშვის დაბადებისა. ასეთი ხე „დამბადებელი“ ბავშვებისა თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ტოტემური ხე“⁴.

დროშის ტარადაც საკულტო ხეს იყენებდნენ. „აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში დროშა ითვლებოდა არა ამრტო

1 დღესასწაულზე „კირიელისონის“ გალობით ამოაძრობდნენ ხეს /ეს ხე ყველაზე დიდი უნდა ყოფილიყო/ ეკლესიის გარშემო შემოატარებდნენ და ბოლოს ააყუდებდნენ სალოცავის ახლოს. ხის ტოტების ნამტვრევები ყველას მიჰქონდა შინ, როგორც წმინდა ნაწილები. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი, 1961, გვ. 371-378.

2 „ამაღლება“ /სვ. „ანღლებ“/ ძვე. სტილით მაისის ბოლო რიცხვებში ტარდებოდა. ამ დღეს ღმერთს ეხვეწებოდნენ მოსავლის სიუხვეს. დიდი კეტის გარდა ტყიდან ყველა ოჯახს მოჰქონდა არყის შეფოთლილი ტოტებისაგან დანული იმდენი გვირგვინი, რამდენიც ყანა და სათიბიც ჰქონდა. ამ გვირგვინს „ფიჩუნდი“ ერქვა და იგი ყანის ნაყოფიერების გადიდების მაგიური უნარის მქონე საგნად ითვლებოდა. მას, თითო ცალს, ყველა ყანაში და სათიბში ამაგრებდნენ.

3 В Бардавелидзе Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен Тбилиси 1957 стр 69

4 В Бардавелидзе Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен Тбилиси 1957 стр 65

ღვთაების უდიდეს სიმბოლოდ, არამედ მის განსახიერებადაც¹. ასევე უნდა ყოფილიყო სვანების რწმენაც. ამას უნდა ადასტურებდეს „მურყვამობა-კვირიაობაში“ დროშების /ქვ. სვანეთი/ და „დურშაის“² /ზემო სვანეთი/ სავალდებულო ტარების ცერემონიალი. დროშა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. გენეტურად დაკავშირებული იყო საკულტო ხესთან³. დროშები რელიგიურ დღეობებზე, საღვთო საგნის გარდა, ზალაუფლების ნიშნის მატარებელიც ყოფილან⁴.

სიცოცხლის ხის მოტივს სვანეთში თოვლის კოშკის, ნაძვისა და ბოძის გარდა სხვა პარალელებიც მოეპოვება⁵. გ. ჩიტაიას აზრით, სიცოცხლის ხის მოტივია სვანეთში საახალწლოდ შესრულებული გრაფიკული გამოხატულება „თხები ჭამენ ფიჭვს“, რომელსაც ქალები ხატავენ, ხოლო ნახატი პრიმიტიული ტექნიკით სრულდება, რაც ამ მოტივის უძველეს წარმომობაზე მიუთითებს⁶. სიცოცხლის ხის⁷ და მისი სიუჟეტის ანალოგებს წარმოადგენს საქართველოში დიდად გავრცელებული ხის კულტი საზოგადოდ, ხოლო, კერძოდ ხევსურული მეგრელაურის მირონიანი მუხა, ფშაური ლაშარის ჯვარის ოქროს შიბიანი ბერ-მუხა, მცხეთის „სვეტიცხოველი“, მარტვილის ჭყონდიდი,

- 1 В Бардавелидзе Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен Тбилиси 1957 стр 65
- 2 დურშაი /დროშა/ იყო ფიჭვის ხის დიდი კეტი, რომელსაც თავზე ჰქონდა ლითონის ბუნიკი /ბურთულა/ და ნითელი აბრეშუმის ნაჭრები ეკიდა. „აღბალადრალის“ დღესასწაულზე ეს კეტი ხელმართული უნდა ეტარებინათ სოფლიდან სოფლამდე, რაც ფიზიკურად საშუალო შეძლების კაცს არ შეეძლო, ამიტომ „დურშაის“ დამაკვებლად ფიზიკურად ძლიერ მამაკაცს არჩევდნენ /კეტი სიგრძისთ 10-12 მეტრამდე აღწევდა/.
- 3 В Бардавелидзе, დასახელებული ნაშრომი, გვ. 65.
- 4 ს. ბარაველი, ქართული დროშები, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XII, 116, 1951, გვ. 378.
- 5 ი. კ. სურგულაძის აზრით, „დედაბოძი“ იდეურად გამოხატავს სიცოცხლის ხის მოტივს. იგი არის კოსმოგონიური ხის სიმბოლური მოდელი. ამავე ავტორს საცხოვრებლის შიგნით წმინდა ხის თაყვანისცემა ადრეულ მითათმომქმედების ეპოქაში წარმოშობილად მიაჩნია. იხ. И К Сургуладзе. Астральная символика в грузинском народном орнаменте. Автореферат. Тбилиси, 1967, Стр; 21-22.
- 6 გ.ს. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ვნიშკის მოამბე, ტ. X, თბილისი, 1941, გვ. 313-320. მისივე ლაზური ორნამენტი, ძეგლის მეგობარი, 1967, #12, გვ. 77-79.
- 7 სვანური „კამარაი“ სიცოცხლის ხის მოტივს ყველაზე უფრო სრულად გამოხატავს. იგი წარმოადგენს ორი-ორნახევარი სიმაღლის ხეს ან ხის შტოებისგან მორკალულ ლანადგარს, რომელიც დახუნძლულია ყოველნაირი ხილით, განსაკუთრებით ყურძნით. მას თავზე ახურავენ პურის თავების შეკვრას, ჩამოჰკიდებენ მზის და მთვარის გამოსახულებებს, ყველისგან გაკეთებულს და ამ „კამარაის“ დგამენ მიცვალებულის საპატივცემულოდ დადგმულ სუფრაზე.

მეგრული „კელაპტარი“ /მიცვალებულის ხე/, ბავშვის სახელზე ხის დარგვის ჩვეულება გურიაში, დასავლეთ ქართული ჩიჩილაკი, ხემხვივანი /ვაზის/ და მრავალი სხვა¹.

სვანური „სიცოცხლის ხის“ მოტივი, საქართველოს გარდა პარალელებს პოულობს მცირე აზიის ქვეყნებში, მესოპოტამიასა და ეგვიპტეში.

ირკვევა, რომ თოვლიანი ხე /მურყვამი/, ნაძვი, ნაყოფიერების ემბლემებით მორთული ბოძი, უნდა ყოფილიყო ნაყოფიერების ღვთაების გამომსახველი, მსგავსად იმისა, როგორც ძველი ბერძნები თაყვანს სცემდნენ დიონისეს-ხეს, რომელსაც გამოსახავდნენ შიშველი ბოძის სახით, უხელოდ, მანტია წამოხურულად, თავზე ფოთლების გროვით და წვერით². ეგვიპტეშიც ბოძების გამართვა ხდებოდა რამდენიმე ღვთაების /მინას, ამონის და ოზირისის/ სახელზე. ამათგან მინას ბოძი გააზრებული იყო, როგორც ფალოსი, ოზირისის კი - როგორც მისი ჩონჩხი³. მინას და ამონის კულტები ნაყოფიერების ღვთაება ოზირისის კულტს დაუკავშირდნენ და ა, საფუძველზე მათი ბოძები ფალოსებად იქნა გააზრებული⁴. ასევე ცნობილი იყო მცირე აზიაში ატისის, პალესტინაში აშერის და სხვა ღვთაებათა ბოძები⁵. „მურყვამობა-კვირიაობის“ დღესასწაულზე ეწყობოდა მურყვამის, ნაძვის ან ბოძის აღმართვა და თოვლის კოშკზე დამაგრებულ დიდ ბოძზე ასვლის რიტუალი /ლაღამის კრივი, აღბა ლაღრალი/, რაც გამომხატველი უნდა ყოფილიყო ზამთრისა და ზაფხულის ჭიდილის, ნაყოფიერების ღვთაებისა და მცენარეულის აღდგომის, საქართველოს ფარგლებს გარეთ ეგვიპტეშიც არსებობდა „ოზირისის სვეტის აღმართვის“ დღესასწაული. ეს დღესასწაული მორეს და ფრებერის მიერ გააზრებულია, როგორც ოზირისის მაგიური აღდგომის დღესასწაული⁶.

ჩვენს შორეულ წინაპრებს სწამდათ, რომ სულიერ და უსულო საგნებში ცხოვრობდა ღვთაება, როგორც სული სხეულში. ისტორიის გრძელ მანძილზე ფეტიშისტური რწმენების ბუნების განვითარებულ კულტთან შერწყმის ნიადაგზე ბოძები /მცენარეები, თოვლის კოშკი, ქვის სვეტები/ ადამიანმა გაიზიარა, როგორც ღვთაების გარეგანი გამოხატულება. გერმანელი

1 გ. ჩიტაია, ლაზური ორნამენტი, იქვე, გვ. 77-79; В Бардавелидзе, დასახელებული ნაშრომი, გვ. 54-81.

2 Дт. Фрезер. Золотая ветвь. вып. III. Москва. 1928. Стр. 102.

3 Ю Францев фетишизм и проблемы происхождения религии Москва, 1940, стр; 23-25

4 იქვე, გვ. 25;

5 იქვე, გვ. 26.

6 Ю Францев фетишизм и проблемы происхождения религии Москва 1940 стр 22-23

მეცნიერი კ. ზეთე აღნიშნავდა, რომ ადამიანი თითონაც აკეთებდა ღვთაების ადგილსამყოფელს.¹ როგორც ჩანს, იგივე ხდებოდა საქართველოშიც. ვითინი² /ადამიანის სიმაღლე სალოცავი ნიში, კოშკი/ შენდებოდა, როგორც საკულტო ნაგებობა, ღვთის საცხოვრებლად. მართლაც სვანეთში ბარბალ დოლაშის სალოცავი კოშკში იყო მოთავსებული. თუშეთში, ფშავსა და ხევსურეთში სალოცავები იგივე კოშკებია. საქართველოს ფარგლებს გარეთ დამონმებულია მსგავსი პარალელები. მესოპოტამიაში ცნობილი ციხე-კოშკები-ზიკურატები საკულტო ნაგებობებს წარმოადგენდნენ და ა.შ. მართლაც, როგორც ქვემოსვანური ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, კოშკი სალოცავ და ღვთის სადგომ /წმინდა/ ნაგებობად ითვლებოდა. ზოგი ოჯახი ქალსაც კი უკრძალავდა მასში შესვლას. კოშკს ღვთის შიში ადამიანები არ არღვევდნენ, რადგანაც მათი რწმენით ეს ვაჟიშვილებს სიკვდილს გამოიწვევდა. ასევე სახიფათოდ ითვლებოდა სახლის ეზოში ხის მოჭრა ანალოგიური შედეგის შიშით.

როგორც ჩანს, მურყვამის და ხის ერთ ასპექტში წარმოდგენა ხალხის ცოცხალ ყოფაშიაც დასტურდება.

სვანური სახლი და კოშკი ერთი და იმავე ტიპის ნაგებობები ჩანან. სვანური სახლი საცხოვრებელია, მაგრამ მის შიგნით სალოცავი ადგილიც გამოყოფილი იყო. არსებობდა საცხოვრებელი კოშკებიც. ისინი /სახლი და კოშკი/ ასრულებდნენ საფორტიფიკაციო დანიშნულებასაც. საგულისხმებელია, რომ ქრონოლოგიურადაც ისინი ერთმანეთისაგან /წარმოშობის მხრივ/ დიდად არ უნდა იყვნენ დაშორებული და ორივე სახის ნაგებობების წარმოშობა ქრისტიანობის წინა ხანას უნდა ეკუთვნოდეს, ხოლო, ჩვენი წელთაღრიცხვით VII საუკუნეში „სუანთა სოფლის ციხის“ ბიზანტიელი ისტორიკოსის მიერ მაქსიმე აღმსარებლის ტყვეობის ადგილად მოხსენიება, არ უნდა იყოს შემთხვევითი. ეს უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ამ

1 K. Sethe, *Umgeschichte und älteste Religion dem Agupstem*, Leipzig, 1930, s.15.

2 „ვითინ“-ი ეს არის ქვითკირის პატარა კოშკი /რომელიც სიდიდით განსხვავდება ციხე-კოშკისაგან/. იგი ხატის, ჯვარის, საერთოდ ღვთაების საბრძანებელ ადგილად ითვლებოდა. სიდიდით იგი არ განსხვავდება „მურყვამობა-კვირაობის“ დროს აშენებული თოვლის კოშკისაგან, და, ჩანს, მისი ახლო პარალელია. მის შემდგომ განვითარებას უნდა წარმოადგენდეს დიდი ციხე კოშკები. საფიქრებელია, კოშკების, როგორც კათამწვდენი ნაგებობების სახით ქართველი ტომები გამოხატავდნენ ღვთაების გარეგანი გამოხატულების /კოშკის/ მიმართებას ცასთან, რომელიც ღვთაებათა ასტრალიზაციის გარკვეულ საფეხურზე, მათ ადგილსამყოფელად იქნა მიჩნეული.

დროს არსებობდა ციხეები /კოშკები/ სვანეთში¹.

მურყვამს /კოშკს/ რომ სიუხვესთან, ბარაქასა და მოსავლის დაზვინვა-დახვავებასთან აქვს კავშირი და რომ იგი ნაყოფიერების სიმბოლოა, ამას ადასტურებს სვანეთში გავრცელებული საახალწლო რიტუალი: კალოზე, შუა ადგილას, თოვლის „ზვინის“ ან კოშკის დადგმა და მასზე დატოტვილი ხის დამაგრება, რაც უხვი მოსავლის დაბევების მიზნით კეთდებოდა. ამ კოშკს, რომელსაც კალოზე დგამდნენ, მურყვამს ეძახდნენ. ვვარაუდობთ, რომ აქ უნდა ჰქონდეს სათავე სვანეთში ნამდვილი ციხე-კოშკების საკულტო ნაგებობად /ოჯახის სიმრავლის, მოსავლის სიუხვის, მონიჭების სახელზე სალოცავად/ გადაქცევას. ეს უფრო სარწმუნოდ ხდის იმ აზრს, რომ ნაყოფიერების ღვთაებას დაუკავშირდა ოჯახის ღვთაების ფუნქციებშიც, რასაც ამაგრებს ფშავ-ხევსურული მასალებში ფიქსირებული კვირიას ეპითეტები - „ხმელთმოურავი“ და „კარავიანი“. რომლებიც ამ ღვთაებას მიწიერ სამყაროს და საცხოვრებელ ბინასთან აკავშირებს², ხოლო ოჯახთან მიმართებით კვირიას, როგორც ნაყოფიერების მამაკაცი ღვთაების, ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია უნდა ყოფილიყო შვილთმრავლობის /ვაჭიშვილების/ უზრუნველყოფა. შეიძლება ამით აიხსნებოდეს სვანეთში არსებული წესი: ბევრი შთამომავლის პატრონი, ღრმად მოხუცი, მამაკაცის გასვენების დროს ასრულებდნენ კვირიას საგალობელს, რაც კვირია ღმერთის „დამსახურების“ სამადლობელი უნდა ყოფილიყო.

რაჭის სოფელ სორში „ნაციხურობის“ სახელწოდებით ცნობილია ხატობა-დღესასწაული. იგი ტარდებოდა ნააღდგომევს, სამი კვირის განმავლობაში ყოველ ორშაბათს. სადაც ეს დღეობა იმართებოდა /გადმოცემით/, იქ ციხე და ეკლესია იდგა. „ნაციხურობა“ სოფელ სორის ვაჟების ბედზე იყო დაწესებული. დღესასწაულის დასასრულს დღეობის მონაწილენი ქალები

1 VII საუკუნის იერუსალიმელი მონაზონის თეოფანე განგრელის მიერ დაწერილი მოგონება /668-669 წ./ მაქსიმეს შესახებ მოყვანილია საეკლესიო მუზეუმის #97 ხელნაწერი, სადაც 548 გვერდზე წინადადების „დაწარიყვანეს ანასტასიოსის ციხესა სუანთა სოფლისასა“, გასწვრივ XI საუკუნელით, არშიაზე მიწერილია დაზუსტების მიზნით „სუანთა სოფლის ციხე, რომელ არს მური“. ს. ყაუხჩიშვილის ეს შენიშვნა, რომელიც გეორგიას IV ტომშია მოყვანილი, გვაფიქრებინებს, რომ მურის ციხეები რომლებიც სვანური ციხე-კოშკების იდენტური არიან, უკვე არსებობდნენ ამ დროს. იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, თბ. 1940, გვ. 56.

2 ვ. ბარდაველიძე, ქართველი ტომების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაგანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. X, თბილისი, 1959, გვ. 169.

და კაცები - ცეკვით და ფერხულით ათენებდნენ ღამეს¹.

„ნაცხურობა“ მიღებულია სიტყვისაგან „ციხე“, რომელიც კოშკის სინონიმია. სახელის ამდაგვარი წარმოება /ნაცხურობა/ მიუთითებს იმაზე, რომ არსებულია დღესასწაული „ციხობა“ /მდრ. კოშკობა, მურყვამობა-„ლიმურყუამალ“/ და მის გამეორებას მომდევნო პერიოდში ეწოდება „ნაცხურობა“ /ე.ი. „ციხობის“ გამეორება/. სვანეთში დღემდეა დარჩენილი რელიგიური დღეობების სახელწოდებათა მსგავსი წარმოება. დანიშნულ დროს ჩატარებული დღეობის გამეორება /განახლება/ ხდება მეორე ან მეშვიდე - მერვე დღეს. ასე მაგალითად: „ლიგერგი“ გამეორების შემთხვევაში იწოდებოდა, როგორც „ნაგერგ“, ქაშუეთობა - „ნაქშაუეთ“, მურყვამობა - „ნამურყუამალ“ და ა.შ.

„ნაცხურობა“ სვანური „ნამურყუამალის“ შესატყვისი ჩანს და მიუთითებს იმაზე, რომ არა მარტო სვანეთში ტარდებოდა ეს დღეობა რამდენიმეჯერ წელიწადში, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებშიც, რაც უნდა მიუთითებდეს ამ დღეობებზე სადიდებელი ღვთაების ვეგეტატურობაზე. ის ფაქტი, რომ „ნაცხურობა“ ვაჭების ბედზე იმართებოდა, კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ეს დღესასწაული „მურყვამობა-კვირიაობის“ ერთ-ერთი ვარიანტი იყო.

როგორც ირკვევა, რიტუალი „მურყვამობა“ მიუთითებს ნაყოფიერების ღვთაების ვეგეტატურ ბუნებაზე და გამოხატავს „მურყვამობა-კვირიაობის“ მთავარ დანშნულებას.

გ/ „მურყვამობა“ - კვირიაობის „რიგით მესამე შესასრულებელ „სავალდებულო წესს“ წარმოადგენდა „ჭიდაობა“. ამ დღესასწაულისათვის მოჭიდავე ფალავნების წვრთნას ერთი თვით ადრე იწყებდნენ. დღესასწაულის დღეს მოწინააღმდეგე ბანაკებად დაყოფილ სოფლებს /ერთის მხრივ, სასაშის, მეორე მხრივ, ჟახუნდრის მეტაურობით/ გამოჰყავდათ მოჭიდავეები და ერთმანეთის პირისპირ აყენებდნენ. ყველაზე ძლიერ მოჭიდავეებს „კეისრებს“ ეძახდნენ. ბრინჯაოს საყვირის დაკვრით „სუმრის“ მეთაური ჭიდაობის ნიშანს იძლეოდა. გამარჯვებულ „კეისარს“ თავისიანები „ვაშას“ ძახილით ხელში აყვანილი შემოატარებდნენ მოედანს. ჭიდაობაში გამარჯვებას დიდ მნიშვნელობას აძლევდა ხალხი. ამ რიტუალის დანიშნულება ნაყოფიერების გამოწვევა უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც ეს ზემოსვანურ „აღბა ლაღრაღშია“ /„საქმისაის“ და „ყაენის“ ჭიდაობა/. მოჭიდავე ფალავნები ითიფალური პერსონაჟების განმასახიერებელი უნდა ყოფილიყვნენ. ამას ადასტურებს, აგრეთვე, სოფელ ლახირის „ლამპრობა-კეისრობის“ მთავარი

1 Н. Миндели. Селение Сори. СММПК, XIX, стр. 116-117.

პერსონაჟი „კეისარი“, რომელიც ნაყოფიერების გამოწვევის მიზნით ისეთსავე იღეთებს ასრულებდა, როგორსაც ბერიკა, საქმისაი და ყაენი. ჭიდაობის ამგვარ ხასიათსა და დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს ამ დღეობის ყველა მონაწილის „მინაზე გაგორების“ სავალდებულო წესი. დღეობის ყველა მონაწილეს „სუმრის“ მეთაურისათვის უნდა ეთქვა: „გამრავლდით“ და თან ერთხელ მაინც მინაზე უნდა გაგორებულიყვნენ. როგორც ჩანს, მინაზე გაგორებას მაგიური მნიშვნელობა ჰქონდა და მინის ნაყოფიერების გამოწვევის მიზნით სრულდებოდა. მინაზე გაგორების ჩვეულება უნდა დადებოდა საფუძვლად ჭიდაობას, რითაც ეს წესი თავისი შინაარსით და დანიშნულებით მურყვამის წაქცევის რიტუალს ემსგავსება¹.

დ/ დღესასწაულის მე-4 „წესი“ იყო „ადრეკილა“. ეს სიმღერა-ფერხული სრულდებოდა ორი თანაბარრიცხოვანი გუნდისაგან /რვა-რვა ან თორმეტ-თორმეტი მამაკაცი/, რომლებიც ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. თითოეულ გუნდს თავისი მეთაური ჰყავდა. მეთაურს ხელში ჯოხი ან წკნელი /იშვიათ შემთხვევაში ხის ხმალი/ ეკავა. სიმღერას იწყებდა ერთ-ერთი გუნდი, რომელიც ემუქრებოდა მეორე გუნდს თავზე, ბეჭებზე, მკერდზე, მუცელზე, სასქესო ორგანოებზე, თეძოებზე და ფეხებზე ცემით. მეორე გუნდი ზუსტად იწყებდა ასე: „ადრეკილა“ წაგვივიდა და მოგვივიდა, შეგჩა და მისი, ოო, ამას /ე.ი. ჯოხს/ დაგარტყამთ“ და ა.შ. ჩამოთვლიდნენ ადამიანის ყველა ასოს, როგორც ზემოთ არის ნათქვამი. სიმღერის დამთავრებისთანავე მოპირდაპირე მხარეები ერთმანეთს ეცემოდნენ, ძლიერი და სწრაფი მიწოლით მწკრივის გარღვევას ცდილობდნენ, თუ მწკრივს გაარღვევდნენ, მაშინ მოპირდაპირე ჯგუფიდან ტყვედ მიჰყავდათ იმდენი მომღერალი, რამდენსაც მოახერხებდნენ. სიმღერა, ისევე როგორც „ბრძოლის“ სცენა, რამდენჯერმე მეორდებოდა. ორივე გუნდი ცდილობდა, აგრეთვე, ერთმანეთისათვის წაერთვათ ქუდი, ქამარი, ჩოხის მასრები და სხვ. „ბრძოლის“ მსგავსი სცენები სრულდებოდა ზემოსვანურ „აღბა ლაღრაღსა“ და „ლაძპრობა-კეისრობაშიც“.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ადრეკილაის“ ფერხულის დაცული ნაწილის სიტყვები დამარცხებული მხარის მეთაურის გამაწილებელ სიმღერას უნდა წარმოადგენდეს, ხოლო

1 ვ. ბარდაველიძეს საახალწლო ხულის რიტუალში /ზემო სვანეთი/ დამონებული აქვს მსგავსი ჩვეულება. ხულზე შემჯდარ ბავშვს კერის ირგვლივ სამჯერ შემოატარებდნენ, რის შემდეგაც ხულის დამტარებლები მინაზე დაეცემოდნენ და ხულსაც და ბავშვსაც ძირს დასცემდნენ. ვ. ბარდაველიძე, ქართული /სვანური/ საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბილისი, 1953, გვ. 14.

ამ ფერხულის პირველი და უეჭველია, მთავარი, სახელდობრ, გამარჯვებული მხარის „ადრეკილას“ მადიდებელი ნაწილი, ამჟამად დაკარგული უნდა იყოს ან ჩაწერილი არ არის“¹. საქმე ისაა, რომ, აქ ორი ჯგუფი, ორი გუნდი არის ერთმანეთთან დაპირისპირებული ისევე, როგორც კოშკის ნაქცევის, ჭიდაობის და კვირიას საგალობლის რიტუალებში და გამარჯვების საკითხი წყდება იმის სასარგებლოდ, ვისაც „ბრძოლის“ საფუძველზე გუნდის წევრთა მეტი რაოდენობა რჩება. ამ რიტუალსა და „მურყვამობა-კვირიაობის“ დანარჩენ წესებში, ორ ჯგუფს შორის „ბრძოლის“ ინსცენირება ერთ-ერთი ყველაზე ძველი კომპონენტი ჩანს. იგი უნდა იყოს გამომხატველი სქესთა შორის ოდესღაც „ნამდვილად არსებული შეჭიბრებისა და ბრძოლისა, რომლებმაც დროთა განმავლობაში დაკარგეს პირვანდელი მნიშვნელობა და სარიტუალო ხასიათი შეიძინეს“².

რაც შეეხება „ადრეკილა“ -ს. ივ. ჯავახიშვილმა იგი მიიჩნია ითიფალობის გამომხატველ სახელად, რომელიც პირველიყოფილი მოუხეშაობით მიუთითებს ფალოსის ერექციულ მდგომარეობაში ყოფნაზე³ /ადრე კილა წაგვივიდა და მოგვივიდა/. ხოლო სიტყვები: „შეგჩა და მისი, შეგჩა და მისი“ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გამოხატავდა სქესობრივ აქტს /koitus-ს/. გუნდის მეთაურობით ხელში დაკავებული ჯოხები /ან ხის ხმლები/ და თვით სასქესო ორგანოებზე ცემით დამუქრება პარალელური უნდა იყოს მელია ტელეფიას მეთაურის /ჯუხ-ჯუხის მთქმელის/ ჯოხის /ან წკნელის/ და ზემო სვანური „საქმისაის“ ხის შამფურებისა, რომლებითაც ჩხვლეტდნენ დღეობის მონაწილეებს /უმეტესად ქალებს/. ანალოგიური წესი ვ. ბარდაველიძის მიერ დადასტურებულია სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქართლში. ახალი წლის წინა ღამეს სარიტუალო განატეხების ღორის კანჭით და სუფთა ჩხირით ჩხვლეტა, მკვლევარს სქესობრივი აქტის გამომხატველი და გამრავლებისათვის წარმოებულ მაგიურ მოქმედებად მიაჩნია⁴.

„ადრეკილაში“, ისე როგორც სხვა რიტუალში, ბევრი რამ დაკარგული და შეცვლილია, მაგრამ დარჩენილი ნაწილიც წა-

1 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

2 რუსი საბჭოთა მეცნიერი ი.ი. სემიონოვი მსგავს ჩვეულებებს წინაგვაროვნულ ხანაში უდებს სათავეს, რომ რიტუალური სეჭიბრებები მამაკაცებსა და დედაკაცებს შორის მიმდინარეობდა პრომისკუიტეტულ დღესასწაულებზე და მთავრდებოდა საყოველთაო სქესობრივი აღრევით. აქედან წარმოიშვა რიტუალური წესი ბრძოლისა /შეჭიბრებისა/ სქესებს შორის.

3 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67. /1928 წლის გამოცემა/.

4 ვ. ბარდაველიძე, ქართული /სვანური/ საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, 1953, გვ. 134.

რმოდგენას გვაძლევს მის ფალიკურ ხასიათზე. ჩანს, იგი ორგანული ნაწილია ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი აგრარული დღესასწაულისა.

ე/. მელია-ტელეფია¹ /მე-5 წესი/ „მურყვამობა-კვირიაობის“ ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა.

„მელია ტელეფიას“ ჯგუფის /რომლის რაოდენობა არ იყო განსაზღვრული/ წინამძღოლად ხუმრობისა და მსახიობობის უნარის მქონე კაცს ირჩევდნენ. მას ბეროლისა და საქმისაის მსგავსად გამოაწყობდნენ; ჩამოჰკიდებდნენ სარცხვინელი ასოს ხის გამოსახულებას, ხელში წკნელს ან ჯოხს მისცემდნენ და ძონძებს შემოახვევდნენ. ერთმანეთის უკან დამდგარი მონაწილენი სიმღერა-რეჩიტატივით ირგვლივ უვლიდნენ მინდორს /სუფს/. „ჯუხ-ჯუხის“ მთქმელი ემუქრებოდა ქალებს რომ მათთან სქესობრივ ურთიერთობას დაამყარებდა და თან ჯოხს უქნევდა „ჯუხ-ჯუხის“ /ჯუჰ-ჯუჰის/ ზახილით. მწკრივში დამდგარი მამაკაცები შემოსძახებდნენ: „მელია-ტელეფია“, ოჰ, ოჰ, დაბლა ლაჩოშლია /თხასთან სქესობრივი კავშირის დამყარება/. ელია და მელია, ჩიტიც მოგვინველია, კათხა ჩაგვინვეპნია“²... „მელია-ტელეფიას“ სიმღერის სრული ტექსტის აღდგენა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა, მაგრამ აქ მოყვანილი მასალითაც ირკვევა, რომ „მელია ტელეფიას“ რიტუალს ფალიკური ხასიათი ჰქონდა და იგი ნაყოფიერების გამონვევის მიზნით სრულდებოდა. ჯუხ-ჯუხის ძახილი, ჯოხით ჩხვლეტა, თხასთან სქესობრივი ურთიერთობის გამომხატველი სიტყვების გაშიშვლებული ფორმით წარმოთქმა, „მელია-ტელეფიას“ მეთაურის მიერ ფალოსის ხელში დაკავება ამტკიცებს, რომ „მურყვამობა-კვირიაობის“ წეს-ჩვეულებებიდან ამ რიტუალში ყველაზე დამახასიათებელია ითიფალური მოტივები.

„მელია-ტელეფია“ რთული სიტყვაა, მისი ახსნა პირველად სცადა ივ. ჯავახიშვილმა. ტელეფია ქართულ სიტყვად აღიარა და გაავლო პარალელი ტულაობასთან, რომელიც საბას სი-

1 მელია ტელეფიას სახელწოდებით საბავშვო თამაში დღემდე სრულდება ლაშხეთ-ჩოლორში. მსგავსი საბავშვო თამაში, „მელია კურკუტობის“ სახელით, ლეჩხუმშიც იცოდნენ.

2 წინადადებები - „ელია და მელია, ჩიტიც მოგვინველია, კათხა ჩაგვინვეპნია“ - გამეორებულია ცნობილ სვანურ სიმღერაში - „იავ ქალდი ბებუცია“. ეს სიმღერა თავისი შინაარსით, განსაკუთრებით, ბილწსიტყვაობით, უწმანური ხასიათის გამოთქმებით დიდ მსგავსებას ავლენს „მურყვამობა-კვირიაობის“ რიტუალებთან. ამ სიმღერაში უძველეს მოტივებთან ერთად ჩართულია ახალი ამბებიც: დადიანის სტუმრობა. გურიელის გაქცევა და სხვა. /საფიქრებელია, რომ „იავ ქალდი ბებუცია“ ოდესღაც სრულდებოდა, როგორც მურყვამობა-კვირიაობის ორგანული ნაწილი და ამ საფუძველზე მოხდა სიტყვებისა და წინადადებების გადატანა ერთიდან მეორეში/.

ტყვით = „ფუვილით ძვრას“ ნიშნავდა და მეორე მხრივ, „თევზთა პეპლვას“. ე.ი. სქესობრივ კავშირს¹.

ივ. ჯავახიშვილმა, მას შემდეგ, რაც მე-14 საუკუნის /ქრისტეს უწინარეს/ ხეთური ლურსმული ტექსტი აღმოჩნდა, რომელშიაც ნაყოფიერების ღვთაება ტელეფინუშის შესახებაა მოთხრობილი, სვანური ტელეფია ტელეფინუშს დაუკავშირდა². სვანურ ტელეფიას და ეტრუსკების ტელაეფას შორისაც დიდი მსგავსება შეინიშნება³.

საფიქრებელია, რომ მართლაც ერთმანეთს უკავშირდებოდნენ პროტოხეთების ტელეფინუში /ტელეფინი/, ეტრუსკების ტელეფასი და სვანური ტელეფია, მაგრამ საყურადღებო ჩანს შედარება სიტყვების „მელა, მელა კურკუტალა“ და „მელია ტელეფია“, - აქ ერთი და იმავე შინაარსის გამოხატვასთან ხომ არა გვაქვს საქმე?...

„მელია-ტელეფიაში“ რომ ნამდვილად მელიას სახით მელა იგულისხმება და არა სხვა, ამას ადასტურებს ამავე სახელწოდებით დღემდე არსებული საბავშვო თამაშობა „მელია-ტელეფია“. მისი შინაარსი ასეთია: ბავშვები დაეწყობიან მწკრივად. წინ დააყენებენ ყველაზე მაღალ ბავშვს, რომელსაც ლაშხეთში „ტელეფიას“, ხოლო, ჩოლურში „ბაბა-ს“ ეძახიან. ერთ-ერთ ბავშვს აირჩევენ მელას როლის შემსრულებლად. „მელა“ მივა „ტელეფიასთან“ და ეკითხება: „კვიცი დამეკარგა და ხომ არ გინახავსო:/ „ტელეფია“ უარით ისტუმრებს, მაშინ „მელა“ ეჯახება „ტელეფიას“ მწკრივს, რათა ერთ-ერთი ბავშვი ტყვედ ჩაიგდოს და თავისთან გააჩეროს. თუ ბავშვი წაართვა, მაშინ ცდილობს კვლავ ხელთ იგდოს ტყვე, ასე გრძელდება მანამ, სანამ არ გადაწყდება გამარჯვების საკითხი. თამაშის დასასრულს გამარჯვებულად ითვლება ის, ვისაც მეტი ბავშვი დარჩება⁴. ეს საბავშვო თამაში შინაარსით უფრო მეტად ჰგავს „ადრეკილას“, ვიდრე სხვა რიტუალებს, რაც „მელია-ტელეფიას“ და „ადრეკილას“ იგივეობაზე უნდა მიუთითებდეს. ეს ადასტურებს ივ. ჯავახიშვილის ვარაუდს იმის შესახებ, რომ თავდაპირველად „ადრეკილას“ „მელია-ტელეფიას“ დღესასწაულის ერთ-ერთი

1 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68 /1928 წ. გამოც./

2 მისივე, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. თბილისი, 1937, გვ. 243-250.

3 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 23. შდრ. M Sehecherteyen, gItphasatel etishen mien 1929

4 ლეჩხუმში /სოფ. ზოგიში/ ასეთივე საბავშვო თამაშობა იცოდნენ „მელაკურკუტობიას“ სახელწოდებით. აქაც ერთ-ერთი ბავშვი მელას როლს ასრულებდა, ხოლო ყველაზე მაღალ ბავშვს მწკრივის თავში დააყენებდნენ და მას „მეთაურს“ ეძახდნენ.

ნაწილი უნდა ყოფილიყო¹.

ტელეფია ითიფალური პერსონაჟია, რომლის შესახებაც უფრო დანვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა მელიას /მელას/ მნიშვნელობის გარკვევა².

სვანეთში მელას კულტის არსებობას უნდა ადასტურებდეს „აულმაულის“ რიტუალი, რომელიც ყველიერის კვირას იმართებოდა /ლაშხეთში ამ რიტუალს „მელიის ტაბლა“ ეწოდება/. ამ დღეს დიასახლისი აცხობდა დიდ ხაჭაპურს, რომელიც ბავშვებს უნდა წაეღოთ ყანაში ან ტყის პირას. ისინი ღმერთს ეხვეწებოდნენ, რომ მელა აერიდებინა მათი ქათმებისათვის, ტაბლას კი იქვე ტოვებდნენ მელასათვის.

მსგავსი რიტუალი დამონმებულია რაჭაში სახელწოდებით „მელა კურკუტალობა“, რომელიც აქ დიდმარხვის პირველი კვირის შაბათს იმართებოდა. აქაც ტაბლებს ყანაში ან ტყის პირას შეალოცებდნენ მელას სახელზე. კვერებს ბავშვები მალა /ჰაერში/ ისროდნენ და თან იძახდნენ: „მელა, მელა კურკუტალა, თხის სურა და სამოსელა, ჩვენს ქათმებსა ნურას ერჩი, სხვის ქათმები წაიღეო“³. ამ წარსათქმელში „მელა კურკუტალა“ უნდა ნიშნავდეს ფალოსიან მელას“. /კურ სვანურად ხვადს ნიშნავს, ხოლო კუტალა მამრობითი სასქესო ორგანოს სახელი ჩანს/.

ზემოთ მოყვანილი შედარებიდან ჩანს, რომ ლეჩხუმში, „მელა კურკუტობია“ /საბაშვო თამაში/ და რაჭული „მელა კურკუტალობა“ /რიტუალი/ ერთნაირი სახელწოდებებია და ორივე ისინი სვანური „მელია ტელეფიას“ ვარიანტები უნდა იყვნენ⁴.

„მელია ტელეფიას“ სასიმღერო ტექსტი დამონმებული თხასთან სქესობრივი ურთიერთობის გამომხატველი სიტყვები, დღესასწაულის სხვ. იფითალური პერსონაჟებისათვის /ბეროლი, საქმისაჲ, ყაენი, კვისარი/ თხის ტყაპუჭის ჩაცმის სავა-

1 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 63.

2 საქართველოს გარდა, მელას კულტი ცნობილი იყო სხვა ქვეყნებშიც - ჩინეთში ნოველებიც კი იწერებოდა დედაკაცების და მელების სიყვარულზე, ხოლო საბერძნეთში დიონისეს /თხის გარდა/ მელას სახითაც სცემდნენ თაყვანს. ვაკხანალიების დროს თრაკიელი ქალები /მენადები/ ატარებდნენ მოკლული მელიების ტყავს და უწოდებდნენ ბასარაის. თვით დიონისეს კი ბასარეუსს /ან ბასაროსს/ ე.ი. მელას. А.М. Штернберг Происхождение религии в свете этнографии Ленинград 1936 стр 174

3 ს. მაკალათია, მთის რაჭა, თბილისი, 1930, გვ. 64-65.

4 დ. ჯანელიძე, მე-19 ს. 50-იან წლებამდე თბილისში ცნობილი „იალის თამაშობა“, პანტომიმური სანახაობა, მიიჩნია, აგრეთვე მელია-ტელეფიას შემდეგ დროინდელ სახედ. იხ. მისი ქართული თეატრის ხალხური სანყისები, თბილისი, 1948, გვ. 100-109.

ლდებულო წესი, აგრეთვე თხასთან დაკავშირებით არსებული მთელი რიგი წეს-ჩვეულებები, საგულვეტელს ხდის სვანეთში თხის კულტის არსებობას და მის მჭიდრო კავშირს ნაყოფიერების დღესასწაულებთან.

საქართველოში თხის კულტის ძველთაგანავე არსებობაზე უნდა მიუთითებდეს, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ეფთვიმე მთანმინდელის მიერ მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების კანონების ქართულ თარგმანებში მოხსენიებული ღვთაება „ბოჩი“, რომელიც მას ვაცი /ვაჩი-საგან, ე.ი. მამალი თხის სახელისაგან მომდინარედ მიაჩნდა¹.

სოფ. ჩუკულში ერთ-ერთ სალოცავ ტყიან ადგილს „ლედხა“ ჰქვია. აქ ყოველ გაზაფხულზე ასრულებდნენ ლოცვა-ვედრებას მოსავლისა და საქონლის სახელზე /დაჯ, დაჯელ „თხა“, ლედჯა ან ლედჯელ /ა/ სათხებო ადგილი// მსგავსი ქართული სიტყვაა რაჭაში არსებული სალოცავის სახელწოდება „სათხურა“².

სვანეთში ცნობილია თხასთან დაკავშირებით სხვა წეს-ჩვეულებებიც. როცა ადამიანი წყალში დაიხრჩობოდა და ვერ იპოვიდნენ, უბედური შემთხვევის ადგილას წყალში თხის ცოცხალ ციკანს აგდებდნენ და მას „ჩაძირავდა“ იქ, სადაც ადამიანი იყო ჩაძირული. სვანური გადმოცემით, ადამიანს ეშმაკი ახრჩობს, და თუ მას თხას შესწირავენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში უბრუნებს მკვდარს თავის პატრონს. აღნიშნული წესი შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ თხა ოდესღაც წყლის სულსაც განასახიერებდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კვირია ერთ-ერთ სასიმღერო ტექსტში მოხსენებულია ეპითეტით „ბერი წყლისა კვირია“ /ბერ ლიციმ კვირია/, მაშინ უფრო სარწმუნო გახდება თხისა³ და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების ნაყოფიერების ღვთაების კულტთან კავშირი.

ზემო სვანეთში თხა შეინირებოდა ლახირში /ლამპრობა-კეისრობის აგრარულ დღესასწაულზე/, კალაში, /წმ. კვირიკეს, /

1 ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80 /1928 წ. გამოც./მძრ სვანეთში დღემდე დაცულია სახელები ნბოჩი /ჩოლური/ და „ბოჩიკ“ /ლენტეხი, ლაშხეთი/. რაც პირუტყვის ზოგად სახელად იხმარება.

2 თხასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ ურქო თხას სვანეთში „დუალა“-ს უწოდებენ /გურიაში კი - „დოლა“-ს. ამის შესახებ ცნობა მომანოდა ქ. მახარაძეში მცხოვრებმა გოგოლა პლატონის ასულმა მეგრელიშვილმა/. ასეთი თხა სვანეთში გრძნეულად ითვლებოდა.

3 თხის კულტის სიძლიერეს სვანეთში ხელს უწყობდა, ჯერ ერთი, მისი დიდი სამეურნეო მნიშვნელობა და მეორეც, მისი მოშენებისათვის არსებული საუკეთესო პირობები, განსაკუთრებით ცხვრისაგან, რომლის მეურნეობა საზამთრო საძოვრების უქონლობის გამო, ძალზე შეზღუდული იყო. თხის კულტის სიძლიერეზე მკაფიოდ მეტყველებს სვანური სოცოცხლის ხის მოტივი „თხები ჭამენ ფიჭვს“ /დახარ იზბის გიგისს/.

ლაგურკას/ სალოცავში. ხოლო ქვემო სვანეთში - მახაშში /წმ. კვირიკეს სალოცავში/. ლახირში შეწირულ თხას კლავდნენ, ხოლო კალასა და მახაშში ცოცხლად უშვებდნენ. სვანეთში სხვა შემთხვევაში თხის რომელიმე ღვთაების სახელზე შეწირვა დღემდე დადასტურებული არ არის.

თხის კულტის არსებობა დასტურდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც. რაჭულ „მელა-კურკუტალობას“ სიტყვები - „მელა-მელა კურკუტალა, თხის სურა და სამოსელა“ საყურადღებოა იმიტაც, რომ აქ მელია და თხა ერთადაა ნახსენები ისევე, როგორც „მელია-ტელეფიაში“, ხოლო თხის სურა /იგივე სურო/ და სამოსელი უნდა მიუთითებდეს სუროს და თხის ტყავის სამოსის, როგორც ნაყოფიერების სიმბოლოთა, მაგიურ მნშვნელობაზე. რაჭაში ცნობილი იყო თხის შეწირვის რიტუალიც, ხოლო სამეგრელოში გვალვა-დელგმის საწინააღმდეგო რიტუალში მთავარ მნშვნელობას აძლევდნენ თხისა და მისი ფიტულის შეწირვას.

თხა, თხის ფიტული ან მისი გამოსახულება, ბუნების აღორძიებასთან რომ იყო დაკავშირებული, ეს, ქართველი ტომების გარდა, აფხაზთა და ჩერქეზთა ყოფაშიაც დასტურდება¹.

თხა ნაყოფიერების ღვთაებად მიაჩნდათ ძველ ებრაელებს, ხოლო საბერძნეთში ის გაღმერთებული იყო პანის სახით და დიდი ღვთაებად ითვლებოდა². ამიტომაც თხის ტყავის ჩაცმა განსაკუთრებულ ძალას აძლევდა ადამიანს³. ათენში დიონისე გამოხატული იყო, აგრეთვე, თხის სახით და მას ასე მოიხსენიებდნენ: „ის, რომელსაც აქვს თხის შავი ტყავი“, შუმერული თამუზის საგაზაფხულო დღესასწაულის ერთ-ერთი მონაწილე თხის ნიღაბსა და ტყავს ატარებდა.

თხის სიშავე დაკავშირებული მიწის ნაყოფიერებასთან⁴. ამავე აზრით უწოდებოდა დიდმარხვის პირველ ორშაბათს „შავი ორშაბათი“⁵ /ლაშხეთი, ჩოლური/.

ამრიგად, „მურყვამობა-კვირიაობაში“ თხისტყავგადაცმული პერსონაჟების მონაწილეობა, თხასთან სექსუალური ურთიერთობის გამოხატვა, მისი წყალთან და ბუნების ნაყოფიერე-

1 ჯ. რუხაძე, აგრარული კულტები, სოფელი, აკურთა, ჯ. რუხაძის ან. ლეკიაშვილის, ი. ჭყონიას თანაავტორობით, თბ. 1964, გვ. 134.

2 Л. Я. Штернберг დასახ. ნაშრომი, გვ. 414.

3 იქვე, გვ. 414.

4 Д Фезер დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

5 ჯ. რუხაძე, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საწესო ნიღბები. მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, ტ. VIII, 1955, გვ. 195.

6 აღმოსავლეთ საქართველოშიაც /ქართლი, კახეთი/ ამ დღეს შავ ორშაბათს უწოდებდნენ. მსგავს სახელწოდებას წარმოადგენდა ხევსურების კუმეტი დღე და ა.შ.

ბასთან დაკავშირება, კვირიას ბერის ეპითეტით მოხსენება, ჩვენის აზრით, უნდა მიუთითებდეს კვირიას კულტთან თხის კავშირზე, რაც, თავის მხრივ, სვამს საკითხს კვირიას ბოსელ-ბოსლასთან კავშირის შესახებ.

ვ./„მელია-ტელეფიას“ მოსდევდა ორი ან სამსართულიანი ფერხული-სიმღერა „მირილ-მიაქელა“ /მე-6 „სავალდებულო წესი“/. აქაც, როგორც „მელია-ტელეფიაში“, სათაურად ორი სახელი გვაქვს - „მორილ“ და „მიაქელა“. ეს სიმღერა-ფერხული შეჯიბრის სახით ტარდებოდა. ზედა სართულის მეფერხულენი ემუქრებოდნენ ქვედა სართულის მეფერხულეთ, რომ მოსტეხენ თავს, ბეჭს, მკერდს, თეძოს, ფეხს. ასევე მუქარით უპასუხებდნენ ქვედა სართულის მეფერხულენი. ბოლოს ქვედა სართულის მეფერხულენი გაიწვედნენ და ბეჭებზე მდგომ მომღერლებს ჩამოყრიდნენ. მსგავსი სიმღერა-ფერხული, სახელწოდებით „მურამულდი ქელა“, როგორც საბავშვო თამაში, დამონებულია მხოლოდ უშგულში. იგი აღწერილი აქვს ბეს. ნიჭარაძეს¹, და „მორილ მიაქელა“ მსგავსი სიმღერა-ფერხული ჩანს.

სვანეთში მჭავვე წყალს ორი სახელწოდება აქვს: „სგიმ და „მორელ“, „მორილ“ იგივე „მორელ“ უნდა იყოს. მიაქელა, ჩანს, იგივე მიქელ /მიხიელ/ მთავარანგელოზია, რომლის მოვალეობას წყაროს წყლების მფარველობაც შეადგენდა. ანალოგიურ ვითარებას ადასტურებს ვ. ბარდაველიძე აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებშიც, მათ მიერ „ნალექებსა და წყალთან... ასოცირებულია ადგილობრივ ღვთაებათა დიდი ნაწილი, მაგალითად „მიქელ წყაროსთავისაი“, „გიორგი ნალვარმშვენიერი“, „გიორგი ნიაღვრის პირისაი“, „პეტრე ნიაღვრის პირისაი“, „მიქელ წყალშუისაი“² და ა.შ.

სვანური „მიაქელა“ და ფშავ-ხევრსურული „მიქიელი“ ერთი და იგივე უნდა იყოს, ხოლო „მორილი“³ მიქიელის /მიხიელის/, როგორც მჭავვეწყლისა და წყაროს წყლების მფარველი ღვთაების, ეპითეტი ჩანს.

„მორილ-მიაქელას“ სიმღერა-ფერხული შეიძლება ასახავდეს წყლის დახსნისათვის გადახდილ მითიურ ბრძოლას. სვანეთში ძნელია მოინახოს თქმულება, ზღაპარი, ლეგენდა, რომ მასში ზღვაზე და წყალზე არ იყოს ლაპარაკი. შავ ორშაბათს /რომელ დღესაც „მორილ-მიაქელა“ სრულდებოდა/ სვანეთსა

1 ბ. ნიჭარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, აღ. რობაქიძის რედაქციით და წინასიტყვაობით, თბილისი, 1962, გვ. 134.

2 В Бардавелидзе Древнейшие религиозные стр 105

3 შესაძლებელია სიტყვაში „მორილ“ ვეძა წყლების მფარველი ღვთაების სახელი იგულისხმებოდეს.

და ლეჩხუმში იცოდნენ წყლის გველეშაპისაგან დამხსნელი მითური გმირების ჟივჯივას და მისი შვილის - ვაჟინას სახელზე ქერის და წყლის კურთხევა¹.

ზ/„მურყვამობა-კვირიაობის“ ერთ-ერთი „წესს“ /რიგით მე-შვიდეს/ წარმოადგენდა „გიორგის ჯვარი“ - სიმღერა ფერხული. სიმღერის ტექსტის მოკლე შინაარსი ასეთია: გიორგის ჯვარს ცხერვაშის მჟავე წყალი უსვამს. მთის საუკეთესო ბალახი უჭამია /ამ მთას სიმღერის მიხედვით ელვაში ჰქვია/. ელვაშს ქვემოთ წყალი გამოდის. ამ წყალზე დგას წისქვილი, რომელშიც ქალი იმყოფება. ამ ქალს დიდი სასქესო ორგანო აქვს /sulta/. მას „უტევს“ მამაკაცის თორმეტი წყვილი სასქესო ორგანო, მაგრამ მაინც ვერ აკმაყოფილებენ.

სიმღერაში სექსუალურობა საკმარა გაშიშვლებული ფორმითაა ასახული, ამასთანავე, არა ჩანს /რადგანაც ტექსტი ნაკლულია/, თუ რა მიმართებაშია ამ ქალთან გიორგის ჯვარი. შესაძლებელია, ამ სიმღერის პირვანდელი სახელი „გიორგის ჯვარი“ არც კი ყოფილიყო. ეს სახელწოდება მას შემდეგ შეიძლება გაჩენილიყო, რაც კვირიას ფუნქციების გარკვეული ნაწილი წმ. გიორგის უნდა დაკავშირებოდა.

წმ. გიორგის კვირიასთან დაკავშირების საფუძველზე შეიძლება აიხსნებოდეს ლაშხეთსა და ჩოლურში „კვირიას საგალობლის“ წმ. გიორგის სახელობისად მოხსენიებაც.

თ/„მურყვამობა-კვირიაობის“ დღესასწაულის ბოლოს სრულდებოდა მე-8 სავალდებულო წესი - „ხეწე“. ეს სიმღერა - ფერხული ნადირობის სცენას გამოხატავდა. მისი შინაარსი ასეთია: /სრული ტექსტი ჯერ არ არის მიკვლეული/:

„ვინ ხარ, შენ ხარ, მე ვარ.
ხეწეს ჰყავს კახაბერი.
კახაბერი ვარ, მონადირე ვარ.
ვნადირობ ქანგულდაშში,
ვკლავ ხარ-ჯიხვებს,
არჩევებს არ ვკადრულობ.
ვკლავ ხარ-ჯიხვებს,
დედალი ჯიხვები დანავარდობენ“...
/დასეირნობენ/.

¹ ჟივჯივას და ვაჟინას სახელზე ცეცხლთან ძლიერ ახლოს დადგმულ სუფრაზე ქერის პურს დებდნენ წყლით გავსებულ ჭურჭელთან ერთად და ოჯახის უფროსი მამაკაცი დაილოცებდა ასე: „რას ხეცი გააჩინა, ხეცის ტერი ჟივჯივა, ჟივჯივას და მის შვილს ვაჟინას შოორდოს“. ამ წარმოსათქმელს მამაკაცი სამჯერ იმეორებდა. ოჯახის დიდ-პატარა წევრი მასთან ერთად იმეორებდა სიტყვას „შოორდოს“. ამის შემდეგ წყალს აქცევდნენ, პურს მოსტეხდნენ ნაწილს და გადააგებდნენ.

ტექსტის შინაარსიდან ჩანს, რომ კახაბერი /მონადირე/ ხენეს ჰყავს და იგი მხოლოდ ხარ-ჯიხვებს კლავს. საფიქრებელია, რომ კახაბერს ხარ-ჯიხვების ხოცვა დაუსჯელად ვერ ჩაუვლიდა. ამ მხრივ იგი არ უნდა უპირისპირდებოდეს ზემოსვანურ ბეთქილს და რაჭველების /ღებულების/ ივანე ქვაციხისელს.

თვით სახელი ხენე ვის ან რას გულისხმობს, ძნელი სათქმელია. შესაძლებელია, იგი რომელიმე ღვთაების, საფიქრებელია დალის, ტაბუირებული სახელი იყოს /შდრ. სვანური ხენე „ნახო, შეხედო“, ლინედ-„შეხედვა“/.

საგაზაფხულო აგრარულ დღესასწაულებში სამონადირეო ყოფის ამსახველი ელემენტები ძალზე ღარიბადაა წარმოდგენილი, რაც, სამონადირეო მეურნეობასთან შედარებით, მესაქონლეობის და მიწათმოქმედების უპირატესი მნიშვნელობით უნდა აიხსნებოდეს.

დაღუპული მონადირის მოსახსენიებელ რიტუალებს და ფალიკური /ტოტემისტურ-ორგინალური/ ხასიათის წეს-ჩვეულებებს, ზოგი მეცნიერის აზრით, საერთო წყარო ასაზრდოებდა¹. ამით უნდა აიხსნებოდეს მურყვამობა-კვირიაობაში“ სამონადირეო კულტის ამსახველი წეს-ჩვეულებების არსებობა /„ბეთქილი“, ლაშხური „დათვობია“, „ხენე“ და ა.შ./.

„მურყვამობა-კვირიაობის“ დღესასწაულზე სრულდებოდა აგრეთვე სახუმარო სიმღერები - „თავვი დავნაყე, დავნაყე“, „კატა საჩალვადროდ წასულა“ /„ციცულ ლაჩერთე ემჩელდი“/, რომლებიც სხვა დროს არ სრულდებოდა.

ამ დღესასწაულზე სრულდებოდა აგრეთვე არასავალდებულო სიმღერა-ფერხულები: „ლილე“, „ლოგუშედა“, „იუ ქალდი ბებუცია“, „ჯგერად“, ამირნაის ფერხული, ცეკვები, სპორტული თამაშობები - თოვზე გასვლა, რბენა და სხვა.

2. კვირიაობა /ლიკურდელ/

„კვირიაობა“ /ლიკურდელ/ ჟახუნდრის /სასაშის და ჩუკულის/ „მურყვამობა-კვირიაობის“ დღესასწაულზე ორი კვირით ადრე იმართებოდა. ეს დღესასწაული ქვემო სვანეთის სხვა სოფლებთან /ჩიხარეში, ტვიბი, უკვლეში/ შედარებით განსაკუთრებული ზეიმით ტარდებდა შვედში. იგი იწყებოდა „მეისრობის“ /ხორციელის შაბათი/ წინა დღეს და გრძელდებოდა კვირადღის ბოლომდე. შვედში ამ დღეობისათვის ყველა ოჯახში ცხვებოდა კვირიას სახელობის შვიდი დიდი ტაბლა /„ლა-

1 Ю. Семенов დასახ. ნაშრომი, გვ. 439.

კურდელ ტაბელ“/. სვანეთში ამ სიდიდისა და რაოდენობის ტაბლა არცერთ დღეობაზე სხვა რომელიმე ღვთაების სახელზე არაა დამოწმებული. ამ დიდ ტაბლებთან ერთად აცხობდნენ პატარა ტაბლებს /კვეროლ ე.ი. პატარა კვერი/ იმდენს, რამდენი წევრიც იყო ოჯახში /ამ რიცხვში შედიოდნენ ოჯახიდან გათხოვილი ქალის შთამომავლობა, ე.ი. სახლის შვილები/.

პარასკევს, დილით ადრე, სოფლის მთელი მოსახლეობა იკრიბებოდა მუჩვა-თეთროსანის ეკლესიის ეზოში. აქ აირჩევდნენ „სუმრის“ მეთაურს. იგი ცნობილი მოჭიდავე უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, აქვე ირჩევდნენ სამ კაცს, რომელთაც ეკლესიიდან უნდა გამოესვენებინათ ხატი /წმ. გიორგის ან მუჩვა-თეთროსანის/, ჯვარი და დროშა. საზეიმო ცერემონიალის მთელ მანძილზე მათ უნდა ეტარებინათ სოფელ-სოფელ ხატი, ჯვარი და დროშა. ხალხში ეკლესიის ეზოში სამჯერ იმოყრებოდა კვირიას საგალობელს და შემდეგ ყველა ისინი „სუმრის“ მეთაურის წინამძღოლობით, წინ ხატი, ჯვარი და დროშით გაემართებოდნენ სოფლის დიდი მოედნისაკენ. აქ იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები: ქიდაობა, ხტომა, რბენა, გუნდაობა. ამ დღეს წაუქცეველი არავინ უნდა დარჩენილიყო. მოედნიდან მთელი „სუმრა“ გაემართებოდა სოფლისაკენ, ხატი, ჯვრით და დროშით. ყველა ოჯახში შედიოდნენ. შუა ცეცხლთან კვირიას იმღერებდნენ და აქვე შვიდ საკვირაო ტაბლას შეჭამდნენ. ნაწილი ყველას უნდა გახვედროდა. პატარა ტაბლებსაც ინაწილებდნენ. ამგვარად შემოივლიდნენ ყველა მოსახლეს და საკვირაო ტაბლებს ყველგან შეჭამდნენ, რასაც მათი რწმენით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წლის მოსავლის სიუხვის და ადამიანის ჯანმრთელობისათვის. თუ რომელიმე ოჯახში კვრასთან კვირიას არ იმღერებდნენ, ეს უბედურების მომასწავებლად ითვლებოდა. იგი იწვევდა უმოსავლობას და განსაკუთრებით ცუდი იყო ვაჟთა სიმრავლისათვის. დღესასწაული კვირა საღამოს მთავრდებოდა ქეიფით, უზომო სმით.

ასეთივე დღესასწაულზე მეზობელ ჩიხარეში /ახალშენის უბანი/ „კვირიასთან“ ერთად ასრულებდნენ საგალობელ „ზედიო“-ს, რომელსაც ასრულებდა ასზე მეტი მომღერალი. გადმოცემით, იგი რამდენიმე კოლომეტრზე ისმოდა. ეხლა ეს სიმღერა არავინ იცის და არც მისი ტექსტი ახსოვს ვინმეს.

ჩოლურის თემის სოფლებში /უკვლეში, ტვიბი, ლეუშერი, ჭველიერი, საყდარი/ „კვირიასობის“ დღესასწაულზე სრულდე-

1 საკვირაო ტაბლა /„ლაკურდელ ტაბელ“/ აუცილებლად ცერცვიანი /ცერცვის გულიანი/ უნდა ყოფილიყო. ცერცვს სპეციალურად ინახავდნენ ამ დღეობისათვის. თუ რომელიმე ოჯახს არ ექნებოდა ცერცვი, რადაც უნდა დასჯდომოდა, უნდა ეშოვა სადმე.

ბოდა „მელია-ტელეფიას“ რიტუალი.

„კვირიაობა“, ადრე გაზაფხულის გარდა, სოფელ ჩიხარეშის ორ უბანში - ლაშხარაშსა და ახალშენში, როგორც დამოუკიდებელი დღესასწაული, იმართებოდა, აგრეთვე, დეკემბრის ბოლო რიცხვებშიც /21-25 რიცხვებში/.

„კვირიაობას“ ზემო სვანეთში ლიფანალის უკანასკნელ დღეს, ორშაბათს, დღესასწაულობდნენ და იგი ლიფანალის ციკლში შედიოდა. ეს დღეობა აღწერილი აქვს პროფ. ვ. ბარდაველიძეს¹. ამ დღეს „ერთად შეიკრიბებოდა სოფლის ახალგაზრდობა, მოზრდილი ბიჭები და გოგო ბიჭები; მეთაურს არჩევდნენ, რომელსაც მემზერალი ანუ რუჟნი მეყდანი ერქვა. დაიჭერდნენ ხელში დროშას /დურშაი/ - კეტს, რომელსაც წვერში ძონძი ჰქონდა გაკეთებული ან ხის ჯვარი ზედ დამაგრებული ანთებული სანთლებით და ან ეკლესიიდან ზარებს გამოიიტანდნენ. მას გუნდის მეთაურს ჩააბარებდნენ და მისი წინამძღოლობით სოფლის მოსახლეობას კარდაკარ დაუვლიდნენ. ამ პროცესიას მთელი სოფლის ახალგაზრდობა მისდევდა. პროცესია თითოეული მოსახლის კართან გაჩერდებოდა, ზარებს დაანკარუნებდნენ და სულების პატივსაცემად კვირიას საგალობელს გალობდნენ.

ზოგან ამ დროს ლიკურიელის შემსრულებლებს მოსახლის წევრები აუცილებლად უნდა გაემურათ და ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ სვანების რწმენით მოსავლისათვის ეს კარგი იყო, იმ წელს მას უხვი მოსავალი ექნებოდა.

კვირიას საგალობელი შემდეგი შინაარსისა იყო: „აქაურები სულებს დაელოცოთ, ცოტა ხილუული მომეცით. ლამარია, ამ სახლს ხარი და ძროხა გაუმრავლე, იმის მიმყოლი თხა, ცხვარი, იმის მიმყოლი კაცი გაამრავლე, ღამე ნააზრევი, დღისით ნაქნარი, ყველა სვიანი, ყველა ბარაქიანი /გახადე/, სირიაა, კვირიიააა“. ამას მოყვებოდა სხვა საგალობელიც, რომელთაც გუნდის უფროსი ასრულებდა. ხოლო ყოველ მის „ამინ“-ის თქმაზე გუნდი გალობდა „ამინ“.

ზოგ სოფელში ახალგაზრდობა ხელჩართულ ბრძოლას აწარმოებდა. კარგად გათენების შემდეგ ბრძოლაში გამარჯვებული მხარე მოწინააღმდეგე მხარის მეკომურებს ოჯახ-ოჯახ ჩამოუვლიდა და თითოეული მოსახლის კარზე ძველებურ სვანურ საგალობელს ელია ლერდეს /„ელიას გაზრდილს“/ გალობდა“.

სოფელ შკედის „კვირიაობა“ განსაკუთრებით იმით იქცევს ყურადღებას, რომ აქ გარკვევით ჩანს კვირიას, როგორც ოჯა-

1 ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I ა, ახალი წლის ციკლი, მასალები საქრათველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბილისი, 1953, გვ. 288-291.

ხის სიუხვის, ბარაქის და ნაყოფიერების ღვთაების მიმართება ცეცხლთან, კერასთან. კვირიას ცეცხლთან კავშირს ადასტურებს მთიულთა სარწმუნოებრივი შეხედულებებიც¹.

რაც შეეხება კვირიას სახელზე შვიდი დიდი ტაბლის გამოცხობას, ეს ჩვეულება იმდროინდელი შემოღებული ჩანს, როცა მოხდა კვირიას ასტრალიზაცია და იგი მზის /ან მზის ღვთაების/ წილხვდომილი გახდა. ეს კვირიას საგალობლის ზემოთ მოყვანილი შინაარსიდანაც ჩანს. ღვთაებათა შვიდეულში, რომლებშიც შვიდ მნათობს ასახიერებდნენ და მთვარის კალენდრის თითო-თითო დღესთან იყვნენ დაკავშირებული, ამ ღვთაებას, სვანურ წარმართულ პანთეონში, საზოგადოებრივი ყოფიერების განვითარების ერთ-ერთ საფეხურზე, ალბათ მთავარი ადგილი ეკავა.

ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის ჩამოყალიბება, ვ. ბარდაველიძის აზრით, ქართველი ტომების სარწმუნოების ისტორიაში ქრისტიანობამდელი სარწმუნოების განვითარების ერთ-ერთ ყველაზე გვიანდელ საფეხურს მიეკუთვნება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფუსნაბუასდიას ხმელეთის ბატონის წარმოშობას სავსებით მოუმზადა ადგილი კვირიას / ხმელთ მოურავის/ კულტმა და ეს უკანასკნელი უკვე კლასობრივ საზოგადოებაში დაუკავშირდა ფუსნაბუასდიას და წმ. გიორგის კულტებს.^{2 ? 3}

სოფელ შკედის „კვირიაობა“ იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ამ დღეობისათვის კვირიას სახელზე სართვიანი /ცერცვშერეული/ ტაბლების გამოცხობა და მათი შეჭმა, როგორც მოსავლიანობის სიუხვის და ოჯახის წევრთა სიმრავლის მომნიჭებელი, კონკრეტულად მიუთითებს კვირიას, როგორც ნაყოფიერების ღვთაების, აგრარულ ბუნებაზე.

ზემოსვანური „კვირიაობა“ /„ლიკურაფელ“/ მთელ რიგ სოფლებში „ლიფანალის“ რიტუალებთან ერთად სრულდებოდა, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ კვირია, როგორც ვეგეტატიური ღვთაება, ქვესკნელის ღვთაებადაც ითვლებოდა. ამ რიტუალში /ცერი, ბეჩო, ცხუმარი, ფარი/ გარკვევით ჩანს, რომ მოზეიმენი მოსავლის ბარაქას და ადამიანთა სიმრავლეს შესთხოვენ ღმერთს /კვირიას/.

1 ვ. ბარდაველიძე, ქართველი ტომების ასტრალური ღვთაებათა პანთეონის განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაგანი, მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, X, 1959, გვ. 169.

2 ი. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, წ. I, ტფილისი, 1928, გვ. 108-137.

3 ვ. ბარდაველიძე, დას. ნაშ. გვ. 157.

3. ბერიკაობა - ჰონჯაობა /ლიბეროლალ - ლიგონჯაუალ/

მურყვამობა-კვირიაობის დღესასწაულებს¹, რომლებმაც თითქმის მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე მიაღწიეს, მიუხედავად იმისა, რომ დაკარგული ჰქონდათ პირვანდელი დანიშნულება და გადაქცეული იყვნენ თეატრალური ხასიათის სახალხო სანახაობებად, მათ გადმონაშთის სახით ბოლომდე შეინარჩუნეს რელიგიურ-მისტიკური დანაშრევები. მათი მეცნიერული შესწავლა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტულ საშუალებასაც იძლევა.

ბერიკაობა, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, სვანეთშიაც ყველიერში იმართებოდა. იგი ცნობილი იყო ლიბეროლალ-ის ანუ ლოგონჯაუალის სახელწოდებით². თვით დღეობის ერთადერთ მთავარ პერსონაჟს ბეროლი ანუ გონჯა ეწოდებოდა. ბეროლ-ის სიტყვა-სიტყვით შესაბამისი ფორმაა ბერიკა.

დღესასწაულის მოკლე შინაარსი ასეთია: ყველიერის შაბათს, დილით, ლაშხეთის /ქვ. სვანეთი/ რამდენიმე სოფლის მამაკაცი შეიკრიბებოდა ჟახუნდრის სუფში /ეკლესიის ეზო, მინდორი/ ცაცხვის ხესთან და აირჩევდნენ ბეროლს/გონჯას /ბერიკა, გონჯა/. დანარჩენები „მხლებლებად“ /სვ. მენხრა/ ითვლებოდნენ. ბეროლ-გონჯას სახეს შავად შეუღებავდნენ ქვაბის ფსკერზე /გარედან/ დაგროვილი მურით /ქვემო სვანურად „განჯ“, ზემო სვ. „განჯუ“/ და ნახშირით, ჩააცვამდნენ თხის ტყავს, თავზე და ტანზე ძონძებს, პურეულის და ცერცვის ნამჯას გაუკეთებდნენ, წელზე მამაკაცის სარცხვინელ ასოს ხის გამოსახულებას და ხისავე ხმალს ჩამოჰკიდებდნენ. ბეროლი-გონჯა მისი მხლებლებითურთ ლაშხეთის ყველა სოფლებს

1 ნაწილი ამ დღესასწაულებისა ლიბეროლალ /ბერიკაობა/ ქვემო სვანეთში და ლამპრობ-კესრობ /ლამპრობა-კეისრობა/ ზემო სვანეთში დღემდე არასრულყოფილად, მაგრამ მაინც სრულდებოდა მთელ რიგ სოფლებში.

2 როგორც აღვნიშნეთ ლიბეროლალ ანუ ლიგონჯაუალ /ბერიკაობა-გონჯაობა/ შედიოდა „მურყვამობა-კვირიაობის“ ციკლში და ამ დღესასწაულთან ერთად სრულდებოდა. „მურყვამობა-კვირიაობა“ ყველიერის ხუთშაბათს იწყებოდა და გრძელდებოდა დიდმარხვის პირველ ორშაბათამდე /ჩათვლით/ რომელსაც სვანეთში შავ ორშაბათს /მეშხე დომშიშ, უტკუნ დომშიშ, უკუნ დომშიშ, მეშხე ფხულადად/ ეძახდნენ. ამ დღეს იმართებოდა „მურყვამობა-კეისრობის“ მთავარი წესები /ქვ. სვანეთის სოფლებში ჟახუნდერი, სასამი, ლემზაგორი/, ხოლო „ლიბეროლალ-ლიგონჯაუალ“ ყველიერის შაბათს იწყებოდა და მეორე დღეს, კვირა საღამოს, მთავრდებოდა.

ჩამოუვლიდა კარდაკარ და ოჯახში შესვლისას სექსუალობის გამომხატველ სხვადასხვა სახის მოძრაობებს აკეთებდა. ამ დროს ბეროლ-გონჯას მისცვივდებოდნენ ქალები, რომ ხელში ჩაეგდოთ მისი ჩაცმულობის ნაწილები /ნამჯის ღერები, თხის ტყავის ბალანი/ ქათმების საბუდრებში ჩასაყრელად, რაც მათი აზრით, ქათმების გამრავლებას და კვერცხმდებლობის გაზრდას უზრუნველყოფდა. მასპინძელი ასაჩუქრებდა მას თავისი სურვილის მიხედვით: აძლევდა ყველს, კვერცხს, ფქვილს, არაყს. სურსათის მიღებით კმაყოფილი ბეროლი-გონჯა და მისი მხლებლები ოჯახს ლოცავდნენ, ხოლო ემუქრებოდნენ მათ, ვინ საჩუქარს არ მიართმევდა.

კარდაკარ სიარულის დროს ბეროლ-გონჯა და მისი მხლებლები მღეროდნენ. სიმღერის ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტი ასეთი იყო:

„ბერა მოდგა კარასა /ზოგი ამბობს - „ბერო მოდგა კარასა“/

აღვრიალებს თვალებსა².

ალათასა, მალათასა, ხელი ჩაჰკარ ხალამასა, ამოიღე თეთრი ყველი, ჩაგვიდევი კალათასა, ღმერთი მოგცემს ბარაქასა.

ვიცხამ ბეროს არ აჩუქოს

გვალვა მისცეს მის ყანასა“.

ამავე ტექსტს მღეროდნენ ასე:

„გონჯა მოდგა კარასა /ზოგი ამბობს „გონჯო მოდგა კარასა“/

აღვრიალებს თვალებსა,

ალათასა ბალათასა, ხელი ჩაჰკარ ხალამასა

ამეიღე თეთრი ყველი, ჩაგვიდევი კალათასა.

ვიცხამ გონჯას არ აჩუქოს, გვალვა მისცეს მის ყანასა“.

კვირა საღამოს ბეროლ-გონჯა და მისი მხლებლები საჩუქარს გაინაწილებდნენ, ერთ რომელიმე მოსახლესთან გაჩერდებოდნენ და ქეიფით ათენებდნენ ღამეს.

როგორც აქ მოყვანილი „ლიბეროლალის“ ტექსტიდან ჩანს, ამ დღესასწაულის მთავარ პერსონაჟს ბეროლს სხვა სახელე-ბითაც მოიხსენიებდნენ, ესენია: ბერა, ბერო, გონჯა და გონჯო.

1 ბეროლ-გონჯას ტანსაცმელიდან გამოცლილ ნაწილებს მაგიურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მას თომთან /გამხმარი ბალახია ერთგვარი და ქალამანში ჩასაფენად იყენებენ/ ერთად ახალგაზრდა მხვნილი ვაჟის ქალამანში დებდნენ. მას ოჯახის ნაყოფიერების და სიუხვის მომნიჭებლად თვლიდნენ და მეორე წლამდე ინახავდნენ.

2 ტექსტი ქართულად წარმოითქმება.

სვანეთში არა მარტო დღესასწაულის პროცესში, არამედ საერთოდაც, აქ ჩამოთვლილი სახელების განსხვავებული მნიშვნელობით ხმარება არ დასტურდება¹. სახელში „ბეროლი“ / იგი მხოლოდითი რიცხვის ფორმაა/ - ოლ - კნინობითი სუფიქსია, ხოლო ფუძეა ბერ². აქ სიტყვის ისეთივე წარმოება გვაქვს, როგორც სახელებში: კოტრ-ბაჭია, კოტროლ-პატარა ბაჭია, ფურ-ფური, ფუროლ-პატარა ფური და სხვა. გარდა ამისა, სახელი ბერ ქვემო სვანეთში /ლაშხეთი/ ეწოდება ალპური ზონის გარეული ცხოველების - ჭიხვის და არჩვის პატრონს.

ლიბეროლალის /ბერიკაობა/ ლიგონჯაულის სახელწოდებით მოხსენიება და სახელების - ბერა და გონჯა - ერთი და იმავე მნიშვნელობით ხმარება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამას სვანური ლიბეროლალის გარდა იმერულ-რაჭული, აგრეთვე, ქართლ-კახური გონჯაობა-ლაზარობის და ცნობილი ბერიკაობა-ყუენობის რიტუალების ერთმანეთთან შედარებაც ადასტურებს.

გონჯაობა იმერეთ-რაჭასა და ქართლ-კახეთში /გონჯაობა-ლაზარობა/ ზაფხულში გვალვა-დეღმის სანინააღმდეგოდ ტარდებოდა. ამ რიტუალის შესრულებისათვის იკრიბებოდნენ სოფლის ქალები /რაჭაში-მამაკაცები/, აკეთებდნენ თოჯინას, რომელსაც სახეს უშავებდნენ და ლაზარეს ეძახდნენ ან ყმანვილს გაუმურავდნენ სახეს და კარდაკარ ატარებდნენ. სოფელში სიარულის დროს მღეროდნენ, უწმანურ სიტყვებს ამბობდნენ. გვალვის დროს წვიმას, ხოლო წვიმის დროს მზიან ამინდს გამოითხოვდნენ. სიმღერის ტექსტი ასეთი იყო:

„გონჯა მიდგა კარსაო, აბრიალებს თვალსაო,
მიდგა მოდგა კარებსა, დაემსგავსა მთვარესა.

1 ბეროლი ჯ. რუხაძეს მიაჩნია როგორც ბერიკების ჯგუფის აღმნიშვნელი სახელი, რაც სვანურ ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით არ დასტურდება, რადგანაც „ლიბეროლალში“ მხოლოდ ერთი მთავარი პერსონაჟი ბეროლი ანუ გონჯა მოქმედებდა.

შდრ. რუხაძე, ძველი ქართული აგრაული დღესასწაულის მთავარი პერსონაჟი ბერი-ბერა, მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, ტ. IX, თბილისი, 1957, გვ. 174.

2 ჯ. რუხაძის ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე დაასაბუთა რომ ბერიკა ზოგად სახელს ბერს უკავშირდება და ამავე სახელის /ბერის/ კნინობით ფორმას წარმოადგენს. დასახ. ნაშრომი, იქვე, გვ. 174. ბერი სვანეთში მოიხსენიება სახელწოდებით „ბერ-შიშვლიშ“/ ბერი შიშვლისა, ე.ი. მთის/ რაც მიუთითებს ამ პერსონაჟის სამოქმედო არეალზე. სვანური თქმულებით იგი მამაკაცი ღვთაებაა /დალი დედაკაცი/ და მას ჰყავს მაცნე - ფრინველი, რომელსაც „გოგ-ბედნიერი“ ეწოდება /ბერ-შიშვლის და გოგ-ბედნიერის ურთიერთობის შესახებ არსებული თქმულების შინაარსი ძლიერ ჰგავს ჭიხვის და შურთხის დამოკიდებულებაზე დანერილ რწმენა-შეხედულებას/.

ახ, ბარბარე, ბარბარე¹,
 ცას ღრუბელი აჰყარე.
 ჩვენ დაგიკლამთ ციკანსა
 შენ მოგვიყვან წვიმასა“.

ანდა: „ლაზარ მოდგა კარსა, აბრიალებს თვალსა
 ღმერთო მოგვე ტალახი, აღარ გვინდა გორახი“².

წვიმის გამოთხოვის მიზნით თოჯინას ან გამურულ ვაჟს ასველებდნენ ან წყალში აგდებდნენ. წყალში ჩაგდებული გონჯა, ხალხის აზრით, უშუალოდ წვიმის გამომწვევი იყო, ამ დროს ქალები წყლის მოხვნის ინსცენირებასაც აწყობდნენ“³.

წყლის გუთნით ხვნის რიტუალი, გამურული ყენის წყლით დასველება, მისი წყალში ჩაგდება და სხვა, ქართლ-კახურ ბერეკობა-ყენობაშია ცხველები⁴.

„წყლის ხვნა“ გუთნით, რასაც თან ახლდა სექსუალური მოქმედების იმიტაცია, სიმბოლურად გამოსატყვევებელი ბუნების განაყოფიერებას, რადგანაც, როგორც გ. ჩიტაია აღნიშნავს, „ხვნა, ხალხური გაგებით, სექსობრივი აქტია, სადაც მიწა დედობრივი სქესის წარმომადგენელია და ნაყოფიერების საშო, ხოლო ერქვანი-ფალოსი. ამ ჩვეულებაში სექსობრივი აქტი ორმაგადაა წარმოდგენილი - ადამიანთა შორის და ერქვანსა და წყალს შორის“⁵.

აგრარული დღესასწაულების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ბერი-ბერიკას ანუ გონჯას ბუნებას და ფუნქციას ძირითადად განსაზღვრავენ ამ რიტუალში არსებული საერთო მოტივები: სახის შავად გამურვა, /ბეროლ-ბერიკა, ყენი, გონჯა/ კარადაკარ სიმღერით სიარული და სასურველი ამინდის გამოთხოვა, ამ მიზნით ითიფალური პერსონაჟის წყალში ჩაგდება ან დასველება /გონჯა, ყენი/. „წყლის მოხვნის“ ჩვეულება, თხის ტყავის ჩაცმა, შავი თხის ნიღბის ტარება, თხის შეწირვა და სხვა.

როგორც სვანურ, ასევე იმერულ, რაჭულ და ქართლ-კახურ ბერეკობასა და გონჯაობის რიტუალებში, აგრეთვე ვ. ბარდაველიძის მიერ სვანურ ლიფანალში დამოწმებული შავი ელე-

1 ამჟამად ბარბარეს და ლაზარეს საკითხის განხილვა ჩვენს მიზანს არ შეადგენს.

2 ჯ. რუხაძე, აგრარული კულტები, სოფელი აკურა, გვ. 134.

3 გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობა ალბულაღის რაიონში, საქ. მუზეუმის მოამბე, 10, თბილისი, 1928, გვ. 224-225.

4 ჯ. რუხაძე, სადისერტაციო ნაშრომი ისტ. მეცნ. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად..., გვ. 220-221.

5 გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობა ალბულაღის რაიონში, იქვე. გვ. 224-225.

მენტის მონაწილეობა /სახის შავად გამურვა და სხვა/ წლის კარგი მოსავლის დაბეჭების მიზნით სრულდებოდა¹. იგი მიწის კულტთან იყო დაკავშირებული და დედამიწის განმასხვავებელი ღვთაების გამოხატულებას წარმოადგენდა².

გვალვა-დელგმის საწინააღმდეგოდ ქვემო სვანეთში „მოულენ“ /ე.ი. მოვლენა, მოსვლა, გამოცხადება/³, ხოლო ზემო სვანეთში „კვიროლ“ /ე.ი. პატარა კვირიაობა/ სრულდებოდა⁴.

ამ დღეობებზე იკრიბებოდა რამდენიმე სოფლის ქალი და კაცი. იკავებდნენ დროშას და წმ. გიორგის ხატს. მამაკაცები კვირიას სიმღერით ჯერ ეკლესიას შემოუვლიდნენ სამჯერ და შემდეგ ოჯახებს კარდაკარ დაივლიდნენ, რაც უზრუნველყოფდა, მათი აზრით, ღვთაების /ალბათ კვირიას/ გამოცხადებას და სასურველი ამინდის დადგომას, გვალვის დროს წვიმის გამონვევის მიზნით ხატს წყლით ასველებდნენ ან მდინარეში დებდნენ. ეს წესი მაგიური აქტი უნდა ყოფილიყო აგრარული ღვთაების /ჩანს, კვირიასი/ ძალის გამონვევისა წვიმის მოყვანის მიზნით. პერსონაჟის /გონჯა, ყენი/ წყალში ჩაგდება ან დასველება მსგავსი ჩვეულება იყო და დანიშნულებითაც იმავეს ნიშნავდა. კვირიას საგალობლის ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტი ასეთი იყო:

„ცის მონაწილე ხარ კვირია,
მიწის მონაწილე ხარ კვირია,
ბერ /ო/ წყლისა კვირია“.

მოტანილ ტექსტში უკანასკნელი სტრიქონი „ბერ/ი/ წყლისა კვირია /სვ. „ბერ ლიციშ კვირია“/ მიუთითებს ამ ღვთაების წყალთან კავშირზე, რასაც ადასტურებს, აგრეთვე, „კვირილის“ და „მოულენ“-ის რიტუალების დანიშნულებაც. ამ მიმართებით ღირებულებას არ უნდა იყოს მოკლებული სვანეთში საახალწლო რიტუალში წლის შემცვლელი ღვთაება.

ბასილის „ძულუა კალანდაშის“ /ზღვის კალანდის/, ეპითეტით მოხსენიება, ხოლო როგორც ვ. ბარდაველიძემ ცხადყო, მთიულურ-გუდამაყრული ახალი წლის რიტუალში წარმოდგენილი ბერის პერსონაჟი, აგრეთვე სვანური ბომბლაც ზოგად ქართულ ღვთაება ბოსელს და ქრისტიანულ წმ. ბასილს

1 ვ. ბარდაველიძე, ქართული /სვანური/ საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, გვ. 8...

2 ჯ. რუხაძე, აგრარული კულტები, გვ. 134.

3 ქვემოსვანურ „მოულენს“-ს მეორენაირად „სოფელ-კვირიას“ უწოდებენ ხოლო ეს რიტუალი არა მარტო დანიშნულების, არამედ შინაარსის მხრივაც ემთხვევა ზემოსვანურ „კვირიოსს“ და ორივე ზაფხულში სრულდებოდა.

4 შ. ასლანიშვილი, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მუსიკალური ფოლკლორის ექსპედიციის ანგარიში, 1946, ხელნაწერი ინახება ეთნოგრაფიის განყოფილებაში.

უკავშირდება¹. ამასთან ერთად, სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია ბერი/ბერიკა და ბასილა// ბოსელის ურთიერთ-მიმართების საკითხი და აღნიშნულია, რომ ბასილა, ბერი და ბერიკა ერთი და იგივე ფუნქციის მატარებელი პერსონაჟები არიან².

ეს მოსაზრებები ზემოთ მოყვანილ მასალებთან ერთად, შესაძლებელია, მიუთითებდეს აგრეთვე, ნოყოფიერების გამომსახველი პერსონაჟების ბეროლ-გონჯა ბერიკა-ბასილას და ბოსელ-ბოსლას კვირიას კულტთან კავშირზე.

საყურადღებოა, რომ მესოპოტამიაში ნაყოფიერებისა და აღორძინების ღვთაება თამუზი დაკავშირებული იყო წყალთან და, როგორც ბუნების სანარმოო ძალების ღვთაებას, მას წყლის ღვთაებადაც თვლიდნენ და „წყლის სიღრმის ქეშმარიტ შვილს უწოდებდნენ“³.

ჩანს, რომ ზაფხულში თუ კარგი ამინდები იყო /თუნდაც ასე წლობით გაგრძელებულიყო /გონჯაობა-ლაზარობა/ ასევე ზემო სვანური „კვიროლ“ და ქვემო სვანური „მოულენ“ /არ სრულდება. საფიქრებელია, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ გონჯაობა-ლაზარობა /ასევე მისი სვანური ვარიანტები/ არ იყო დამოუკიდებელი დღესასწაული. იგი საგაზაფხულო აგრარული დღესასწაულების ერთ-ერთი რიტუალი იყო და მასში სასურველი ამინდის გამოწვევის მიზნით თაყვანს სცემდნენ ბუნების ნაყოფიერების იმ ღვთაებებს /ან ღვთაებას/, რომელთა სახელებზეც ეწყობოდა საგაზაფხულო აგრარული დღესასწაულები.

თუ ბეროლ // ბერა/ბერო და გონჯა// გონჯო ერთი და იმავე პერსონაჟის სახელია, მაშინ საჭირო ხდება ამ სახელწოდებებს შორის არსებული განსხვავებების გარკვევა, რადგანაც მათი /ბეროლ-ბერიკას და გონჯა-გონჯოს/ სხვადასხვა სიტყვის წარმომავლობა ცხადად ჩანს.

გონჯა //გონჯო ფორმების შესატყვისი უნდა იყოს სვანური განჯ, განჯუ, რაც მურს, ქვაბის ფსკერის გარეთა ნაწილზე დაგროვილ შავ მასას ეწოდება⁴ და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბეროლის /ბერიკას/ სახის გასაშავებლად გამოიყენებოდა. სვანურში ახლაც ცოცხალია სიტყვა „გონჩაი“, რაც სიტყვა-სიტყვით სახეზე მურწასმულს /მურიანს/ გათხუპნულს, ჭუჭყიანს ეწოდება. ქართულშიაც გონჯი, გონჯა /განსაკუთრებით აღმო-

1 ვ. ბარდაველიძე, ქართული /სვანური/ საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, გვ. 115.

2 ჯ. რუხაძე, ძველი ქართული აგრარული დღესასწაულის მთავარი პერსონაჟი, ბერი-ბერა... გვ. 174-176.

3 В И Авдиев История древнего Востока Ленинград 1953 стр 104

4 ამავე სიტყვას /განჯ, განჯუ/ აქვს სხვა მნიშვნელობა - ჟანგი.

სავლეთ საქართველოს მთიანეთში/ ცუდის, გლახაკის სინონი-
მია.

ამრიგად, გონჯო, გონჯა, გონჯაი /გონჩაი სახელების ამოსა-
ვალი მნიშვნელობა დაცული უნდა იყოს ქვაბის /მურის/ სვა-
ნურ სახელწოდებაში განჯ, განჯუ ფორმის სახით. მურს სვანუ-
რად მეორე სახელიც - გუნაი ჰქვია, მაგრამ იგი განსხვავდება
განჯისაგან /გუნაი თხელი ფენაა მურის, ხოლო განჯ-სქელი/.
როგორც ჩანს, გონჯო, გონჯა/გონჯა არის ბეროლ-ბერიკას ეპი-
თეტი და ნიშნავს შავად შეფერილს, გამურულს /მურიანს/, რაც
გულისხმობდა იმავე ბეროლს /ბერიკას/ და ამ უკანასკნელის
სიშავეს.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი პარალელები თუ დამატებ-
ლობას არ არიან მოკლებული, მაშინ გასაგები ხდება ბეროლ//
ბერო//ბერას და გონჯო/გონჯას, აგრეთვე, სვანური ლიბერო-
ლალის და ლიგონჯაჟალის სახელწოდებების ერთი და იმავე
მნიშვნელობით ხმარება.

ბეროლ//ბერიკა უნდა იყოს ბერი ღვთაების როლის გან-
მასახიერებელი და არა თვით ღვთაება. შესაძლებელია იგი /
ბეროლ//ბერიკა/ოდესღაც ხალხსა და ღვთაებას /ბერს/ შო-
რის შუამავლად ითვლებოდა¹. დღესასწაულის თეატრალურ
სანახაობად გადაქცევასთან დაკავშირებით მან დაკარგა ძვე-
ლი ფუნქცია და გახდა ღვთაების როლის განმასახიერებელი
/ე.ი. დარჩა დამოკიდებულება ბერსა და ბერიკას შორის, ახლა-
ნდელი გაგებით რომ ვთქვათ, ისეთი, როგორიც არის მოქმედ
პირსა და მსახიობს შორის/. თხის ნიღბით გამოსახული პირი
განასახიერებდა არა ბერიკას², არამედ, პირიქით ბერიკა გა-
ნასახიერებდა /თხის ნიღბით და სხვა საშუალებებით/ ბერს/
ბასილს ან სხვა/. დღესასწაულზე ხალხი გარკვეულ ზღვარს
ავლებდა ნამდვილ ღვთაებასა, რომელსაც სახელის კნინობით
ფორმა არ შეეფერებოდა, და მის განმასახიერებელ პერსო-
ნაჟს შორის³. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ძნელი იქნებო-

1 ამ მხრივ საყურადღებოა ლაზარეს თიხის გამოსახულება, რომელიც
ჩამოტანილი იქნა ივ. ჯავახიშვილის მიერ სოფ. ხოვლედან საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმში და ამჟამად ინახება /ამის შესახებ მიმოითთა
ვ. ბარდაველიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ/ ადამიანის
გამოძერწილ ფიგურას ხელში ქალაქი უჭირავს ელიასთან თხოვნით, რომ
გვალვის დროს წვიმა მოიყვანოს და დელგმის დროს დარი.

2 ჯ. რუხაძე თხის ნიღბით გამოსახული პირი მიაჩნია ბერიკას განსახიერებად,
შდრ. ჯ. რუხაძე, ძველი ქართული აგარული დღესასწაულის მთავარი
პერსონაჟი ბერი-ბერა... გვ. 175.

3 რელიგიის ისტორიამ არ იცის ნიღბოსანი ღვთაება, ნირობოსანი შეიძლება
იყოს პერსონაჟი, რომელიც რვთაების როლს ასრულებდა. შდრ. ვ.
ბარდაველიძე, გონჯაობა-ლაზარობა, ხელნაწერი, 1944.

და იმის ახსნაც, რომ „ქართლ-კახურ ბერიკაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ დათვის, კურდღლის, მგლის, ხარის, თხის, ცხვრის, ტახის, შველის, ირმის, აქლემის, მაიმუნის, ძაღლის, კატის, ყოჩის ნიღბიანები და მათ ყველას ბერიკები ეწოდებოდა¹. ე. ი. ღვთაება ერთი იყო, ხოლო მისი განმასახიერებელი კი - მრავალი, რომლებიც კნინობითი ფორმიანი სახელებით აღინშნებოდნენ /ბეროლ, ბერიკა, ბერა და სხვა/².

საყურადღებოა ისიც, რომ სვანურ ლიბეროლაში მხოლოდ ერთი მთავარი პერსონაჟი მოქმედებს, რაც უფრო ძველ ვითარებას უნდა ასახავდეს ვიდრე ეს გვაქვს ქართლ-კახურ ბერიკაობა-ყეენობაში, რომელშიაც მთავარ მოქმედ პირებად არაერთი პერსონაჟია გამოყვანილი. შესაძლოა, ასევე ძველი გაგების ამსახველი იყოს ტერმინების - ბეროლ და გონჯა ერთი მნიშვნელობით ხმარება.

ამრიგად, ირკვევა ისიც, რომ „ბერიკაობა-ყეენობა“, აგრეთვე „გონჯაობა“ ეწყობოდა კვირიას სახელზე ისევე, როგორც სვანეთში „მურყვამობა-კვირიაობა- /აგრეთვე „კვირიოლი“, „მოულენი“ და სხვ/. ძირითადი განსხვავება სვანურ მურყვამობა-კვირიაობისა „და ქართლ-კახურ“ ბერიკაობა-ყეენობას შორის არის ის, რომ ამ უკანასკნელში მთავარი აგრარული ღვთაების სახელი დავიწყებულია, ხოლო სვანურ დღეობებში-შენარჩუნებული. ამის მიზეზი უმთავრესად შეიძლება იყოს ქრისტიანობა, რომლის გავლენაც ბართან შედარებით მთაში საკმაოდ სუსტი იყო.

4. გამურვა-დათვობია“ /ლიირი ლიდეშდუნალ/

ქვემო სვანეთის სოფელ ჩიხარეში /ახალშენის უბანი/ ბოსლობის მეორე დღეს /ე.ი. კვირას/ გამართულ დღესასწაულს „გამურვა-დათვობია“ /სვ. ლიირი-ლიდეშდუნალ/ ერქვა. ამ დღეობაზე მონადირეების დასწრება სავალდებულო იყო.

კვირა საღამოს სოფლის ახლოს „ყაენის ყანაში“ /სვ. ყაინი

1 დ. ჯანელიძე, ქართული ტეატრის ხალხური საწყისები, გვ. 41.

2 ჯ. რუხაძე, გამოთქმული აქვს საპირისპირო მოსაზრება, რომლის საფუძველზე ბერთან გაიგივებულია ბერიკა და ვარაუდობს, რომ იგი /ბერიკა/ გამომსახველი იყო ხარის, ცხვრის, თხის და სხვა ცხოველების კულტებისა. იხ. ჯ. რუხაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 176-177.

დაბ¹. იკრიბებოდა მთელი „სუმრა“, რომელიც ირჩევდა ორ ყაენს. მათ ხელში ხის დაშნებს აკავებინებდნენ და მთელი ღამის განმავლობაში წესრიგს იცავდნენ. „სუმრა“ ირჩევდა „დათვებად“ ორ მამაკაცს. მათ აცმევდნენ დათვის ტყავებს და ფეხებზე და ხელებზე ამაგრებდნენ მოკლე თხილამურებს /თათების მაგიერ/. მამალ „დათვს“ /სვ. კურ დეშდუ/ ხისგან გამოთლილ მამაკაცის სარცხვინელი ასოს გამოსახულებას ჰკიდებდნენ და ხელში აძლევდნენ ხის დაშნას. მამალ და დედალ „დათვებს“ შემოახვევდნენ ხოლმე ცერცვის ჩენჩოს, ნამჭის ნარჩენებს ჩვრებს. მამალი „დათვი“ ხის სარცხვინელ ასოზე ილესავდა დაშნას. დედალი დათვი „ნაიქცეოდა და ახდენდნენ სქესობრივი აქტის სიმულაციას. ამ წესს მოჰყვებოდა „მურის წასმა“ //სვ. ლიგუნაშალ//ლიირი/ სუმრის ყველა წევრი /ქალი და კაცი/ ერთმანეთს სახეზე უსვამდა მურს, პურის ცომს, ნახშირს. სახე გაუმურავი არავინ უნდა დარჩენილიყო. თუ ვინმეს მალული სატრფო ჰყავდა ამ ღამეს, ცდილობდა მასთან შეხვედრას. ამ დღეობას მოჰყვებოდა ქეიფი უზომო სმითა და ცეკვა-სიმღერით.

„გამურვა-დათვობია“ ბოსლობის დღესასწაულის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა და თავიდან ბოლომდე სექსუალური ურთიერთობის ინსცენირების გამომხატველი იყო. მამალი „დათვის“ ბერიკას და საქმისაის მსგავსად მორთვა, ასევე სქესობრივი ექსცესების დემონსტრირება /საქმისაისა და მელია-ტელეფიას მსგავსად /. ორი ყაენის არჩევა, ამ დროს შესრულებული „ლიგუნაშალის“ რიტუალი: სახის შავად შეღებვა, ნახშირით ან მურით, წყალში ახელილი ნაცრის და პურის ცომის სახეზე წასმა, რომელიც მიწის ნაყოფიერების გაზრდის მიზანს ემსახურებოდა, გვაფიქრებინებს, რომ „დათვობია“ / ლიდემდუნალი/ „მურყვამობა-კვირიაობის“ ციკლში შემავალი დრესასწაული იყო და გენეტურად კვირიას კულტს უკავშირდებოდა.

სვანური „დათვობიას“ მსგავსი რიტუალები დამონმებულია საქართველოს სხვა კუთხეებშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი თონეთის /თრიალეთი/ „დათვობია“, რომლის სრული აღწერილობა ი. გოგორიშვილისა და ი. ყირიმელაშვილის მიხედვით მოყავს ქართული თეატრის ისტორიის მკვლევარს დ. ჭანელიძეს². აღნიშნული დღესასწაული სვანურ „დათვობი-აზე“ ერთი კვირით გვიან იწყებოდა და ერთი თვე გრძელდებოდა. ეს დღეობა ისეთივე სექსუალური ნიშნებით და გაშიშ-

1 „ყაინი დაბ“ მოხუცების გადმოცემით იმიტომ ჰქვია ყანას, რომ ამ ადგილზე ირჩევდნენ ზეიმის მომწესრიგებელ „ყაენებს“.
 2 დ. ჭანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, გვ. 100-104.

ვლებული ეროტომანიით ხასიათდებოდა, როგორც სვანური „დათვობია“, /იმ განსხვავებით, რომ სვანურ „დათვობიაში“ „დათვს“ ფალოსის გამოსახულება, ისიც მამაკაცის, ჰკიდია, რაც თონეთის დათვობიაში არ არის დამონშებული//ცხოველებისა და მიწის ნაყოფიერების გამონწვევის მიზნით „დათვის“ გამო-მსახველ პირთან დაკავშირებული ფალიკური წესჩვეულებანი საქართველოს გარდა სხვა ქვეყნებშიც დასტურდება¹.

5. ალბა-ლალრალი

„მურყვამობა-კვირიაობის ყველაზე სრულყოფილ ზემოსვანურ ვარიანტს წარმოადგენს „ალბა-ლალრალი“ /ალების თამაშობა-გართობა/. ეს დღესასწაული სოფელ ჟაბეშში ტარდებოდა. მისი მთავარი ცერემონიალი ყველიერის ალების კვირას სრულდებოდა. ამ დღეობის მონაწილე სოფლები ორ ჯგუფად იყო გაყოფილი: ერთ მხარეზე იყო ჟაბეში, მეორე მხარეზე - ცალდში და ჩვაბიანი. ამ ზეიმობისათვის მზადება ყველიერის ხუთშაბათს იწყებოდა. ამ დღეს სოფელ ცალდაშის ახლოს „ფელის ბორცვზე“ /„ფელი ზუიგუ“, სადაც ნაეკლესიარია, აშენებდნენ თოვლის კოშკს, ხოლო ჟაბეშში იწყებდნენ თოვლის ორი კოშკის /ამათგან ერთ დიდი იყო და მისი აშენება ყველიერის კვირა დილას მთავრდებოდა/ აშენებას. ამავე დღეს მოჰქონდათ ტყიდან ფიჭვის ან ნაძვის ორი უზარმაზარი კეტი. წვერზე გაუკეთებდნენ თითბრის ბუნიკებს, ჩამოჰკიდებდნენ აბრეშუმის წითელ ლენტებს /ნაჭრებს/. ამათ ეწოდებოდათ „დურშა“ /ე.ი. დროშა/.

თოვლის კოშკის საძირკვლის ჩაყრას ერთმანეთს ეცილებოდნენ უძეო მამაკაცები, რადგან საძირკვლის ჩამყრელს ხალხის რწმენით ვაჟი „შეეძინებოდა“.

მეორე დღეს /ე.ი. პარასკევს/ მაცხოვრის ეკლესიასა და „ელის ბორცვზე“ დილას იმღერებდნენ კვირიას, ხოლო შაბათს ცალდაშის და ჩვაბიანის „სუმრა“ იკრიბებოდა კვლავ, „ფელის ბორცვზე“ და იმღერებდნენ ისევ კვირიას საგალობელს. შემდეგ ხალხი მიესევოდა ცალდაშის თოვლის კოშკს, რომელიც ღვთისადმი შეწირულ მიწაზე იყო აშენებული, თითოეული სოფელი ცდილობდა თავისკენ წამოექცია კოშკი, რასაც თითქოს უხვი მოსავალი მოჰყვებოდა. ამ კოშკთან ამოიტანდნენ ერთ „დურშაის“ და მისი თანხლებით კოშკთან იმღერებდნენ კვირიას. კოშკის წაქცევის შემდეგ „დურშაის“ ჩვაბიანში აბ-

1 Ю Семенов, დასახ. ნაშრომი, გვ. 431: Л Штенберг დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

რუნებდნენ და „სუმრა“ ადიოდა სოფ. ჟაბეშის ახლო მდებარე ყანაში. აქ იმართებოდა შეჯიბრის სახით „ლიქესალი“ /ე.ი, თოვლის ნიჩბებით მიყრა, გუდაობა, ჭიდაობა /ეს რიტუალი ომის მსგავსად ტარდებოდა სოფლებს შორის. რომელი მხარეც გაიმარჯვებდა, მას უხვი მოსავალი „დაეყრებოდა“ იმ წელს. „ლიქესალის“ დამთავრებისთანავე „სუმრა“ მეორე დღისათვის /კვირისათვის/ ირჩევს „საქმისაის“, „ყაენს“, „საქმისაის“ ორმეტ „მოახლეს“ /სვ. მოახ, მოახარ/ „ყაენის“ ორ „დედოფალს“. სალამოს კვირიას სიმღერით დაიშლებოდნენ.

კვირა დილას მოზეიმენი იკრიბებიან „საქმისაის“ სახლში. ყველა მომღერალი აქ იყრის თავს. აქ ლოცულობენ ლამარიას /წმ. მარიამი/ სახელზე. „საქმისაის“ „მელქურაში“ /დღეობა „ლიქურაშის გადამხდელი/ საჩუქრად აძლევს გაცვეთილ ცოცხებს, ხალხი კი - ტყვიაწამალს, ფულს და ა.შ.

მთელი „სუმრა“ იკრიბება ჟაბეშის სუფში, იქ სადაც თოვლის კოშკები დგას. აქ გამოაწყობენ „საქმისაის“, სახეს გამურავენ, მსხვილ წარბებს გაუკეთებენ მურით, შეამოახვევენ ძონძებს, ცერცვის და ქერის ნამჯის წარჩენებს, თხის ტყაპუჭს ჩააცმევენ, წელზე ჩამოჰკიდებენ მამაკაცის სარცხვინელ ასოს ხის გამოსახულებას, აგრეთვე ხის ხმალს. ასევე, ყაენსაც ჩააცმევენ თხის ან ცხვრის ტყაპუჭს, სახეს გაუმურავენ, ჩამოჰკიდებენ ამასაც მამაკაცის სარცხვინელ ასოს /ხისგან გამოთლილს/, ხოლო ყვერს ერთს მარტო ჩამოჰკიდებენ „ყაენის“ დედოფლებს ხელში ორ-ორი შამფური უჭირავთ, თითო თვალი შეხვეული აქვთ, გვერდმგვერდ დადიან, პირდაპირი სვლა მათ ეკრძალებათ. /მოქმედ პირებად ყველა მამაკაცია გამოყვანილი, ქალის როლშიც/.

ამ დღითვე დაასობენ, თოვლის დიდ კოშკზე, უზარმაზარ ბოძს /სვ. „ანძი“ ე.ი. ანძა/ ამასაც მორთავენ „საქმისაის“ მსგავსად ბოძს თავზე ქუდის მაგიერ საცერს ან ცხრილს დაახურავენ. ჩამოჰკიდებენ ფალოსის გამოსახულებას, ხის ხმლებს, გაუკეთებენ მკლავებს /ჯოხს დაამაგრებენ სიგანეზე/, „მკლავებზე“ ძონძებს ჩამოჰკიდებენ.

საქმისაის რომელიმე მოსახლე /სურვილით/ გამოუტანს დიდ ხაჭაპურს და ჭყინტლი ყველის დიდ ნაჭერს. საქმისაი ყველს ღეჭავს და ირგვლივ აფურთებს, თან ღმერთს შესთხოვს კაცისა და საქონლის სიმრავლეს, წველის ბარაქას, მოსავლის სიუხვს, აფურთხებს ლამარიას სალოცავისაკენ. ვინც საჩუქარს მისცემს, მას ვაჟების შეძენას უნატრებს.

„საქმისაის“ და მისი „მოახლეები“ ხმაშეცვლილად ლაპარაკობენ, რომ არავინ იცნონ, ასევე იქცევიან „ყაენი“ და მისი „დედოფლები“. „ყაენს“ „საქმისაის“ მოსტაცებს „დედოფლებს“.

„ყაენს“ გამოეფიქრება თუ არა, „დედოფლებს“ მოძებნის „საქმისაჲს“ გვერდით. „საქმისაჲს“ და „ყაენის“ იჭიდავებენ, როგორც წესი, „საქმისაჲს“ რჩება გამარჯვებული. „დედოფლები“ ხის შამფურებით უმეტესად ჩხვლეტენ ქალებს და კარგად ჩაცმულ მამაკაცებსაც. „საქმისაჲს“ მოახლეები“ ვაშლის ხეს ესვრიან გაცვეთილ ცოცხებს და დიდ ყიჟინას ასტეხენ „საქმისაჲს“ გამარჯვების გამო.

დღესასწაულის დასასრულს იწყება დიდ კოშკზე დასობილ ბოძზე ასვლის შეჯიბრი. ვინც „ქუდს“ ჩამოაგდებს, გამარჯვებულიც მისი მხარე რჩება და უხვი მოსავალიც მას დაებედება. ბოლოს იწყება ბოძის გარსშემოვლით კოშკის თავზე საფერხულო სიმღერები: „რაი დი ვო“¹, „ბეთქილი“, „შგარი და ლაშგარივო“². სიმღერების დამთავრებისთანავე იწყება კოშკების წაქცევის ცერემონიალი. აქვეა აყუდებული ორი უზარმაზარი კეტი „დურშა“ - ჩვაბიანიდან ხელამართულად ამოტანილი. კოშკის წამქცევი და დურშას ხელამართულად მომტანი გამარჯვებულად ითვლებიან და უხვი მოსავლიანობაც მათ დაებედებათ. საღამოს „დურშაის“ ჩვაბიანში აბრუნებენ, ხოლო „საქმისაის“ და „ყაენის“ მორთულობას /ფალოსებს/ ივანე კახიანის ოჯახში ინახავენ.

მთხრობლების გრიგოლ ჯაფარიძის და სილო მარგიანის გადმოცემით, „ალბა ლაღრაღში“ „ყაენის“ მოქმედება ჩამატებული არისო გვარად ჩამგელიანის მიერ, რომელიც ნამყოფი ყოფილა და იქ უნახავსო მსგავსი დღესასწაული.

ქვემოსვანური „მურყვამობა-კვირიაობის“ მსგავსად „ალბა ლაღრაღსაც“ თავისი სავალდებულო წესები ჰქონდა: 1. კვირიას საგალობლის შესრულება. 2. კოშკების აშენების და წაქცევის სცენა. 3. ლიქესალი /გუნდაობა/, ჭიდაობა/. 4. დურშაის ტარების ცერემონიალი, 5. საქმისაჲს და ყაენის „დედოფლებთან“ სექსუალური ურთიერთობის ამსახველი სცენების გამართვა; 6. ფალოსით მორთული ბოძზე ასვლის შეჯიბრი; 7. სხვადასხვა საფერხულო სიმღერა-ცეკვები /ბეთქილი, სამთი ჭიშხაშ, შუკუი ჭიშხაშ, რაიდიეო და სხვა/. ამ დღესასწაულის შინაარსიდან ჩანს, რომ იგი ისეთივე აგრარული დღეობაა, როგორც „მურყვამობა-კვირიაობა“. ამ ორ დღეობას შორის უმნიშვნელო განსხვავებაა. მაგალითად, ქვემოსვანური „მელია-ტელეფია“ და „ადრეკილაჲ“ არ არის „ალბა ლაღრაღში“ ნახსენები ისევე, როგორც მურყვამობა-კვირიაობაში-საქმისაჲს და „ლიქესალი“.

1 „რაი დი ვო“-ს შინაარსი ქართულად იხ. ტექსტში გვ. ...

2 „შგარი და ლაშგარივო“ ეხება სვანების აფხაზეთში გალაშქრებას და იქიდან ნადავლით დაბრუნებას, რაც ახალი ჩამატებული უნდა იყოს ამ დღესასწაულში და იგი ორგანულ ნაწილად ვერ ჩაიცვლება ამ დღეობისა.

საქმისაი არსებითად არ განსხვავდება ქვემოსვანურ ბერიკა-სა /ბეროლ-გონჯა/ და „მელია ტელეფიას“ წინამძღოლის /ჭუპ-ჭუპის მთქმელის/ და მამალი „დათვის“ როლების შემსრულებელთაგან. რაც შეეხება ადრეკილაჟს და საქმისაჟს თვით სახელწოდებებს, ისინი ერთმანეთის სინონიმები ჩანან.

„აღბა ლალრალი რომ „მურყვამობა-კვირიაობის“ იგივეობ-რივია ამის შესახებ ყველაზე ადრე მიუთითა ივ. ჯავახიშვილი¹.

აღბა ლალრალის სათაური გვიჩვენებს, რომ მასში, გადმონაშთების სახით, ჯერ კიდევ ცოცხლად ჩანს წარმართული ხანის რელიგიური რწმენების კვალი და მასზე გარკვეული გავლენა მოუხდენია ქრისტიანულ სარწმუნოებასაც /ეს დღეობა ხალხს ღვთისმშობლის სახელობისად მიაჩნდა/. „აღბა ლალრალი“ რომ კვირიას სადიდებელი დღესასწაული, ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამაზე მიუთითებს თვით დღეობის ძირითადი შინაარსი. სახელწოდებაც „აღბა ლალრალი“ წარმოშობილი ჩანს მას შემდეგ, რაც კვირიას კულტმა აქტუალობა დაკარგა. ხალხის თვალში და იგი დღეობა თეატრალური ხასიათის სანახაობა გახდა. მაშ, რა უნდა რქმეოდა მას თავდაპირველად? ამ დღეობის თავდაპირველი სახელწოდების კვალი თვით მისი შინაარსიდან ჩანს: საქმისაი და ყაენი „მელქურაშის“ /ე.ი. „ლიქურაშ“-ის გადამხდელი მოსახლის /სავალდებულო სტუმრები იყვნენ, „მელქურაში“ მოსახლე ამარაგებდა ამათ საჭირო ინვენტარით და მორთულობით. ლიქურაშის იმ დროს დღესასწაულობდნენ, როცა ქვემო სვანეთში /შკედი, ჩინარეში/ „კვირიაობა“-ს ზეიმობდნენ, ხოლო ლიქურაშის დღეობაში სექსუალობის გადმონაშთები აშკარად ჩანს. საქმე იმაშია, რომ „ლიქურაში“ /ეს იგივე უნდა იყოს რაც „ლიკურეში“/ ქვემოსვანური „ლიკურჯელ“-ის ტოლფარდი სიტყვაა. ლიქურეში ეს იგივე ლიკურაშ ე.ი. კვირიაობა, კვირიას და „აღბა-ლალრალსაც“ თავდაპირველად ეს უნდა რქმეოდა. ვ. ბარდაველიძეს ლიქურაში ღვთაება ბარბარის სახელზე განკუთვნილი მსახურების ერთ-ერთ ელემენტად მიაჩნია².

ნაყოფიერების დედა-ღვთაების კულტის გადმონაშთები გვაქვს „მურყვამობა-კვირიაობის“ ციკლის თითქმის ყველა დღეობაში, და მათ შორის „აღბა ლალრალშიც“, კვირიას სახელობის დღეობებში „დედოფლების“ და „ცოლების“ მოქმედება უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ როგორც კვირიას როლს განასახიერებდნენ ითიფალური პერსონაჟები: საქმისაჟ, ყაენი,

1 ივ. ჯავახიშვილი, დასხ. ნაშრომი, გვ. 65.

2 ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. ღვთაება ბარბარ-ბაბარ, გვ. 90.

კეისარი, მელია-ტელეფიას წინამძღოლი, ბერიკა-გონჯა, ასევე ნაყოფიერების დედაღვთაების როლს ანსახიერებდნენ „დედოფლები“ და „ცოლები“¹ რომ წარმართული ხანის ნაყოფიერების დედაღვთაების ფუნქციები დაუკავშირდა ქრისტიანულ ლამარიას /წმ. მარიამი/, რაც „აღბა -ლაღრალშიაც“ ჩანს. ამ დღესასწაულზე საქმისაის მიერ პურის და ყველის ღეჭვა და მისი ლამარიას სალოცავისაკენ მიფურთხება ნაყოფიერების დედაღვთაების ძალის გამოვლენის, გამოწვევის მაგიური აქტი უნდა იყოს, რაც თითქოს უზრუნველყოფდა პურის და წველის უხვ მოსავალს.

ბარბალის /ნაყოფიერების და მზის ღვთაების - ვ. ბარდაველიძე/ დღესასწაულებშიც დამონმებულია ნაყოფიერების მამაკაცი ღვთაების კულტის არსებობა. ლენჯერში 4 დეკემბერს /ბარბალობის დღეობაზე/ თოვლის კოშკს აშენებდნენ და მის გარშემოვლით კვირიას საგალობელს ასრულებდნენ², ხოლო ბერძნულში „გრძელ ორშაბათს“ /ჯოდი დოშდიშ/ იანვრის პირველ რიცხვებში მამაკაცების ჯგუფი ძონძებით და ნამჯის ნარჩენებით დახუნძულ კეტს ხელამართული კარგაკარ დაატარებდნენ ბარბალზე სიმღერით. ეზოში შესვლისას მამაკაცის დაძახება სავალდებულო იყო, ხოლო ქალის სახელის წარმოთქმა კი აკრძალული. ამ რიტუალებში ბარბალის და კვირიას კულტები სინკრეტულად უნდა იყოს მოცემული.

ამავე აზრს ადასტურებს „აღბა-ლაღრალში“ ლამარიას გამოსახულების მორთვა მამაკაცის წვერებით და ფალოსით³.

აქ მოყვანილი მაგალითები, აგრეთვე, კვირიას ეპითეტები „მზევ კვირია, მზევ ცისა კვირია“ სავარაუდებელს ხდის, რომ მოხდა ნაყოფიერების უზენაესი მამაკაცი ღვთაების ფუნქციების ასოცირება მზის დედაღვთაების ფუნქციებთან, რაც უნდა აიხსნებოდეს მათი /ე.ი. კვირიას და მზის დედაღვთაების/

1 ამის საინტერესო პარალელი ჩანს ვ. ბარდაველიძის მიერ 1935 წ. უშგულში დამონმებული „წმინდანების“ /უფლის და ორი მაცხოვრის/ ქორწინების რიტუალი, რომელიც ბზობა დღეს ტარდებოდა. ქორწინების რიტუალის ობიექტები ჯვრებით იყვნენ წარმოდგენილი. ორი ეკლესიიდან გამოტანილი ჯვარი „დედოფლებს“, ხოლო მესამე ეკლესიის ჯვარი „ნეფეს“ განასახიერებდა. „დედოფლებს“ გამოაწყობდნენ, ხოლო „ნეფეს“ უტანსაცმლოდ ტოვებდნენ. ვ. ბარდაველიძე ქართული /სვანური/ სანესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. გვ. 49-50.

2 ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი: გვ. 10-11.

3 აღბა ლაღრალის დღეობაზე ზოგჯერ ბოძს მორთავდნენ წვერით, ფალოსით, ქალის თმებით და ამას უწოდებდნენ ლამარიას. /წმ. მარიამს/. ჰერმადროდიტისებურად ბოძის მორთვა უნდა მიუთითებდეს ნაყოფიერების მდებარეობითი და მამრობითი ღვთაებების შეუღლების არსის პრიმიტიულ წარმოდგენაზე, რაც მოსავლიანობის, საერთოდ ნაყოფიერების გამოწვევის მაგიური აქტი უნდა ყოფილიყო.

„შეუღლებით“. ამისი სიმბოლური გამოხატულება უნდა იყოს „მურყვამობა-კვირიაობის“ და მისი ქართული ვარიანტების / ბერიკობა-ყეენობა/ „ნეფე“ /კეისარი, ყაენი, შაჰი“/ – „დედოფლის“ ქორწინების, შეუღლების ინსცენირება¹.

6. კეისრობა-ლამპრობა /კეისრობ-ლამპრობ, სუიმნიშ-ლამპრობ/

მურყვამობა-კვირიაობის ზემოსვანური ვარიანტებიდან თავისი არქაულობით მულახის სოფელ ლახირის დღესასწაული „კეისრობა-ლამპრობა“ ანუ „სვიმინობა-კეისრობა“ /სვ. კეისრობ-ლამპრობ, სუიმნიშ კეისრობ/. ის იმრთებოდა პირველ თებერვალს /ძვ. სტილით/. ამ დღეს სოფლის ყველა მამაკაცი მოზარდებიც-მიდიოდა „თარინგზელის ლახუამში“ /მთავარანგელოზის სალოცავში/.

მონაწილეებს თან მიჰქონდათ ცერცვჩართული ტაბლები, ზედაში-ი /ნათავედი არაყი/. კომლზე თითო ლამპარი, ცვილის იმდენი სანთელი, რამდენიც მონაწილე იყო: მიჰყავდათ უსხი /3-4 წლის მოზვერი/.

სალოცავის ეზოში აირჩევდნენ დღეობის მეთაურს „კეისარს“ /კესარ/. ამ როლის შემსრულებლად ირჩევდნენ მსახიობობის უნარის მქონე მამაკაცს. მასვე აურჩევდნენ „მოადგილეს“ /მეიარდგილე/, რომელსაც „მუჰრი“-ს ეძახდნენ /ე.ი. ის, ვინც მურს, ნახშირს წაუსვამდა დღეობის მონაწილეებს/. უსხს დაკლავდნენ, ხორცს მოხარშავდნენ, ზედაშესთან ერთად /სართვიანი ტაბლებითურთ შეალოცებდნენ თარინგზელის სახელზე. იმღერებდნენ „კვირიას“. ღმერთს შესთხოვდნენ ვაჟებისა და სახლიშვილების სიმრავლეს, კარგ მოსავალს და ზომიერ ამინდს. უსხის ხორცს გაანაწილებდნენ თითოეული კომლის მიხედვით.

„კეისარს“ აცმევდნენ თხის ქურქს, სახეს უმურავდნენ, ჩამოჰკიდებდნენ მამაკაცის სარცხვინელ ასოს გამოსახულებას და ხის დაშნას, ხოლო ხელში დააკავებინებდნენ ანთებულ ლამპარს. ამ ანთებულ ლამპარს იგი დღეობის ახალბედა მონაწილე ვაჟებს ურტყამდა საჯდომზე სამჯერ /ჯერ მსუბუქად,

1 ე.ი. საქართველოში ისევე ხდებოდა კვირიასა და /შხის/ დედა-ღვთაების შეუღლების ინსცენირებანი, როგორც მესოპოტამიაში თამუზ-იმტარის, სირია-ფინიკიაში ადონის-ასტარტასი და ა.შ.

შემდეგ უფრო მაგრად/. ამის შემდეგ „კეისარი“ დგებოდა სალოცავის ზღურბლთან ცვილის სანთლით, დღეობის ყველა მონაწილე აქ გაივლიდა და „კეისარი“ მათ თავზე თმას უტრუსავდა. შემდეგ კეისარი ერთმანეთის პირისპირ დასვამდა ორ ვაჟს, რომლებიც ერთმანეთს სახეზე უსვამდნენ წყალში აბელილ ნაცარს. ამ დროს „მუჰრი“ დღეობის ყველა მონაწილეს შუბლზე მურს ან ნახშირს წაუსვამდა /ჭვარს გამოუსახავდა/. შემდეგ სხდებოდნენ საქეიფოდ ეკლესიის ეზოში და ქარახსნებით /დიდი სასმისებია/ სვამდნენ არაყს. ვაჟები რიგრიგობით ადღეგრძელებდნენ კეისარს და თან ეხვეწებოდნენ, კარგი „საცოლე“ მიეჩინა მათთვის. „კეისარი“ პირველად მდარე „საცოლეს“ შეურჩევდა, შემდეგ უკეთესს. ამ დროს აანთებდნენ ლამპრებს და მინდორში გაამწვრივებდნენ იმდენს, რამდენი კომლიცაა ლახირში, ხოლო ცვილის იმდენ სანთელს აანთებდნენ, რამდენი მონაწილეც იყო დღესასწაულზე. სანთლები და ლამპრები როგორც კი ჩაქრებოდა /სალამო ხანს/, მთვრალი ხალხი გაემართებოდა სოფლისკენ. პროცესიას წინ მიუძღოდნენ „კეისარი“ და მისი „მოადგილე“.

სოფელში ყველა მოზეიმე შედის ეზოში იმ მოსახლისა, რომელიც იხდიდა დიდ ღვინს ამ დღეობის სახელებზე. ეზოში „კეისარს“ აურჩევენ ორ „ვეზირს“. „კეისარი“ ღვინის გადამხდელს უგზავნის მოციქულებად ორივე „ვეზირს“ და დააბარებს: პურის მცხობლის გარდა არავინ დახვდნენ შინ, თორემ ჯარით შევა და ცუდ დღეს დააყრისო. ამაზე მოსახლე პასუხობდა: თუ წყნარად არ შემოხვალთ, ჯარი ისეთი გვყავს, რომ რკინის თორმეტი ზღურბლი გაუცვეთიათო“. ამის შემდეგ ზეიმის ყველა მონაწილე, მწკრივად დაწყობილნი, შედიან ოჯახში „სადამის“ სიმღერით. შუა ცეცხლთან იწყებდნენ „დიადეს“-ს სიმღერას და ისე უვლიან ცეცხლს გარშემო სამჯერ. ამ ზეიმის მონაწილე ქალებიც ხდებიან. სანთლებს „შგილს“ /საქონლის სათავისი წინა კედელი/ მოაკრავენ. სანთლები ჩაქრება თუ არა, ქალი და კაცი ერთმანეთს ჩაერევიან სალაზლანდაროდ. როცა დაწყნარდებიან, „კეისარს“ აურჩევენ ორ „ცოლს“ და ერთ „მოახლეს“. „ცოლად“ არჩევა მხოლოდ მეორე სოფლიდან გამოთხოვილის შეიძლება. „კეისარი“ ეალერსება „ცოლებს“ და თან სარცხვინელ ასოზე ხის დაშნას ილესავს. ემუქრება გოგონებს და დაშნასაც ურტყამს მათ.

ხალხის რწმენით „კეისარის“ „ცოლებად“ არჩეულებს ვაჟიშვილები შეეძინებოდათ. ამის შემდეგ კვლავ ღრეობა იწყებოდა და ათენებდნენ ღამეს. ეს დღეობა ვაჟიშვილებისა და სახლიშვილების ბედზე ეწყობოდა.

„ლამპრობა“ ზემო სვანეთის სხვა სოფლებშიც ტარდებოდა.

ამ დროს, ხოლო ორ თებერვალს ქვემო სვანეთში იმართებოდა იგი და ანთებულ ლამპრებს /ჭინჭლილებს/ ესროდნენ ხეებს მათი ნაყოფიერების გაზრდის მიზნით.

აგრარული დღესასწაულებისათვის დამახასიათებელი სექსუალობის გარდა „ლამპრობა-კეისრობისა“ და „ლამპრობის“ სხვა დღეობებში საკმაოდ ძალუმად ჩანს ცეცხლის კულტი. ცეცხლი /ლამპარი, სანთელი/ აქ სიცოცხლის, თვალის სისალის და მოსავლის სიუხვის მომნიჭებელია. ჩანს ისიც, რომ ცეცხლის კულტი მჭიდროდაა დაკავშირებული ხის კულტთან.

კვირიას სადიდებელ დღესასწაულებში ცეცხლის კულტის ძალუმად შეტანა, ცეცხლით თმის შეტრუსვა, საჯდომებზე მუგუზლებით ცემა, ცეცხლთან ორგიასტული წეს-ჩვეულების იმიტაცია, კვირიას საგალობლის წარმოთქმა შუა ცეცხლთან არ არის შემთხვევითი. ამ სვანურ წეს-ჩვეულებებს საგულისხმო პარალელები მოეპოვება აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში, რაც სათანადოდ ფიქსირებული აქვს ვ. ბარდაველიძეს¹.

ირკვევა, რომ კვირიას მჭიდრო კავშირს ცეცხლთან, ოჯახთან, „ლამპრობაც“ ადასტურებს, რაც კიდევ უფრო სავარაუდებელს ხდის მასთან ოჯახის ღვთაების ფუნქციების დაკავშირებას. „ლამპრობა-კეისრობაში“ ქალების და კაცების ერთმანეთში სალაზღანდაროდ ჩარევა /ისიც სიბნელებში/ ამ დღესასწაულის უძველეს კომპონენტს უნდა წარმოადგენდეს, რასაც სათავე ორგიასტულ-პრომისკუიტეტულ დღესასწაულებში შეიძლება ჰქონდეს². ეს დღეობა იმითაცაა აღსანიშნავი, რომ მამაკაცებთან ერთად აქ ქალებიც აქტიური მონაწილე არიან მთელი რიგი რიტუალებისა. მაგ. ქალებს ირჩევენ, „ცოლებად“ და „მოახლედ“.

„კეისრის“ ცოლებად ქალების არჩევა იმ მიზნით, რომ მათ „აუცილებლად“ ვაჭიშვილები შეეძინებოდათ, ისეთივე მაგიური აქტია, როგორც სხვა დღესასწაულებში მურყვამის საფუძვლის ჩაყრა ან მასზე ხის დასობა /ამავე მიზნით/. ეს კი თავის მხრივ კიდევ უფრო სარწმუნოდ ხდის იმ აზრს, რომ მურყვამი - ხე ოდესღაც გააზრებული იყო, როგორც ფალოსი /ნაყოფის მომცემი/.

ლახირის „კეისრობა-ლამპრობის“ და „ლამპრობის“ სხვა დღესასწაულების /მათ შორის ქვემოსვანური „ლამპრობის“ შინაარსით ირკვევა, რომ ისინი ძირითადად საგაზაფხულო აგრარული დღესასწაულების წესჩვეულებების ვარიანტებს

1 ვ. ბარდაველიძე, ქართველი ტომების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაგანი, გვ. 171.

2 Ю. Семенов დასახ. ნაშრომი. გვ. 295.

წარმოადგენენ და მათ მთავარ დანიშნულებას ადამიანთა და ცხოველთა გამრავლების, უხვი მოსავლის /მცენარეთა ნაყოფიერების/ გაზრდის და თვალის სისხლის უზრუნველყოფა წარმოადგენდა თვით „ლამპრობა-კეისრობა“ /იგივე „სვიმონობა-კეისრობა“/ თავიდან ბოლომდე ფალიკური ხასიათისაა და ძირითადად იგი არ განსხვავდება „მურყვამობა-კვირიაობის“ დღესასწაულისაგან. „კეისარი“ თითქმის არაფრით განსხვავდება საქმისაჟს, ყაენის, მელია-ტელეფიას წინამძღოლისა და ბერიკასაგან /ბეროლ-გონჯასაგან/. „კეისარის“ მოადგილედ ანუ „მეჭრი“-დ /პირისახის შავად შემღებავის/ სპეციალური პირის არჩევა და მისი საქმიანობა / დღეობის ყველა მონაწილეს იგი პირისახეს უშავებს მურით/, პირდაპირ გამიზნული უნდა ყოფილიყო მიწის ნაყოფიერების გაზრდისათვის, რაც ამ დღეობის ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებას წარმოადგენდა: „ლიჭრი“ /სიტყვა-სიტყვით წერა, დაწერა, გადატანითი მნიშვნელობით დაწერა სახის, დახატვა, მურით გაშავება, შეღებვა/ ქვემოსვანურად არის „ლიირი“, რაც ჩიხარეშის „დათვობის“ სახელწოდებაც იხმარება /„ლიირი-ლიდეშდუნალ“, ე.ი. „მურით სახის გამურვა-დათვობა“/. ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში აღნიშნული წეს-ჩვეულება სათანადოდ ახსნილია ქართველი მეცნიერების ვ. ბარდაველიძის და ჯ. რუხაძის მიერ, რაზედაც მითითებულია ზემოთ.

გამურვა, პირის გაშავება იმით იქცევეს ყურადღებას, „მურყვამობა-კვირიაობის“ წეს-ჩვეულებებში, რომ ამით აგრარული დღესასწაულის ტიპიურ ნიშანს ავლენენ. ამასთან, დღეობების მოქმედი პერსონაჟების სხვადასხვა სახელწოდებების მიუხედავად, მათი იგივეობა დასტურდება. მაგ. ზემოსვანური „მეჭრი“, ქვემოსვანური „მეხრი“ /ე.ი. მურის წამსმელი/ ბერიკას ეპითეტის „გონჯა//გონჯაი//გონჯაი, იდენტურია. ჩანს, რომ „გონჯ, განჯ“, საერთო კავკასიური ლექსიკური ფონდის კუთვნილებათა /აღნიშნული სიტყვა ცნობილია სომხურში და იგი ნახშირის ნატეხსაც ნიშნავს/, ხოლო „მეჭრი“ ამ სიტყვის უძველესი სვანური სახელწოდება ჩანს.

„ლამპრობა“ ძველად საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში სცოდნიათ დაახლოებით იმ დროს, როცა მას სვანეთში დღესასწაულობდნენ¹. ეს წეს-ჩვეულება ივ. ჭავჭავიძელმა მთვარის კულტს დაუკავშირა². დადასტურებით თქმა იმისა, „ლამპრობა“ მთვარის კულტს უკავშირდება თუ მზისა, ძნელია. საფიქრებელია, რომ „მურყვამობა-კვირიაობის“ ციკლის დღე-

1 ი. ჭავჭავიძელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

2 იქვე, გვ. 57.

ობებში მთვარის და მზის კულტები კვირიას კულტთან ერთად სინკრეტულადაა მოცემული. მთვარის კულტის სიძლიერეზე უნდა მიუთითებდეს ყველიერის კვირის ორშაბათს¹ „ვაჟების ბედზე“ ლოცვა, რომელიც ზემო და ქვემო სვანეთის თითქმის ყველა სოფელში დიდი ამბით დარდებოდა. ამ დღეობას სვანები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ვაჟთა სიმრავლისათვის. მთვარის კულტის გავლენით უნდა აიხსნებოდეს „შავ ორშაბათს“ „მურყვამობა-კვირიაობის“ მთავარი ცერემონიალის ჩატარება ქვემო სვანეთში /ჟახუნდერში/. ეს არცაა გასაკვირი. ისეთი დიდი აგრარული დღესასწაულების ციკლი, როგორიც იყო „მურყვამობა-კვირიაობა“, მთვარისა და მზის კულტების გავლენის გარეშე ვერ დარჩებოდა, მით უმეტეს, რომ ხალხი უძველესი დროიდანვე მზეს და მთვარეს ადამიანის და მოსავლის ბედის განმსაზღვრელად თვლიდა.

7. ლალამის კრივი

ყველიერის ორშაბათს /„თვეთნე ფხუ ლადალ“/ იმართებოდა მესტიის სოფელ ლალამში დღესასწაული, „ჯგუიბ“-ის /ქართ. მუშტებით ცემა, კრივი/ სახელწოდებით.

ამ დღესასწაულისათვის მზადებას ერთი კვირით ადრე იწყებდნენ თოვლის კოშკის საფუძველის ჩაყრისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ უძეო და ორსული ცოლის პატრონი მამაკაცები². დილას როგორც კი გაიგებდნენ კოშკის საფუძველის ჩამყრელის ვინაობას. ხალხი მიესეოდა მას და თოვლის გუნდებს დაახლიდნენ შეძახილებით: „მუხუნი“, „მუხუნი“, ე.ი. საფუძველის, ბალავრის ჩამყრელი /კოშკის/.

თოვლის კოშკს ხის კეტს უტნევდნენ. კოშკი სიმაღლით სამ მეტრნახევარს აღწევდა. კოშკის თავზე ამაგრებდნენ ხის გრძელ მორს /სიგრძით ხუთ მეტრამდე/, რომელსაც წვერზე ჯვარს უკეთებდნენ. კოშკის აშენება წინა დღით მთავრდებოდა ე.ი. კვირას, და ამავე დღეს დიდ ხის ძელს მიაყუდებდნენ ეკლესიის კედელს.

ორშაბათ-დილას მესტიის თემის ყველა სოფლის მცხოვრები იკრიბებოდა ლალამის მაცხოვრის ეკლესიის ეზოში. მოზეი-

1 ყველიერის ორშაბათს ზემო სვანეთში „თქვენთე ფხუ ლადალ“ „ჰქვია რაც ქართულად „გაზაფხულის თეთრ დღეს“ ნიშნავს. ქვემო სვანეთში ამ დღეს ჰქვია „თვედნე დომიში“ /ჩოლური, ლაშხეთი/ ე.ი. თეთრი ორშაბათი.

2 კოშკს ვინც საფუძველს ჩაყურის, იმას „უსათუოდ“ ვაჟი შეეძინებოდა, ამიტომ კოშკის საფუძველის ჩაყრა პირველობისათვის ბრძოლის ვითარებაში ხდებოდა /უმეტესად ღამით/.

მე სოფლები აქაც ორ ჯგუფადაა გაყოფილი.

დღესასწაული იწყება კვირიას საგალობლით. ერთი გუნდი ამ სიმღერით თოვლის კოშკს უვლიან გარს, მეორე ჯგუფი მომღერლებისა კი ამავე „კვირიას“ შესრულებით ეკლესიას უვლიან გარს. სიმღერას ორივე გუნდი ერთდროულად ამთავრებს, ამის შემდეგ ლალამის მცხოვრებლები მოწინააღმდეგეებს შეიტყუებენ ეკლესიაში და იქ ურტყამენ მუშტებს /მხოლოდ მამაკაცებს/; შემდეგ ეზოში გამოვლენ და იქ ჩაერევიან ერთმანეთს სალაზღანდაროდ. იწყებენ თოვლის კოშკზე ასვლის შეჯიბრს. ერთ-ერთი ავა კოშკზე დამაგრებული ბოძის თავზე, გადმოაგდებს ჯვარს. ამის შემდეგ იწყება ჯვარის წართმევობა. რომელი მხარეც ჯვარს ჩაიგდება ხელში, გამარჯვებულისაა და უხვი მოსავალიც მას დაებედება. ამ წესს მოჰყვება კოშკის წაქცევის სცენა. აქაც გამარჯვებული კოშკის წამქცევი გამოდის. ამის შემდეგ რიგრიგობით იწყებენ /მამაკაცები_ ეკლესიის კედელზე აყუდებული ხის ძელზე ხელებით ჩამოკიდებას. ჩამოკიდებულ მამაკაცს მუშტების ცემით და „ჯგუბის“ ძახილით ჩამოაგდებენ.

ზეიმის ბოლოს მოწინააღმდეგე მხარეებს შორის იმართება თოვლით გუნდაობა. ამ შეჯიბრში რომელი მხარეც გაიმარჯვებს, „უხვი მოსავალიც“ მას დაებედება იმ წელს. დაღამდება თუ არა, მაცხოვრის ეკლესიის ეზოში მოაქვთ ანთებული ჟინჯილები /ლამპრები/. სანამ ლამპრები არ ჩაქრება, მანამ იცდის ზეიმის მონაწილე ხალხი. შემდეგ მიდიან მოსახლეობისას და იწყებენ ღამის თევას არაყის უზომო სმითა და ღხინით.

ლალამის „კრივის“ /ჯგუბი/ თვით სათაური გვიჩვენებს, რომ ამ დღესასწაულს სახელწოდებად მისი ერთ-ერთი რიტუალის სახელი შერჩენია /ისევე როგორც ქვემოსვანური „მურყვამობა-კვირიაობა“ მისი ერთ-ერთი რიტუალის-მურყვამობის სახელწოდებითაც მოიხსენება/.

ამ დღესასწაულში განსაკუთრებით საგულისხმოა, ლახირის „სვიმინობა-კეისრობის“ /ლამპრობა-კეისრობა/ მსგავსად, ლამპრების /ჟინჯილების/ ანთების რიტუალი¹, რომელიც უნდა ადასტურებდეს იმ ვარაუდს, რომ კვირიას სახელთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ცეცხლის კულტი.

ამ დღესასწაულის რიტუალები თოვლის კოშკის ირგვლივ და ეკლესიის გარსშემოვლით კვირიას სიმღერით ორი გუნდის სვლა, ჯვრის წართმევის ცერემონიალი, კოშკის წაქცევის სცენა, კოშკის თავზე ასვლის შეჯიბრი, გუნდაობა- საერთო აქვთ

1 ლამპრობის ანთების წეს-ჩვეულება დამახასიათებელია აგრეთვე ქვემოსვანური /ჩიხარუმის/ „კვირიაობისა“ და „დათვობისათვის“.

„მურყვამობა-კვირიაობის“ ზემო და ქვემოსვანურ წეს-ჩვეულებებთან. კედელზე აყუდებულ დიდ ანძაზე მამაკაცების სავალდებულო ჩამოკიდება /ხელებით/ და მათ სხეულზე მუშტებით ცემა მაგიური აქტი უნდა აიყოს. მას, მორწმუნეთა აზრით, ნაყოფიერების გაზრდის და ადამიანთა გამრავლებისათვის დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდა, რადგანაც ეს მორი თვით ფალოსის სიმბოლური გამოხატულება უნდა ყოფილიყო.

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ სვანური „ბოსლობის“ /სვ. ბემბლუ, ბემბლუ-ბოსლობ/ დიდ მსგავსებას „მურყვამობა-კვირიაობის“ რიტუალებთან.

ბოსლობა ვ. ბარდაველიძეს მიაჩნია სექსობრივი განაყოფიერებისა და გამრავლების მფარველი ღვთაების მსახურებისა და თაყვანისცემის გამომსახველ დღესასწაულად¹. ამავე დღესასწაულს /რაჭული ბოსლობა/ მიუძღვნა სადისერტაციო ნაშრომი აკ. სოხაძემ², რომელიც ვ. ბარდაველიძის ანალოგიურ დასკვნას იძლევა.

აქ მოყვანილი მოსაზრებები და სოფელ ჟახუნდრის ორ უბანში ლემზაგორსა და ხერიაში-დაცული ბოსლობის დღეობების შინაარსი საგულისხმებელს ხდის, რომ იგი /ე.ი. ბოსლობა/ მჭიდრო კავშირში იყო „მურყვამობა-კვირიაობის“ წეს-ჩვეულებებთან.

ლემზაგორსა და ხერიაში ბოსლობა წმ. გიორგის სახელზე ტარდებოდა და მას ერქვა „წმ. გიორგი ბოსლობისა“. /ჯგერაგ ბემბლუ³. ეს დღეობა სოფ. ჩიხარემის „დათვობის“ წინა დღის ტარდებოდა. ამ დღესასწაულზე სექსუალური ხასიათის რიტუალების გარდა სრულდებოდა წყალთან დაკავშირებული წესები. კვირიას საგალობელი, მოსახლეთა რიცხვის მიხედვით სანთლების სავალდებულო ანთება ნიგვზიანი ან ცერცვიანი ტაბლების გამოცხობა და სხვა.

1 ვ. ბარდაველიძე, ქართული /სვანური/ სანესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, გვ. 97.

2 ს. სოხაძე, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან /რაჭული ბოსლობა/ დისერტაცია ისტ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერი, თბილისი, 1953.

3 ამ დღესასწაულს 50 კომლი /ოჯახი/ ერთად იხდოდა ერთ-ერთ მოსახლისას. ბოსლობის მონაწილე მამაკაც მლოცველთა ჯგუფი ჩადიოდა ცხენისწყლის ნაპირას და დაიჩოქებდა; კვირიას მღეროდნენ და წმ. გიორგის შესთხოვდნენ უხვ მოსავალს, ადამიანისა და საქონლის გამრავლებას. წყალთან ლოცვის /ნიგვზიანი ან ცერცვიანი ტაბლებით_ გარეშე ამ დღეობის ჩატარება არ შეიძლებოდა. ბოსლობა ლაშხეთის მთელ რიგ სოფლებში, აგრეთვე ჩოლურსა და ლენტეხში ცალკეულ ოჯახებში ტარდებოდა. ლემზაგორისა და ბერიის უბნებშიამ დღესასწაულის ერთ მოსახლისას ჯგუფური ჩატარება უფრო ძველი ვითარების ამსახველი უნდა იყოს.

„მურყვამობა-კვირიაობის“ და მისი ვარიანტების ბერიკაობა-ყეენობის მსგავსი დღესასწაულები სხვაგანაც გვხვდება. ისინი ეწყობოდა შუმერებში დუმუზის /თამუზის/, ეგვიპტეში ოზირისის, ინდოეთში შივას, საბერძნეთში დიონისეს სახელზე¹ და ა.შ.

როგორც სვანურ „აღბა-ლალრალში“ ადამიანის მსგავსად მორთულ ხეს თავზე კალათას, ყველის, სანურ ზერდს ან საცერს გაუკეთებდნენ /როგორც ნაყოფიერების სიმბოლოს/, ასევე დიონისეს ერთ-ერთ ემბლემად ტირიფის დიდი სანიავებელი კალათა /ცხრილი/. ფრეზერის გადმოცემით დიონისეზე არსებობდა თქმულება, რომლის მიხედვით ეს ღვთაება თავის დაბადების დროს მოთავსებული იყო ასეთ ცხრილში. ეს ცხრილი მის აკვანს წარმოადგენდა. ამიტომ დიონისეს მოიხსენიებდნენ ეპითეტით: „ლიკნიტეს“ ე.ი. რომელიც ცხრილშია². ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა სვანეთში არსებული ჩვეულება: თუ ქალს ერთ მშობიარობაზე შეეძინებოდა სამზე მეტი შვილი, მათ ცხრილში სვამდნენ. ამათგან, რომელიც ცხრილის კარბას მოჰკიდებდა ხელს, ხალხის რწმენით, ის მარტო გაიზრდებოდა, დანარჩენი მოვლის მიუხედავად იხოცებოდნენ.

ფრეზერის თქმით, წლის დროთა ცვალებადობის შესახებ ჩვეულებების უმეტესად ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე იყო გავრცელებული. ეგვიპტისა და დასავლეთ აზიის ხალხები ოზირისის, თამუზის, ადონისის და ატისის სახით სიცოცხლის ქვნობას და აღორძინებას ასახიერებდნენ³. ასევე ჩანს, რომ ქართველი ტომები, ამავე მიზნით თაყვანს სცემდნენ კვირიას /და ტელეფიას/.

„მურყვამობა-კვირიაობის“ ციკლში შემავალი დღესასწაულებს, როგორც ზემოთ გამოირკვა, ერთმანეთთან დიდი მსგავსება აქვთ, რაც ერთის მხრივ, კვირიას კულტის სიძლიერებეც უნდა მიუთითებდეს, რაც შეეხება ი. ჯავახიშვილის მითითებას იმის შესახებ, რომ „ლაშხურ ჩვეულებებს ამ დღესასწაულის დანიშნულებაც და წინათ მათ შორის არსებული კავშირი და თანმიმდევრობა თითქმის სრულებით დავიწყებული აქვს“⁴,

1 ბერძნული „დიონისიების“ და „ლენეების“ აუცილებელი ატრიბუტი იყო ფალოსი. ამ დღეობებს ხელმძღვანელობდა დემარქოსი. რიტუალის დროს ქალიშვილებს თავზე კალათები /ტკბილეულით სავსე/ ჰქონდათ შედგმული. მონები მოზიმიებებს წინ მიუძღოდნენ ფალოსით. ერთ მათგანს მიჰყავდა სამსხვერპლო თხა, ხოლო დანარჩენი ხალხი მათ მისდევდა მხიარულად საკმაოდ უწმანური სიმღერით. იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1950, გვ. 238-252.

2 Д. Фрезер დასახ. ნაშრომი /1928 წ. გამოც./ გვ. 103.

3 იქვე გვ. 28.

4 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

აიხსნება იმით, რომ დიდ მეცნიერს ხელთ არ ჰქონდა ამ დღესასწაულის სრული აღწერილობა.

„მურყვამობა-კვირიაობის“ დღესასწაულები უმეტესად ქრისტიანული ღვთაებების და წმინდანების სალოცავების ეზოებში იმართებოდა. ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ თანდათან ხდებოდა კვირიას კულტი და მისი ამსახველი რიტუალების „ქრისტიანიზაცია“¹.

სვანური რელიგიური დღეობებისათვის /არა მარტო სვანური/ ისინი წარმართული ხასიათის იქნებოდნენ თუ ქრისტიანული, დამახასიათებელ იყო დოგმად ქცეული ლოცვა: „ღმერთო გაგავმრავლე, მშვიდობით გვამყოფე, გავვიმრავლე საქონელი და მოსავლის ბარაქა, ავგაცილე ავადმყოფობა, ქაჯი და ეშმაკი“ ასე ლოცულობდნენ ფუსნაბუასდიას, თარინგზელის, ჭგერაგის, მაცხუარის, ლამარიას და სხვა ღვთაებების სახელზე. ამ გაუდიფერენცირებულ წარმოდგენას ღვთაებებზე თავისი საფუძველი ექნება უდაოდ. სვანური რელიგიურ წეს-ჩვეულებებში კარგად ჩანს ღვთაებებზე დიფერენცირებული წარმოდგენებიც. ეს ვლინდება იმ სარიტუალო მოტივის წინ წამოწევით, რომელშიც კარგად ჩანს ამა თუ იმ ღვთაების ბუნება და ფუნქცია. ასე ხდება „მურყვამობა-კვირიაობაში“, „ბარბალობა-სა“ და მთელ რიგ სხვა დღესასწაულებში. მართალია, კვირიას საგალობელი „მურყვამობა-კვირიაობის“ დღესასწაულების გარდა სრულდებოდა „ბარბალობის“ დროსაც, მაგრამ სავალდებულო შესასრულებელი იგი მხოლოდ „მურყვამობა-კვირიაობის“ დღეობებზე იყო ისევე, როგორც წმ. გიორგის სიმღერა მთელ რიგ დღეობებზე სრულდებოდა, მაგრამ სავალდებულო იგი მხოლოდ „გიორგობა“ დღეს იყო.

სვანეთში /ასევე საქართველოს სხვა კუთხეებში/ დღემდე დარჩენილი რელიგიური დღესასწაულების დუალისტური ხასიათი /წარმართული და ქრისტიანული/ გვიჩვენებს იმას, თუ რაოდენ ძნელად იკიდებს ფეხს უცხო ძალიას მიერ თავს მოხვეული ფანტასტიკური რწმენებიც კი /ამ შემთხვევაში ქრისტიანობა/, ხოლო როგორი გამძლეობა გამოიჩინა იმ წარმართულმა რწმენებმა, რომლებიც შორეული საუკუნეების წინ ამოიზარდნენ, ჩვენი წინაპრების ჯანსაღ სხეულზე, პრიმიტიული წარმოდგენების საფუძველზე, წარმართული რწმენების

1 „მურყვამობა-კვირიაობა“, ჟახუნდერში წმ გიორგის, „აღბა-ლადრალი“, მუჟალში, მაცხოვრის, ხოლო „ლამპრობა-კეისრობა“, ლახირში მთვარანგელოზის სალოცავებთან იმართებოდა. ამასთან ერთად, „აღბა-ლადრალის“ ლამარიას /წმ. მარიამი/, კვირიას საგალობელს, ჩოლურ-ლაშხეთში, წმ. გიორგის, ლენტეხის, მაცხოვრის სახელობისად მოიხსენიებდნენ.

გადმონაშთების დღემდე შემორჩენის მიზეზი ისიც უნდა იყოს, რომ ისტორიულად ქრისტიანობისა და წარმართული რწმენებიც კი /ამ შემთხვევაში ქრისტიანობა/, ხოლო როგორი გამძლეობა გამოიჩინა იმ წარმართულმა რწმენებმა, რომლებიც შორეული საუკუნეების წინ ამოიზარდნენ, ჩვენი წინაპრების ჯანსაღ სხეულზე, პრიმიტიული წარმოდგენების საფუძველზე. წარმართული რწმენების გადმონაშთების დღემდე შემორჩენის მიზეზი ისიც უნდა იყოს, რომ ისტორიულად ქრისტიანობისა და წარმართული რწმენის ზედნაშენური ბრძოლა, უკვე კლასობრივ საზოგადოებაში, გამოხატავდა გაბატონებულ კლასსა, რომელსაც მხარს უჭერდა ქრისტიანობა, და დაჩაგრულ მასებს შორის გამართულ სოციალურ ჭიდილს.

„მურყვამობა-კვირიაობაში“ ჩანს ადრეგვაროვნული, განვითარებული გვაროვნული და ადრე კლასობრივი ეპოქების წეს-ჩვეულებათა რთული სისტემა, რომლის ერთ ციკლად ჩამოყალიბება ერთბაშად არ უნდა მომხდარიყო. ამ დღესასწაულებში ფალიკურ რიტუალებს ადამიანთა ჯოგის პრომისკუიტეტულ-ორგინასტულ ჩვეულებებში უნდა ჰქონდეს სათავე. გვაროვნული საზოგადოებაში იგი მკაცრ ეგზოგამიურ ხასიათს იღებს, რაზედაც უნდა მიუთითებდეს ლახირის „ლამპრობა-კეისრობის“ დღეობაზე „კეისრისათვის“ „ცოლებად“ /„დედოფლებად“/ ქალების მხოლოდ სხვა გვარიდან არჩევის ჩვეულება. ამ დღეობებზე ფალიკური პერსონაჟებისათვის ზოგან სამი, ზოგან ორი ან ერთი „ცოლის“ არჩევა ადრეკლასობრივი საზოგადოების წიაღში წარმოშობილი უნდა იყოს. დაახლოებით ამავე ეპოქაში წარმოშობილი შეიძლება იყოს კვირიას სახელზე შვიდი დიდი ტაბლის გამოცხობის რიტუალი, ე.ი. იმ დროს, როცა ხდებოდა ანთროპომორფულ ღვთაებათა ასტრალიზაცია, რა თქმა უნდა, ამ დღესასწაულებს შემოდგომაც უნდა განეცადათ ცვლილებები, რისი დამადასტურებელი ისტორიული რეალიებიც აშკარად ჩანს /„კეისარი“, „ყაენი“ და სხვა/.

ამ დღესასწაულებში ჯგუფური ფალიკური რიტუალები „ადრეკილაი“, „მელია-ტელეფია“, „ლამპრობა-კეისრობა“, „ლიბენძლალ“-ი და სხვ. ადამიანთა საზოგადოების განვითარების ყველაზე ადრეულ საფეხურზე უნდა წარმოშობილიყო. ხოლო ჯგუფური რიტუალების გვერდით არსებული ცალკეული ფალიკური პერსონაჟების სარიტუალო სცენები /საქმისაი, ბერიკა-გონჯა, მამალი „დათვი“, კეისარი/ უფრო გვიანდელი წარმოშობის ჩანს. იგი უნდა ასახავდეს გვაროვნული საზოგადოების შედარებით გვიანდელ საფეხურს, როცა ცდებოდა ცალკეული პიროვნების წინ წამოწევა, გამოყოფა.

ამრიგად, ამ დღესასწაულებმა, რომლებშიაც სინკრეტულა-

დაა მოცემული ადრეგვაროვნული, განვითარებული გვაროვნული და ადრეკლასობრივი ხანის წესჩვეულებები, ჩანს ჩამოყალიბებული, სრული სახე, როგორც ფალიკურ-აგრარულმა დღესასწაულებმა, მიიღეს ადრე კლასობრივი საზოგადოების ფორმირების პერიოდში. ამ დროს ბუნებრივი ძალებისადმი რწმენების რთული სისტემიდან, მესაქონლეობის და მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად, ამათთან დაკავშირებით /განსაკუთრებით/ ჩამოყალიბდა აგრარული კულტები. მათში ფალიკურმა რიტუალმა ცენტრალური ადგილი დაიკავა, ხოლო ფალოსი, როგორც ნაყოფის მომცემი, ნაყოფიერების მამრობითი ღვთაების მთავარ სიმბოლოდ იქნა წარმოდგენილი. ამ ეპოქაში ნადირობამ თანდათან დაკარგა ადრინდელი სამეურნეო მნიშვნელობა ამ პროცესის ამსახველი მოტივებიც ჩანს ამ მისტერიულურ სანახაობაში.

საქართველოში მონათმოქმედების დანიშნულების ნიშნები უკვე ნეოლითურ კულტურაში შეინიშნება¹, ხოლო „საქართველოს მთაში მეტალურგიისა და მესაქონლეობის დანიშნულება ადრე ბრინჯაოს ხანაში ისახება და მომდევნო პერიოდში უფრო მაღალ საფეხურზე ადის². გ. მელიქიშვილის აზრით, ბრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველოს ბარში წამყვან როლს მიწათმოქმედება ასრულებდა მაშინ, როცა აქ, მთის ზოლში, წამყვანი იყო მესაქონლეობა, ამასთან ერთად, ბარშიც, რამდენადაც არქეოლოგიური მასალის მიხედვით შეიძლება მსჯელობა, მოსახლეობა მისდევდა მესაქონლეობას ისევე, როგორც ამ პერიოდში მთის მოსახლეობისათვის უცხო არ იყო მიწათმოქმედება³. არქეოლოგ ო. ჯაფარიძის აზრით, შუა ბრინჯაოს ხანაში იწყება პირველყოფილი საზოგადოების რღვევის პროცესი⁴, რასაც ემთხვევა, აგრეთვე, გვაროვნული არისტოკრატის გამოყოფის პროცესი, დიდი სატომო კავშირების ჩამოყალიბება, ვრცელ ტერიტორიაზე ერთგვაროვანი კულტურების არეების შექმნა⁵. ამავე ხანაში საქართველოში სამიწათმოქმედო კულტურებიდან თესავდნენ ხორბალს, ქერს, ფეტვს. დაიწყო განვითარება მევენახეობამ⁶. ო. ლორთქიფანიძის აზრით, „გვიან ბრინჯაოს“ ხანა /ძვ. წ. მე-2 ათასწლეულის მეორე ნა-

1 ო. ჯაფარიძემ ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, 1961, გვ. 241.

2 იქვე, გვ. 247.

3 გ. მელიქიშვილი, საქართველოს კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბილისი, 1955, გვ. 42.

4 ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

5 გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

6 Г. Меликишвили О происхождении Грузинского народа, Тбилиси, 1952, стр; 26

ხევარი/ ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე პირველყოფილი თემური წყობილების განვითარების უმაღლესი სტადიაა. ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ხანა ტომთა მსხვილი გაერთიანებისა, რომელიც ვრცელ ტერიტორიაზე მეტნაკლებად ერთგვაროვანი მაღალგანვითარებული ბრინჯაოს კულტურული წრის /„კოლხური კულტურის“/ ჩამოყალიბებაში აისახა“¹. სწორედ ამ ეპოქაში /შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანა/ დიდი სატომო კავშირების და საერთო ქართველური კულტურის არეალის შექმნის პროცესში უნდა ჩამოყალიბებულიყო ნაყოფიერების საერთო-ქართველური ღვთაების, კვირიას, კულტი. ამ კულტს შეეგუა უძველესი პერიოდიდან მომდინარე არამართო ფალიკური, არამედ ისეთი რიტუალებიც, რომელთაგანაც ბევრი სრულდებოდა ისე, რომ მათ დაკარგული ჰქონდათ დანიშნულება და ინერციის ძალით განაგრძობდნენ არსებობას. ამის ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ იმ ვაჟების საჯდომზე მუგუზლით ცემა, რომლებიც პირველად იწყებდნენ მონაწილეობას აგრარულ დღესასწაულებში, ან მამაკაცების თმის ცეცხლით შეტრუსვა /ზემოსვანური „ლამპრობა-კეისრობა“² და სხვა. აღნიშნული ელემენტები შორეული ინიციაციების გაქვავებულ რუდიმენტს შეიძლება წარმოადგენდნენ.

ნაყოფიერების ღვთაების კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, რომლებიც გადაიქცნენ დიდ მისტერიალურ სანახაობად, განიცდიდნენ ცვლილებებს, პირველ რიგში, იმ სოციალური პირობების შესაბამისად, რომლის წიაღშიც ისინი საზრდობდნენ და ვითარდებოდნენ. „ადამიანები რომლებიც ანვითარებდნენ თავიანთ მატერიალურ ურთიერთობას, ამ თავიანთ სინამდვილესთან ერთად ცვლიან, აგრეთვე, თავიანთ აზროვნებას და თავიანთი აზროვნების პროდუქტებს“².

ქართველმა ტომებმა გააუმჯობესეს რა მიწის დამუშავების კულტურა /შემოიღეს მიწის დასამუშავებლად სხვადასხვა იარაღები: კავი, ფარცხი, უფრო გვიან რკინის სახნისი/. ამით მნიშვნელოვნად გაზარდეს მიწის ნაყოფიერება. საწარმოო პრაქტიკის გაუმჯობესება, საწარმოო ძალთა განვითარების პროცესი ქმნიდა საფუძველს ადამიანის მიერ ბუნების მოვლენებში უფრო ღრმად ჩანვდომისა. საწარმოო ძალთა განვითარების პროცესს, ეს მთაში იქნებოდა, თუ ბარში, კარჩაკეტილი ხასიათი არ უნდა ჰქონოდა. ადგილი უნდა ჰქონოდა ამა თუ იმ კულტურული წამოწყების ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე

1 ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1966, გვ. 20.

2 მარქსი და ენგელსი, გერმანული იდეოლოგიიდან, სახელგამი, თბილისი, 1948, გვ. 95.

გადატანას არამართო საქართველოს შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, ასე მაგალითად: „საქართველოში ცნობილ სახნავ იარაღს ფართო გავრცელება ჰქონდა მთელს კავკასიაში. ტიპოლოგიურად იგი მონათესავეა ძველ აღმოსავლურ / შუმერული, ბაბილონური, ასირიული/ და ხმელთაშუა ზღვის სახნავ იარაღებთან“¹.

შრომითი ჩვევების დიდი მარაგი, მისი რაციონალური პროგრესი თანდათან აადვილებდა ადამიანთა საზოგადოების აზროვნების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას. ამავე საფუძველზე პრიმიტიული წარმოდგენები, რომლებიც ოდესღაც სერიოზულად სწამდათ, დაცინვის, გაშარების ობიექტი ხდებოდა. ამით უნდა აიხსნას „მურყვამობა-კვირიაობის“ ზოგი რიტუალის საბავშვო თამაშობად გადაქცევა. მართლაც, ამ დღესასწაულის ზემოსვანური ვარიანტის სახელწოდება „აღბა-ლალრალი“ თვით გამოხატავს იმ აზრს, რომ იგი გართობა-თამაშობაა /ლალრალ/ და არა, ვთქვათ, რელიგიური დღესასწაული. ე. ტეილორი ძველი წეს-ჩვეულების საბავშვო თამაშობებდად გადაქცევაზე ლაპარაკობს, მაგრამ არ მიუთითებს მიზეზებს. მისი სიტყვით „ძველი წეს-ჩვეულებების /ე.ი. რომელთაც დაკარგეს პირვანდელი მნშვნელობა, ხაზი ჩემია ჯ. ო./ შენარჩუნება დროის ცვალებადობის, ძველიდან ახალზე გადასვლის მხოლოდ ერთი მხარეა. ის რაც სარიოზული იყო ძველებისათვის, უკვე დავიწყებას მიეცა და გასართობად გადაიქცა გვიანდელი თაობებისათვის“². აქ შეგვიძლია გამოვიყენოთ კვლავ კ. მარქსის სიტყვები იმის შესახებ, რომ „ყოველი მითოლოგია სძლევს, იმორჩილებს და ასახიერებს ბუნების ძალებს ფანტაზიაში და ფანტაზიის საშუალებით, მაშასადამე, იგი ისპობა მათზე ნამდვილ ბატონობასთან ერთად“³. ასე დაემართა ბევრ წარმართულ /აგრეთვე ქრისტიანულ/ რწმენა-წარმოდგენებს, მათ შორის ბუნების აღორძინებისადმი მიძღვნილ დღესასწაულებსაც.

ამ უკანასკნელთ, რომლებშიაც რელიგიური-მისტიკური ხასიათის მოტივები მკრთალად, მაგრამ მაინც იყო წარმოდგენილი, ხალხი მათ საერთო ხასიათს აძლევდა და ამაში ახდენდა საკუთარი ნიჭისა და უნარის დემონსტრირებას. ქრისტიანული რელიგიის შეხედულებებთან შეუთავსებელი წესების შესრულება, მასიური, სახალხო ხასიათი, აგრარულ დღესასწაულებს

- 1 Г. Читая Полеводетво Роздел Народи Грузинской сср Народи Кавказ т II Москва, 1962, стр. 235.
- 2 Г. Читая Полеводетво Роздел Народи Грузинской сср Народи Кавказ т II Москва, 1962, стр. 235.
- 3 კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკისათვის, თბილისი, 1932, გვ. 39.

„წმინდა“ ქრისტიანულ დრესასწაულებთან შედარებით უპირატესობას აძლევდა, რაც მას ეროვნული კულტურის მთელი რიგი კარგი ტრადიციების შემანარჩუნებელ და განმავითარებელ საშუალებად ხდიდა. პირველ რიგში, ეს ეხება ისეთ შესანიშნავ ჩვეულებებს, როგორიც იყო საუკეთესო სიმღერა-ფერხულების¹ და ცეკვების შეჯიბრის სახით შესრულება; სპორტის სხვადასხვა სახეებში /ჭიდაობა, კრივი, რბენა, „ბრძოლის“ სცენები და სხვა/ ხალხის უნარისა და ძალის გამოვლენა, თეატრალობის მთელი რიგი საინტერესო ელემენტების შენარჩუნება-განვითარება და სხვ.

8. მურყვამობა-კვირიაობის ზოგი ტერმინის /მურყვამ, სუფ//სუიფ, სუმრა/ შესახებ

აქ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ი. ჭავჭავაძის მიერ, „მურყვამობა“ ანუ „ადრევილაის“ დღესასწაული კვირიას თაყვანისცემის ნაშთად ჩათვალა, რაც შემდგომში კვლევამაც დაადასტურა. ბუნებრივია, ამიტომ „მურყვამობის“ /სვ. ლიმურყუამალ/ თვით სახელწოდების ახსნას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან კოშკის სვანური სახელწოდებებია „მურყუამ“, რომლისგანაც მიღებულია „ლიმურყუამალ“ /ე.ი. კოშკობია, კოშკის აშენება და ნაქცევა/ დღემდე ახსნილი არ ყოფილა. „მურყვამობას“ /თვით სახელწოდებას/ ახლო კავშირი აქვს დღეობის შინაარსსა და დანიშნულებასთან. ამით აიხსნება კვირიას სახელზე მოწყობილი ერთ-ერთი დღესასწაულის „მურყვამობის“ /ლიმურყუამალის/ სახელით მოხსენიება, რაზედაც ზემოთ იყო ნათქვამი.

სვანურში, ამჟამადაც ხმარებაშია სიტყვები: ლიმურყუე „დაზვინვა“, ყუამბ „ბორცვი“, გროვა „გუნდა“ /შდრ. მუყუამბ „ბორცვისებრი“/ ლიყუყუ „დაზვინვა“. თვით მუყუამბ /ბორცვისებრი, ამაღლებული/ სიტყვებიდან ადვილად შეიძლება

1 საგაზაფხულო აგრარული დღესასწაულების მივიწყებამ გამოიწვია მთელი რიგი საუკეთესო სიმღერა-ფერხულების დაკარგვა, ძლიერ დასანანიია, რომ ამჟამად აღარავის ახსოვს გუნდურად შესასრულებელი სიმღერა. „ზედიო“ როგორც მოხუცი მთხრობელი ანტონ და გრიგოლ დოდვანები გადმოგვცემენ, ეს სიმღერა ჩიხარეშის ერთ-ერთ უბანში, ახალშენში, სრულდებოდა „დათვობის“ დღესასწაულზე. მათი თქმით, ეს ერთადერთი სიმღერა იყო, რომელსაც 100-ზე მეტი მომღერალი ასრულებდა და რამდენიმე კილომეტრზე ისმოდაო“. კვირიას საგალობელსა და „ლილეზე“ უფრო პოპულარული ყოფილა იგი. ოღონდ ამ მოხუცების მახსოვრობაში აღნიშნული სიმღერის წამოწყება და ტექსტის შინაარსი ორ კაცს - ბესი როსტომის ძე ონიანს და შავხარ ონიანს მართო სცოდნიათ.

მიგველო მუ/რ/ ყუამბ. აქ სონორი ბგერა „რ“ ჩართული ჩანს ფონეტიკურ ნიადაგზე, ხოლო „ბ“ ამოვარდა „რ“-ს გაჩენის შემდეგ. როგორც ცნობილია, სონური ბგერები რ.ლ.მ.ნ. ქართველურ ენებში იჩენენ ტენდენციას, განვითარდნენ ხშულების წინ. არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული ვარაუდი იმის შესახებ, რომ გარკვეული ურთიერთმიმართება არსებობს, ერთი მხრივ, მურყვამსა და მეორე მხრივ, ზემოთ აღნიშნულ სიტყვებს შორის. მნიშვნელობის მიუხედავად სიახლოვე ამ სიტყვებს შორის ეჭვს არ უნდა იწვევდეს, ერთგვარი მსგავსება მასალობრივადაც გვაქვს, ამის გამოც შეუძლებლად არ მიგვაჩნია საკითხის დასმა მათი ეტიმოლოგიური კავშირის შესახებ.

მურყვამს თოვლისაგან აშენებდნენ მრგვალი ფორმისას. დადასტურებულია ისიც, რომ ძველ საქართველოში ნამდვილი ციხე-კოშკების შენდებოდა მრგვალი ფორმისა. ასეთია, მაგალითად, ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვაჯაში „კვარა ციხე“, ლენტეხის რაიონის სოფელ ლექსურში „ლენტეხის ციხე“ და ა.შ. თუ რატომ აშენებდნენ დრესასწაულზე თოვლის კოშკს, ამაზე უკვე გვქონდა მსჯელობა. ბ/. სუფ//სუიფ„მურყვამობა-კვირიობის“ დღესასწაულები ძირითადად სრულდებოდა ეკლესიის ეზოში ან მის ახლო მდებარე მინდორში, რომელსაც სუფ /ქვ. სვანურად/, ან სუიფ /ზემოსვანურად/ ეწოდება. სუფ-ი სვანეთში საკრალური დღეობების და საერთო საქმეების შესასრულებელ ადგილად ითვლებოდა. დღეობის ყველა მონაწილე - „სუმრა“ /სხ. სვ. სუიმრა/ სუფში ასრულებდა რელიგიურ რიტუალებს, რომელთაც უმეტესად „სუმრის“ მეთაური წინამძღოლობდა.

სუფის დანიშნულება გვიჩვენებს გზას თვით ამ სახელწოდების ახსნისაკენ. „სუფ“ წარმოშობილი ჩანს სიტყვიდან „საუფლო“ ასე: საუფლო - საუფლ/ო/ - ს/ა/უფ/სუიფ.

სახელწოდებიდან „სუფ“ შეიძლება იყოს წარმოშობილი ქართული სიტყვა „სოფელ-ი“ /ზემოსვანურად „სუფელ“/ ს. ჯანაშიას აზრით, „სოფელში“ იგულისხმებოდა ქართლის საეკლესიო-ტერიტორიული თემის უძველესი სახელწოდება¹. თუ ეს ასეა, მაშინ ქართული სოფელი და სვანური სუფ/სუიფ/ ერთმანეთის ექვივალენტები ჩანან, არა მარტო შინაარსით, ფორმითაც. ამავე მეცნიერის სიტყვით, სოფელი სახეცვლილება „სუფელ“-ის, „სუფევა“ /მეფობა, ბატონობა/ „სეფე“². აქ მოყვანილი მაგალითები ადასტურებს, რომ სვანურ „სუფ“-შიაც ძირის არის „უფ“ და მიღებულია „საუფლო“-დან, ხოლო

1 ს. ჯანაშია, შრომები I, თბილისი, 1949, გვ. 285-286.

2 იქვე, გვ. 285-286; შდრ. აგრეთვე, რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, ავანეთის სოფელი ძველად, თბილისი, 1964, გვ. 72-76.

„სოფელი“ წარმოშობილი ჩანს იმავე გზით, რითაც სუფ-ი. ე.ი. საუფლ-ს/ა/უფელ-სოფელ. გ. მელიქიშვილის აზრით ძალიან ადრე ამ ტერმინის /სოფლის/ მნიშვნელობა გაფართოვდა და გახდა აღმნიშვნელი ტერიტორიული ერთეულისა, ოლქის, მხარის, ქვეყნის, მსოფლიოსი საერთოდ. ასევე განაგრძობდა არსებობას ეს ტერმინი, როგორც „თემის“ შემდეგ - სოფლის /ახლანდელი გაგებით/ აღმნიშვნელი; გამოდევნა უფრო ადრე უმეტესად გავრცელებული ტერმინი დაბა /მეგრ. დობერა, სვ. დაბ./¹ შესაძლებელია ამავე ტერმინის სინონიმი ყოფილიყო უძველეს პერიოდში, „არგი“, რომელიც ახლაც ცოცხალია სვა-ურში.

ამრიგად, არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული მტკიცე-ბა იმის შესახებ, რომ „სუფ“ წარმოშობილია სიტყვისაგან „სა-უფლო“ და სოფელს, სუფს და საუფლოს ერთი და იგივე ძირი „უფ“ აქვთ.

გ/. სუმრა//სუიმრა. სახელწოდება „სუმრა“ მხოლოდ სვა-ნეთშია დამოწმებული, რადგან სუმრა სუფში მოზეიმე თუ მლო-ცველ ხალხს ეწოდება. ამიტომ ყველაზე მეტად საფიქრებე-ლია, რომ ეს სიტყვა წარმოშობილი იყოს „სუფი მარა:-დან /სვ. მარა// მარე კაცს ჰქვია/ ასე: სუფი მარა - სუ /ფ/ მარა - სუმრა. /სუფი მარა სიტყვა-სიტყვით ნიშნავს კაცი, რომელიც მონაწი-ლეობს სუფში გამართულ ცერემონიებში/.

„სუმრა“ არ იყო მხოლოდ რელიგიური ცერემონიების მონა-წილეთა სახელწოდება. იგი გამოხატავდა, აგრეთვე, შეკრები-ლობის, თავყრილობის, ჯარის სახელწოდებასაც. ტერმინების - სუფ//სუიფ და სუმრა//სუიმრა, ორგვარი მნიშვნელობა /სასუ-ლიერო და საერო/ უნდა მიუთითებდეს არა მარტო მათ მსგავ-სებაზე, არამედ ჯვარის ყმობის ინსტიტუტის არსებობაზეც სვა-ნეთში, რის შესახებაც სხვა დროს გვექნება მსჯელობა.

1 Г Меликишвили, К истории древней Грузии, стр; 300

თავი II

კვირიას და ტელეფიას წარმომავლობისათვის

კვირიას გენეზისის გარკვევისათვის სვანური „მურყვამობა-კვირიაობა“ თავისი ვარიანტებით მნიშვნელოვან მასალას იძლევა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების ამ ღვთაებასთან დაკავშირებული რწმენების გადმონაშთებთან ერთად.

განსაკუთრებული ღირებულების მქონე ჩანს კვირიას საგალობლის ზემო და ქვემო სვანური ვარიანტები, რომელთა შინაარსი თუმცა ძუნწად, მაგრამ ნიშანდობლივად, გადმოგვცემს კვირიას ბუნებას. სიმღერის ტექსტის შინაარსს ავსებს და აკონკრეტებს „მურყვამობა-კვირიაობის“ დანარჩენი რიტუალები.

კვირიას აგრარულ ბუნებას, სიმღერის ტექსტების შინაარსის გარდა, თვით სიმღერის შესრულების დანიშნულებაც ადასტურებს. თუ საგალობელი კარგად შესრულდებოდა, მორწმუნეთა აზრით, ეს უზრუნველყოფდა სასურველ ამინდებს, უხვ მოსავალს და ბედნიერებას. „მურყვამობა-კვირიაობის“ დღეობებზე მის შეუსრულებლობას ცუდის მომასწავლებლად მიიჩნევდნენ.

კვირიას საგალობელი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საგანგებოდ სრულდებოდა გვალვა-დელგმის საწინააღმდეგოდ. სიმღერის ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით კვირია მონაწილეა ცისა და მიწის. ის მზეა და ბერი-წყლისა: „ცის მონაწილე ხარ კვირია. მიწის მონაწილე ხარ კვირია. მზევ ცისა, კვირია. ბერო წყლისა კვირია“. სიმღერის დანარჩენი ვარიანტებიც დაახლოებით ამავე შინაარსს გამოხატავენ. გარდა იმისა, რომ სიმღერა კვირიას სადიდებელ ჰიმნს წარმოადგენდა, ის უნდა ყოფილიყო კვირიას მოხმობის მაგიური აქტი, რომ ამ ღვთაებას სასურველი ამინდი გამოეწვია და მისი საშუალებით უხვი მოსავალი მოეყვანათ.

საგალობლის შინაარსიდან ჩანს, რომ კვირია დიდი ღვთაებაა, რადგანაც განასახიერებს დედამიწას, მის ხორცშესხმას. ამ საფუძველზე უნდა აიხსნას ძირითადად ის რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც უკავშირდება კვირიას, როგორც სვანეთში, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში. ამ ღვთაების გენეზისი, სანამ იგი დიდი ღვთაების მნიშვნელობას შეიძენდა, მოითხოვს განხილვას.

ბუნების ნაყოფიერების კულტის კვირიასთან კავშირის

ახსნისათვის მნიშვნელოვანია თვით კვირიას ეტიმოლოგიის გარკვევა, რაც საკმაო სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე შეიძლება წამოვაცენოთ წინასწარი ვარაუდი: კვირია მამრობითი სქესის ღვთაებაა /საყურადღებოა, რომ კვირია თავისი სახესხვაობით საქართველოში მხოლოდ მამაკაცის საკუთარ სახელად იხმარება¹. თვით სახელი „კვირია“ ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს იმ ფუძეს, რომელიც სვან. ლიკურფელ//ლიკურფელ ფორმებშია წარმოდგენილი². აქ ფუძეა კურ//კურ, ლიელ კი მანარმოებელი აფიქსებია /შდრ. წორ ურვადი“, აქედან ლი-წურფელ „სისხლის აღება საერთოდ“ / თვით კურ-კი ხვადის აღმნიშვნელია სვანურში /კურ ციცუ, ხვადი კატა“, შდრ. რაჭული კურო კატა „ხვადი კატა“. ქართული კურო „დაუკოდავი ხარი“ მნიშვნელობის დავიწროების შედეგი უნდა იყოს. თუ ეს ასეა, მაშინ კურ-იდან კურია-ს მიღება ადვილად აიხსნება. აქ საქმე გვაქვს უ ხმოვნის ჩვეულებრივ უმლაუტთან; მომდევნო ი-ს გავლენით უ-უი, ე.ი. კურ>იაჟკურიჟ/ შდრ. ცხუმ>ცხუიმ „რცხილა“, სუფ>სუიფ, თხუმ>თხუიმ „თავი“ /. ეს ფაქტი კი, რომ ცალკე კურ-ში უ არ არის უმლაუტიანი, იმით აიხსნება, რომ მას არ მოსდევს და, როგორც ჩანს, არც მოსდევდა მეუმლაუტე ი ხმოვანი / შდრ. ქართული კურო, სვანურში ამჟამად ჩანს ლაბიალური ელემენტი უ კურუ რაც ქართული ო-ს ფონეტიკური შესატყვისი ჩანს./ ამდენად აქ არც იყო მოსალოდნელი უმლაუტი.

კუერი//კუარი მამრობითობის აღმნიშვნელ სიტყვებად მიაჩნდა ივ. ჯავახიშვილს ისეთ სახელებში, როგორიცაა „ბარაკუელი“, ბოკუერი მისი აზრით, ბარა შვილს ნშნავს, ხოლო კუელი//კუერი მამრობითი არსებას.³ ყურადღებას იპყრობს კუერ//ყურ სიტყვებს შორის არსებული მსგავსება. დეკუელი ან დიაკუელი საპირისპირო ფორმა ჩანს ბოკუერის და ბარაკუელისა. ეს სახელები შეიძლება ნიშნავდეს მამრობითი არსების მიერ გაჩენილ მდედრობითი სქესის ცხოველს.

გ. მელიქიშვილს მხერ-კაპუსის წარწერაში /მე-9 საუკ. ჩვე-

1 ამ ღვთაების სახელი შემდეგი ფორმებით გვხვდება: კვირია, კვირა, კვირიე, კვირაი, კვირე, კვირუა, კვირაა.

2 ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქ. ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები, მასალები საქართვე. ეთნოგრაფიისათვის, I, თბილისი, 1938, გვ. 12-27.

სვანეთში ცნობილია კვირიას სახელის მხოლოდ ორი ვარიანტი კურიი და კურიი.კურ ფუძე ასევე სრულად ჩანს. „ლაკურფელ გოლაჟ-ში, რომელიც ჰქვია კვირიას საგალობელის შესასრულებელ ადგილს. /გოლაჟ- „გორა“/.

3 ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937, გვ. 195-196.

ნს ერამდე/ მოხსენიებული კურა /რომელსაც მეცნიერი ქართველ კვირიას უკავშირებს/ მამრობითი სქესის ღვთაებად მიაჩნია¹. კვირიას სახელთან აკავშირებდა ალ. სვანაძე რაჭის მთა კვერათას, რომელიც კვერას მთად უნდა წოდებულიყო ძველად, ხოლო კვარაცხის სახელწოდებაშიაც გამოყოფს კვარა-ს, რაც ასევე კვირიას აღმნიშვნელი უნდა იყოს².

ღვთაების სახელად კურ დამონმებულია შუმერებში. იგი, როგორც აიდი ბერძნებში, ქვესკნელის მფლობელად ითვლებოდა. ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ს. ნ. კრამერის სიტყვით, კურ-ი შუმერთა კოსმოლოგიის მიხედვით, ეწოდებოდა დედამიწის ქერქსა და პირველადქმნილ ოკეანეს შორის არსებულ სივრცეს, ხოლო ამ სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „მთა“. შემდეგ ეს სახელი, ამავე მეცნიერის აზრით გამოხატავდა დრაკონს, რომელიც შუმერთა წარმოდგენით, მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად იყენებდა მიწისქვეშა წყლების დამანგრეველ ძალას. კურმა გაიტაცა ქვესკნელში ქალღვთაება ერეშკიგალი, რაც ძლიერ ჰგავს ბერძნულ მითს აიდისა და პერსეფონას შესახებ³. საყურადღებოა, რომ ქართულ წარმართულ პანთეონშიც კვირია წყალთან /ზღვა-სთან/ არის დაკავშირებული.

გასარკვევია მამრობითობის გამომხატველი კურ//კურუ რომელი არსების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ქართველურენობრივ სამყაროში კურ /კურო/ ფართო მნიშვნელობითაც იხმარება /სვანურში/ და ვიწრო მნიშვნელობითაც /ქართულში/. შესაძლებელია ფართო მნიშვნელობა სვანურში ამ სიტყვას შედარებით გვიან მოეპოვებინა, რადგან ამის გარდა მამრობითობის აღმნიშვნელი სვანურში არის სიტყვა ხუირ /ქართ. ხვადი/. საფიქრებელია, ამოსავალი იყოს კურ დაუკოდავი ცხოველის /პირველ რიგში - ხარის/ სახელად⁴. ამ აზრის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ქართული „კურო“ /დაუკოდავი ხარი/ და სახელწოდება კვირაცხოველი /კვირაცხოველის სვეტი და ა.შ./.

ამრიგად, შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ კვირია მომდინარეობდეს ცხოველთა მამრობითი სქესის აღმნიშვნელი სახე-

1 გ. მელიქიშვილი, ნაირი-ურარტუ, გვ. 271.

2 ალ. სვანიძე, შესავალი ალაროდიელ რომთა ისტორიისა, თბილისი, 1936, გვ. 20.

3 С. Н. Крамер История начинается в шумере

4 ქართულ-კახურ ბერიკაობა-ყვენობაში, „კუროც“ მონანილებოდა, როგორც ბერიკა, ჯ. რუხაძე, ქართული ხალხური დღესასწაული, თბ. 1966, გვ. 12. აკ. სოხაძე, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან /რაჭული ბოსლობა/, დისერტაცია ისტ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. გვ. 10.

ლისაგან. ამასვე უნდა ადასტურებდეს კვირიას ეპითეტი „ბერი“ /წყლის აკვირია/, რაც ძის, შვილის, საერთოდ, მამრობითობის აღმწმენელი უნდა იყოს.

აგრარული კულტის წარმოშობის პროცესში ხარი გამანაყოფიერებელი იარაღის საშუალებით, უკავშირდება მიწას, მიწათმოქმედებას და მიწის ღვთაებას, რამდენადაც ქართულ ტომებშიაც არსებობდა ხარის კულტი /რომელიც, სხვა ხალხების რწმენების მსგავსად განიხილებოდა როგორც ადამიანი¹. იგი უნდა დაკავშირებოდა კვირიას, რომელიც დიდ ღვთაებად იქცა. არ არის გამორიცხული, რომ უფრო ადრე ნაყოფიერების მონიჭების უნარი სხვა რომელიმე ცხოველთან ყოფილიყო დაკავშირებული /მაგ. თხასთან, ან სხვა რომელიმე ცხოველთან/.

მცენარეულის ღვთაების ნაყოფიერების ღვთაებად გადააზრება პირველად ხარის სახით უნდა ამომხდარიყო, ამ უკანასკნელის ანთროპომორფიზაციის შემდეგ კი - მისი ასტრალიზაცია მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარების შედეგებით გვიან საფეხურზე.

მურყვამის. ფალოსით მორთული ბოძის, ახლო პარალელი უნდა იყოს ჯავახეთის სოფელ ბარალეთის ახლო მდებარე წითელი ქვის სვეტი, რომელსაც თავზე ჯვრის გამოსახულება აქვს. ამ სვეტს ამალღების სვეტს უწოდებენ. ის ხალხს მიაჩნდა სასწაულმოქმედად, რომელსაც შეეძლო სასურველი ამინდის მოყვანა².

მცენარის კულტის ხარის კულტად გადააზრება დასტურდება სხვა ხალხების, განსაკუთრებით, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში /სადაც ძლიერი იყო ხარის კულტი/. ეგვიპტეში მიწას /რომელიც შემდგომ ნაყოფიერების კულტს დაუკავშირდა/ ბოძის აყენების ცერემონიალი იწოდა „ხარის ბოძის აყენებად“. მიწას აქ ცვლის ცხოველი და რიტუალი ტარდება ამ უკანასკნელის სახელზე³.

კვირიას სახელობის დღეობებზე ამისთვის განკუთვნილი საღვთო ხარის დაკვლის რიტუალებიც ტარდებოდა /ქვემო-სვანური მურყვამობა-კვირიაობა“, ზემოსვანური „ლამპრობა-კეისრობა“/. ეს წესი ზოოფაგიური დღეობების შორეული გადმონაშთი უნდა იყოს. აღნიშნული წეს-ჩვეულება, ი. სემიონოვის აზრით, მოკვდავი და აღდგომადი ღვთაების კულტს უკავშირდება⁴.

შესაძლოა კვირიას სახელთან იყოს ეტიმოლოგიურად და-

1 Ю. Семенов დასახ. ნაშრომი გვ. 436.

2 გ. ზედგენიძე, წარმართობის კვალი ჯავახურ დღეობებში /ხელნაწერი/.

3 Ю. Френцов დასახ. ნაშრომი, გვ. 22-23.

4 Ю. Семенов დასახ. ნაშრომი, გვ. 436.

კავშირებული „კუარი//კუარაჲ/შებლთეთრა ხარის საკუთარი სახელი „ნიკორა“, კუარი /ზემოსვანური/ და კუარაჲ /შდრ. კვარაცხე/ კვირიას სახელობის ხარი უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც ფუსნაჲ-ფუსნაბუასდიასი, „ბარბლაჲ-ბარბალეს, „თარიგზელაჲ“- მთავარანგელოზისა და ა.შ.

რაჭული და ლეჩხუმური ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება, რომ არსებობდა ნიკორა ხარის კულტი¹. აკ. სოხაძის აზრით, ნიკორა ხარის კულტის სიძლიერებზე მეტყველებს რაჭაში ცნობილი ერთ-ერთი სოფლის სახელწოდება „ნიკორწმინდა“, რომლის სახელიც ჰქვია აქვე მდებარე ტაძარს. ამ ადგილას საკულტო ხარის „ნიკორას“ სამლოცველო უნდა ყოფილიყო, სადაც XI საუკუნიდან ამავე სახელწოდების ტაძარი არსებობს².

კვირიას ვეგეტატურ ბუნებაზე უნდა მიუთითებდეს სვანური დიდი აღდგომის /ხოშა თანაჲ/ დღესასწაული, რომელიც ქრისტიანული აღდგომის კვირის სწორს ტარდებოდა ქვემო სვანეთში და იგი დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. ამ დღეობას ლენტეხში „ორიახო-კვირიახო“ ეწოდებოდა. ამავე რიცხვებში ტარდებოდა „კვირაცხოვლობა“ /მაგ. სოფელ-კოთელიაში/ ჭავახეთში. აქ კვირაცხოვლის სვეტის ნანგრევთან აწყობდნენ სპორტულ შეჯიბრებებს: ჭიდაობას, ჯირითს და სხვ.

დიდი აღდგომის ლენტეხურ სახელწოდებაში ჩანს, რომ იგი კვირიას სახელზე ტარდებოდა.

„მურყვამობა-კვირიაობის“ დღესასწაულების მიხედვით, კვირიას ნაყოფიერების ძალას ასახიერებენ საქმისაჲ, ტელეფია, ყაენი, კეისარი, ბერო-გონჯა, ზომომორფული ატრიბუტები - თხა, მელა, დათვი, კვირიასთან ახლო ურთიერთობა აქვთ მგლებსაც.

კვირას ნაყოფიერების ძალის მიწისათვის გადაცემის რიტუალური /მაგიური/ წესის გამომხატველი უნდა ყოფილიყო მიწაზე სუმრის ყველა წვერის სავალდებულო გაგორება.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში კვირიას შესახებ დარჩენილი რწმენების გადმონაშთებს, /კვირია წყლის მომცემად ითვლებოდა, ის ტრიადაში მესამე ადგილზე იყო მზის ღვთაების შემდეგ/. ისინი არ ეწინააღმდეგებიან სვანეთში დაცულ კვირიასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს.

ვ. ბარდაველიძე ფშავ-ხევსურული მასალების საფუძველზე

1 აკ. სოხაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 340-341.

2 იქვე. გვ. 341.

აღნიშნავს რომ კვირია მორიგე ღმერთს ემორჩილებოდა და საღვთო სადიდებელში იგი „დიდ კვირიელ“ იხსენიება. მისი ტიტულია, „ძლიერი“, კვირია იმიტომ იხსენიება მორიგე ღმერთთან, რომ იგი ღმერთის ძალის და ძლიერების თანამფლობელია. „მაგ ჭიქა ბარძიმზედა გადადის, გაგიმარჯოს კვირაო, ძალო ღვთისაო“, „დიდება შენდა კვირაცხოველო, ღვთისა და ღვთის შვილთ შუა მდგომელო“. „შენ გადიდას ღმერთმა, კვირავე ძალიანო, ანგელოზთ მეუფროსეო“... „რასა წყალობას გეთხოვებისა, ის წყალობა უბოძევი, მორიგეს ღმერთსა, დიდს კვირიას გამაუთხოვიდი“¹. გარდა იმისა, რომ აქ მოყვანილი „სადიდებელთას“ ამონაწეოები კვირიას მორიგე ღმერთთან თანადგომას, ანგელოზთუფროსობას ადასტურებენ. ამავე „სადიდებელთა“-ს მიხედვით ისიც დადასტურდება, რომ კვირიას ფუნქციაში შვილის /წულის/ მოცემაც შედიოდა: „წული ვინმე გსთხოვოსთ, წული ღმერთსაც გამოუთხოვეთ, კვირასაცა და თითონაც თქვენი წყალობა უყავით². დეკანოზები ლოცვაში ხახმატის ჯვარს შესთხოვენ ხოლმე: „წული ვის ყავდეს, გაუზარდეთ, და, თუ ვინმე გეხვეწებოდეს ღმერთსა და კვირიას გამოუთხოვეო“³. ვ. ბარდაველიძის სიტყვით, ფშავ-ხევსურულ მასალებში არა გვაქვს მაგალითი, რომ მარტო კვირიას შესთხოვენ წულის მომატებას. არა გვაქვს გადმონაშთები იმის შესახებ, რომ კვირიას სპეციალურად პატივს სცემდნენ, როგორც შვილიერების ღვთაებას⁴. სწორედ ამ ნაკლს ავსებენ სვანური მასალები, რომლებიც ადასტურებენ იმ აზრს, რომ კვირია პირველ რიგში შვილიერების ღვთაებად ითვლება.

მთიულეთში, სოფელ ჭალაში, კვირაცხოველის ხატის მთავარ დღესასწაულ „კვირაცხოვლობაზე“ /თომას აღდგომა/ დღესასწაულის წინ იცოდნენ ე.წ. ფოთლის ქოხის აგება ხისავე ბოძებით. კარვებს ფალასის ნაჭრებს გადააფარებდნენ და მათში ქეიფობდნენ, ასევე, ცხივატის თემში /მთიულეთი/ კვირიას სახელზე მოწყობილი ხალარჯობის დღესასწაულზე ყოვლად უზენაესი ღვთაება იღებდა ქოხს და ამ დღეს ვინც იმშავებდა, ის თითქოს კარგავდა მხედველობას⁵. აქ მოყვანილ აღწერილობაში ფოთლის ქოხი, ხის ბოძებით, შესაძლოა, იყოს ანალოგი სვანური მურყვამობისა ან მისი შემცვლელი ნაძვისა, რომლის გარსშემოვლითაც სრულდებოდა კვირიას საგალობელი, ორივე შემთხვევა უნდა ამიუთითებდეს კვირიას მცენარის

1 В. Бардавелидзе Древнейшие религиозные стр 18-19

2 ვაჟა-ფშაველა, ტ.VII თბილისი, 1956, გვ. 30.

3 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, გვ.57.

4 В Бардавелидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

5 იქვე, გვ. 13-14.

კულტთან კავშირზე. ამავე იდეას უნდა გამოხატავდეს „ორია-ხო-კვირიახო“ დრესასწაულის ერთ-ერთი წესი ბავშვები ყანებში ასობდნენ შტოებს და ხელში რკინის სახნისებით უვლიდნენ გარშემო.

დასტურდება ისიც, რომ კვირიას თვალის სისალესთანაც ჰქონდა კავშირი /შდრ. ლამპრობის დრესასწაულების ცეცხლთან დაკავშირებული რიტუალები/.

ვ. ბარდაველიძე მიუთითებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების მსგავსად, კვირია სვანებსაც მკაცრ ღვთაებად მიაჩნდათ. მათი წარმოდგენით, კვირიასგან დაწყველილი ადამიანი აუცილებლად დაიღუპებოდა¹. მართლაც სვანეთში დღემდე ცოცხალია წყევლის ფორმულა „კვირიაშუ ჯარ“ /ე.ი. კვირიას წყრომა /ან ბედი/ გქონდეს“. ან „კვირიასავით მოგსვლოდეს ე.ი. მომკვდარიყავიო“/.

ფშავ-ხევსურული მასალების მიხედვით, ღმერთს ჰყავდა იასაულები /ღვთის იასაულნი/, რომლებიც ასრულებდნენ ღვთის ნება-სურვილს. მათი წინამძღოლი იყო კვირია, ხოლო ეს იასაულები იყვნენ მგლები². ამასთან ერთად, ვ. ბარდაველიძემ, დაადასტურა, რომ სვანეთში არსებობდა მგლის კულტი, რომლის გამომხატველ რიტუალურ წეს-ჩვეულებად მკვლევარს მიაჩნია „აშანგელო“, ანუ „შაშანგელო“. აზრს იმის შესახებ, რომ კვირიას ითვლებოდა იასაულების /მგლების/ მეთაურადაც, ამაგრებს მგლების ყმუილის სვანური სახელწოდება „მგელთკვერაობა“, „მგლების კვირია“. სვანების რწმენით, იგი იყო მგლების საგალობელი კვირიას სახელზე საკვების გამოსათხოვად. მგლები როცა ყმუილს /ე.ი. კვირიას გალობას/ თავს ანებებდნენ /ჩუმდებოდნენ/, მაშინ უკვე შეექცეოდნენ კვირიას მიერ „ნაწყალობევ საკვებს“. თუ მგლები ხანგრძლივად ყმუოდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ კვირიას აგვიანებდა საკვების ჩამოყრას /ციდან/.

კვირიას ვეგეტატურ ბუნებაზე უნდა მიუთითებდეს რიტუალები:

მურყვამის /ან ნაძვის/ წაქცევა და აღმართვა, „მურყვამობა კვირიაობის“ მზის მოქცევის წინ შესრულება, გაზაფხულზე ამავე რიტუალების დიდი მასშტაბით გამეორება, „კვირაცხოვლობა“ და მისი სვანური პარალელი „დიდი აღდგომა“, „ბერიკაობა-ყეენობის“ – „სიკვდილისა და გაცოცხლების“ რიტუალები.

ფალოსის კულტის განსაკუთრებული კონცენტრირება დამახასიათებელია მოკვდავ და მკვდრეთით აღმდგომ ღვთაებე-

1 В Бардавелидзе, დასახ/ ნაშრომი, გვ.14.

2 არ წერია

ბის გარშემო¹. ამიტომაც „მურყვამობა-კვირიაობა“ ძირითადად ფალიკური რიტუალებისაგან შედგება. „ბერიკას სიკვდილისა და გაცოცხლების რიტუალში ღვტაების სიკვდილი და გაცოცხლებაა ნაგულისხმევი“², ხოლო ბერიკა კვირიას როლის განმსახიერებელი ჩანს, ბერი კვირიას ეპითეტია, აქედან გამომდინარე ბერიკას „სიკვდილი“ და „გაცოცხლება“ კვირიას სიკვდილისა და გაცოცხლების სცენური ასახვა უნდა იყოს. მსგავსი რიტუალები დამონმებულია ხმელთაშუა ზღვის აუზის მთელ რიგ ქვეყნებში.

თხის ციკნის წყალში ჩაგდების სვანური წესი უნდა მიუთითებდეს თხის კვირიასთან კავშირზე და შესაძლოა თავდაპირველად, იგი კვირიას გამონვევის რიტუალი ყოფილიყო.

ვეგეტატურობა ქართველთა რელიგიის სვანური პანთეონისათვის უცხო არ არის. ზემოთ აღნიშნულის გარდა, ამას ადასტურებს დალის ციკლის თქმულებები. ამირანი დალმა სიკვდილის წინ დაბადა. ამირანიც ვეგეტატური ბუნებისაა / ის. კვდება და ცოცხლდება კიდევ/, ხოლო მორწმუნე სვანები ახლაც უჩვენებენ სოფ. ახალშენში მაშენას /უზენაესის, ფუსნაბუასდიას/ საფლავს, რაც აღნიშნული ღვტაების მოკვდაობაზე მიუთითებს.

კვირიას ვეგეტატურობის საკითხს, ვფიქრობთ, დამატებით სიცხადეს შესძენდა კვირიას სიმღერის და „ზარის“ ურთიერთობის გარკვევა, რასაც მუსიკატმცოდნის ხელი სჭირდება.

ვვარაუდობთ, რომ უნდა არსებულიყო კვირიას სახელზე ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის წესიც, ამას გვაფიქრებინებს სვანურ მეტყველებაში დღემდე დარჩენილი გამოთქმა „ლიკურიელინე“, რაც ქართულად ნიშნავს „კვირიას სახელზე ადამიანის აყვანას“. ადამიანის სიცოცხლის ცუდად დაბოლოებას, სიკვდილს.

კვირიას მზესთან წილნაყარობა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, უნდა აიხსნებოდეს მზის დედა-ღვტაებასთან კვირიას შესაძლო „შეუღლების“ საფუძველზე. ამის გამომხატველი უნდა იყოს კვირიას დრესასწაულების „ქორწინების“ რიტუალები.

აგრარული კულტის ამსახველი იყო სვანური რიტუალი „ლილაშუნე“ /თესლობა/. იგი ტარდებოდა დიდმარხვის მეორე კვირის შაბათს. ეს დღესასწაული ვ. ბარდაველიძეს ხარისა და ძროხის კულტის მიწათმოქმედებასთან დაკავშირების ამსახველად მიაჩნია³. მიწასთან, მიწათმოქმედებასთან და მესაქონლეობასთან დაკავშირებით სვანეთში უამრავი რიტუალი

1 ჯ. რუხაძე, ქართული ხალხური დღესასწაული, გვ. 18.

2 იქვე, გვ. 18.

3 ი. ჭავჭავაძის, დასახ. ნაშრომი, გვ. 74

არსებობდა. ეს უნდა ასასტურებდეს სვანეთში, საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარების მაღალი დონის არსებობას ადრე ანტიკურ და შესაძლოა უფრო ადრინდელ ხანაშიც.

კვირიას კულტის გადმონაშთების არსებობა სვანეთში და საქართველოს დანარჩენ კუთხეებში, მათი ერთმანეთთან მსგავსება მიუთითებს იმაზე, რომ იგი /ე.ი. კვირიას კულტი/ ჩამოყალიბებული უნდა იყოს ქართველი ტომების ერთიანობის პერიოდში. ე.ი. იმ დროს, როცა ერთნაირი რელიგიური წარმოდგენების საფუძველზე იქმნებოდა ღვთაებრივი საერთო პანთეონი.

“მურყვამობა - კვირიანობის” წეს-ჩვეულებებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „მელია-ტელეფიას“ რიტუალის თვით სახელწოდება.

„მელია ტელეფია“ რთული სიტყვაა, აქ მელია მელიას უნდა ნიშნავდეს და, როგორც, აღინიშნა, მისი კულტი არსებობდა სვანეთსა და რაჭაში. მელა როგორც ც სხვა ხალხების /საბერძნეთი, ტრაკია/ - რელიგიებში ნაყოფიერების ღვთაებასთან იყო დაკავშირებული, საქართველოშიც იგი გამომხატველი უნდა ყოფილიყო ნაყოფიერების ღვთაების ძალის, როგორც ზოომორფული ცხოველი ატრიბუტი.

ტელეფია /ტულეფია/, ანუ ჯუკ-ჯუკ-ის მთქმელი, ფალიკური პერსონაჟია და ნაყოფიერების ღვთაება ან მისი განმასახიერებელი უნდა იყოს. ტელეფიას კულტის კვირიას კულტთან შერწყმა ამათი ბუნებისა და ფუნქციის მსგავსების საფუძველზე უნდა აიხსნას.

ივ. ჯავახიშვილი „მელია-ტელეფიას“ ქართულ, მაგრამ ძალზე დამახინჯებულ სიტყვებად თვლიდა და ავლებდა პარალელს „ტულაობასთან“ რომელიც საბას სიტყვით ნიშნავს - ფუვილით ზვრას“, თევზთა პეპლვას“ ე.ი. სქესობრივ კავშირს.²¹⁰

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტელეფის- „ღოლო“ - ხმარობდნენ ადამიანის და ცხოველის საკვებად. შესაძლებელია არსებობდა ოდესღაც ამ მცენარის კულტი, მაგრამ ამის დამამტკიცებელი რაიმე მასალა არ გავაჩინია.

ზემო იმერეთში ერთ-ერთი სოფლის სახელია ტელეფა, ხოლო იქ, სადაც ცხენისწყალი ერთვის რიონს, ძველად არსებობდა დაბა ტელეფისი. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს სახელები თეოფორული სიტყვები იყვნენ და ტელეფიას სახელიდან მოდიოდნენ.

სახელი „ტელეფია“ სვანურ სასაუბრო ენაში რამდენიმე

მნიშვნელობით იხმარება: მაგალითად, გამოთქმა „გუს ლიტლეფე“ /ლაშხური/ „გუს ლიტლეფე“ /ლენტეხური, გულზე შემოყრას, გუნის წასვლას ნიშნავს, ხოლო „ლიტლეფეჟელ //ლიტლეფე“-მოთენთვას, სიკვდილს, „ლეტელეფავე//ლეტელეფავე“- ძირს დაფენილს, ნაქცეულს. აქ მოყვანილი სვანური ენის მონაცემები სანდო მასალას უნდა შეიცავდნენ ტელეფიას ბუნების გარკვევისათვის. გულზე შემოყრის, გონის წასვლის და სიკვდილის სინონიმებად „ტელეფიას“ გამოყენება წარმოშობილი უნდა იყოს ტელეფიას ვეგეტატურობის ანალოგიით.

ქართველ მეცნიერთაგან ტელეფიას /ტელეფინუშ/ სვანური „მელია ტელეფია - პირველად ივ. ჭავჭავიძელმა დაუკავშირა. „ეხლა, მას სემდეგ, რაც მე-14 ს. ქ. უწინარესი საუკუნის ხეთური ლურსმული ტექსტი აღმოჩნდა, რომელშიც ნაყოფიერების ღვთაების ტელეფინუშის წასვლა და ამის გამო ქვეყანაში მიუსავლობისა და უნაყოფობის, ხოლო შემდგომ ამ ღვთაების კვლავ უკან დაბრუნების წყალობით, ისევ მოსავლიანობის ნაყოფიერების ამბავია მოთხრობილი. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ რომ ადრეკილაძს ლაშხური ფერხულის სიმღერის სიტყვები: ადრეკილაძე წაგვივიდა და მოგვივიდა“ ამავე, უკვე ქ.ე. მე-14 ს. ტექსტში აღბეჭდილი სარწმუნოებრივი თქმულების ანარეკლს წარმოადგენს და მელია და ტელეფიაღც სწორედ ამ ღვთაება ტელეფინუშის სახელია.¹ ასევე დიდმსგავსებას ხედავდა მეცნიერი ჩერქეზების ღვთაება ტელეფსსა და სვანურ ტელეფიას შორის. ივ. ჭავჭავიძელის აზრს ტელეფინისა და სვანური ტელეფიას იგივეობის შესახებ იზიარებს შ. ამირანაშვილი და აღნიშნავს“ „ნაყოფიერების ღვთაებათა სახელების დამთხვევას ადრინდელ ხეთებსა და თანამედროვე სვანეთში უდიდესი მნიშვნელობა აქვს რელიგიის ისტორიისათვის“. მასვე მიჰყავს გერმანელი მეცნიერის შახერმაიერის აზრი იმის შესახებ, რომ ეტრუსკების ღვთაება ტელეფინის მეტი მომდინარეობს აღმოსავლეთიდან. ეტრუსკული სახელწოდება „ტელეფასს“ სავსებით ემთხვევა სვანური „ტელეფია“.³

პროტოხეთების რელიგიაში ვეგეტატური ღვთაება ტელეფინი, ქარისა და ქარიშხლის ღვთაების შვილი, ითვლებოდა მოსავლის ღვთაებად. როცა ტელეფინი ეკარგებოდათ, მამა უწყებდა ძებნას, ბოლოს ფუტკრების ღმერთი მოძებნიდა ხოლმე მას უგრძნობ მდგომარეობაში მყოფს და შელოცვებით მოჰყავდათ გონს.¹

გერმანელი მეცნიერის ა. გოეცეს სიტყვითაც ტელეფინუში ვეგეტატური ღვთაებაა. იგი ჰგავს თამუზს, ბაბილონელების

ვეგეტატურ ღვთაებას. როგორც თამუზი, ტელეფინუშიც ქრება ზამთარში, ადრეულ გაზაფხულზე ისევ ცოცხლდება. ტელეფინუშის მამის სიტყვით, მისი შვილი ძლიერია, ის ხნავს და აპობს ბელტებს: წყალი მოაქვს ჩვენკენ /აქეთკენ/, რომ მარცვლული გაზარდოს.² ტელეფინუშის ბუნების ნათელსაყოფად საინტერესოა თვით ამ ღვთაებაზე მითს შინაარსი.⁶

ტელეფინუშზე არსებული მითის შინაარსიდან ირკვევა, რომ ამ ღვთაების დაბრუნებას მთელი ბუნება და თვით ყველა ღვთაება ზემოდასწრებდა. მსგავს ჰიპერბოლიზაციას ადგილი აქვს კვირიას საგალობელშიც, რომლის მიხედვითაც ეს ღვთაება მთელი სამყაროს მეუფედ არის წარმოდგენილი /ცა, მზე, მიწა, წყალი/.

-
1. ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება... გვ. 243-250.
 2. მისივე, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950, გვ. 207
 3. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 23.
 4. В. В. Струве, История древнего Востока, Москва, 1941, стр. 253
 5. A. Götte, Kulturgeschichte des alten orientes, Kleinasien, München, 1933, s. 134
 6. მითის შინაარსი, გოცცეს მიხედვით, ასეთია: „როგორც გაქრა ტელეფინუში, საკვამლე ფანჯრები დაიხურა, სახლები გაივსო სქელი კვამლით, საჯთგუში ჯოგი გაიგუდა, ბოსელში-მსხვილფეხა საქონელი. ცხვარმა უარი თქვა თავის ბატკანზე: ძროხამ უარი თქვა თავის ხბოზე; როგორც ტელეფინუში გაქრა, თესლმა შეწყვიტა ზრდა. მინდვრები და მდელოები წყლისაგან გაშრა. აღარ ყვავის ქერი და შვრია... მაკედ რაც არის, ისიც აღარ შობს. ასე რომ, ადამიანები და ღმერთები შიმშილით იხოცებიან. დიდმა მზის ღმერთმა მოაწყო ლხინი და დაპატიჟა ათასი ღმერთი. ისინი ჭამდნენ, მაგრამ ვერ ძლებოდნენ. ისინი სვამდნენ, მაგრამ ვერ იკლავდნენ წყურვილს. ამინდის ღვთაება /მამა/ სთხოვს მზის ღვთაებას, მოძებნონ ტელეფინუში. არწივი გაგზავნეს, მან ვერ მოძებნა. ბოლოს ფუტკარი გაგზავნეს, როგორც ჩანს, მან მოძებნა ტელეფინუში... დიდი ლოცვით დააბრუნეს ღმერთებმა ტელეფინუში... ტელეფინუში როგორც კი მოვიდა, ელვა-ქუხილმა შეძრა ცა და დედამიწა... დიდი ლოცვით დაუცხრეს რისხვა ტელეფინუშს. ტელეფინუში დაბრუნდა.

ა. გოცე¹ ტელეფინუშ² და მის მეუფლე ხატეპინუშს თვლის ხეთური რელიგიის უძველეს ფენად. ოამასთან ერთად, ამავე მეცნიერს მოჰყავს შინაარსი ჩვეულებისა, რომელიც ხეთებმა იცოდნენ თამაშის სახით; ხალხის გუნდი იყოფა ორ ნაწილად. ერთ ნახევარს ჰქვია ხატი ადამიანები, მეორე ნახევარს - მაშა ადამიანები. ხატი - ადამიანებს აქვთ ბრინჯაოსაგან ნაკეთები იარაღები, მაშა - ადამიანებს - კი - ლურწმისაგან. ეს ორი ჯგუფი ებრძვის ერთმანეთს. ხატი ადამიანები იმარჯვებენ და ტყვედ ჩაგდებულს გადასცემენ ღვთაებას“. გოცე ფიქრობს, რომ საბრძოლო თამაშში შეიძლება იგულისხმებოდეს ისტორიული რემინისცენცია ხეთების გადასახლება-ჩასახლების შესახებ.² / აქ მოყვანილი თამაში ჰგავს „ადრეკილაჟს“ და საბავშვო თამაშ „მელია-ტელეფიას“/ უფრო მეტად საფიქრებელია, რომ ორ გუნდს შორის ჭიდილი გამომხატველი იყოს ოდესღაც არსებული ორგიატულ დღეობებზე გამართული შეხლა-შემოხლისა, რომლის გადმონაშთები ბევრია „მურყვამობა-კვირიაობის“ დღესასწაულებში.

სვანური ენის ზემოთ მოყვანილი მონაცემები ტელეფიას ტელეფინუშთან გენეტურ კავშირზე უნდა მიუთითებდეს, ხოლო ტელეფიას და ტელეფინუშის საერთო წარმომავლობას არ უნდა ჰქონდეს შემთხვევითი საფუძველი. როგორც ირკვევა, ტელეფინი /ტელეფინუში/ მცირე აზიის უძველესი ბინადარნი მოსახლეობის, მათ შორის ქართველ ტომების, ღვთება უნდა ყოფილიყო და იგი ინდო-ევროპული მოდგმის ხალხის /ნესიტების/ მიერ მცირე აზიის გარკვეული ნაწილის „დაპყრობის“ შემდეგ ამ ხალხის რელიგიის პანთეონში შესული ჩანს. ტელეფიას კულტი დღემდე შემოგვრჩა სვანეთში, რაც მის არქაულობაზე უნდა მეტყველებდეს. „ქართველი ტომები“, გ. მელიქიშვილის სიტყვით, ხეთების სამეფოს აყვავების ხანაში, /მე-15, მე-14 ს.ს. ჩ. ერამდე/ ცხოვრობდნენ ახლანდელი საქართველოს ტერიტორიაზე და კიდევ უფრო სამხრეთითაც. ისინი /განსაკუთრებით დასავლურ ქართველი ტომები/ ყოველი ეჭვის გარეშე ამ ეპოქაში და, როგორც უფრო გვიანაც, ფართოდ იყვნენ გავრცელებულები მცირე აზიის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სამხრეთ - აღმოსავლეთით და, ამგვარად, ცხოვრობდნენ ძალიან ახლოს ხეთა-მცირე აზიის სახელმწიფოსთან.“¹ ამავე მეცნიერის მოწმობით, ხეთების სახელმწიფოს დაცემის შემდეგ /მე-13 საუკ. ჩვ. ერამდე/ მცირე აზიაში შეიჭრნენ მუშკე-

1. A. Gotze,დასახ. ნაშრომი, გვ 133.

2. იქვე, გვ. 130.

ბი /მესხები/, ტაბალები და ტიბახენები,² რომლებიც ქართველ ტომებად ითვლებიან.

ტელეფიას კულტურის წარმოშობა ქართველ ტომებში თვით მოძმე ტომების ინტეგრაციის შედეგი შეიძლება იყოს, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ისტორიის გრძელ მანძილზე ხდებოდა შერევა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა და შეიძლება ასეთ შემთხვევაშიაც წარმოშობილიყო იგი.

თუ სვანური ტელეფია და პროტოხეთის ტელეფინი ერთი და იგივეა ეს იმასაც გვეუბნება, რომ პროტოხეთების რელიგიურ რწმენებს და ქართველი ტომების რელიგიას მჭიდროდ შეხების წერტილები ჰქონდათ.

ამიტომ არ არის გამორიცხული ქართული წარმართული მისტიციებისა და დიონისეების მსგავებას აქ ედოს სათავე. როგორც შ. ამირანაშვილი აღნიშნავს, ადრინდელი ხეების რელიგიამ გარკვეული გავლენა მოახდინა დიონისეს კულტზე.¹ ა. გოეცეს სიტყვით, „ძველი აღმოსავლეთისა და შემდგომ აღორძინებული ანტიკის საზღვრებს შორის ზევს მცირე აზიის კულტურები, რომელთა საფუძველზეც, როგორც კი მოკვდა ძველი აღმოსავლეთი, ბერძნებმა აიღეს ძველი მსოფლიოს მეთაურობა“². აქ გამოთქმული მოსაზრებიდან კარგად ჩანს, რომ ბერძნებმა თავიანთი კულტურა მცირე აზიის კულტურაზე დააფუძნეს, მაგრამ მეცნიერის გამოთქმა „ძველი აღმოსავლეთის სიკვდილის“ შესახებ არ არის ზუსტი, ძველი აღმოსავლეთის კულტურა /ე.ი. დასავლეთ აზიის უკიდურესი ქვეყნების/ მთლიანად არასოდეს მომკვდარა. იგი არსებობდა და განაგრძობს არსებობას განსაკუთრებით ქართული და სომხური კულტურების სახით. ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, რომ გერმანელი მეცნიერი მხედველობაში არ იღებს ამიერ კავკასიის უძველეს ხალხებს თავიანთი კულტურებით. ამ აზრის ცალმხრივობა ტელეფიას და ტელეფინის ურთიეთ დამოკიდებულების ფონზეც იგრძნობა.

საგაზაფხულო მისტიციებში კვირიას კულტის წინ წამოწევა შეიძლება აიხსნებოდეს იმ ტომის ან ტომთა კავშირის სიძლიერით, რომელთა სოციალური ცოვრების წიაღშიც ის აღმოცენდა. შესაძლებელია ისიც, რომ კვირიას კულტისათვის ტელეფიას კულტს მოემზადებინა ნიადაგი. მათი ფუნქციები იმდენად მსგავსია, რომ ამ კულტების წარმოშობა ქრონოლოგიურად დიდად არ უნდა იყვნენ დაცილებული ერთმანეთისაგან.

1. შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.232.

2. A.btte, დასახ. ნაშრომი, გვ 9

ვეგეტატური ღვთაებების კულტის წარმოქმნის ცენტრად მეცნიერთა ნაწილს /ფრეზერ და სხვ/. წინა აზიის სამყარო მიაჩნია; ხოლო, ფლიტნერის აზრით „შესაძლებელია ნაყოფის / მარცვლის/ ღვთაება, მოკვდავი და აღდგომადი ღვთაების კულტი ეგვიპტეშიც მცირე აზიის გავლენით განვითარდა.

ამავე მეცნიერის აზრით “ასლი /აჭარული ბრინჯი, დიკა/ ისტორიული ეგვიპტისათვის უმნიშვნელოვანესი პურეული ნაყოფი, ნილოსის დელტაში შეიჭრა სირიიდან, სადაც ის ახლაც არის ველურ ფორმაში”¹ ხოლო პურეულის ენდემური ჯიშების სამრავლით საქართველო საქვეყნოდაა ცნობილი.

ტელეფიას და კვირიას კულტებთან დიდ სიახლოვეს ავლენენ საქართველოში თრიალეთის თასი, სტეფანწმინდის განძი/ და ურუკში /მესოპოტამია/ ნაპოვნი სარიტუალო კომპოზიციები, რომლებიც ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული ჩანან.

კვირია, ღვთაების სახელწოდებად, ცნობილი ყოფილა ფრიგიაშიც, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მუშკები / ბერძნულად მოსხი /ტომი, კავკასიური ენების ქართველურ ენაზე მოლაპარაკე . ასირიული ურარტული წყაროები ფრიგიას უწოდებენ “მუშ კების” ქვეყანას.² აქ მოყვანილი აზრიც

ამტკიცებს, რომ კვირია ქართველი ტომების რელიგიურ რწმენათა ნიაღვია წარმოშობილი. ასევე აკ. ურუშაძეს სახელი “კვირია” მცირე აზიის ქართველურ სამყაროში წარმოშობილად მიაჩნია.³

ცნობილი ქართველი მწერალი გიორგი წერეთლი “ყვენობას” საკუთრივ ქართულ ჩვეულებად თვლიდა და მის წარმოშობას ქართველი ხალხის ბედუკულმართობით ხსნიდა.მწერლის ნათქვამი , რომ „ყვენობა” საკუთრივ ქართული ჩვეულებაა, ეჭვს არ იწვევს, მაგრამ მისი წარმოშობის ქართველი ხალხის ბედუკულმართობით ახსნა, როგორც ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, შეუძლებელია.

ამრიგად „მურყვამობა-კვირიაობის”დღსასწაულების მიხედვით კვირია ითვლებოდა უზენაეს აგრარულ-ითიფალურ ღვთაებად. მას მიეწერებოდა დედამინის ღვთაების ფუნქციები და როგორც ჩანს, დედანიწის ღვთაების ცნება მოიცავდა, მიწას, წყალს, ცეცხლს და მცენარეულს. ამავე საფუძველზე

1. Н.Д. Флимнер.Культур.и искусство Двурезья Москва-Ленинград.1958.стр.91.

2. Всемирная истоория. Т. 1.стр. 508

3. აკ. ურუშაძე ყვენობა ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბილისი 1964წ. გვ/163-164

კვირიას ფუნქციების ასოცირება ხდებოდა ცასა და მზესთან და-
ამ უკანასკნელის ქალ-ღვთაებასთან მისი შეუღლების ინსცენი-
რებაც.

კვირია, როგორც უზენაესი აგრარული ღვთაების, ძალის
სიმბოლური გამომხატველნი გახდნენ მცენარეები / ნაძვი,
დურშაი; ბოძი, ფოთლიანი ხე ან მურყვამი/, ცხოველები /პირ-
ველ რიგში-კურო-დაუკოდავი ხარი, თხა, მელა, დათვი, მგელი
/და ანთროპომორფული არსებები ბერიკა-გონჯა, საქმისაი,კე-
ისარი, ყაენი და სხვა/. ჩანს ოჯახის ფუძესთან, კერასთან მჭი-
დროდ იყო დაკავშირებული კვირია, როგორც ნაყოფიერების
ღვთაება. ამავე საფუძველზე სიუხვის სიმბოლო-ზვინი ხვავი
მისი ანალოგიით მურყვამი /კოშკი/, გადაიქცა ქართველ ტო-
მებში სარიტუალო დანიშნულების ნაგებობად, რომლის სიმა-
ღლე გარკვეულ მიმართებას გამოხატავდა თვით ზეცისადმი,
რომელიც ასტრალიზებული ღვთაების სამყოფ ადგილად ით-
ვლებოდა.

ტელეფიას კულტი, როომელიც მჭიდროდ დაუკავშირდა
კვირიას კულტს, არა მარტო მათს ნათესაობაზე მიუთითე-
ბს , არამედ ავლენს იმასაც , რომ ქართველი ტომები, ახლო
აღმოსავლეთის უძველესი ხალხების მსგავსად, და მათ პარა-
ლელურად აწყობდნენ დიდი მასშტაბის საგაზაფხულო დღე-
სასწაულებს, სადაც თაყვანს სცემდნენ, თამუზის, ადონისის,
ობირისის, ატოსის და დიონისეს მსგავსად, საკუთრ, ვეგეტა-
ტურ ღვთაებებს /კვირიას და ტელეფიას/.

როგორც სხვა ხალხების ვეგეტატური ღვთაებისადმი მი-
ძღვნილ მისტიკურებში უდებენ სათავეს სატირიკულ-გროტე-
სკულ ჟანრს, სახუმარო ვოდევილებს, ხუმარას, კლოუნს //
საბერძნეთში და სხვაგან/. ასევე ქართული მიმის წინაპრად
შეიძლება ჩაითვალოს „მურყვამობა-კვირიაობის“ დათო ბერი-
კული ხუმარები, სიტყვა მოსწრებული ადამიანაები, რომელთაც
ეხერხებოდათ არა მარტო ლექსის და სიმღერის იმპროვიზაცი-
ით თქმა, არამედ შეეძლოთ გამომსახველობით / ტანის მოძ-
რაობით/ გადმოეცათ ამა თუ იმ ამბის სიუჟეტის მოტივი.

სხვა ხალხების მსგავსად ქართველებიც აწყობდნენ საგა-
ზაფხულო დღესასწაულებზე სხვადასხვა მისტიკურებისა და წე-
ს-ჩვეულებების შერწყმულად /სინკრეტულად/ წარმოდგენას.
როგორც ი. ლიპსი აღნიშნავენ უძველესი კულტურების თავდა-
პირველი სინკრეტიზმი მიწათმოქმედ მაღალი კულტურის მქო-
ნე ხალხებში შემდეგ ნაწევრდება და იძლევა ლიტერატურის
სამ ძირითად ფორმას: ლირიკას, პროზას და დრამას. ხელოვნე-

ბის ეს პორმები გახდნენ შემდგომ დამწერლობითი ლიტერატურა /ძველი ინდური პოემები, ჩინური დრამატული შედევრები და სხვ.ასეთივე გზით ჩანს წარმოშობილი საქართველოში ხალხური შემოქმედების ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორიცაა “ამირანიანი”, დალის ციკლის თქმულებები და სხვ. ქართული ხალხური თეატრის სათავის დამდეები საგაზაფხულო მისტერიალური სანახაობებია, ამ მხრივაც დიდ ყურადღებას იმსახურებს “მურყვამობა-კვირიაობა”. აღნიშნულ დღესასწაულებში ხუმრობა-თამაშობის ქარბი ელემენტები აიხსნება ქართველი ტომების გართობა -თამაშობის დიდი ტრადიციით, რომელსაც სოციალურ-ეკონომიური საფუძვლების გარდა, ასაზრდოებდა ჭკუამახვილობა, ენამოსწრებულობა და სხვ.ამ დღესასწაულებში ისტორიულ პირთა სახელების და ტიტულების /კეისარი, ყაენი, ვეზირი და სხვ./ შესვლა აიხსნება არა იმდენად ქართველი ტომების თვალში ამ პირების პოპულარობით, რამდენადაც თვით დღესასწაულების პოპულარობით, იმით რომ მასიური ხასიათის გამო ბევრ ამბებს იწოვდნენ, მათ შორის ისტორიულ პირთა სახელებს და სხვა რეალიებსაც, რითაც, რა თქმა უნდა , ხალხი ამ ამბებისადმი თავის დამოკიდებულებასაც ამჟღავნებდა.

თავი III

ფალოსის კულტის გადმონათობა „მურყვამობა-კვირიაობაში“.

ფალოსის კულტი, როგორც რელიგიის ერთ-ერთი უნივერსალური ინსტიტუტი, საკმაოდ ძალუმად იჩენს თავს ქართული წარმართული რელიგიის პანთეონში. ფალოსის, როგორც ნაყოფიერების მომცემი ძალის, გაღმერთების, ნათელ ილუსტრაციას და დასაბუთებას იძლევა „მურყვამობა-კვირიაობა“ და მისი ვარიანტები. გაზაფხულის ამ უძველეს ქართულ ხალხურ დღეობებში „მთავარი ადგილი ითიფალურ ცეკვებსა და სექსუალური ურთიერთობის ამსახველ მოქმედებებს ეჭირა“¹. ამ დღესასწაულების ითიფალური ხასიათზე სხვადასხვა დროს მიუთითებს ი. ჯავახიშვილმა, ს. მაკალათიამ, მ. ჩიქოვანმა, დ. ჯანელიძემ, ჯ. რუხაძემ, ლ. შტერნბერგმა და სხვ.²

ფალიკურ ორგინასტული ხასიათის ელემენტები „მურყვამობა-კვირიაობაში“ უნდა წარმოადგენდეს უძველეს კომპონენტს, რომლის წყაროდ ი. სემიონოვი მიიჩნევს ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საზოგადოების, ანუ ადამიანთა პირველყოფილი ჯოგის, განვითარების მაღალ საფეხურზე წარმოქმნილ ორგინასტულ დღეობებს, რომლებიც სქესობრივი აღვირახსნილობით ხასიათდებოდნენ. ეს აუცილებელი /კანონზომიერი/ და ლოგიკური შედეგი იყო იმ სქესობრივი აკრძალვისა /„სქესობრივი ტაბუსი“- რომელიც ჯოგურ საზოგადოებაში წარმოების ნორმალური განვითარების საჭიროებით იყო შეპირობებული და გულისხმობდა განსაზღვრული ხნის განმავლობაში სქესობრივი შეუღლების დათმობას. ყოველი ასეთი პერიოდის შემდეგ იწყებოდა სამეურნეო მორვანეობისაგან განრინების, ანუ უქმე დღეობების პერიოდი. ასეთი დღეობების დამახასიათებელი ნიშანი იყო სქესთა შორი ინტენსიური, მღელვარე, სავსებით შეუზღუდავი, წესდაუდებელი შეუღლება.³

1 ვ. ბარდაველიძე, ქართული /სვანური/ სანესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, გვ. 131.

2 ი. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 71; ს. მაკალათია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 125-135; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბილისი, 1952 წ. გვ. 275; დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბილისი, 1948 წ. გვ. 56; ჯ. რუხაძე, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან /ბერიკაობა-ყვენობა/, სადისერტაციო ნაშრომი /ხელნაწერი/, თბილისი, 1954, გვ. 179.

3 Ю Семенов დასახ. ნაშრომი, გვ. 295.

სქესთა შორის თავისუფალი კავშირი აღინიშნება ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, საბერძნეთში, რომაელებში, ირლანდიელებსა და სლავებში. ეს ჩვეულება მეტნაკლებად შეზღუდულ ფორმებში გვიან ხანებამდე შემოინახა კაცობრიობამ თვით მაღალი კულტურის მქონე ხალხებშიც.

ეთნოგრაფიული მონაცემების საფძველზე დადგენილია, რომ დედამიწის მოსახლეობის უმეტეს ნაწილში, ორგინალური დღეობების დროს, უწესრიგო სქესობრივ კავშირს მიწერებოდა მაგიური მოქმედების თვისება. იგი გულისხმობდა ადამიანების, ცხოველების გამრავლებისა და მცენარეულის აღმოცენება-განვითარებისათვის ხელის შეწყობას, რაც უზრუნველყოფდა, აგრეთვე, ცხოველური პროდუქტების /რძე, ხორცი, ცხიმი.../ და მოსავლის სიუხვეს. ამას ადასტურებენქართველი მეცნიერები: ი. ჯავახიშვილი¹, ვ. ბარდაველიძე², და სხვ. აგრეთვე, რუსი საბჭოთა მეცნიერი ი. ი. სემიონოვი, რომელიც ზემოთ აღნიშნული აზრის სისწორისათვის იმონუმებს ფრეზერს, ვესტერმარკს, ბრიფოს და სხვ³.

სვანეთში ფალოსის კულტის სიძლიერეზე მიუთითებს არა მარტო საგაზაფხულო დღესასწაულები /მურყვამობა-კვირიაობა; ბემბლუბოსლობა/ არამედ სხვა წეს-ჩვეულებებიც. ბეროს თემის სოფელ ტვებიშში ახლაც იციან უშვილო ქალების დღესასწაული „ჯგირუანაშ“ /გიორგობა/. ამ დღესასწაულზე დედაკაცები უშვილო ქალებს კალათაში უდებენ ფალოსის ქვის გამოსახულებას /„ბაჩიშ ყურნა“/, რაც, მათი აზრით, თითქოს უზრუნველყოფს შვილის მოცემას. ეცერის თემის სოფელ ლანხვირში დღემდეა დარჩენილი საკულტო ქვა, რომელიც ნაყოფიერების მომნიჭებლად ითვლება. ამ გამოსახულებას „ჩხუდა“-ს ეძახიან. ეს ფაქტი წერილობითაც დადასტურებულია ნ. რეხვიაშვილის მიერ⁴. ფალოსის გამოსახულებიანი საკულტო ქვები სვანეთში სხვაგანაც ცნობილია. ეცერში მასწავლებელ ი. ჩხეტიანის ეზოში ახლაც არის ასეთი ქვა⁵.

ქვემო სვანეთში არა მარტო ფალოსის, არამედ კტეისის გამოსახულებიანი ქვებიც არსებულა. სასაშელ მასწავლებელ ბ. დ. ონიანის ეზოში ბოლო დრომდე ყოფილა კტეისის გამოსახულებიანი ქვა, რომელიც მიუტანიათ იმ ადგილიდან, სადაც

1 ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.
 2 ვ. ბარდაველიძე, ქართული /სვანური/ სანესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, გვ. 131.
 3 Ю. Семенов დასახ. ნაშრომი, გვ. 299.
 4 ნ. რეხვიაშვილი, სალოცავი მზიერი /გიუნე/, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV ბ, 1963 წ. გვ. 205.
 5 იქვე, გვ. 205.

ბარბალის სალოცავი მდგარა ოდესლაც. /ახლა ამ ადგილს ბარბალ ნაკ „ბარბალის ვაკე“ ჰქვია¹.

ტაძრებთან ფალოსი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სხვა ხალხების რელიგიებშიც. ასეთია ტაძრის ებრაული სახელწოდება „ბეტმიკდაშ“². სირიაში, სომხეთსა და ირანში. პროსტიტუცია ეწყობოდა ბიბლიაში ადონისის სახელზე თვით აფროდიტეს ტაძარში³. ფართო ხასიათი ეძლეოდა ანაიტის და იშტარ-ასტარტას სახელზე მოწყობილ ორგიებს. ინდოეთში დღემდე დარჩენილი ტაძრები, სადაც თაყვანს სცემდნენ შივას ფალაკურ სიმბოლოს /ლინგამ-ს/⁴. ეგვიპტეში აპისს მსხვერპლად სწირავდნენ მკვდრების ფალოსებს⁵. ძველ რომში ბავშვებს ამულეტებად ჰკიდებდნენ ფალოსის გამოსახულებას⁶. სირიაში ასტარტასა და ატისის ტაძრის შესასვლელი გაფორმებული იყო ფალოსის და მის კულტთან დაკავშირებული სცენებით⁷. საღვთო პროსტიტუცია ზოგ მეცნიერს მიაჩნია ღვთაებასთან შეუღლების /ქორწინების/ გამოხატულებად⁸.

საქართველოში სატაძრო პროსტიტუცია დაკავშირებული

1 ამ თვალსაზრისით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს სალოცავის ერთ-ერთი სვანური სახელწოდება „ლაკუამ“. ამ სახელის ფუძეა „ხუამ“, ხოლო „ლა“ პრეფიქსია, რაც უდრის ქართულ „სა“ს, სვანურად „ჰუამ“ ჰქვია. იგივე სახელი ჰქვია /ეცერის თემის სოფლებში / საზღვარს სასაზღვრე ბოძს / სამანს/. ვვარაუდობთ, რომ ლახუამ /ე.ი. ადილი სადაც სქესობრივი აქტი სრულდება/ მიღებული უნდა იყოს ფალოსის სვანური სახელიდან. აქ სახელის ისეთივე წარმოება გვაქვს, როგორცაა ქარალ-ლაქთალ /ქათამი - საქათმე/, მეგემ-ლამგემ /ხე-ხის სამყოფი ადგილი/ და ა.შ. სალოცავის მეგრულ სახელწოდებაში „ხვამე“ ფუძე არის „ხვამ“, ხოლო ო-ე მანარმობები აფიქსებია, რომელიც უდრის ქართულ სა-ს-ს და სვანურ ლა-ს /ლა-ელ-ს/. ამ შემთხვევაში სვანურ-მეგრულის არა მარტო სიტყვების ფორმა, არამედ შინაარსიც ემტხვევა ერთმანეთს. ოხვამეს /ოხვამერს/ უნდა უკავშირდებოდეს მეგრული სახელი „ყვავიში ოხვამერი“, რაც უკანასკნელი ვაჟიშვილის სახელად იტვლება. ი. ყიფშიძის განმარტებით. მდრ. И Кипшидзе Грамматика Мингрельского /Иверского/ языка С Петербург 1914 стр 418 ზინჯი ოხვამური ერთადერთი ვაჟიშვილს ჰქვია.

როგორც ჩანს, ქრისტიანობის წინა ხანაში მოქმედი სალოცავის აღმნიშვნელი ტერმინი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში /მეგრულ-სვანებში/ ვერ განდევნა ბერძნულმორმაულმა ტერმინმა. ამ შემთხვევაში სვანურმა სალოცავის უძველესი სახელწოდება შემოინახა. სვანური სიტყვა „ლიხუამიელ“ თავის დაქვევით დალოცვას, მადლობის თქმას ნიშნავს, რაც ითიფალობასთან მიმსგავსებული სახელწოდება ჩანს. რასაც მეგრულის ჩვენებაც ადასტურებს, ხოლო სიტყვის არქაული მნიშვნელობა მეგრულში ამჟამად დაკარგული ჩანს.

2 А. Б. Ронович, დასახ. ნაშრომი, გვ. 202.

3 Б. А. Тураев История Древнего Востока т II Ленинград 1936 стр 11

4 Народы южной Азии Москва 1963 стр 259

5 Л. Штернберг დასახ. ნაშრომი, გვ. 305-306

6 იქვე. 305-306.

7 იქვე. 305-306.

8 იქვე. გვ. 358.

უნდა ყოფილიყო კვირიას /აგრეთვე დალის/ სახელთან. დალის ზომას გადაჭარბებული მეძაობა საკმაოდ პოპულარულია სვანურ ფოლკლორში.

კვირიასადმი მიძღვნილ ფალიკურ რიტუალებს „მურყვამობა-კვირიობის“ დღესასწაულებზე, ქვემო სვანეთში განასახიერებდნენ მელია-ტელეფიას წინამძღოლი /ჯუჰ-ჯუჰ-ის მთქმელი/¹. ადრეკილაი, მამალი „დათვი“ /კურ დემდუ/ და ბეროლ ანუ გონჯა, ხოლო ზემო სვანეთში - საქმისაი, ყაენი და კეისარი. აქ ჩამოთვლილ ითიფლაურ პერსონაჟებს წელზე ყველას მამაკაცის სარცხვინელი ასოს ხის გამოსახულება ეკიდა, ხელში ხის ხმლები ან ჯახები /წკნელი/ ეკავათ, რითაც ცდილობდნენ ქალებისათვის ეჩხვლიტათ.

ფალიკური რიტუალის პირვანდელი სახე ყველაზე უკეთ დაცულია „მელია-ტელეფიას“ წეს-ჩვეულებაში. ტაძრის ახლოს, სადაც ეს წესი სრულდებოდა, ჯუჰ-ჯუჰის მთქმელი შარვალს ჩაიხდიდა, სასქესო ორგანოს ხელს მოჰკიდებდა და ისე დასდევდა ქალებს და თან ექადებოდა, რომ თითოეულთან სქესობრივ კავშირს დაიჭერდა და თან იქვე მდგომ რომელიმე მამაკაცზე მიუთითებდა, რომ „შვილად ეს გაგვიჩნდებაო“ /მელია ტელეფიას „მწკრივში რამდენი მამაკაციც იყო, წინამძღოლი იმდენჯერ იმეორებდა ამ სიტყვებს/.

სვანურ ფალიკურ რიტუალებში ჯერჯერობით არ არის დამონშებული კტეისის გამოსახულების გამოყენება, როგორც ამას ვხვდებით ქართლ-კახურ ბერიკაობა-ყენობაში, სადაც „დედოფალს“ ქამარზე ცალი კამეჩის რქა ჰქონდა დამაგრებული, რომელიც კტეისის დანიშნულებას ასრულებდა². „ალბა-ლალრალში“ „დედოფლების“ როლს მამაკაცები ასრულებდნენ, ხოლო „სვიმონობა-კეისრობაში“ - ნამდვილი ქალები.

ხვევნა-კოცნა, სქესობრივი აქტისადმი ლტოლვა დამახასიათებელია ზემოსვანური საქმისაის, ყაენისა და კეისრისათვის. ისინი ახდენენ ცოლქმრული ურთიერთობის ინსცენირებას, ხოლო ქვემოსვანურ „დათვობაში“ /ლიდეშდუნალ/ მამალი „დათვი“ ამჟვარად ახდენს დედალ „დათვთან“ /ჯუუ დემდუ/ სქესობრივი აქტის სიმულაციას.

„გურგილ ჯუარას“ /გიორგის ჯვარი/ რიტუალში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ერთი ქალი მამაკაცის თორმეტ წყვილ სასქესო ორგანოს შემოტევას უძლებდა. ზემოსვანურ „ალბა-ლალრალში“ კოშკის თავზე ფალოსით მორთული ბოძის დასობაც ფალოსის კულტზე მიუთითებს. ხოლო ფალოსის მურყვამტან /კოშკთან/ კავშირი ამ რიტუალშიც ცანს.

1 ჯუჰ-ჯუჰ ანუ ჯუხ-ჯუხ პირდაპირ მიუთითებს ქართული „ძუ“-ს სვანურ სახელწოდებაზე. სვანურად ძუს ჰქვია ჯუჰ ანუ ჯუუ

2 ჯ. რუხაძე, აგრარული კულტები საქართველოში, სოფელი აკურა, გვ. 137.

საქმისაის, ყაენის, კეისრის, ქვემოსვანური ბეროლის, მე-ლია-ტელეფიას წინამძღოლის, მამალი „დათვის“ ერთნაირი მორთულობა და დაახლოებით ერთი და იგივე ილეთების შესრულება უნდა მიუთითებდეს მათს იგივეობაზე. რომ ისინი ერთი და იმავე როლის განმასახიერებელი პერსონაჟები არიან. /ე.ი. თავდაპირველად მათ როლს ერთი პერსონაჟი ასრულებდა, ხოლო დროთა განმავლობაში გადიდა მოქმედ პირთა რაოდენობა, მათი სამოქმედო წესი კი ერთი და იგივე დარჩა/.

სახელები საქმისაი, ბერა/ბეროლ/ბერიკა/, ჯუპ-ჯუპ, მნიშვნელობითაც ძლიერ უახლოვდებიან ერთმანეთს, როგორც ი. ჯავახიშვილი ამბობდა: „შესაქმეი“ ძველ ქართულში შექმნას, წარმოშობას, გენეზისს ნიშნავდა. „საქმისაი“, მაშასადამე, შვილოსნობისა და შექმნისათვის განკუთვნილ ორგანოს უნდა ნიშნავდეს¹. მანვე ცხადყო, რომ „ბერ“ შვილის, ანუ ძის აღმნიშვნელია, ხოლო „ბარა“ ცხოველის შვილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო². არსებობს ამ სიტყვის სომხური პარალელიც. სომხეთში ყველიერს „ბარეკენდან“-ს უწოდებენ /სომხურად „ბარ“-ნაყოფი, „კენდანანალ“-გაცოცხლება/³. თუ სომხურად ნაყოფს „ბარ“ ჰქვია, ეს კიდევ უფრო მეტად ადასტურებს ი. ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომ ბერ//ბარ შვილს ნიშნავს. ეს სიტყვა სომხურში შესაძლოა ქართულიდან იყოს შესული. მით უმეტეს, რომ „ბერე“ ჭანურში ბავშვის, შვილის, ძის აღმნიშვნელი სიტყვაა⁴. ი. ჯავახიშვილისავე მოწმობით, ბარაკულში „ბარა“ სიტყვა შვილს უნდა ნიშნავდეს, ე.ი. ქართულში ბერ-ის პარალელურად ბარაც დამოწმებულია⁵. სვანურად ბერ ჰქვია აგრეთვე კავის სახვინელ ნაწილს, რომელიც უშუალოდ მიწას ღარავს⁶. არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული ვარაუდი, რომ ეს სახელი ფალოსის ანალოგიითაა გაჩენილი, რადგანაც ხვნა ჩვენი წინაპრების წარმოდგენით სქესობრივ აქტად იყო ნა-

1 ი. ჯავახიშვილი, დასახელ. ნაშრომი, გვ. 72.

2 მისივე ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნატესაობა. გვ. 209.

3 С. А. Лисициан Религиозные верования Армянская сср Народы Кавказ т II Москва 1962 стр 539

4 არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქალტული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938, გვ. 19-20.

5 ი. ჯავახიშვილი, ქართული კავკასიური ენების... გვ. 195.

6 სვანეთში ყველიერის ორშაბათი /თვენთე დომდიშ „თეთრი ორშაბათი“/ ითვლებოდა ვაჟების ბედზე სალოცავად. ამ დღეს უნდა მოეჭრათ და გაეთალათ კავის სახვინელი ნაწილი, რომელსაც „ბერ“-ენოდება. სხვა დროს მისი გათლა არ შეიძლებოდა და არც ვარგოდა მორწმუნეთა აზრით. ამ დღეს სხვა სამუშაოები არ სრულდებოდა.

რმოდგენილი¹.

ქართულსა და სომხურში „ბარ//ბარა სიტყვების დაახლოებით ერთნაირი მნიშვნელობა, რომელიც დღემდეა დაცული, იმაზეც უნდა მიუთითებდეს, რომ ყველიერი ბუნების ნაყოფიერების, შვილიერების და ფალოსის კულტის დღესასწაულია.

ბერ-ი ნ. მარს სპარსულიდან შეთვისებულ სიტყვად მიანდა, ასევე მ. ანდრონიკაშვილი ამავე სიტყვას საშუალო სპარსულიდან / Pir მოხუცი, Piri სიბერე გადმოსულად თვლის². აქ გამოთქმული მოსაზრებების სისწორეზე ეჭვი არ შეგვაქვს, ოღონდ გამორიცხული არ არის მოხუცის სახელად ბერ-ის შესხებამდე, ქართველურ ენათა სამყაროში, არსებულიყო ამ სიტყვის ფორმები /ბერი//ბერე/ბარა/, როგორც შვილის აღმნიშვნელი. ამ უკანასკნელის მნიშვნელობით უნდა იყოს იგი ნახმარი „მურყვამობა-კვირიაობაში“, ხოლო ეს დღესასწაულები უფრო ძველი ჩანს, ვიდრე სპარსულ-ქართული ურთიერთობა. ამავე სიტყვის მსგავს მნიშვნელობაზე მიუთითებს ჯ. რუხაძის ერთ-ერთი გამოკვლევა.

ბერი, ბერო სვანეთში გამოყენებულია აგრეთვე ადამიანის სახელებად. როგორც ჩანს, ბერ..ბარა/ბერე სპარსულიდან ნასესხები ბერის ომონიმებია. ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ კურიეს ფუძე უნდა იყოს სახელშიც კვირია, შდრ. ლიკურიელ „კვირიაობა“, ლაკურიელ გოლაი „კვირიას საგალობლის შესასრულებელი გორა, „ადგილი“ /მამრობითობის აღმნიშვნელია სვანურში და უდრის ქართულ ხვადს, გამოდის, რომ საქმისაი, ბერე//ბერა//ბერ//ბარა კურ დაახლოებით ერთი და იმავე შინაარსის გამომხატველად გვევლინებოდნენ.

მელია-ტელეფიას რიტუალში ჯუჰ-ჯუჰ, ანუ ჯუჰ-ჯუჰ-ის შედახილი სქესობრივი აქტის გამაძლიერებელი მაგიური სიტყვებია. ანალოგიური შედახილი ვ. ბარდაველიძის მიერ, სვანეთის გარდა, დადასტურებულია რაჭა-ლეჩხუმსა და ქართლში. სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში ახალი წლის წინა ღამეს ღორის ქონით შეზავებულ განატეხებზე ღორისავე კანჭით დაჩხვლეულ შედახილებით: „ნეზვი-ტახი, ნეზვი-ტახი“, თითქოს უზრუნველყოფდა ღორების სიმრავლეს³. ამავე ღამეს ქართლში პურს სუფთა ჩხირით ჩხვლედნენ და ქათმის გამრავლების მიზნით თან ჯუ-ჯუს იძახდნენ. აქ მოტანილი სვანური, რაჭა-ლეჩხუმური და ქართლური სადღესასწაულო წესები, ვ. ბარდაველიძის

1 გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობა არბულაღის რაიონში, საქ. მუზეუმის მოამბე, IV, თბილისი, 1928, გვ. 224-225.

2 მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული [აკლის ფურცლის კიდე]ელი ქართული აგრარული დღესასწაულის მთავარი [აკლია ფურცლის კიდე] მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, ტ. IX, გვ. 173-174.

3 ვ. ბარდაველიძე. ქართული /სვანური/ საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, გვ. 134.

აზრით, სიმპატიკური მაგიის აშკარა მაგალითებია. ამასთანავე, შინაური ცხოველებისა, ფრინველებისა, პურეულისა და ოჯახისათვის სასიკეთო ობიექტების გამრავლებისათვის წარმოებული მაგიური მოქმედება /ჩხვლეტა/ უეჭველია, თავდაპირველად სქესობრივი აქტის გამოხატულებას წარმოადგენდა¹.

ჯუპ-ჯუპ-ის შეკვეცილი ფორმა უნდა იყოს ჯუ-ჯუ, რომელიც ქათმების დაძახების გამომხატველია, ხოლო ხარის სვანური სახელი „ჯუხუაი“ შეიძლება ჯუხ-ჯუხ-იდან მოდიოდეს, რაც „მურყვამობა-კვირიაობის“ დღესასწაულებთან ხარის მჭიდრო კავშირს შეიძლება ადასტურებდეს.

ფალიკური რიტუალების კვირიას კულტთან დაკავშირება შემთხვევითი არ არის. კვირია ნაყოფიერების მამრობითი ღვთაებაა. ჩვენი წინაპრების რწმენით ყოველგვარი კეთილდღეობა მისგან მოდის. ყოველივე ამას ის ფალოსით ახერხებს, ამიტომ აკეთებდნენ ფალოსის გამოსახულებებს. ამ უკანასკნელთ თითქოს ფალოსის სული ჰგავდა და ამავე აზრით აღმერთებდნენ არა მარტო სასქესო ორგანოებს, არამედ მათ გამოსახულებებსა² და ფალიკურ პერსონაჟებსაც, რომლებიც თავის მხრივ ჰგავდნენ ნაყოფიერების ღვთაებას - კვირიას³.

ფალოსის კულტი კონცენტრირებული უნდა ყოფილიყო კვირიას, როგორც ვეგეტატური ღვთაების, გარშემო, ვინაიდან სქესობრივი ექსცესების მიზანს ბუნების ძალების აღორძინება შეადგენდა.

1 იქვე. გვ. 134.

2 Л. Штернберг დასახ. ნაშრომი გვ. 305-306.

3 საყურადღებოა მეგრული რიტუალი, რომელიც არწერა ი. იფიშიძემ წიგნში: Грамматика Мингрельского /Иверского/ языка”, იხ. გვ. 259/. იგი პირველი იანვრის ნასადილევის სრულდებოდა. აცხობდნენ ნამცხვრებს რომელთაც „კირუ-კარუ-ენოდებოდათ. ისინი სხვადასხვა საგნებს, მათ შორის კრუხს და ყურძნის მტევანსაც გამოსახავდნენ. ცხობის დროს ჩხვლედნენ ქათმის ფრთით და თან ნატრობდნენ კვერცხმდებლობის გაზრდას. ამავე დღეს ჯოხებით ხელში და მარცვლით სავსე ტომრებით დატვირთული შედიოდნენ მარნებში. სანახელს ჯოხს ურტყამდნენ და ვენახის უხვ მოსავალს გამოითხოვდნენ. ეს რიტუალი ახლო პარალელი ჩანს „მურყვამობა-კვირიაობისა“, ხოლო „კირუ-კარუ“, რომლის მნიშვნელობა მეგრულტათვის ცნობია აშკარად, უნდა იყოს ისეთი სახელწოდება როგორცაა სვანური „ლაკურიელ ტაბელ“ /კვირიას ნამცხვარი, ტაბლა.

თავი IV

სხვადასხვა ეპოქის ელემენტები „მურყვამობა-კვირიაობაში“

„მურყვამობა-კვირიაობის“ ციკლის დღესასწაულების ანალიზის საფუძველზე ვვარაუდობთ, რომ ის ერთბაშად არ უნდა ჩამოყალიბებულიყო. მას აგრარული კულტის სახით ჩამოყალიბებული სახე უნდა მიეღო. ადრეკლასობრივი საზოგადოების წიაღში, განვითარებული მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ხანაში, როცა მონადირეობა უკვე აღარ წარმოადგენდა მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს.

„მურყვამობა-კვირიაობის“ სტრუქტურა ისეთი ჩანს, რომ მასში სინკრეტიზებული უნდა იყოს რამდენიმე ეპოქის ელემენტები, რომელთა ხასიათი თითონ მიგვანიშნებს მათი ამა თუ იმ სოციალური წყობილებისადმი მიკუთვნების საჭიროებას. ამ დღესასწაულებში მთელი რიგი რიტუალები /განსაკუთრებით ფალიკური/ მიუთითებს მასში უძველესი რწმენა-წარმოდგენების და წეს-ჩვეულებების გადმონაშთების არსებობაზე, რის გამოც აღნიშნული დღეობები განსაკუთრებულ ღირებულებას იძენენ იმ მხრივ, რომ ისინი აღადგენენ ქართველი ტომების უძველესი წეს-ჩვეულებების პირველ სახეს და თან გვიჩვენებს მათი რწმენების ერთმანეთთან გენეტურ კავშირს.

„მურყვამობა-კვირიაობაში“ ჩანს ადრე გვაროვნული, განვითარებული თემურ-გვაროვნული და კლასობრივი ეპოქებისათვის დამახასიათებელი ელემენტები, /როგორც გადმონაშთები/.

1. დღესასწაულებში უძველესი ეპოქის /ადრეგვაროვნულ/ ელემენტებად მიგვაჩნია პრომისკუიტეტულ-ორგინალური დღეობების გადმონაშთები:

ა/ სქესობრივი აქტის სიმულაცია /იმიტაცია/, ნაწილობრივი გაშიშვლება, ტანის შეუფერებელი მოძრაობა, სასქესო ორგანოთა გამოსახულებების ტარება და ბილწისიტყვაობა /„მელია-ტელეფია“, „გამურვა-დათვობია“, „საქმისაი, ბერიკა-გონჯა“ და სხვ/, ქალებისა და კაცების ერთმანეთში სალაზღანდაროდ ჩარევა ღამის სიბნელეში /ლახირი „ლამპრობა-კეისრობა“/.

ბ/ დღესასწაულში ახალბედა მონაწილე ვაჟებისათვის საჯდომებზე ცემა და თმის შეტრუსვა, აგრეთვე, ძელზე ჩამოკიდებული მამაკაცის მუშტების ცემით ჩამოგდება /„ლამპრობა-კეისრობა“, „ლაღამის კრივი“/, რაც შორეული ინიციანიების

გაქვავებული რუდიმენტი ჩანს;

გ/ დღესასწაულების ღრეობით დამთავრება;

დ/ ცხოველების /ხარი, თხა/ დაკვლის და შეჭმის სარიტუალო ხასიათი, როგორც გადმონაშთი ტოტემიზმის შესაძლო არსებობისა;

ე/ სამონადირეო ყოფის ამსახველი რიტუალების გადმონაშთები /„ბეთქილი“, „ხეწე“/;

ვ/ სქესობრივი ურთიერთობის ნიადაგზე წარმოშობილი შეტაკებების ისეთი რემისნენციები, როგორიცაა „ბრძოლის“ გამომხატველი სცენები. /„ადრეკილა“, „ლიქესალი“, „მორილ-მი-აქელა“, „ლიმციქუილი“/;

ზ/. ხე, როგორც სულის სამყოფი;

თ/ წეს-ჩვეულებების მაგიურ-ანიმისტური ხასიათი;

ი/ ფალიკური პერსონაჟებისათვის რამდენიმე ცოლის არჩევა,

II. განვითარებულ თემურ-გვაროვნული წყობილების ელემენტები: ა/ პოლითეიზმის ჩამოყალიბება; ბ/ ცხოველების / ხარი, თხა და სხვ/, ანთროპომორფიზაცია; გ/ ფალიკური რიტუალების აგრარული კულტის მთავარ ელემენტად გადაქცევა და ამ ნიადაგზე ფალოსის ნაყოფიერების უნივერსალურ სიმბოლოდ წარმოდგენა; დ/ მცენარის /მარცვლის ამოსვლის/ გაღვივების/ გადააზრება, როგორც სქესობრივი აქტის შედეგი და აქედან მცენარის კულტის შერწყმა ფალოსის კულტთან; ე/ შავი ელემენტის გამოყენება, სახის შავად გამურვა /ლიირი, ლიგონჯაუი/, როგორც მიწის ნაყოფიერების გამომწვევის მაგიური საშუალება; ვ/. ხის, როგორც სულის სამყოფის გააზრება ნაყოფის მომცემად, სიუხვის /„ზვინის“, „კოშკის“, „მურყვამის“/, ნაყოფიერების სიმბოლოდ, თვით ნაყოფიერების ღვთაების განსახიერებად გადაქცევა.

ზ/ ხარი გამანაყოფიერებელის /კურ//კურუ, კურო/ მხვნელ ხარად /გადაქცევა/ და აქედან მისი ღვთაებად გადააზრება, ჯერ ანთროპომორფიზაცია და შემდეგ მისი ასტრალიზაცია;

თ/ დღესასწაულის თანმხლების ატრიბუტების /ფალოსის გამოსახულებანი, ხის დაშნა-ვაჟის სიმბოლო, თხის ტყავი, ცერცვი, ნამჭა, საცერი, თომი და სხვ./ გააზრება, როგორც მაგიური ძალის მქონე საგნებისა, რომლებიც ხელს უწყობდნენ ნაყოფიერების გამომწვევას;

ი/ დღეობის განმკარგულებლად სუმრის მეთაურის და ფალიკური პერსონაჟებისათვის „ვზირების“ და „მოახლეების“ არჩევა;

კ/ „კვირიას“ სახელზე ადამიანის აყვანა“ /„ლიკურიელინე“/, როგორც ნაყოფიერების ღვთაებისადმი ადამიანის შესაძლო

მსხვერპლშენიშვის მაჩვენებელი;

ლ/ კვირიას და ტელეფიას ვეგეტატურობა;

მ/ კეისარისათვის „ცოლებად“ არჩევის ეგზოგამიური წესი / „ლამპრობა-კეისრობა“/.

ნ/ კვირიას სახელზე შვიდი დიდი სართვიანი ტაბლების გამოცხობის რიტუალი, როგორც ამ ეპოქის ყველაზე გვიანდელ ხანაში წარმოშობილი. კვირიას, ასტრალურ სამყაროში, შვიდ მნათობს შორის, ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილის მიკუთვნების გამომხატველი;

მაგიურ-ანიმისტური რწმენების საფუძველზე „დედამინის ღვთაების“ სარწმუნოებრივი რწმენა-წარმოდგენების წარმოშობა;

III. ახალი, კლასობრივი ეპოქის დროს გადაიქცა საბავშვო თამაშობებად, „მელია-ტელეფია“, „მორილ მიაქელა“, წარმოშვა სახელწოდება „აღბა ლაღრალი“.

ბ/ მოხდა მისტერიების ქრისტიანიზაცია /კვირიას საგალობელი, წმ. გიორგის სახელობისად მიიჩინეს „აღბა ლაღრალი“, წმ. მარიამის, ხოლო „ლამპრობა-კეისრობა“ სიმონ მესვეტეს დაუკავშირეს/ კვირიას ფუნქციები განაწილდა წმ. გიორგის, ფუსნაბუასდიას, წმ. კვირიკესა და სხვა წმინდანებზე. ამავე ხანას ეკუთვნის წმ. გიორგის ხატის წყალში დასველების რიტუალის შემოღება.

გ/ დღესასწაულებში ისტორიული ელემენტებია გამოჩენილ პიროვნებათა სახელები /კეისარი/, ტიტულები /მეფე, ყაენი და სხვა პროფესიისა და ეროვნების გამომხატველი სახელწოდებანი /მღვდელი, თათარი, არაბი, „ბერიკაობა-ყეენობაში“ და სხვა/.

დ/ აღნიშნული დღესასწაულები გადაიქცა სახალხო, თეატრალურ სანახაობებად /ფალიკურს გმირებს რიტუალების შესრულების დროს ხმა უნდა გამოეცვალათ, რაც ადასტურებს ამ დღეობების სანახაობით მნიშვნელობას და მათში ჭარბადა წარმოდგენილი სახუმარო-გროტესკული ჟანრის ელემენტები.

ამრიგად, „მურყვამობა-კვირიაობაში“ ჩანს ჩვენი წინაპრების სულიერი და მატერიალური ცხოვრების განვლილი საფეხურების ბევრი მხარე, რითაც ის იქცევა ერთ-ერთ წყაროდ უძველესი წარსულის შესწავლისათვის.



დამონმებული ლიტერატურა

1. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, „გერმანული იდეოლოგიიდან“, სახელგამი, თბილისი, 1948 წ.
2. კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკისათვის, თბილისი, 1932 წ.
3. ვ. ი. ლენინი, რელიგიის შესახებ, სახელგამი, თბილისი, 1955 წ.
4. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961 წ.
5. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. თბილისი, 1966 წ.
6. შ. ასლანიშვილი, ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მუსიკალური ფოლკლორის ექსპედიციის ანგარიში. 1946 წ. /ხელნაწერიც, ინახება საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში/.
7. ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, ღვთაება ბარბარ-ბაბარ, თბილისი, 1941 წ.
8. „ „ქართული /სვანური/ სანესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953 წ.
9. „ „ სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1, ახალი წლის ციკლი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის VI, თბილისი, 1953 წ.
10. „ „ ქართველი ტომების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაგანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, X, თბილისი, 1959 წ.
11. ვ. ბარდაველიძე, გონჯობა - ლაზარობა /ხელნაწერი/ 1944 წ.
12. „ „ აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები, მასალები საქართ. ეთნოგრაფიისათვის, 1, თბილისი, 1938 წ.
13. ს. ბარნაველი, ქართული დროშები, საქართველოს სსრ. მეც. აკადემიის მოამბე, ტ. XII, 6, 1951 წ.
14. პ. ბერაძე, ლუკრეციუსის საგანთა ბუნებისათვის, თბილისი, 1958 წ.
15. ნ. ბერძენიშვილი, სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გაზ. „მებრძოლი“, საქ. კპ. ზუგდიდის რაიკომის და რაისაბჭოს ორგანო, 1964 წ. 29 დეკემბერი.
16. ეგნ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბილისი, 1925 წ.
17. გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952 წ.
18. ა. დონინი, ადამიანები, კერპები და ღმერთები, თბილისი, 1965 წ.
19. ვაჟა-ფშაველა, ტ. VII, აღ. აბაშელის რედაქციით, თბილისი, 1956 წ.
20. ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირო ეპოსი, თბილისი, 1964 წ.
21. გ. ზედგენიძე, წარმართობის კვალი ჯავახურ დღეობებში /ხელნაწერი/.
22. ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, თბილისი, 1967 წ.
23. ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1966 წ.
24. ს. მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში, „მიმომხილველი“, თბილისი, 1926 წ.
25. ს. მაკალათია - მთის რაჭა, თბილისი, 1930 წ.
26. „...“ სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941 წ.
27. გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბილისი, 1955 წ.
28. „...“ ურარტუ, თბილისი, 1951 წ.
29. ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ნარკვევი, აღ. რობაქიძის რედაქციით და წინასიტყვაობით, თბილისი, 1962 წ.
30. არს. ონიანი, ლუშნე ამბვარ, პეტროგრადი, 1917 წ.
31. „...“ „ლიმურყუამალ“, ხელნაწერი, 1934 წ. ინახება საქ. სახ. მეცნ. აკადემიის

- ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში.
32. ნ. რეხვიაშვილი, „სალოცავი მზიური“ / გიუნე / საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV, ბ. თბილისი, 1963 წ.
 33. ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბილისი, 1956 წ.
 34. ჯ. რუხაძე, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან / მიწათმოქმედება-მესაქონლეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები / დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად / ხელნაწერი /, თბილისი, 1954 წ.
 35. ჯ. რუხაძე, აგრარული კულტები, სოფელი აკურა / ან. ლეკიაშვილის და ი. წყონიას თანაავტორობით გამოცემული, კრებული /, თბილისი, 1964 წ.
 36. „...“ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საწესო ნიღები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. VIII, თბილისი, 1955.
 37. „...“ ძველი ქართული აგრარული დღესასწაულის მთავარი პერსონაჟი ბერი-ბერა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. IX, თბილისი, 1957 წ.
 38. „...“ ქართული ხალხური დღესასწაული, თბილისი, 1966 წ.
 39. ალ. სვანიძე, შესავალი აღაროდიელ ტომთა ისტორიისა, თბილისი, 1936 წ.
 40. აკ. სოხაძე, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან / რაჭული ბოსლობა / დისერტაცია ისტ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერ, თბილისი, 1953 წ.
 41. ავ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბილისი, 1950 წ.
 42. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1950 წ.
 43. „...“ გეორგიკა, ტ. IV, ნარკვევი I, თბილისი, 1940 წ.
 44. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957 წ.
 45. ა. შანიძე, ვ თოფურია, სვანური პროზაული ტექსტები 11, ბალსზემოური კილო, თბილისი, 1939 წ.
 46. მ. ცართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, / სვანური სახლის კერა /, თბილისი, 1961 წ.
 47. გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, „ენიმკ“-ის მოამბე, X, თბილისი, 1942 წ.
 48. „...“ აჭარული დათვა-ბოყვა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. X. თბილისი.
 49. „...“, რაჭული სახვნელი „ენიმკ“-ის მოამბე, ტ I, თბილისი, 1937 წ.
 50. „...“, ლაზური ორნამენტი, ძეგლის მეგობარი, #12, თბილისი, 1967 წ.
 51. „...“, ეთნოგრაფიული მოგზაურობა აღბულაღის რაიონში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, IV, თბილისი, 1928 წ.
 52. მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბილისი, 1952 წ.
 53. არს., ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938 წ.
 54. გ. წერეთელი, „ყვენობა“, „კვალი“ #5, 1893 წ.
 55. ი. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1960 წ.
 56. ი. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1928 წ.
 57. „...“ ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937 წ.
 58. „...“, საქართველოს კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950 წ.
 59. ს. ჭანაშია, შრომები I, თბილისი, 1949 წ.

60. დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბილისი, 1948 წ.
61. ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, 1961 წ.
62. რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბილისი, 1964 წ.
63. Абаев В. И. Осетинский язык и фольклор Москва-Ленинград 1949 г
64. Авдиев В. И. История древнего Востока Ленинград 1953 г
65. Бардавелидзе В. – Древнейшие религиозные верование и обрядовое графическое искусство грузинских племен , Тбилиси, 1957 г.
66. Джанелидзе Д. – Грузинский театр, 1959 г.
67. Крамер С.Н. – История начинается в Шумере, Москва, 1965 г.
68. Кипшидзе И. – Граматика /Иверского/Мингрельского языка, С. Петербург, 1914 г.
69. Липс, Ю. – Происхождение вещей, Москва, 1954 г.
70. Лисициан, С.Д. – Религиозные верования, Народы Кавказа, т. 2. Москва, 1963 г.
71. Лумну Анбан – Тифлис, 1960 г.
72. Марр Н. – Франко-армянски [Sabazios-aswas] й сванское [богство] охоты, ИАН, 1902
73. « - » – Древнегрузинские одописцы, IV, 1902.
74. Меликишвили Г. – К истории дрекней Грузии, Ъбилиси, 1959.
75. « - » – Наირи-Урарту, Тбилиси, 1954
76. « - » – О происхождении Грузинского народа, Тбилиси, 1952
77. Миндели Н. Селение Сори, СМОМПК, XIX.
78. Народы южной азии, Москва, 1963.
79. Никольский В. К. – История первобытного общества, Москва, 1948 г.
80. Носова Р. – В.Я. Пропп. Русские аграрные праздники, /рецензия/ журн. Советская Этнография, №1, 1964 г.
81. Ранович А.Б. – Очерки истории древнееврейской религии, Москва, 1937 г.
82. Семенов Ю. Как возникло Человечество , Млсква, 1966
83. Струве В.В. История древнего Востока, Москва, 1941ю
84. Сургуладзе И.К. Астральная символика в грузинском народном орнаменте / автореферат/, Тбилиси, 1967.
85. Тейлор Э. – Перабытная культура, второе издание, том I. С. Петербург, [1896]
86. Токарев С. – Религия в истории народов Мира, Москва, 1964.
87. Тураев Б. А. – История древнего Востока, том I, Ленинград, 1935.
88. « - » – История древнего Востока, том 2, Ленинград, 1936.
89. Флиттнер Н. Д. – Культура и искусство Двуречья, Москва – Ленинград, 1958.
90. Францов Ю. – Фетишизм и проблема происхождения религии, Москва, 1940 г.
91. Фрезер Дж. – Золотая ветвь, вып. III. Москва, 1928 г.
92. « - » – Золотая ветвь, Москва, 1924 г.
93. Штернберг Л.Я. – Первобытная религия в свете этнографии, Ленинград, 1936 г.
94. Читая Г.С. – Полеаодство, Раздел «Народы Грузинского СССР», «Народы Кавказа»т. 3. Москва, 196
95. Iotze A. – Kulturgeschichte des alten Orients. Kleina[t]ion? Munchen, 1933
96. Sethe K. – Urgeschichte und alteste Religion der Agypten, Leipzig, 1930.

